

K 133.871
3

საქართველოს
საბავშვო ბიბლიოთეკა

ს. დეკანოზის ღვ. ნინო

პირველი

გვერდი

ს. დეკანოზის ღვ. ნინო

პირველი

გვერდი

ს. დეკანოზის ღვ. ნინო



საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის /
ისტორიის ინსტიტუტი — სკპ ცენტრალურ კომიტეტთან
არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

ქ. მარქსი და ფ. ენჯელსი

ფრ ი ე რ გ ა ნ ს ი
მ ა ტ ე რ ი ა ლ ის ტ უ შ ი
და ი ლ ე ა ლ ის ტ უ შ ი
უ ნ ხ ე ლ უ ლ ე გ ე გ ი ს
ლ ა ვ ი რ ი ს ვ ი რ ი ა ლ უ ლ ო ბ ა

K 133.971
3

(„გერმანული იდეოლოგიის“ პირველი
თავის ახალი პუბლიკაცია)



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი. 1968

1313 + 1 [ჭითერსხი] + 1 (=3)



~~3K 13~~
~~ფ 779~~

1) ჭითერსხი
2) გერმანული ჯიქოსოჟა

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომის — «გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავი პირველად ქართულ ენაზე დაიბეჭდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანო ჟურნალ «ბოლშევიკში» (1940 წლის №№ 6, 7, 8 და 12; 1941 წლის №№ 1, 3). 1948 წელს იგი ცალკე ბროშურის სახით იქნა გამოცემული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ სათაურით «გერმანული იდეოლოგიიდან».

ამჟამად «გერმანული იდეოლოგიის» ეს პირველი თავი — «ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა» იბეჭდება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ 1966 წელს გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

ტექსტის ეს ახალი პუბლიკაცია, როგორც ამას მკითხველი რუსული გამოცემის წინასიტყვაობიდან დაინახავს, ყველა წინანდელი გამოცემისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი იძლევა ტექსტის ახალ დალაგებას და დანაწილებას ხელნაწერის სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისად.

ტექსტის ახალი თარგმანი გერმანულიდან შეასრულა და რუსულ ტექსტთან შეაჯერა პ. ბ. იაშვილმა, რედაქცია გაუკეთა ა. ა. ქუთელიამ.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

სპეგ-2000
შემოწმებულია

წინასიტყვაობა

«გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავის ეს გამოცემა მარქსისა და ენგელსის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერის ყველაზე სრული პუბლიკაციაა. ყველა წინანდელი გამოცემისგან ეს პუბლიკაცია იმით განსხვავდება აგრეთვე, რომ იგი იძლევა ტექსტის ახალ დალაგებას და დანაწილებას, რაც მაქსიმალურად შეესაბამება ხელნაწერის სტრუქტურასა და შინაარსს.

«გერმანულ იდეოლოგიაში» მარქსმა და ენგელსმა პირველად დაამუშავეს ყოველმხრივ ისტორიის მატერიალისტური გაგება, ე. ი. ისტორიული მატერიალიზმი როგორც მეცნიერული კომუნიზმის თეორიის უშუალო ფილოსოფიური საფუძველი.

«გერმანული იდეოლოგიის» პირველი ტომის პირველ თავს განსაკუთრებული ადგილი უკავია ამ ორტომიან ნაწარმოებში. განსხვავებით ყველა დანარჩენი თავისაგან, რომელთაც უმთავრესად პოლემიკური ხასიათი აქვთ, ეს თავი გააზრებულ, იყო როგორც ზოგადი შესავალი, მიძღვნილი ისტორიის მატერიალისტური გაგების გადმოცემისადმი. აქ ფაქტიურად კონცენტრირებულია მთელი შრომის ძირითადი თეორიული შინაარსი. ამიტომ «გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავი ამ შრომის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია და მას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.



როგორც ენგელსს არაერთხელ აღუნიშნავს, სოციალიზმის გადარქმევა უტოპიიდან მეცნიერებად მარქსის ორი დიდი მოჩენის შემწეობით მოხდა — იმის შემწეობით, რომ მარქსმა შექმნა ისტორიის მატერიალისტური გაგება და ზედმეტი დი- რებულების თეორია. მარქსის პირველი დიდი აღმოჩენა მიე- კუთვნება გასულ საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანას და იგი პირველად ყოველმხრივ დამუშავებულ იქნა 1845 — 1846 წლებში «გერმანულ იდეოლოგიაში». ამრიგად, მარქსმა და ენგელსმა აქ განახორციელეს მეცნიერული კომუნიზმის პირ- ველი, ფილოსოფიური დახასიათება.

* * *

ისტორიის მატერიალისტური გაგების გადმოცემას მარქსი და ენგელსი «გერმანულ იდეოლოგიაში» იმით იწყებენ, რომ პირველად აყალიბებენ აქ წანამძღვრებს, რომლებიდანაც ისინი ამოდიან. ეს წანამძღვრებია: ადამიანები, მათი მოქმე- დება და მათი მოქმედების მატერიალური პირობები. ადამი- ანთა მოქმედებას აქვს ორი მხარე: წარმოება (ადამიანთა და- მოკიდებულება ბუნებასთან) და ურთიერთობა (ადამიანთა დამოკიდებულება ერთიმეორესთან). წარმოება და ურთიერ- თობა ერთმანეთს განაპირობებენ, მაგრამ განმსაზღვრელი მხარეა წარმოება.

მარქსი და ენგელსი ყოველმხრივ ავითარებენ ისტორიუ- ლი მატერიალიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებას საზოგა- დოების ცხოვრებაში მატერიალური წარმოების განმსაზღვრე- ლი როლის შესახებ. სწორედ წარმოება განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან. ადამიანთა ისტორიის პირველი წა- ნამძღვარი ისაა, რომ ადამიანებმა უნდა იცხოვრონ, მაშასა- დამე, მათ უნდა ჰქონდეთ საჭმელი, სასმელი, ბინა, ტანსაც- მელი და ა. შ., რათა «ისტორიის კეთება» შეძლონ. მოცე- მული საზოგადოების მთელ ცხოვრებას განსაზღვრავს წარმოების წესი. სოციალური მოქმედების ძირითადი მხარე- ები გვევლინებიან როგორც განსხვავებული სახეობანი წარ- მოებისა: როგორც წარმოება საარსებო საშუალებებისა,

მოთხოვნალებებისა, თვით ადამიანებისა, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, ცნობიერებისა.

«გერმანულ იდეოლოგიაში» მარქსმა და ენგელსმა არა მარტო ყოველმხრივ განავითარეს დებულება საზოგადოების ცხოვრებაში წარმოების გადამწყვეტი როლის შესახებ, არამედ ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გადადგეს წინ. ამ ნაშრომში მათ არსებითად პირველად გაარკვიეს მწარმოებლური ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დიალექტიკა. ეს უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ჩამოყალიბებულია აქ როგორც დიალექტიკა მწარმოებლური ძალებისა და ურთიერთობის ფორმისა.

მწარმოებლური ძალები განსაზღვრავენ ურთიერთობის ფორმას (საზოგადოებრივი ურთიერთობანი). მწარმოებლური ძალების განვითარება იწვევს იმას, რომ ურთიერთობის წინანდელი ფორმა უკვე აღარ შეესაბამება უფრო განვითარებულ მწარმოებლურ ძალებს და მათ ბორკილებად იქცევა. ეს წინააღმდეგობა მწარმოებლურ ძალებსა და ურთიერთობის ფორმას შორის, რომელიც ყველა ისტორიულ კოლიზიას განსაზღვრავს, თავის გადაწყვეტას პოულობს სოციალური რევოლუციის გზით. ურთიერთობის წინანდელი, ბორკილებად ქცეული, ფორმის ადგილს იკავებს ახალი, უფრო განვითარებული მწარმოებლური ძალების შესაბამისი ფორმა ურთიერთობისა და ა. შ... ამრიგად, მთელი ისტორიული განვითარების მანძილზე წარმოიქმნება თანმიმდევრობითი კავშირი ამ განვითარების თანმიმდევრულ საფეხურებს შორის.

ამ აღმოჩენამ მოგვცა გასაღები მთელი ისტორიული პროცესის გასაგებად და შესაძლებლობა იმისა, რომ გავგვევითარებინა ისტორიის მატერიალისტური გაგება როგორც მთლიანი კონცეფცია. მან დასაბამი მისცა ისტორიის მეცნიერულ პერიოდიზაციას, მოძღვრებას საზოგადოებრივი ფორმაციების შესახებ, და შესაძლებელი გახადა პროლეტარული, კომუნისტური რევოლუციის აუცილებლობის მეცნიერულად დამტკიცება.



«გერმანულ იდეოლოგიაში» მარქსი და ენგელსი ვენ წარმოების ისტორიული განვითარების ძირითად ფაზებს. მას საფუძვლად უდევს მწარმოებლური ძალების განვითარება. მწარმოებლური ძალების განვითარების დონის გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენს შრომის დანაწილების ხარისხი. შრომის დანაწილების ყოველი საფეხური განსაზღვრავს საკუთრების შესაბამის ფორმას (წარმოებით ურთიერთობათა იურიდიული გამოხატულება). ამრიგად, მარქსისა და ენგელსის ამ ამოსავალი დებულების მიღმა «გერმანულ იდეოლოგიაში» არსებითად უკვე მოცემულია ის აზრი, რომ მწარმოებლური ძალები განსაზღვრავენ წარმოებით ურთიერთობებს.

გადასვლა პირველადი ისტორიული ურთიერთობიდან საზოგადოების განვითარების შემდგომ სტადიაზე გაპირობებული იყო მწარმოებლური ძალებისა და შრომის დანაწილების განვითარებით — შრომის თავდაპირველი, ბუნებრივი დანაწილებიდან მის ისეთ ფორმაზე გადასვლით, რომელიც საზოგადოების კლასებად დაყოფით გამოიხატება. ეს არის კლასებამდელი საზოგადოებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა.

შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან ერთად ვითარდება ისეთი მეორადი ისტორიული მოვლენებიც, როგორცაა კერძო საკუთრება, სახელმწიფო, სოციალური მოქმედების გაუცხოება. თუ შრომის ბუნებრივად აღმოცენებულ დანაწილებას პირველყოფილ საზოგადოებაში საკუთრების პირველი, ტომობრივი (გვაროვნული) ფორმა შეესაბამებოდა, სამაგიეროდ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარება განსაზღვრავს საკუთრების ფორმათა შემდგომ განვითარებასა და ცვლას. საკუთრების მეორე ფორმა არის ანტიკური საკუთრება, მესამე ფორმა — ფეოდალური საკუთრება, მეოთხე ფორმა — ბურჟუაზიული საკუთრება. აქ ჩვენ გვაქვს დასაწყისი მოძღვრებისა საზოგადოებრივი ფორმაციების შესახებ. მარქსი და ენგელსი დაწვრილებით განიხილავენ კერძო საკუთრების უკანასკნელი, ბურჟუაზიული ფორმის განვითარების წინაისტორიას და ძირითად ეტაპებს: გადასვ-

ლას ამქრული წყობილებიდან მანუფაქტურულზე და შემდეგ მსხვილ მრეწველობაზე.

მწარმოებლური ძალების განვითარება ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში ქმნის პროლეტარული, კომუნისტური რევოლუციის ორ ძირითად მატერიალურ წინამძღვარს: ჯერ ერთი, წარმოების განვითარების მაღალ დონეს, შეუთავსებელს კერძო საკუთრების ბორკილებთან და ამასთანავე აუცილებელს კომუნისტურ საწყისებზე საზოგადოების ორგანიზაციისათვის, და, მეორე, მასობრივ პროლეტარიზაციას, რაც რევოლუციური კლასის ჩამოყალიბებას იწვევს. კომუნისტური რევოლუცია სპობს საზოგადოების კლასებად დაყოფას და ამასთან ერთად კერძო საკუთრებას, პოლიტიკურ ბატონობას და ადამიანთა საკუთარი მოქმედების გადაქცევას მათთვის უცხო ძალად, გარეგანი იძულებითი შრომის, დაქირავებული შრომის ადგილს იკავებს ინდივიდთა ნამდვილი თვითმოქმედება.

წარმოების განხილვიდან მარქსი და ენგელსი გადადიან ურთიერთობის სფეროს განხილვაზე, ე. ი. საზოგადოებრივ ურთიერთობათა, საზოგადოებრივი წყობილების, საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის, ინდივიდების, კლასებისა და საზოგადოების თანაფარდობის განხილვაზე.

შემდეგ განხილულია პოლიტიკური ზედნაშენის დარგი: სახელმწიფოსა და სამართლის დამოკიდებულება საკუთრებისადმი. აქ ნაჩვენებია, კერძოდ, რაობა სახელმწიფოსი საერთოდ და ბურჟუაზიული სახელმწიფოსი განსაკუთრებით. სახელმწიფო, წერენ მარქსი და ენგელსი, ის ფორმაა, რომლითაც ინდივიდები, რომლებიც გაბატონებულ კლასს ეკუთვნიან, თავიანთ საერთო ინტერესებს ახორციელებენ და რომელშიც მოცემული ეპოქის მთელი სამოქალაქო საზოგადოება (ე. ი. ეკონომიური ურთიერთობანი) თავის კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს. ბურჟუაზიული სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა ფორმა ორგანიზაციისა, რომელიც აუცილებლად უნდა მიიღონ ბურჟუებმა, რათა — როგორც სახელმწიფოს გარეთ, ისე მის შიგნით — თავიანთი

საკუთრება და თავიანთი ინტერესები ურთიერთ უზრუნველყოფაშია.

დასასრულ, მარქსი და ენგელსი განიხილავენ საზოგადოებრივ ცნობიერებას, მის სხვადასხვა ფორმებს, იდეოლოგიური ზედნაშენის დარგს, არკვევენ, კერძოდ, გაბატონებული ცნობიერების დამოკიდებულებას გაბატონებული კლასისადმი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქ ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მატერიალისტური გადაწყვეტის კლასიკური ფორმულირება: ცნობიერება არასოდეს არ შეიძლება იყოს სხვა რაიმე, თუ არა შეცნობილი ყოფიერება, ადამიანთა ყოფიერება კი მათი ცხოვრების რეალური პროცესია; ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას.

რეზიუმეს რომ უკეთებენ ისტორიის მატერიალისტური გაგების დედაარსს, მარქსი და ენგელსი წერენ: «ამრიგად, ისტორიის ეს გაგება იმაში მდგომარეობს, რომ, ამოვდივართ რა სწორედ უშუალო ცხოვრების მატერიალური წარმოებიდან, განვიხილოთ ნამდვილი წარმოების პროცესი და გავიგოთ მოცემულ წარმოების წესთან დაკავშირებული და მის მიერ წარმოშობილი ფორმა ურთიერთობისა, ე. ი. სამოქალაქო საზოგადოება მის სხვადასხვა საფეხურზე — როგორც საფუძველი მთელი ისტორიისა; შემდეგ საჭიროა ავსახოთ სამოქალაქო საზოგადოების მოქმედება სახელმწიფოებრივი ცხოვრების სფეროში და აგრეთვე ავხსნათ მისგან ყველა განსხვავებული თეორიული წარმონაშობი და ფორმა ცნობიერებისა, რელიგია, ფილოსოფია, მორალი და ა. შ. და ა. შ., და გამოვიკვლიოთ ამ საფუძველზე მათი წარმოქმნის პროცესი, რის მეოხებითაც, რასაკვირველია, შესაძლებელი იქნება ავსახოთ მთლიანად აღებული პროცესი (და ამიტომ აგრეთვე ურთიერთქმედებაც მის სხვადასხვა მხარეთა შორის). ისტორიის ეს გაგება იდეალისტური გაგებისაგან განსხვავებით... გვიხსნის არა პრაქტიკას იდეებიდან, არამედ იდეურ წარმონაქმნებს მატერიალური პრაქტიკიდან და ამის გამო აგრეთვე იმ დასკვნამდე მიდის..., რომ არა კრიტიკა, არამედ რევოლუცია არის მამოძრავებელი ძალა ისტორიისა, ასევე რელიგიი-

სა, ფილოსოფიისა და სხვა თეორიისა» (იხ. ეს გამოც., გვ. 65-66, შეად. აგრეთვე გვ. 35 — 39).

შემდეგში ისტორიის მატერიალისტური გაგების დედაარსი მარქსმა კლასიკურად ჩამოაყალიბა თავისი წიგნის «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» წინასიტყვაობაში (გვ. 10 — 11, ქართ. გამოც., 1953).

«გერმანულ იდეოლოგიაში» განვითარებული ისტორიულ-მატერიალისტური კონცეფციიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი დასკვნა ეს არის დასკვნა პროლეტარული, კომუნისტური რევოლუციის ისტორიული აუცილებლობისა და გარდუვალობის შესახებ.

წინამორბედი-უტოპისტების საწინააღმდეგოდ მარქსი და ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავენ მეცნიერული კომუნიზმის ძირითად თავისებურებას: «კომუნიზმი ჩვენთვის არ არის მდგომარეობა, რომელიც უნდა დამყარდეს, არ არის იდეალი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილე. კომუნიზმს ვუწოდებთ ჩვენ ნამდვილ მოძრაობას, რომელიც სობს ახლანდელ მდგომარეობას» (გვ. 59).

«გერმანულ იდეოლოგიაში» მარქსი და ენგელსი პირველად აყალიბებენ პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის აუცილებლობას, პირველად გამოთქვამენ პროლეტარიატის დიქტატურის იდეას: «ყოველმა კლასმა, რომელიც ბატონობას ესწრაფვის, — იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი ბატონობა განაპირობებს, როგორც ეს პროლეტარიატთან ხდება, მთელი ძველი საზოგადოებრივი ფორმის და საერთოდ ბატონობის მოსპობას, — უპირველეს ყოვლისა უნდა დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება» (გვ. 54). მარქსისა და ენგელსის ეს დებულება უკვე შეიცავს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მათი მოძღვრების ჩანასახს.

უკვე «თეზისებში ფოიერბახის შესახებ» მარქსმა ჩამოაყალიბა ის დებულება, რომ რევოლუციურ ვითარებაში გარემოებათა გარდაქმნა და თვით ადამიანების ცვლილება ერთმანეთს ემთხვევა. «გერმანულ იდეოლოგიაში» მარქსი და ენგელსი, ამტკიცებენ რა კომუნისტური რევოლუციის აუცილებლობას, ავითარებენ ამ უმნიშვნელოვანეს დებულებას:



«რევოლუცია აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ ვითარია სხვა გზით არ შეიძლება გაბატონებული კლასის დამხობა, არამედ იმიტომაც, რომ დამამხობელ კლასს მხოლოდ რევოლუციაში შეუძლია მთელი ძველი სისაძაგლე თავიდან მოიშოროს და საზოგადოების ახალი საფუძვლის შექმნის უნარის მქონე გახდეს» (გვ. 64).

ასეთია «გერმანული იდეოლოგიის» შინაარსის ძირითადი ელემენტები, თავმოყრილი მის პირველ თავში.

* * *

ისეთი ნაწარმოების შექმნის აუცილებლობას, როგორც «გერმანული იდეოლოგია» არის, საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავდა მარქსისა და ენგელსის ძირითადი ამოცანა — შეეიარაღებინათ მებრძოლი პროლეტარიატი მეცნიერული თეორიით.

1844 წლის გაზაფხულზე პარიზში გამოიცა «გერმანულ-ფრანგული წელიწდეული». მარქსისა და ენგელსის აქ გამოქვეყნებულ სტატიებში დამთავრდა მათი გადასვლა იდეალიზმიდან და რევოლუციური დემოკრატიზმიდან მატერიალიზმსა და კომუნიზმზე. 1848 წლის დასაწყისისათვის მარქსიზმის ფორმირების პერიოდი დამთავრდა «კომუნისტური პარტიის მანიფესტის» შექმნით. «გერმანული იდეოლოგია» ამ პერიოდის უდიდესი ნაწარმოებია.

უახლესი ფილოსოფიური და სოციალური დოქტრინების საწინააღმდეგოდ თავიანთ თეორიულ შეხედულებათა განვითარების განზრახვა მარქსმა და ენგელსმა ჯერ კიდევ 1844 წლის სექტემბერში გამოთქვეს «წმინდა ოჯახის» წინასიტყვაობაში. 1844 წლის დასასრულს, მ. შტირნერის წიგნის «ერთადერთი და მისი საკუთრება» გამოსვლის შემდეგ, ეს განზრახვა დაკონკრეტდა იმ გადაწყვეტილების სახით, რომ გაეკრიტიკებინათ გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის ეს უკანასკნელი სიტყვა, მისი დაშლის უკანასკნელი პროდუქტი. ბოლოს, 1845 წლის გაზაფხულზე, მარქსსა და ენგელსს საბოლოოდ ჩამოუყალიბდათ ჩანაფიქრი — განვეითარებინათ

თავიანთი ახალი მსოფლმხედველობა ჰეგელის შემდგომდროინდელი გერმანული ფილოსოფიის კრიტიკის ფორმით.

1845 წლის თებერვლის დასაწყისში მარქსი პარიზიდან გაასახლეს და იგი ბრიუსელში გადასახლდა. აპრილის დამდეგს მარქსთან ბრიუსელში ჩავიდა ენგელსი. ამ დროისათვის მარქსს უკვე დამუშავებული ჰქონდა ისტორიის მატერიალისტური გაგების ძირითადი იდეა და იგი თითქმის ჩამოყალიბებული სახით გააცნო ენგელსს. ამავე პერიოდში მოხაზა მარქსმა თავის უბის წიგნაკში თერთმეტი თეზისი ფოიერბახის შესახებ. ამ თეზისებით მთავრდება გამიჯვნის პროცესი მთელ წინანდელ ფილოსოფიასთან. ენგელსის განმარტებით, ეს თეზისები წარმოადგენენ «პირველ დოკუმენტს, რომელიც ახალი მსოფლმხედველობის გენიალურ ჩანასახს შეიცავს» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 21, გვ. 371). მარქსმა და ენგელსმა გადაწყვიტეს ერთად დაემუშავებინათ ყოველმხრივ თავიანთი ახალი მსოფლმხედველობა. სწორედ ამ განზრახვის შედეგად მოგვევლინა შემდეგ «გერმანული იდეოლოგია».

«გერმანული იდეოლოგიის» განზრახვისა და მისი რეალიზაციის შესახებ შემონახულია ამ ნაშრომის ავტორთა საკუთარი დამოწმებანი.

«როდესაც ჩვენ 1845 წლის გაზაფხულზე კვლავ შევხვდით ერთმანეთს ბრიუსელში, — წერდა 1885 წელს ენგელსი, — მარქსს... უკვე დამთავრებული ჰქონდა მთავარ ხაზებში ისტორიის თავისი მატერიალისტური თეორიის განვითარება, და ჩვენ შევუდექით ამ ახალ შეხედულებათა დეტალურ დამუშავებას უადრესად სხვადასხვა მიმართულებით» (იქვე, გვ. 220).

«ფრიდრიხ ენგელსმა..., — წერდა 1859 წელს მარქსი, — ჩემსავით ამავე შედეგს მიაღწია სხვა გზით... და როცა 1845 წლის გაზაფხულზე ისიც ბრიუსელში დაბინავდა, გადავწყვიტეთ ერთად შეგვემუშავებინა ჩვენი შეხედულებანი გერმანული ფილოსოფიის იდეოლოგიური შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ნამდვილად კი ანგარიში გავვესწორებინა ჩვენს წინანდელ ფილოსოფიურ სინდისთან. ეს განზრახვა შესრულ-



ლებულ იქნა ჰეგელის შემდგომდროინდელი ფილოსოფიის კრიტიკის ფორმით. ხელნაწერი, ორი სქელი ფოლიო-ტომი, უკვე დიდი ხანია მისული იყო გამოცემის ადგილას ვესტფალიაში, როცა ცნობა მივიღეთ, — შეცვლილი გარემოებანი მისი დაბეჭდვის ნებას არ იძლევიანო. ჩვენ მით უფრო სიამოვნებით დავუტოვეთ ხელნაწერი თავგების მღრღნელ კრიტიკას, რომ ჩვენი მთავარი მიზანი — ჩვენთვის საკითხის გამორკვევა — მიღწეული იყო» (იქვე, ტ. 13, გვ. 8).

ის, რაც მარქსმა და ენგელსმა «გერმანულ იდეოლოგიაში» თავისთვის გაარკვიეს, მათი თეორიის შემდგომი განვითარების საფუძველი გახდა. ძირითადი დასკვნები, რომლებამდეც ისინი «გერმანულ იდეოლოგიაში» მივიდნენ, პირველად გამოქვეყნდა მარქსის წიგნში «ფილოსოფიის სილატაკე» და «კომუნისტური პარტიის მანიფესტში». ამრიგად, «თეზისები ფოიერბახის შესახებ» ეს არის ახალი მსოფლმხედველობის ჩანასახი, «გერმანული იდეოლოგია» — მისი პირველი ყოველმხრივი დამუშავება, «ფილოსოფიის სილატაკე» და «კომუნისტური პარტიის მანიფესტი» — პრესაში მისი ძირითადი დებულებების პირველი გადმოცემა.

უშუალო საბაბი იმისა, რომ მარქსსა და ენგელსს მუშაობა დაეწყოთ «გერმანულ იდეოლოგიაზე», მის პირველ თავზე, იყო გამოქვეყნება ლ. ფოიერბახის სტატიისა «რელიგიის არსების შესახებ» შტირნერის წიგნთან «ერთადერთი და მისი საკუთრება» დაკავშირებით (ჟურნალი «Wigand's Vierteljahrschrift», 1845, ტომი II) და, განსაკუთრებით, გამოქვეყნება ბ. ბაუერის სტატიისა «ლუდვიგ ფოიერბახის დახასიათება» და მ. შტირნერის სტატიისა «შტირნერის რეცენზენტები» («Wigand's Vierteljahrschrift», 1845, ტ. III). 1845 წლის ჟურნალ «Wigand's Vierteljahrschrift»-ის მესამე ტომი დაიბეჭდა ოქტომბრის 16 — 18 რიცხვებში და ბაზარზე გამოვიდა დაახლოებით 1 ნოემბერს. 1845 წლის ნოემბერში მარქსმა და ენგელსმა დაიწყეს «გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავის წერა. 1846 წლის აპრილში «გერმანული იდეოლოგიის» ხელნაწერზე მუშაობა ძირითადად დამთავრებული იყო. მაგრამ პირველ თავზე მუშაობა არ იყო დასრუ-



ლებული. მიუხედავად მრავალი ცდისა, მარქსმა და ენგელსმა ვერ მოახერხეს «გერმანული იდეოლოგიის» მთლიანად გამოქვეყნება. მათს სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა «გერმანული იდეოლოგიის» უმნიშვნელოვანესი ნაწილის, პირველი თავის ხელნაწერიც. ენგელსის სიკვდილის შემდეგ «გერმანული იდეოლოგიის» ხელნაწერი ხელში ჩაუვარდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერებს (ფაქტიურად იგი ე. ბერნშტეინის განკარგულებაში იყო). 37 წლის მანძილზე მათ გამოაქვეყნეს მთელი ტექსტის ნახევარზე ნაკლები.

* * *

«გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავი პირველად საბჭოთა კავშირში გამოქვეყნდა. 1924 წელს იგი გამოაქვეყნა მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტმა რუსულ ენაზე («Архив К. Маркса и Ф. Энгельса», кн. I), 1926 წელს კი — ორიგინალის ენაზე, ე. ი. გერმანულ ენაზე («Marx — Engels Archiv», Bd. I). ამ გამოქვეყნების მეოხებით, რაც მაშინვე განხორციელდა, როგორც კი ინსტიტუტმა ხელნაწერის ფოტოასლის თავის განკარგულებაში მიღება შეძლო, მარქსიზმის ფუძემდებელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შრომა შევიდა მეცნიერულ საგანძურში და ხელმისაწვდომი გახდა შესწავლისათვის. ამ პუბლიკაციის საფუძველზე განხორციელდა ამ თავის მთელი რიგი გამოცემანი სხვადასხვა ქვეყანაში.

მაგრამ იმ დროს მარქსისა და ენგელსის ხელნაწერი, მისი სტრუქტურა და შინაარსი, ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად შესწავლილი, და ამიტომ პირველი პუბლიკაცია არ იყო სერიოზული ნაკლოვანებებისაგან თავისუფალი. ტექსტის დალაგება საერთოდ და მთლიანად შეესაბამებოდა ხელნაწერს, მაგრამ ამ სწორი პრინციპის თანმიმდევრულად გატარება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მაშინ. ხელნაწერის თავისთავად საკმაოდ რთული ტექსტი მოცემული იყო არსებითად დაუნაწევრებელი სახით. ტექსტის გაშიფვრასა და თარგმანში აზრობრივი შეცდომებიც იყო. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აძნელებდა მოცემული შრომის შესწავლასა და გაგებას.



1932 წელს ორიგინალის ენაზე და 1933 წელს რუსულ ენაზე თარგმანის სახით მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტმა განახორციელა «გერმანული იდეოლოგიის» ჩვენამდე მოღწეული ტექსტის პირველი სრული გამოცემა. მას შემდეგ ამ პუბლიკაციის საფუძველზე მომზადებულ იქნა «გერმანული იდეოლოგიის» მრავალრიცხოვანი გამოცემანი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც.

1932 — 1933 წლების გამოცემებში «გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავი გამოქვეყნებულ იქნა ახლებურად. ხელნაწერის გაშიფვრა გულდასმით შემოწმდა და მკითხველმა მიიღო ორიგინალის საკმაოდ ზუსტი ტექსტი და ამ ტექსტის საერთოდ დამაკმაყოფილებელი რუსული თარგმანი. გერმანულ გამოცემაში ხელნაწერი დაწვრილებით იყო აღწერილი. წაკითხვის გასაადვილებლად ტექსტი დანაწილებული იყო რედაქციული სათაურებით.

ამასთანავე ადგილი ჰქონდა იმის ცდას, რომ ტექსტის სხვადასხვა ფრაგმენტების გადაადგილების გზით დაუშთავრებელი ხელნაწერი დამთავრებულ ნაწარმოებად გადაქციულიყო. მაგრამ, როგორც ასეთი გადაადგილების მართლზომიერების გულდასმითმა შემოწმებამ და ასევე ხელნაწერისა და მისი შინაარსის შემდგომმა გამოკვლევამ გვიჩვენა, ტექსტის ასეთი ხელახალი დაგეგმვისათვის არა გვაქვს აუცილებელი და საკმაო საფუძველი.

1955 წელს «გერმანული იდეოლოგია» ახლად გამოქვეყნდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის მე-3 ტომში. ამ გამოცემაში არსებითად გაუმჯობესდა ტექსტის რუსული თარგმანი და შეიქმნა დაწვრილებითი სამეცნიერო-საცნობარო აპარატი. ამავე დროს მასალის დალაგება და დანაწილება პირველ თავში ისეთივე რჩებოდა, როგორც მიღებული იყო 1932 — 1933 წლების გამოცემებში.

«გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავის ამ გამოცემაში თავიდან აცილებულია წინანდელ გამოცემათა აღნიშნული ნაკლოვანებანი ტექსტის დალაგებისა და დანაწილების მხრივ. ტექსტი ქვეყნდება ხელნაწერში მისი დალაგების მიხედვით და დანაწილებულია მისი შინაარსის შესაბამისად.

გარდა ამისა, ამ თავის ტექსტში შეტანილია ხელნაწერის
ორი წინათ უცნობი ფრაგმენტი, რომლებიც მხოლოდ 1962
წელს გამოაქვეყნა სოციალური ისტორიის საერთაშორისო
ინსტიტუტმა ამსტერდამში («International Review of Social
History», vol. VII, part 1). ამით ეს გამოცემა ამ თავის ტექ-
სტის არსებული პუბლიკაციებიდან ყველაზე სრული პუბლი-
კაციაა.

ამრიგად, «გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავის ეს
პუბლიკაცია ტექსტის სისრულის, დალაგებისა და დანაწილე-
ბის მიხედვით არსებითად განსხვავდება ყველა წინანდელი
გამოცემისაგან.

* * *

«გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავის ხელნაწერი
შედგება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საგანთან დაკავში-
რებით დაწერილი რამდენიმე ნაწილისაგან. ამის შესაბამისად
პირველი თავის ტექსტი ამ პუბლიკაციაში დაყოფილია ოთხ
ნაწილად. ხელნაწერის თვითეული შემადგენელი ნაწილი
შინაგანი ლოგიკით დაკავშირებულ მთლიანობას წარმოად-
გენს. ეს ნაწილები ერთიმეორეს ავსებენ და ერთობლივ ის-
ტორიის მატერიალისტური გაგების მთლიან სურათს იძლევი-
ან, ისეთი გაგების სურათს, როგორც მარქსსა და ენგელსს
1845 — 1846 წლებში გამოუმუშავდათ.

მთელი ტექსტი რედაქციული სათაურების შემწეობით
დანაწილებულია (მხოლოდ ორი სათაური — პირველი და
უკანასკნელისწინა — ეკუთვნის მარქსსა და ენგელსს) საბო-
ლო ანგარიშით 27 პარაგრაფად (შესავალი პარაგრაფის ჩა-
თვლით, რომელსაც განსაკუთრებული სათაური არა აქვს).
ასეთი დანაწილება გვეხმარება ნაწარმოების შინაგანი ლო-
გიკის გამოვლენასა და თანმიმდევრულად შესწავლაში. უკვე
«გერმანულ იდეოლოგიაში» განვითარებული მატერიალის-
ტური გაგება ისტორიისა შეხედულებათა ლოგიკურად აგე-
ბულ მწყობრ სისტემას წარმოადგენს. ამ სისტემის ლოგიკა
განსაზღვრავს სწორედ გადმოცემის თანმიმდევრულობას პირ-
ველი თავის ხელნაწერში.

ხელნაწერის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გამოვიკვლიოთ სამი ძირითადი ეტაპი მარქსისა და ენგელსის მოხსენებებისა ამ თავზე: პირველი ეტაპის შედეგია თავის II ნაწილი, მეორე ეტაპის შედეგი — III და IV ნაწილები, მესამე ეტაპისა — I (სუფთად დაწერილი) ნაწილი თავისა.

ხელნაწერის ცალკეული ნაწილების შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ზოგადი ლოგიკა, გავიგოთ ჩანაფიქრი და მოვახდინოთ რეკონსტრუქცია «გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავის შეჯამებული გეგმისა. მარქსისა და ენგელსის ჩანაფიქრი შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: მარქსი და ენგელსი ჯერ იძლევიან გერმანული იდეოლოგიის ზოგად დახასიათებას, შემდეგ იდეალიზმს ისინი უპირისპირებენ ისტორიის მატერიალისტური გაგების გადმოცემას და, ბოლოს, აკრიტიკებენ ისტორიის იდეალისტურ გაგებას. თავის ძირითადი ნაწილი აგებულია ასე: წანამძღვრები, რომლებიდანაც მარქსი და ენგელსი ამოდიან; მათი მატერიალისტური გაგება ისტორიისა; დასკვნები, რომლებამდეც ამ თეორიას მიყვავართ. დასასრულს, თვით მატერიალისტური გაგება ისტორიისა გადმოცემულია ასეთი თანმიმდევრობით: წარმოების განვითარება — ურთიერთობა (საზოგადოებრივი ურთიერთობანი) — პოლიტიკური ზედნაშენი — საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები. მთლიანად «გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავის გეგმის რეკონსტრუქცია მარქსისა და ენგელსის ჩანაფიქრის შესაბამისად შემდეგნაირად გამოიყურება:

1) გერმანული იდეოლოგიის ზოგადი დახასიათება (ნაწილი I, შესავალი პარაგრაფი და § 1; ნაწ. II, § 1).

2) ისტორიის მატერიალისტური გაგების წანამძღვრები (ნაწ. I, § 2).

3) წარმოება (ნაწ. II, §§ 3 — 5; ნაწ. I, § 3; ნაწ. IV, §§ 1 — 5), ურთიერთობა (ნაწ. IV, §§ 6 — 10), პოლიტიკური ზედნაშენი (ნაწ. IV, § 11), საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები (ნაწ. III, § 1; ნაწ. IV, § 12).

4) დასკვნები და რეზიუმე ისტორიის მატერიალისტური გაგების არსის შესახებ (ნაწ. II, §§ 6—7; ნაწ. I, § 4).


5) კრიტიკა ისტორიის იდეალისტური გაგებისა საერთოდ, კრიტიკა ახალგაზრდა ჰეგელიანელებისა და ფოიერბახისა განსაკუთრებით“ (ნაწ. II, §§ 8—9 და 2; ნაწ. III, § 1).

ახალი პუბლიკაცია მნიშვნელოვნად აადვილებს «გერმანული იდეოლოგიის» უმდიდრესი შინაარსის შესწავლას, საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავიგოთ ისტორიის მატერიალისტური თეორია, თანმიმდევრულად შევისწავლოთ მისი დებულებების განვითარება მისი ფორმირების გადამწყვეტ ეტაპზე.

* * *

«გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავის ამ პუბლიკაციისათვის ტექსტის რუსული თარგმანი ხელახლა შედარდა ტრიგინალს და თარგმანში შეტანილ იქნა დაზუსტებანი. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის მე-3 ტომთან შედარებით შევსებული და გაფართოებულია ტექსტის შესახებ დართული შენიშვნები. ამ პუბლიკაციის მომზადებისას მოხერხდა «გერმანული იდეოლოგიის» ხელნაწერზე მარქსისა და ენგელსის მუშაობის დაწყების თარიღის დაზუსტება: ახლა დადგენილია, რომ ეს მუშაობა დაიწყო 1845 წლის არა სექტემბერში — როგორც ეს უწინ ითვლებოდა, — არამედ ნოემბერში.

ამ გამოცემაში, პირველი თავის ტექსტის გარდა, შესულია «გერმანული იდეოლოგიის» პირველი ტომის ავტორისეული წინასიტყვაობა (დაზუსტებული თარგმანით). ძირითადი ტექსტის დამატებებში მოცემულია ფოიერბახის შესახებ მარქსის თეზისების ორი ვარიანტი და ენგელსის შენიშვნები ფოიერბახზე, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც პირველი თავის მოსამზადებელი მასალა და დამატებანი. დამატებებში



მოცემულია აგრეთვე ფრაგმენტები მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებებიდან და წერილებიდან, რომლებიც შეიცავენ ყველაზე მნიშვნელოვან გამონათქვამებს «გერმანული იდეოლოგიის» ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ. გამოცემას დართული აქვს სახელთა, ლიტერატურისა და საგანთა საძიებლები.

«გერმანული იდეოლოგიის» პირველი თავის ახალი პუბლიკაცია მოამზადა გ. ა. ბალათურიამ ვ. კ. ბრუშლინსკის რედაქციით.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

კ. მარქსი და ვ. ენგელსი

წინასიტყვაობა

[«გერმანული იდეოლოგიის» პირველი ტომისათვის]

ადამიანები დღემდე მუდამ მცდარ წარმოდგენებს ქმნიდნენ თავიანთი თავის შესახებ, იმის შესახებ, თუ რანი არიან ისინი ან რანი უნდა იყვნენ. თანახმად თავიანთი წარმოდგენისა ღმერთზე, იმაზე, თუ რა წარმოადგენს ადამიანის ნიმუშს და ა. შ., ისინი ამყარებდნენ თავიანთ ურთიერთობებს. მათივე თავის წარმონაშობი მათზე გაბატონდა. მათ, შემქმნელებმა, თავიანთ ქმნილებათა წინაშე ქედი მოიხარეს. გავათავისუფლოთ ისინი ილუზიებისაგან, იდეებისაგან, დოგმატიებისაგან, წარმოსახვითი არსებებისაგან, რომელთა უღელქვეშაც ისინი გმინავენ. მოვახდინოთ აჯანყება აზრთა ამ ბატონობის წინააღმდეგ. ვასწავლოთ მათ, როგორ შეცვალონ ეს ილუზიები ადამიანის არსების შესაბამისი აზრებით, ამბობს ერთი *, როგორ მოეპყრან მათ კრიტიკულად, ამბობს მეორე **, როგორ დაივიწყონ ისინი, ამბობს მესამე ***, — და... არსებული სინამდვილე დაინგრევა.

ეს გულუბრყვილო და ბავშვური ფანტაზიები შეადგენენ იმ უახლესი ახალგაზრდა ჰეგელიანური ფილოსოფიის ბირთვს,

* — ლ. ფოიერბახი. რ ე დ.

** — ბ. ბაუერი. რ ე დ.

*** — მ. შტირნერი. რ ე დ.



რომელსაც გერმანიაში არა მარტო ხალხი იღებს საშინელებებისა და მოწიწების გრძნობით, არამედ თვით ფილოსოფიური გმირებიც ასევე გვთავაზობენ მას მისი ქვეყნიერების შემძრავი საშიშროებისა და დანაშაულებრივი უღმობელობის ზეიმური შეგნებით. ამ შრომის პირველი ტომი მიზნად ისახავს ამხილოს ეს ცხვრები, რომლებსაც თავიანთი თავი მგლებად მიაჩნიათ და რომლებიც ასეთებად ითვლებიან, — გვიჩვენოს, რომ მათი ბღავილი მხოლოდ იმეორებს, ფილოსოფიური ფორმით, გერმანელი ბიურგერების წარმოდგენებს, რომ ამ ფილოსოფიური ინტერპრეტაციების ტრაბახა სიტყვები მხოლოდ გერმანული სინამდვილის უბადრუკობას ასახავენ. ეს წიგნი მიზნად ისახავს დიდების შარავანდედი მოაცილოს და ყოველგვარი ნდობა დაუკარგოს ფილოსოფიურ ბრძოლას, რომელიც ასე მოსწონს მეოცნებე და მძინარა გერმანელ ხალხს.

ერთხელ ერთმა რიხიანმა კაცმა წარმოიდგინა, ადამიანები წყალში მხოლოდ იმიტომ იხრჩობიან, რომ ისინი სიმძიმის აზრმა შეიპყრო. თუ ისინი ამ წარმოდგენას დაივიწყებდნენ. გამოაცხადებდნენ რა, მაგალითად, რომ იგი ცრურწმენითი და რელიგიური წარმოდგენა არისო, მაშინ ისინი დახრჩობის ყოველგვარ რისკს თავს დააღწევდნენ. მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა იგი სიმძიმის ილუზიის წინააღმდეგ, რომლის დამლუბველი შედეგების შესახებ სტატისტიკა მას სულ ახალ და ახალ დამამტკიცებელ საბუთებს აწვდიდა. ეს რიხიანი კაცი მოგვევლინა თანამედროვე გერმანელი რევოლუციური ფილოსოფოსების პირველსახედ*.

დაწერილია კ. შარქსის ხელით, როგორც ჩანს, 1846 წლის აპრილისა და აგვისტოს შუალედში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით. თარგმანი გერმანულიდან

პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე «კ. შარქსისა და ფ. ენგელსის არქივში», წიგ. 1., 1924 წ.

* შემდეგ წაშლილია ხელნაწერში: «გერმანულ იდეალიზმს არავითარი სპეციფიკური განსხვავება არ ახასიათებს შედარებით ყველა დანარჩენი ხალხის იდეოლოგიასთან. ამ უკანასკნელსაც მიაჩნია აგრეთვე, რომ



სამყაროზე ბატონობენ იდეები, იდეები და ცნებები მას მიაჩნია განსაზღვრულ ღრულ პრინციპებად. გარკვეული აზრები კი — მატერიალური სამყაროს საიდუმლოებად, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ ფილოსოფოსებისათვის.

ჰეგელმა დაამთავრა პოზიტიური იდეალიზმი. ჰეგელთან არა ძარტო მთელი მატერიალური სამყარო გადაიქცა აზრების სამყაროდ, არამედ მთელი ისტორია აზრთა ისტორიად იქცა. იგი არ კმაყოფილდებოდა სააზროვნო ნივთების უბრალო რეგისტრაციით, იგი ცდილობდა მათი წარმოების აქტივ გამოეხსახა.

გერმანელი ფილოსოფოსები, თავიანთ ოცნებათა სამყაროდან ამოვარდნილნი, პროტესტს აცხადებენ აზრთა სამყაროს წინააღმდეგ, რომელსაც ისინი... წარმოდგენას ნამდვილზე, სხეულებრივზე...

ყველა გერმანელი ფილოსოფიური კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ იდეები, წარმოდგენანი, ცნებები ბატონობდნენ დღემდე ადამიანთა ნამდვილ სამყაროზე და განსაზღვრავდნენ მას, რომ ნამდვილი სამყარო იდეათა სამყაროს პროდუქტია. ეს ასე რჩება დღემდე, მაგრამ ასე არ უნდა იქნეს ამიერიდან. ისინი განსხვავდებიან ერთიმეორისაგან იმ წესით, რომლითაც მათ სურთ იხსნან კაცობრიობა, რომელიც, მათი შეხედულების თანახმად, თავის საკუთარ აკვიატებულ აზრთა ბატონობის გამო იტანჯება; ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, თუ სახელდობრ რას აცხადებენ ისინი აკვიატებულ აზრებად; მაგრამ ისინი შეთანხმებულნი არიან აზრთა ამ ბატონობის თავიანთ რწმენაში, შეთანხმებულნი იმის რწმენაში, რომ მათი კრიტიკული აზრის აქტმა უნდა გამოიწვიოს არსებულის დაღუპვა, — ამასთან ზოგიერთები მათგან ფიქრობენ, რომ ამისათვის საკმარისია მათი იზოლირებული აზროვნებითი მოქმედება, ზოგიერთებს კი სურთ საერთო ცნობიერება დაიპყრონ.

რწმენა, რომ რეალური სამყარო იდეათა სამყაროს პროდუქტია, რომ იდეათა სამყარო...

დაექვდნენ რა აზრთა თავიანთ ჰეგელისეულ სამყაროში, გერმანელი ფილოსოფოსები პროტესტს აცხადებენ აზრთა, იდეათა, წარმოდგენათა ბატონობის წინააღმდეგ, რომელნიც დღემდე, მათი შეხედულების თანახმად, ე. ი. ჰეგელის ილუზიის თანახმად, აწარმოებდნენ, განსაზღვრავდნენ, თავიანთი უფლებით განაგებდნენ ნამდვილ სამყაროს. ისინი პროტესტს აცხადებენ და სულს ლევენ...

ჰეგელის სისტემის თანახმად, იდეები, აზრები, ცნებები აწარმოებდნენ, განსაზღვრავდნენ, თავიანთი უფლებით განაგებდნენ ადამიანთა ნამდვილ ცხოვრებას, მათს მატერიალურ სამყაროს, მათს რეალურ ურთიერთობებს. მისი მემამბოხე მოსწავლეები მისგან სესხულობენ ამას...» რედ.

პ. მარქსი და ფ. ენგელსი

ფოიერბახი. მატერიალისტური და
იდეალისტური შეხედულებების
დაპირისპირებულობა

(«ბერძნული იდეოლოგიის» I თავი) ¹

[I]

[ლ. 1] როგორც გერმანელი იდეოლოგები გვაუწყებენ, გერმანია უკანასკნელ წლებში უმაგალითო გადატრიალება განიცადა. ჰეგელის სისტემის² გახრწნის პროცესი, შტრაუსით დაწყებული, გადაიქცა მსოფლიო დუდილად, რომელმაც მოიცვა ყველა «ძალები წარსულისა». საყოველთაო ქაოსში წარმოიშვებოდნენ მძლავრი სახელმწიფოები, რათა მაშინვე კვლავ გამქრალიყვნენ, გამოჩნდებოდნენ ერთი წუთით გმირები, რომელთაც უფრო გაბედული და უფრო ძლიერი მეტოქენი კვლავ წყვდიადში აგდებდნენ. ეს იყო რევოლუცია, რომელთან შედარებით საფრანგეთის რევოლუცია მხოლოდ ბავშვურ თამაშს წარმოადგენდა, ეს იყო მსოფლიო ბრძოლა, რომლის წინაშე დიადოხთა³ ბრძოლა უმნიშვნელო რამედ გვეჩვენება. გაუგონარი სისწრაფით აძევებდა ერთი პრინციპი მეორეს, ანადგურებდა აზრის ერთი გმირი მეორეს, და სამი წლის მანძილზე — 1842-დან 1845-მდე — გერმანიაში მოხდა უფრო საფუძვლიანი წმენდა, ვიდრე წინათ სამი საუკუნის განმავლობაში.

ყოველივე ეს წმინდა აზრის სფეროში მოხდაო.

როგორც არ უნდა იყოს, საქმე გვაქვს საინტერესო მოვლენასთან: აბსოლუტური სულის გახრწნის პროცესთან. როცა



მასში სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი ჩაქრა. ამ *caput mortuum*-ის * სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები შალნენ, ახალ შენაერთებად შეკავშირდნენ და ახალი ნივთიერებანი წარმოქმნეს. აღამიანები, რომელთაც ფილოსოფია ხელობად გაიხადეს, რომელნიც მანამდე აბსოლუტური სულის ექსპლოატაციით არსებობდნენ, ეკვეთნენ ახლა ამ ახალ შენაერთებს. თვითეული უდიდესი გულმოდგინებით შეუდგა მისი ხვედრი წილის გასაღებას. საქმე უკონკურენციოდ ვერ მოგვარდებოდა. დასაწყისში ამ კონკურენციას საკმაოდ სოლიდური, ბიურგერულად-წესიერი ხასიათი ჰქონდა. მაგრამ შემდეგ, როცა გერმანული ბაზარი პირთამდე ავსებული აღმოჩნდა, მსოფლიო ბაზარზე კი, მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, საქონელი მოთხოვნას ვერ ნახულობდა, მთელი საქმე, ჩვეულებრივი გერმანული ყაიდის თანახმად, გაფუჭდა ფაბრიკული და გაბერილი წარმოებით, საქონლის ხარისხის გაუარესებით, ნედლეულის ფალსიფიკაციით, ეტიკეტების გაყალბებით, ფიქციური შესყიდვებით, სათამასუქო ხრიკებითა და ყოველგვარ რეალურ ნიადაგს მოკლებული საკრედიტო სისტემით. კონკურენცია გადაიქცა გააფთრებულ ბრძოლად, რომელსაც ახლა ჩვენ გვიჩვენებენ და გვისახავენ როგორც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გადატრიალებას, როგორც უდიდესი შედეგებისა და მიღწევების წარმომშობ ფაქტორს.

იმისათვის, რომ ღირსეულად შევავსოთ მთელი ეს ფილოსოფიური შარლატანობა, რომელიც პატივცემული გერმანელი ბიურგერის გულშიც კი მისთვის ესოდენ სასიამოვნო ეროვნულ გრძნობებს იწვევს, იმისათვის, რომ ცხადვყოთ მთელი ამ ახალგაზრდა ჰეგელიანური მოძრაობის წვრილმანობა, პროვინციული შეზღუდულობა, განსაკუთრებით კი იმისათვის, რომ გამოვამჟღავნოთ ტრაგიკომიკური კონტრასტი ამ გმირების ნამდვილ მოქმედებათა და ამ მოქმედებათა შესახებ ილუზიებს შორის, — აუცილებლად საჭიროა მთელ

* სიტყვასიტყვით: მკვლარი თავი, აქ: მკვლარი ნაშთების ახრათ. რ ე დ.

[1.] იდეოლოგია საერთოდ, გერმანული განსაკუთრებით

[ლ. 2] გერმანულ კრიტიკას თავის უკანასკნელ ჭაპანწყვეტამდე არ მიუტოვებია ფილოსოფიის ნიადაგი. ყველა პრობლემა ამ კრიტიკისა, — რომელიც მეტად დაშორებული იყო იმას, რომ თავისი ზოგადფილოსოფიური წანამძღვრები გამოეცვლია, — გარკვეული ფილოსოფიური სისტემის, სახელ-

* შემდეგ თეთრად დაწერილის პირველ ვარიანტში მოცემული იყო წაშლილი ადგილი:

«[ს. 2] ამიტომ ამ მოძრაობის ცალკეულ წარმომადგენელთა სპეციალურ კრიტიკას ჩვენ წარვუძღვარებთ ზოგიერთ ზოგად შენიშვნებს, რომლებიც ყველა მათთვის საერთო იდეოლოგიურ წანამძღვრებს არკვევენ. ეს შენიშვნები საკმარისი იქნება, რათა დავახსიათოთ ჩვენი კრიტიკის თვალსაზრისი იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია შემდგომი ცალკეული კრიტიკული ნარკვევების გასაგებად და დასასაბუთებლად. ჩვენ ამ შენიშვნებს (ს. 3) ვაყენებთ სწორედ ფოიერბახის წინააღმდეგ, იმიტომ რომ იგი ერთადერთია, ვინც თუნდაც გარკვეული ნაბიჯი გადადგა წინ და ვისი შრომებიც შეიძლება de bonne foi (სერიოზულად) განვიხილოთ.

1. იდეოლოგია საერთოდ, კერძოდ გერმანული ფილოსოფია

A. ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთადერთი მეცნიერება, ისტორიის მეცნიერება. ისტორია შეიძლება განხილულ იქნეს ორი მხრიდან, იგი შეიძლება დაიყოს ბუნების ისტორიად და ადამიანთა ისტორიად. მაგრამ ორივე ეს მხარე განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული: ვიდრე ადამიანები არსებობენ, ბუნების ისტორია და ადამიანთა ისტორია ერთიმეორეს განაპირობებენ. ბუნების ისტორია, ეგრეთწოდებული ბუნებისმეცნიერება, ჩვენ აქ არ გვეხება; ადამიანთა ისტორიის განხილვა კი ჩვენ მოვვიხილავთ, რადგან თითქმის მთელი იდეოლოგია დაყვანილია ან ამ ისტორიის მცდარ გაგებაზე, ანდა მისგან სრულ აბსტრაქტიზებამდე. თვით იდეოლოგია ამ ისტორიის მხოლოდ ერთ-ერთი მხარეა».

შემდეგ თეთრად დაწერილის პირველ ვარიანტში მოდის წაუშლელი ადგილი ისტორიის მატერიალისტური გაგების წანამძღვრების შესახებ. ამ გამოცემაში ეს ადგილი შეტანილია ქვემოთ თეთრად დაწერილის ძირითადი (მეორე) ვარიანტის ტექსტში § 2-ის სახით (იხ. გვ. 28—30). რედ.



დობრ, — ჰეგელის სისტემის ნიადაგზე აღმოცენდა. არა მარტო ამ კრიტიკის პასუხები, არამედ უკვე თვით მისი კითხვებიც მისტიფიკაციას შეიცავდნენ. ეს დამოკიდებულება ჰეგელზე მიზეზია იმისა, თუ რატომ არც ერთი ამ ახალმოვლენილი კრიტიკოსებიდან არც კი შეცდილა ხელი მოეკიდა ჰეგელის სისტემის ყოველმხრივი კრიტიკისათვის, თუმცა თვითეული მათგანი ამტკიცებს, რომ ჰეგელის ფილოსოფიის საზღვრებს გასცდა. მათი პოლემიკა ჰეგელისა და ერთიმეორის წინააღმდეგ იმით კმაყოფილდება, რომ თვითეული მათგანი ამოგლეჯს ჰეგელის სისტემის ერთ რომელიმე მხარეს და მიმართავს მას როგორც მთლიანად აღებული სისტემის წინააღმდეგ, ისე სხვების მიერ ამოგლეჯილი მხარეების წინააღმდეგაც. ჯერ ამოგლეჯდნენ ჰეგელისეულ კატეგორიებს მათი წმინდა, გაუყალბებელი სახით, როგორცაა, მაგალითად, «სუბსტანცია» და «თვითცნობიერება»*, შემდეგ ახდენდნენ ამ კატეგორიების პროფანაციას, აღნიშნავდნენ რა მათ უფრო ამქვეყნიური სახელებით, როგორც, მაგალითად, «გვარი», «ერთადერთი», «აღამიანი»** და ა. შ.

მთელი გერმანული ფილოსოფიური კრიტიკა შტრაუსიდან დაწყებული შტირნერამდე კმაყოფილდება რელიგიურ წარმოდგენათა კრიტიკით***. ამოსავალ წერტილს წარმოადგენდნენ რელიგია და თეოლოგია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. თუ რა არის რელიგიური ცნობიერება, რელიგიური წარმოდგენა — ამას შემდეგში სხვადასხვანაირად განსაზღვრავდნენ. მთელი პროგრესი იმაში მდგომარეობდა, რომ ვითომდა გაბატონებული მეტაფიზიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, მორალური და სხვა წარმოდგენანი ასევე შეჰქონდათ რელიგიურ, ანუ თეოლოგიურ, წარმოდგენათა

* დ. ფ. შტრაუსისა და ბ. ბაუერის ძირითადი კატეგორიები. რ ე დ.

** ლ. ფოიერბახისა და მ. შტირნერის ძირითადი კატეგორიები. რ ე დ.

*** შემდეგ ხელნაწერში წაშლილია: «რომელიც ყოველგვარი ბოროტებისაგან მსოფლიოს აბსოლუტური მხსნელის როლის პრეტენზიით გამოვიდა. რელიგიას ყოველთვის განიხილავდნენ და განმარტავდნენ როგორც ამ ფილოსოფოსათვის ყველა საძაგელი ურთიერთობის უკანასკნელ მიზეზს, როგორც მთავარ მტერს». რ ე დ.



სფეროში, და თანაც პოლიტიკური, სამართლებრივი, მეცნიერული ცნობიერება გამოცხადებული იყო რელიგიურ, თეოლოგიურ, ცნობიერებად, ხოლო პოლიტიკური, სამართლებრივი, მორალური ადამიანი — საბოლოო ანგარიშით «ადამიანი საერთოდ» — აღიარებული იყო რელიგიურ ადამიანად. რელიგიის ბატონობა წინასწარ იგულისხმებოდა. თანდათანობით ყოველგვარი გაბატონებული ურთიერთობა რელიგიურ ურთიერთობად გამოცხადდა და გადაიქცა კულტად — სამართლის კულტად, სახელმწიფოს კულტად და ა. შ. ყველგან ჩანდა მხოლოდ დოგმატები და დოგმატების რწმენა. სულ უფრო დიდი მოცულობით ხდებოდა სამყაროს კანონიზირება, სანამ, ბოლოს, დიდად პატივცემულმა წმინდა მაქსმა * არ შეძლო გამოეცხადებინა იგი en bloc ** წმინდა სამყაროდ და, ამრიგად, ერთხელ და სამუდამოდ მოეთავებინა იგი.

ძველჰეგელიანელებს მიაჩნდათ, რომ მათ მიერ ყველაფერი გაგებულ ია, თუკი ეს ამა თუ იმ ჰეგელისეულ ლოგიკურ კატეგორიაშია მოთავსებული. ახალგაზრდა ჰეგელიანელები ყველაფერს აკრიტიკებდნენ, სჩრიდნენ რა ყველგან რელიგიურ წარმოდგენებს ანდა აცხადებდნენ რა ყველაფერს თეოლოგიურ რამედ. ახალგაზრდა ჰეგელიანელები იზიარებენ ძველჰეგელიანელების რწმენას იმისადმი, რომ არსებულ სამყაროში გაბატონებულია რელიგია, ცნებები, საყოველთაო. მაგრამ ერთნი ჯანყდებიან ამ ბატონობის წინააღმდეგ როგორც უზურპაციის წინააღმდეგ, მეორენი კი დიდებით მოსავენ მას როგორც რაღაც კანონიერს.

რადგან ამ ახალგაზრდა ჰეგელიანელებთან აზრები, ცნებები, საერთოდ პროდუქტები მათ მიერ რაღაც დამოუკიდებელ რამედ გადაქცეული ცნობიერებისა, ადამიანთა ნამდვილ ბორკილებადაა მიჩნეული — სავსებით ისევე, როგორც ძველჰეგელიანელებთან, ისინი გამოცხადებულია ადამიანთა საზოგადოების ნამდვილ სამაგრებად, — ამიტომ გასაგები ხდე-

* * მაქს შტირნერი. რ ე დ.

*** მთლიანად, თავიდან ბოლომდე. რ ე დ.



ბა, რომ ახალგაზრდა ჰეგელიანელებმა მხოლოდ ცნობიერების ამ ილუზიების წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ. რადგან, მათი ფანტაზიის თანახმად, ადამიანთა ურთიერთობანი, მთელი მათი მოქმედება და მთელი მათი ყოფაქცევა, მათი ბოროკილები და საზღვრები მათი ცნობიერების პროდუქტებია, ამიტომ ახალგაზრდა ჰეგელიანელები სავსებით თანმიმდევრულად უყენებენ ადამიანებს მორალურ მოთხოვნას — შეცვალონ ახლანდელი მათი ცნობიერება ადამიანური, კრიტიკული ან ეგოისტური ცნობიერებით* და ამ გზით თავიდან მოიშორონ მათი შემზღუდავი საზღვრები. ეს მოთხოვნა ცნობიერების შეცვლისა დაყვანილია მოთხოვნაზე — სხვაგვარად განმარტო არსებული, რაც ნიშნავს აღიარო იგი იმით, რომ სხვაგვარი განმარტება მისცე მას. ახალგაზრდა ჰეგელიანელი იდეოლოგები, მიუხედავად მათი ვითომდა «ქვეყნიერებისშემძრავი» ფრაზებისა⁴, უდიდესი კონსერვატორები არიან. მათგან ყველაზე ახალგაზრდებმა ზუსტი გამოხატულება მონახეს თავიანთი მოქმედებისათვის, როცა განაცხადეს, რომ ისინი მხოლოდ «ფ რ ა ზ ე ბ ი ს» წინააღმდეგ იბრძვიან. მათ ავიწყდებათ მხოლოდ, რომ თვითონ ამ ფრაზებს არაფერს არ უპირისპირებენ, გარდა ფრაზებისა, და რომ ისინი სრულიადაც არ იბრძვიან ნამდვილი, არსებული სამყაროს წინააღმდეგ, თუ მხოლოდ ამ სამყაროს ფრაზების წინააღმდეგ იბრძვიან. ერთადერთი შედეგი, რომლის მიღწევაც ამ ფილოსოფიურ კრიტიკას შეეძლო — ეს არის რამდენიმე, და ისიც ცალმხრივი, ისტორიულ-რელიგიური ახსნა-განმარტება ქრისტიანობის შესახებ; მათი ყველა დანარჩენი მტკიცება — ეს მხოლოდ შემდგომი შელამაზებაა მათი პრეტენზიისა იმის მიმართ, რომ მათ ამ უმნიშვნელო ახსნა-განმარტებებით თითქოს მსოფლიო-ისტორიული აღმოჩენანი მოახდინეს.

არც ერთს ამ ფილოსოფოსთაგანს აზრადაც არ მოსვლია დაესვა თავის თავისთვის საკითხი გერმანული ფილოსოფიის გერმანულ სინამდვილესთან კავშირის შესახებ, მათი კრიტი-

* იგულისხმებიან ლ. ფოიერბახი, ბ. ბაუერი და მ. შტირნერი. რ ე დ.

[2. წანამძღვრები, რომლებიდანაც ამოდის ისტორიის მატერიალისტური გაგება]**

[ს. 3] წანამძღვრები, რომლებითაც ჩვენ ვიწყებთ, არ არიან თვითნებურნი, ისინი არ არიან დოგმები; ეს ნამდვილი წანამძღვრებია, რომელთაგან აბსტრაქცირება მხოლოდ წარმოსახვაში შეიძლება. ეს ნამდვილი ინდივიდებია, მათი მოქმედება და მათი ცხოვრების მატერიალური პირობები, როგორც მათ მიერ მზად ნაპოვნი, ისე მათი საკუთარი მოქმედებით შექმნილი პირობები. ამრიგად, ამ წანამძღვართა [ს. 4] დადგენა შეიძლება წმინდა ემპირიული გზით.

ადამიანთა ყოველი ისტორიის პირველი წანამძღვარი — ეს არის, რასაკვირველია, ცოცხალ ადამიანურ ინდივიდთა არსებობა***. ამიტომ პირველი კონკრეტული ფაქტი, რომელიც კონსტატირებულ უნდა იქნეს, ეს არის ამ ინდივიდთა სხეულებრივი ორგანიზაცია და ამით გაპირობებული დამოკიდებულება მათი დანარჩენ ბუნებასთან. ჩვენ აქ არ შეგვიძლია, რა თქმა უნდა, ღრმად შევისწავლოთ არც თვით ადამიანთა ფიზიკური თვისებები, არც მათ მიერ მზად ნაპოვნი ბუნებრივი პირობები — გეოლოგიური, ორო-ჰიდ-

* შემდეგ თეთრად დაწერილის ძირითადი ვარიანტის ხელნაწერში გვერდის დანარჩენი ნაწილი არ არის ტექსტით შევსებული. ამის შემდეგ ახალი გვერდიდან იწყება ტექსტი, რომელიც ამ გამოცემაში მოცემულია ქვემოთ, § 3-ის სახით (იხ. გვ. 30—35). რ ე დ.

** მოცემული პარაგრაფის ტექსტი აღებულია თეთრად დაწერილი პირველი ვარიანტიდან. რ ე დ.

*** შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: «ამ ინდივიდთა პირველი ისტორიული აქტი, რომლითაც ისინი ცხოველებსაგან განსხვავდებიან, მდგომარეობს არა იმაში, რომ ისინი აზრვნებენ, არამედ იმაში, რომ ისინი იწყებენ მათთვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოებას». რ ე დ.



როგრაფიული, კლიმატური და სხვა ურთიერთობანი *. ველი ისტორიოგრაფია უნდა ამოდიოდეს ამ ბუნებრივი საფუძვლებიდან და მათი იმ სახეცვალებებიდან, რომელთაც ისინი ისტორიის მსვლელობაში ადამიანთა მოქმედების მეოხებით განიცდიან.

ადამიანები შეიძლება განვასხვაოთ ცხოველებისაგან ცნობიერებით, რელიგიით — საერთოდ რითაც გნებავთ. თვით ადამიანები ცხოველებისაგან თავიანთი თავის განსხვავებას იწყებენ, როგორც კი ხელს ჰკიდებენ მათთვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოებას — ნაბიჯი, რომელიც გაპირობებულია მათი სხეულებრივი ორგანიზაციით. თავიანთ აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოებით ადამიანები არაპირდაპირ თვით თავიანთ მატერიალურ ცხოვრებასაც აწარმოებენ.

წესი, რომლითაც ადამიანები მათთვის აუცილებელ საარსებო საშუალებებს აწარმოებენ, დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა იმ საარსებო საშუალებათა თვისებებზე, რომელთაც ისინი მზა სახით პოულობენ და რომლებიც კვლავწარმოებას საჭიროებენ. ¹

[ს. 5] ეს წარმოების წესი უნდა განვიხილოთ არა მარტო იმ მხრიდან, რომ იგი ინდივიდთა ფიზიკური არსებობის კვლავწარმოებას წარმოადგენს. კიდევ უფრო მეტად ეს არის მოცემულ ინდივიდთა მოქმედების გარკვეული წესი, გარკვეული სახე მათი სასიცოცხლო მოქმედებისა, მათი გარკვეული ცხოვრების წესი. როგორცაა ინდივიდთა სასიცოცხლო მოქმედება, ისეთივენი არიან თვით ისინი. ის, რასაც ისინი წარმოადგენენ, ემთხვევა, მაშასადამე, მათს წარმოებას — ემთხვევა როგორც იმას, რასაც ისინი აწარმოებენ. ასევე იმასაც, თუ როგორ აწარმოებენ ისინი, თუ რას

* შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: «მაგრამ ეს ურთიერთობანი განაპირობებენ ადამიანთა არა მარტო თავდაპირველ, ბუნებრივად აღმოცენებულ სხეულებრივ ორგანიზაციას, განსაკუთრებით რასობრივ განსხვავებებს მათ შორის, არამედ მთელ მის შემდგომ განვითარებასაც — ანდა განუვითარებლობას — დღემდე». რ ე დ.

წარმოადგენენ ინდივიდები — ეს დამოკიდებულია, მაშასადამე, მათი წარმოების მატერიალურ პირობებზე.

ეს წარმოება იწყება პირველად მოსახლეობის ზრდასთან ერთად. თვით იგი კვლავ გულისხმობს ინდივიდთა ურთიერთობას [Verkehr] ერთმანეთს შორის⁵. ამ ურთიერთობის ფორმა, თავის მხრივ, გაპირობებულია წარმოებით*.

[3. წარმოება და ურთიერთობა. შრომის დანაწილება და საკუთრების ფორმები: ტომობრივი, ანტიკური, ფეოდალური]

[ლ. 3] ურთიერთობანი სხვადასხვა ერებს შორის დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განავითარა თვითეულმა მათგანმა თავისი მწარმოებლური ძალები, შრომის დანაწილება და შინაგანი ურთიერთობა. ეს დებულება საყოველთაოდ აღიარებულია. მაგრამ არა მარტო ურთიერთობა ერთი ერისა მეორესთან, არამედ თვით ერის მთელი შინაგანი სტრუქტურაც დამოკიდებულია მისი წარმოების განვითარების საფეხურზე და მის საშინაო და საგარეო კავშირზე. ერის მწარმოებლური ძალების განვითარების დონე ყველაზე თვალნათლივ ვლინდება იმაში, თუ რამდენად განვითარებულია ამ ერში შრომის დანაწილება. ყოველ ახალ მწარმოებლურ ძალას, — რამდენადაც ეს არ არის უკვე დღემდე ცნობილი მწარმოებლური ძალების უბრალოდ რაოდენობრივი გაფართოება (მაგალითად, ახალი მიწების დამუშავება), — შედეგად მოსდევს შრომის დანაწილების შემდგომი განვითარება.

შრომის დანაწილება ამა თუ იმ ერის ფარგლებში იწვევს უწინარეს ყოვლისა სამრეწველო და სავაჭრო შრომის გამოყოფას სამიწათმოქმედო შრომისაგან და, ამით, ქალაქის გამოყოფას სოფლისაგან და მათი ინტერესების და-

* აქ მთავრდება თეთრად დაწერილის პირველი ვარიანტი. შემდეგ ამ გამოცემაში კვლავ მოცემულია თეთრად დაწერილის ძირითადი ვარიანტის ტექსტი. რ ე დ.

პირისპირებულობას. შრომის დანაწილების შემდგომი ვითარება იწვევს სავაჭრო შრომის სამრეწველო შრომისაგან განცალკევებას. იმავდროულად, ამ სხვადასხვა დარგების შიგნით შრომის დანაწილების მეოხებით, ვითარდება, თავის მხრივ, სხვადასხვა ქვედანაწილება ინდივიდებისა, რომლებიც შრომის ამა თუ იმ დარგში თანამშრომლობენ. ამ სხვადასხვა ქვედანაწილებათა ურთიერთდამოკიდებულება გაპირობებულია სამიწათმოქმედო, სამრეწველო და სავაჭრო შრომის გამოყენების წესით (პატრიარქალიზმი, მონობა, წოდებანი, კლასები). უფრო განვითარებული ურთიერთობისას იგივე დამოკიდებულებანი შედარდება სხვადასხვა ერებს შორის არსებულ ურთიერთობაშიც.

შრომის დანაწილების განვითარებაში არსებული სხვადასხვა საფეხურები ამავე დროს საკუთრების სხვადასხვა ფორმებიცაა, ე. ი. შრომის დანაწილების ყოველი საფეხური განსაზღვრავს აგრეთვე ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულებასაც შრომის მასალასთან, იარაღებთან და პროდუქტებთან მათი დამოკიდებულების შესაბამისად.

საკუთრების პირველი ფორმა—ეს არის ტომობრივი საკუთრება⁶. იგი შეესაბამება წარმოების განუვითარებელ სტადიას, როცა ხალხი ცხოვრობს ნადირობით და მეთევზეობით, მესაქონლეობით ან, სულ დიდი, მიწათმოქმედებით. უკანასკნელ შემთხვევაში იგი გულისხმობს ჯერ კიდევ აუთვისებელი მიწების უდიდეს მასას. ამ სტადიაზე შრომის დანაწილება ჯერ კიდევ მეტად სუსტადაა განვითარებული და შემოსისაზღვრება ოჯახში არსებული ბუნებრივად აღმოცენებული შრომის დანაწილების შემდგომი გაფართოებით. ამიტომ საზოგადოებრივი სტრუქტურა შემოიფარგლება მხოლოდ ოჯახის გაფართოებით: ტომის პატრიარქალური მეთაურები, მათი ხელქვეითი წევრები ტომისა, ბოლოს, მონები. ოჯახში ფარული სახით არსებული მონობა ვითარდება მხოლოდ თანდათანობით, მოსახლეობისა და მოთხოვნილებათა ზრდასთან და როგორც ომის, ისე გაცვლითი ვაჭრობის სახით არსებული საგარეო ურთიერთობის გაფართოებასთან ერთად.

საკუთრების მეორე ფორმა—ეს არის ანტიკური თემური და



სახელმწიფოებრივი საკუთრება, რომელიც ჩნდება უმთავრესად სამდენიმე ტომის — ხელშეკრულების თუ დაპყრობის გზით — ერთ ქალაქად გაერთიანებით და რომლის დროსაც შენარჩუნებულია მონობა. თემური საკუთრების გვერდით ვითარდება უკვე მოძრავი და შემდგომ უძრავი კერძო საკუთრებაც, მაგრამ როგორც არანორმალური და თემური საკუთრებისადმი დაქვემდებარებული ფორმა. სახელმწიფოს მოქალაქენი მხოლოდ ერთად ფლობენ თავიანთ მომუშავე მონებს და უკვე ამის გამო შებოჭილი არიან თემური საკუთრების ფორმით. ეს არის საერთო კერძო საკუთრება სახელმწიფოს აქტიური მოქალაქეებისა, რომლებიც იძულებულნი არიან მონების წინაშე შეინარჩუნონ ასოციაციის ეს ბუნებრივად აღმოცენებული ფორმა. ამიტომ საზოგადოების მთელი სტრუქტურა, ამ საფუძველზე დამყარებული, და მასთან ერთად ხალხის ბატონობაც, დაქვეითებას განიცდის იმავე ზომით, რა ზომითაც ვითარდება კერძო საკუთრება, განსაკუთრებით უძრავი. შრომის დანაწილებას უკვე უფრო განვითარებული ხასიათი აქვს. ჩვენ ვხედავთ უკვე * დაპირისპირებულობას ქალაქსა და სოფელს შორის, შემდეგში — დაპირისპირებულობას სახელმწიფოებს შორის, რომელთაგანაც ერთნი გამოხატავენ ქალაქის ინტერესებს, მეორენი კი — სოფლისას; ქალაქების შიგნით კი ადგილი აქვს დაპირისპირებულობას მრეწველობასა და საზღვაო ვაჭრობას შორის. კლასობრივმა ურთიერთობამ მოქალაქეთა შორის უკვე თავის სრულ განვითარებას მიაღწია.

კერძო საკუთრების განვითარებასთან ერთად აქ პირველად მყარდება ის ურთიერთობანი, რომელთაც ჩვენ კვლავ შევხვდებით — მხოლოდ უფრო დიდი მასშტაბით — თანამედროვე კერძო საკუთრების განხილვისას. ერთი მხრივ, — კერძო საკუთრების კონცენტრაცია, რაც რომში მეტად ადრე დაიწყო (დამამტკიცებელი საბუთი — ლიცინიუსის აგრარული კანონი 7) და ძლიერ სწრაფად ვითარდებოდა სამოქალაქო ომების დროიდან და განსაკუთრებით იმპერატორების დროს; მეორე მხრივ, ამასთან დაკავშირებით, — პლებეურ წვრილ გლეხთა გადაქცევა პროლეტარიატად, რომელმაც მქონებელ მოქალა-

ქეთა და მონებს შორის თავისი შუალედური მდგომარეობის გამო მაინც დამოუკიდებელი განვითარება ვერ მიიღო.



მესამე ფორმა—ეს არის ფეოდალური, ანუ წოდებრივი საკუთრება. თუ ანტიკურობისათვის ამოსავალი პუნქტი ქალაქი და მისი მცირე არემარე იყო, შუა საუკუნეებისათვის ამოსავალ პუნქტს სოფელი წარმოადგენდა. ამოსავალი პუნქტის ეს შეცვლა გაპირობებული იყო იმით, რომ თხლად დასახლებული და ვრცელ ფართობზე გაფანტული იყო პირველყოფილი მოსახლეობა, რომელიც დამპყრობთა მოდინებას ოდნავ საგრძნობლადაც არ გაუდიდებია. ამიტომ, საბერძნეთისა და რომის საპირისპიროდ, ფეოდალური განვითარება იწყება გაცილებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც მომზადებულ იქნა რომაელთა მიერ წარმოებული დაპყრობებით და დასაწყისში მათთან დაკავშირებულ მიწათმოქმედების გავრცელებით. დაქვეითების გზაზე დამდგარი რომის იმპერიის უკანასკნელმა საუკუნეებმა და ბარბაროსების მიერ თვით მისმა დაპყრობამ უთვალავი მწარმოებლური ძალები გაანადგურეს; მიწათმოქმედება დაეცა, მრეწველობა გასაღების უქონლობის გამო დაუძღურდა, ვაჭრობა ჩაკედა ან ნაძალადევად შეწყდა, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა შემცირდა. ყველა ამ პირობებმა, რომელთაც დამპყრობლები წააწყდნენ, და დაპყრობის განხორციელების წესმა, ამ პირობებით გამოწვეულმა, განავითარეს, გერმანელთა სამხედრო წყობილების ზეგავლენით, ფეოდალური საკუთრება. ტომობრივი და თემური საკუთრების მსგავსად, ფეოდალური საკუთრებაც ემყარება გარკვეულ გაერთიანებას [Gemeinwesen], მაგრამ ისეთს, რომელსაც უპირისპირდებიან, უშუალოდ მწარმოებელი კლასის სახით, არა მონები, როგორც ეს ანტიკურ ქვეყანაში იყო, არამედ წვრილი ყმა გლეხები. ფეოდალიზმის სრულ განვითარებასთან ერთად ჩნდება ანტაგონიზმიც ქალაქების მიმართ. მიწათმფლობელობის იერარქიული სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული სისტემა შეიარაღებული რაზმებისა თავადაზნაურობას ყმებზე ბატონობის უფლებას აძლევდა. ეს ფეოდალური სტრუქტურა, ისევე როგორც ანტიკური თემური საკუთრება, დამონებული მწარმოე-

ბელი კლასის წინააღმდეგ მიმართული ასოციაცია იყო ხვავებული იყო მხოლოდ ფორმა ასოციაციისა და დამოკიდებულება უშუალო მწარმოებლებისადმი, იმიტომ რომ არსებობდა წარმოების სხვადასხვა პირობები.

მიწათმფლობელობის ამ ფეოდალურ სტრუქტურას შეესაბამებოდა ქალაქებში კორპორაციული საკუთრება, ხელოსნობის ფეოდალური ორგანიზაცია. საკუთრება მდგომარეობდა [ლ. 4] აქ უმთავრესად ყოველი ცალკეული ინდივიდის შრომაში. გაერთიანებული ყაჩაღური თავადაზნაურობის წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობამ, საერთო საბაზრო შენობების მოთხოვნილებამ იმ პერიოდში, როცა მრეწველი იმავე დროს ვაჭარიც იყო, კონკურენციაა ზრდამ იმ გაქცეული ყმების მხრიდან, რომლებიც იმხანად აყვავებულ ქალაქებს აწყდებოდნენ, მთელი ქვეყნის ფეოდალურმა სტრუქტურამ, — ყოველივე ამან წარმოშვა საამქროები; იმის მეოხებით, რომ ცალკეული პირები ხელოსნებს შორის, რომელთა რიცხვიც უცვლელი რჩებოდა მზარდი მოსახლეობის პირობებში, თანდათან აგროვებდნენ, დანაზოგის საშუალებით, მცირე კაპიტალს, განვითარდა ქარგალთა და შევირდთა სისტემა, რომელმაც ქალაქებში სოფლად არსებული იერარქიის მსგავსი იერარქია შექმნა.

ამრიგად, ფეოდალურ ეპოქაში საკუთრების მთავარი ფორმა იყო, ერთი მხრივ, მიწის საკუთრება, მასზე მიჯაჭვული ყმების შრომასთან ერთად, მეორე მხრივ კი საკუთარი შრომა ქარგალთა შრომაზე გაბატონებული წვრილი კაპიტალის არსებობის პირობებში. საკუთრების ამ ორივე სახის სტრუქტურას განაპირობებდა წარმოების შეზღუდული ურთიერთობანი — მიწის სუსტი და პრიმიტიული დამუშავება და მრეწველობის ხელოსნური ტიპი. ფეოდალიზმის აყვავების ხანაში შრომის დანაწილება უმნიშვნელო იყო. ყოველ ქვეყანაში არსებობდა დაპირისპირებულობა ქალაქსა და სოფელს შორის; წოდებრივ სტრუქტურას, მართალია, მკვეთრად გამოხატული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ, გარდა იმ დაყოფისა, რაც მოცემული იყო სოფლად მთავრების, თავადაზნაურობის, სასულიერო წოდებისა და გლეხობის სახით, ხოლო ქალაქად —



ოსტატების, ქარგლების, შევირდების, ხშირად კი აგრეთვე პლებეი-დლიური მუშების სახით, არ არსებობდა შრომის დენადმე მნიშვნელოვანი დანაწილება. მიწათმოქმედებაში შრომის დანაწილება გაძნელებული იყო მიწის პარცელარული დამუშავებით, რომლის გვერდითაც წარმოიშვა თვით გლეხების შინამრეწველობა; მრეწველობაში კი ცალკეულ ხელოსნობათა შიგნით სრულიად არ არსებობდა შრომის დანაწილება, ხოლო ცალკეულ ხელოსნობათა შორის ეს დანაწილება მეტად უმნიშვნელო იყო. დანაწილება მრეწველობასა და ვაჭრობას შორის უფრო ძველ ქალაქებში უკვე წინათ არსებობდა; უფრო ახალ ქალაქებში იგი განვითარდა მხოლოდ შემდეგში, როცა ამ ქალაქებმა ერთმანეთთან ურთიერთობა დაამყარეს.

უფრო ვრცელი ტერიტორიების გაერთიანება ფეოდალურ სამეფოებად წარმოადგენდა მოთხოვნილებას როგორც მიწის თავადაზნაურობისათვის, ისე ქალაქებისთვისაც. ამიტომ გაბატონებული კლასის — თავადაზნაურობის — ორგანიზაციას ყველგან სათავეში მონარქი ედგა*.

[4. ისტორიის მატერიალისტური გაგების არსი.
საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება]

[ლ. 5] ამრიგად, საქმის ვითარება ასეთია: გარკვეული ინდივიდები, რომელნიც გარკვეული წესით ეწევიან საწარმოო საქმიანობას**, გარკვეულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობას ამყარებენ ერთმანეთთან. ემპირიულმა დაკვირვებამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გამოავლინოს —

* შემდეგ ხელნაწერში გვერდის დანარჩენი ნაწილი არ არის ტექსტით შევსებული. ამის შემდეგ ახალი სტრიქონით იწყება რეზიუმე ისტორიის მატერიალისტური გაგების არსის შესახებ. საკუთრების მეოთხე, ბურჟუაზიული ფორმა განხილულია ქვემოთ, თავის IV ნაწილში, § 2 — 4. რ ე დ.

** თავდაპირველი ვარიანტი: «გარკვეული ინდივიდები გარკვეული წარმოებითი ურთიერთობისას». რ ე დ.

გამოცდილებით, ყოველგვარი მისტიფიკაციისა და სპეკულაციის გარეშე — საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურის კავშირი წარმოებასთან. საზოგადოებრივი სტრუქტურა და სახელმწიფო მუდამ წარმოიქმნება გარკვეული ინდივიდების საარსებო პროცესიდან — არა ისეთი ინდივიდებისა, როგორადაც ისინი შეიძლება მოგვეჩვენონ საკუთარი და სხვისი წარმოდგენით, არამედ ისეთებისა, როგორც ისინი სინამდვილეში არიან, ე. ი. იმ სახით, როგორც ისინი მოქმედებენ, მატერიალურად აწარმოებენ და, მაშასადამე, როგორც ისინი ქმედითად ავლენენ თავიანთ თავს მათი თვითნებურობისაგან დამოუკიდებელი გარკვეული მატერიალური საზღვრების, წანამძღვრებისა და პირობების არსებობისას*.

იდეების, წარმოდგენების, ცნობიერების წარმოება თავდაპირველად უშუალოდ შეწნულია ადამიანთა მატერიალურ მოქმედებასა და მატერიალურ ურთიერთობაში, რეალური ცხოვრების ენაში. წარმოდგენების შექმნა, აზროვნება, სულიერი ურთიერთობა ადამიანებისა გვევლინება აქ ჯერ კიდევ მათი მატერიალური მოქმედების უშუალო ნაყოფად. იგივე ითქმის სულიერ წარმოებაზე, როგორც იგი ამა თუ იმ ხალხის პოლიტიკის, კანონების, მორალის, რელიგიის, მეტაფიზიკის და ა. შ. ენაში ვლინდება. ადამიანები არიან თავიანთი წარ-

* შემდეგ ხელნაწერში გადახაზულია: «წარმოდგენანი, რომელთაც ეს ინდივიდები ქმნიან, ეს არის წარმოდგენანი ან ბუნებისადმი მათს დამოკიდებულებაზე, ან მათს დამოკიდებულებაზე ერთმანეთს შორის, ანდა იმაზე, რანი არიან თვით ისინი. ნათელია, რომ ყველა ამ შემთხვევაში ეს წარმოდგენანი მათი ნამდვილი ურთიერთობისა და საქმიანობის, მათი წარმოების, მათი ურთიერთკავშირის, მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის შეგნებული გამოხატულებაა — ნამდვილი თუ ილუზორული. საწინააღმდეგოს დაშვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნამდვილი, მატერიალურად გაპირობებული ინდივიდების სულის გარდა, კიდევ სხვა რაღაც განსაკუთრებული სული იგულისხმება. თუ ამ ინდივიდების ურთიერთობათა შეგნებული გამოხატულება ილუზორულია, თუ ისინი თავიანთ წარმოდგენებში თავიანთ სინამდვილეს თავდაყირა აყენებენ, ეს კვლავ მათი მატერიალური საქმიანობის შეზღუდული წესის და აქედან გამომდინარე მათი შეზღუდული საზოგადოებრივი ურთიერთობის შედეგია». რ გ დ.

მოდგენების, იდეების და ა. შ. მწარმოებელი, მაგრამ ლაპარაკია ნამდვილ, მოქმედ ადამიანებზე, რომელნიც გაპირობებულნი არიან მათი მწარმოებლური ძალების გარკვეული განვითარებით და ამ განვითარების შესაბამისი ურთიერთობით, მის უაღრესად შორეულ ფორმებამდე*. ცნობიერება [das Bewußtsein] არასდროს არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა შეცნობილი ყოფიერება [das bewußte Sein], ადამიანთა ყოფიერება კი მათი ცხოვრების რეალური პროცესია. თუ მთელს იდეოლოგიაში ადამიანები და მათი ურთიერთობანი, როგორც კამერა-ობსკურაში, თავდაყირა დაყენებული მოჩანან, ეს მოვლენაც საესეებით ისევე გამომდინარეობს მათი ცხოვრების ისტორიული პროცესიდან, როგორც საგანთა უკუგამოსახულება თვალის ბადურაზე მათი ცხოვრების უშუალოდ ფიზიკური პროცესიდან გამომდინარეობს.

სრულიად წინააღმდეგ გერმანული ფილოსოფიისა, რომელიც ციდან მიწაზე ეშვება, ჩვენ აქ მიწიდან ცაში ავდივართ, ე. ი. ჩვენ ამოვდივართ არა იქიდან, რასაც ადამიანები ლაპარაკობენ, რასაც გონებით წარმოისახავენ, წარმოიდგენენ, — ასევე ჩვენ არ გამოვდივართ არც მხოლოდ სიტყვიერად არსებული, გააზრებადი, წარმოსახული, წარმოდგენაში არსებული ადამიანებიდან, რათა მათგან ნამდვილ ადამიანებთან მივიდეთ; ჩვენთვის ამოსავალი წერტილია ნამდვილად მოქმედი ადამიანები, და მათი ნამდვილი საარსებო პროცესიდან ჩვენ გამოვყავს აგრეთვე ამ საარსებო პროცესის იდეოლოგიურ ანასახთა და გამოძახილთა განვითარებაც. თვით ბუნდოვანი წარმონაქმნები ადამიანთა ტვინში, ისინიც კი აუცილებელი პროდუქტებია, თავისებური ანაორთქლებია მათი მატერიალური საარსებო პროცესისა, რომელიც შეიძლება დადგენილ იქნეს ემპირიულად და რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ წანამძღვრებთან. ამრიგად, მორალი, რელიგია, მეტაფიზიკა და

* თავდაპირველი ვარიანტი: «ადამიანები არიან თავიანთი წარმოდგენების, იდეების და ა. შ. მწარმოებელი, სახელდობრ, ადამიანები, გაპირობებულნი მათი მატერიალური ცხოვრების წარმოების წესით, მათი მატერიალური ურთიერთობით და მისი შემდგომი განვითარებით საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სტრუქტურაში». რ ე დ.

იდეოლოგიის სხვა სახეობანი და მათი შესაბამისი ფორმები ცნობიერებისა კარგავენ თვითმყოფობის მოჩვენებითობას. მათ არა აქვთ ისტორია, არა აქვთ განვითარება: ადამიანები, რომლებიც თავიანთ მატერიალურ წარმოებას და თავიანთ მატერიალურ ურთიერთობას ავითარებენ, ამ თავიანთ სინამდვილესთან ერთად სცვლიან აგრეთვე თავიანთ აზროვნებას და თავიანთი აზროვნების პროდუქტებს. ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას. განხილვის პირველი წესის დროს ამოდიან ცნობიერებიდან, თითქოს ეს უკანასკნელი ცოცხალი ინდივიდი იყოს; მეორე წესის განხილვისას კი, რომელიც ნამდვილ ცხოვრებას შეეფერება, ამოდიან თვით ნამდვილი ცოცხალი ინდივიდებიდან და ცნობიერებას განიხილავენ მხოლოდ როგორც მათს ცნობიერებას.

განხილვის ეს წესი არ არის წანამძღვრებს მოკლებული. იგი ამოდის ნამდვილი წანამძღვრებიდან და ერთი წამითაც კი არ ტოვებს მათ. მისი წანამძღვრებია ადამიანები, ალებულნი არა რაღაც ფანტასტიკურ კარჩაკეტილობაში და იზოლირებულობაში, არამედ თავიანთი განვითარების ნამდვილ, ემპირიულად თვალსაჩინო პროცესში, რომელიც გარკვეულ პირობებში მიმდინარეობს. როცა ცხოვრების ამ მოქმედი პროცესის ასახვა წარმოებს, ისტორია უკვე აღარ არის მკვდარი ფაქტების კრებული, როგორც ეს ემპირიკოსებთანაა, რომლებიც თვითონ ჯერ კიდევ აბსტრაქტულნი არიან, ანდა იგი აღარ არის წარმოსახვითი მოქმედება წარმოსახვითი სუბიექტებისა, როგორც იგი იდეალისტებთანაა.

იქ, სადაც სპეკულაციური აზროვნება წყდება, — ნამდვილი ცხოვრების წინაშე, — სწორედ იქ იწყება ნამდვილი დადებითი მეცნიერება, ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის, მათი განვითარების პრაქტიკული პროცესის ასახვა. წყდება ფრაზები ცნობიერების შესახებ, მათი ადგილი უნდა დაიკავოს ნამდვილმა ცოდნამ. სინამდვილის ასახვა უკარგავს დამოუკიდებელ ფილოსოფიას მის საარსებო გარემოს. საუკეთესო შემთხვევაში მისი შეცვლა შეუძლია იმ ყველაზე ზოგადი შედეგების ერთად შეკრებას, რომლებიც აბსტრაქციის გზით



ადამიანთა ისტორიული განვითარების განხილვიდან გამომდინარე
 ყვანება. ამ აბსტრაქციებს თავისთავად, ნამდვილი ისტორი-
 საგან მოწყვეტით, სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა
 აქვთ. ისინი შეიძლება გამოგვადგეს მხოლოდ იმისათვის, რომ
 გაავიღო ეს ისტორიული მასალის მოწესრიგება, მოხაზულ
 იქნეს მისი ცალკეული ფენების თანმიმდევრულობა. მაგრამ,
 ფილოსოფიისაგან განსხვავებით, ეს აბსტრაქციები სრულიად
 არ იძლევიან რეცეპტს ან სქემას, რომელთაც შეიძლება ის-
 ტორიული ეპოქები მოერგოს. პირიქით, სიძნელეები მხოლოდ
 მაშინ იწყება, როცა მასალის განხილვას და მოწესრიგებას
 იწყებენ — სულ ერთია, განეკუთვნება ეს მასალა რომელიმე
 განვლილ ეპოქას თუ თანამედროვეობას, — როცა მის ნამდ-
 ვილ ასახვას იწყებენ. ამ სიძნელეთა თავიდან აცილება გაპი-
 რობებულა იმ წანამძღვრებით, რომელთა მოცემაც აქ არას-
 გზით არ შეიძლება, რადგან ისინი მხოლოდ ყოველი ცალკე-
 ული ეპოქის ინდივიდთა ნამდვილი ცხოვრებისეული პროცე-
 სისა და მოქმედების შესწავლის მსვლელობაში იქმნებიან. ჩვენ
 აქ გამოვყოფთ ზოგიერთებს ამ აბსტრაქციებიდან, რომლებ-
 საც ვიყენებთ იდეოლოგიის საპირისპიროდ, და განვმარტავთ
 მათ ისტორიულ მაგალითებზე *.

11

* აქ მთავრდება თეთრად დაწერილის ძირითადი (მეორე) ვარიანტი.
 შემდეგ ამ გამოცემაში მოცემულია თავდაპირველი ხელნაწერის სამი ნა-
 წილი. რ ე დ.

[II]

[1. ადამიანთა ნამდვილი განთავისუფლების პირობები]*

[1] ჩვენ, რა თქმა უნდა, თავს არ შევიწუხებთ იმით, რომ გავანათლოთ ჩვენი ბრძენი ფილოსოფოსები იმის შესახებ, რომ «ადამიანის» «განთავისუფლება» ჯერ ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ, თუ მათ ფილოსოფია, თეოლოგია, სუბსტანცია და მთელი დანარჩენი ხარახურა «თვითცნობიერებაში» გათქვიფეს, თუ მათ «ადამიანი» გაათავისუფლეს ამ ფრაზებისაგან, რომელთაგანაც იგი არასოდეს არ ყოფილა დამონებული**; რომ ნამდვილი განთავისუფლების განხორციელება შეუძლებელია სხვანაირად, თუ არა ნამდვილ სამყაროში და ნამდვილი საშუალებებით, რომ არ შეიძლება მოვსპოთ მონობა ორთქლის მანქანისა და მიულჭენის გარეშე, ბატონყმობა — გაუმჯობესებული მიწათმოქმედების გარეშე, რომ საერთოდ შეუძლებელია ადამიანთა განთავისუფლება, სანამ ისინი არ შეძლებენ ხარისხობრივად და რაოდენობრივად მთლიანად

* მოცემული პარაგრაფის ტექსტი რუსულ ენაზე პირველად ქვეყნდება. რუს. რედაქციის შენიშვნა. რ ე დ. (აგრეთვე ქართულ ენაზეც ეს ტექსტი პირველად ქვეყნდება. ქართ. გამოც. რ ე დ.)

** მარქსის შენიშვნები კიდევზე: «ფილოსოფიური და ნამდვილი განთავისუფლება». «ადამიანი საერთოდ. ერთადერთი ინდივიდი» «გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული და ა. შ. პირობები. ადამიანის სხეული. მოთხოვნილება და შრომა». რ ე დ.



უზრუნველყონ თავისთვის საჭმელი და სასმელი, ბინა და ტანსაცმელი. «განთავისუფლება» ისტორიული საქმეა და აზრის საქმე და ამ განთავისუფლებამდე მიგვიყვანენ ისტორიული ურთიერთობანი, მდგომარეობა მრეწველობისა, ვაჭრობისა, მიწათმოქმედებისა, ურთიერთობისა...* [2] შემდეგ კიდევ, მათი განვითარების სხვადასხვა საფეხურების შესაბამისად, სუბსტანციის, სუბიექტის, თვითცნობიერებისა და წმინდა კრიტიკის უაზრობა, სავსებით ისევე, როგორც რელიგიური და თეოლოგიური უაზრობა, და ამის შემდეგ კვლავ მოიცილებენ მას, როცა ისინი საკმაოდ შორს წაიწევენ თავიანთ განვითარებაში**. რა თქმა უნდა, ისეთ ქვეყანაში, როგორც გერმანიაა, სადაც ისტორიული განვითარება მხოლოდ უაღრესად უბადრუკი წესით მიმდინარეობს, — ეს მოძრაობანი წმინდა აზრის დარგში, ეს ცამდე აყვანა და უმოქმედო მათხოვრობა, ანაზღაურებენ ისტორიულ მოძრაობათა ნაკლებობას, ინერგებიან და საჭიროა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ ეს არის ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლა***.

[2. ფოიერბახის მატერიალიზმის მკვრეტელობისა და არათანამიმდევრულობის კრიტიკა]

...****[8] სინამდვილეში პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მატერიალისტისათვის, ე. ი. კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს ა თ ვ ი ს მთელი საქმე იმასი მდგომარეობს, რომ არსებული სამყარო გაარევიოლუციუროს, რომ არსებული ვითარების წინააღმდეგ პრაქტიკულად გაილაშქროს და იგი შეცვალოს. თუ ფოიერბახთან ზოგჯერ ვხვდებით კიდევ ასეთ შეხედულებებს, ისინი ხომ ვერასოდეს ვერ სცილდებიან ცალკეულ მიხვედრათა ფარგლებს და მის

* ხელნაწერა დაზიანებულია: მოგლეჯილია ფურცლის ბოლო, აკლია ტექსტის ერთი სტრიქონი. რ ე დ.
 ** მარქსის კიდურშენიშვნა: «ფრაზები და ნამდვილი მოძრაობა. ფრაზების მნიშვნელობა გერმანიისათვის». რ ე დ.
 *** მარქსის კიდურშენიშვნა: «ენა არის სინამდვილის ენა». რ ე დ.
 **** აქ აკლია ხელნაწერის ხუთი გვერდი. რ ე დ.



საერთო მსოფლმხედველობაზე იმდენად მცირე გავლენას იქონიებს, რამდენადაც შეიძლება მათში დაგვეჩინოს მხოლოდ განვითარების უნარმქონე ჩანასახები და მეტი არაფერი. გრძნობადი სამყაროს ფოიერბახისეული «გაგება» შემოისაზღვრება, ერთი მხრივ, მარტოოდენ ამ სამყაროს ჭვრეტით, მეორე მხრივ კი — მარტოოდენ შეგრძნებით. ფოიერბახი ლაპარაკობს «ადამიანზე როგორც ასეთზე» და არა «ნამდვილ ისტორიულ ადამიანზე». «ადამიანი როგორც ასეთი» სინამდვილეში არის «გერმანელი». პირველ შემთხვევაში, გრძნობადი სამყაროს ჭვრეტის დროს, იგი აუცილებლად წააწყდება ხოლმე ისეთ რამეებს, რაც ეწინააღმდეგება მის ცნობიერებას და გრძნობას, არღვევს გრძნობადი სამყაროს ყველა ნაწილთა მის მიერ ნაგულისხმევ ჰარმონიას და განსაკუთრებით ბუნებასთან ადამიანის ჰარმონიას*. ეს დაბრკოლება რომ თავიდან მოიცილოს, იგი იძულებულია ხსნა ეძიოს რაღაც ორად ჭვრეტაში, რასაც შუალედური მდგომარეობა უჭირავს ჩვეულებრივ ჭვრეტასა, რომელიც მხოლოდ იმას ხედავს, რაც «ცხვირის წინ არის», და უფრო მაღალ, ფილოსოფიურ ჭვრეტას შორის, რომელიც ნივთთა «ნამდვილ არსს» ხედავს. იგი ვერ ამჩნევს, რომ მისი გარემომცველი გრძნობადი სამყარო სრულიადაც არ არის რაღაც უშუალოდ დასაბამიდანვე მოცემული რამ, რაც მუდამ თავისი თავის ტოლია, არამედ იგი მრეწველობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის პროდუქტია, თანაც იმ აზრით, რომ ეს არის ისტორიული პროდუქტი, შედეგი მთელი თავიანთი მოქმედებისა, რომელთაგანაც თვითეული წინათაობის მხრებზე იდგა, განაგრძობდა მისი მრეწველობისა და მისი ურთიერთობის წესის განვითარებას, სახეს უცვლიდა მის სოციალურ წყობილებას შეცვლილ მოთხოვნილებათა შესაბა-

* NB. ფოიერბახის შეცდომა ის კი არ არის, რომ ცხვირის წინ მდებარე გრძნობად მოჩვენებობას იგი უქვემდებარებს გრძნობად სინამდვილეს, რომელიც გრძნობადი ფაქტების უფრო ზუსტი შესწავლის გზით დგინდება, არამედ ის, რომ საბოლოო ანგარიშით მას არ შეუძლია თავი გაართვას გრძნობადობას უიმისოდ, თუ არ განიხილა იგი ფილოსოფიის «თვალეზით» — ე. ი. ფილოსოფოსის «სათვალეზით».

მისად. უმარტივესი «გრძნობადი უტყუარობის» საგნებიც მოცემულია მისთვის მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების შემწეობით, მრეწველობისა და სავაჭრო ურთიერთობის მეოხებით. ალუბლის ხე, თითქმის ყველა ხეხილის მსგავსად, როგორც ცნობილია, მხოლოდ რამდენიმე საუკუნის წინათ გაჩნდა ჩვენს ზონაში ვაჭრობის შემწეობით, და, ამრიგად, ფოიერბახის «გრძნობადი უტყუარობისათვის» იგი მოცემულია მხოლოდ [9] გარკვეულ დროში საზოგადოების ამ მოქმედების მეოხებით.

სხვათა შორის, საგანთა ისეთი გავებისას, როცა ამ საგნებს იმ სახით ვიღებთ, როგორც ისინი სინამდვილეში არიან და როგორც ისინი წარმოშობილან, ყოველი ღრმააზროვანი ფილოსოფიური პრობლემა — ეს კიდევ უფრო ნათლად იქნება ნაჩვენები შემდეგში — დაიყვანება უბრალოდ გარკვეულ ემპირიულ ფაქტზე. ასეთია, მაგალითად, მნიშვნელოვანი საკითხი ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების შესახებ (ანდა, როგორც ბრუნო ლაპარაკობს (გვ. 110)⁸, «ბუნებისა და ისტორიის დაპირისპირებულობათა» შესახებ, თითქოს ეს ორი ერთიმეორისაგან განცალკევებული «საგანი» იყოს, თითქოს ადამიანს მუდამ თვალწინ არ ჰქონდეს ისტორიული ბუნება და ბუნებითი ისტორია) — საკითხი, რომელმაც წარმოშვა ყველა «უზომოდ დიდი ნაწარმოები» * «სუბსტანციისა» და «თვითცნობიერების» შესახებ. ეს საკითხი თავისთავად მოიხსნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყბადაღებული «ერთიანობა ადამიანისა ბუნებასთან» მუდამ არსებობდა მრეწველობაში და ყოველ ეპოქაში სახეს იცვლიდა მრეწველობის მეტი თუ ნაკლები განვითარების მიხედვით, სავსებით ისევე, როგორც ადამიანის «ბრძოლაც» ბუნებასთან, რომელიც იწვევდა ადამიანის მწარმოებლური ძალების განვითარებას შესაბამის ბაზისზე. მრეწველობა და ვაჭრობა, წარმოება და ცხოვრებისათვის აუცილებელ საშუალებათა გაცვლა, თავის მხრივ, განაპირობებენ განაწილებას, სხვადასხვა საზოგადოებ-

* გოთთე. «ფაუსტი», «პროლოგი ზეცაში». რ ე დ.

რივი კლასების გამიჯვნას და თვითონაც კვლავ გაპირობებულნი არიან ამით თავიანთი მოძრაობის ფორმებში. და აი გამოდის, რომ ფოიერბახი, მაგალითად, მანჩესტერში მარტო ფაბრიკებსა და მანქანებს ხედავს, მაშინ როდესაც ასი წლის წინათ იქ შეიძლებოდა დაგვეჩინა მხოლოდ თვითსართავები და ხელის საქსოვი დაზგები, ანდა რომის კამპანეში [Campagna] იგი პოულობს მხოლოდ საძოვრებსა და ჭაობებს, მაშინ როდესაც ავგუსტეს დროს მას შეეძლო ენახა მხოლოდ მთლიანი ვენახები და ვილები რომაელი კაპიტალისტებისა. ფოიერბახი ლაპარაკობს განსაკუთრებით ბუნებისმეცნიერების მიერ ბუნების ჭვრეტაზე, იხსენიებს საიდუმლოებებზე, რომლებიც მხოლოდ ფიზიკოსისა და ქიმიკოსის თვალისთვისაა გამყდარებული. მაგრამ რა იქნებოდა ბუნებისმეცნიერება მრეწველობისა და ვაჭრობის გარეშე? ეს «წმინდა» ბუნებისმეცნიერება კი თავის მიზანს, ისევე როგორც თავის მასალას, მხოლოდ ვაჭრობისა და მრეწველობის მეოხებით, ადამიანთა გრძნობადი მოქმედების მეშვეობით ღებულობს. ეს მოქმედება, ეს შეუწყვეტელი შრომა და შემოქმედება, ეს წარმოება იმდენადაა ღრმა საფუძველი მთელი გრძნობადი სამყაროსი, როგორც ეს უკანასკნელი ამჟამად არსებობს, რომ თუნდაც იგი მხოლოდ ერთი წლით შეწყვეტილიყო, მაშინ ფოიერბახი დაინახავდა უდიდეს ცვლილებებს არა მარტო ბუნების სამყაროში, — სულ მალე აღარ იქნებოდა ადამიანთა მთელი სამყაროც, მისი, ფოიერბახის, საკუთარი უნარი ჭვრეტისა და თვით მისი საკუთარი არსებობაც კი. რა თქმე უნდა, ამასთან შენახული რჩება გარე-ბუნების პრიორიტეტი და ყოველივე ეს, რასაკვირველია, გამოუყენებელია თავდაპირველი, *generatio aequivoca*-ს * გზით წარმოშობილი ადამიანების მიმართ. მაგრამ ამ განსხვავებას მხოლოდ იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც ადამიანი განიხილებ. როგორც ბუნებისაგან განსხვავებული რაიმე. ამასთან, ეს ბუნება, ადამიანთა ისტორიას რომ წინ უძღოდა, არ არის ის ბუნება, რომელშიც ფოიერბახი ცხოვრობს; ეს ბუნება,

* — თვითნებური ჩასახვის. რ ე დ.

გარდა ავსტრალიის ცალკეული უახლესი წარმოშობის მარჯნის კუნძულებისა, ამჟამად უკვე არსად აღარ არსებობს, მამასა და მე, აღარ არსებობს აგრეთვე ფოიერბახისთვისაც.

მართალია, ფოიერბახს [10] ის დიდი უპირატესობა აქვს «წმინდა» მატერიალისტების წინაშე, რომ მას აღამიანიც «გრძნობად საგნად» მიაჩნია. მაგრამ, თუ აღარაფერს ვიტყვით უკვე იმაზე, რომ იგი განიხილავს აღამიანს მხოლოდ როგორც «გრძნობად საგანს» და არა როგორც «გრძნობად მოქმედებას», რადგან იგი აქაც თეორიის სფეროში რჩება და აღამიანებს განიხილავს არა მათს მოცემულ საზოგადოებრივ კავშირში, არა მათს გარემომცველ საარსებო პირობებში, რომლებმაც ისინი გახადა იმად, რასაც ისინი სინამდვილეში წარმოადგენენ, — თუ აღარაფერს ვიტყვით უკვე იმაზე, ფოიერბახი ვერასოდეს ვერ აღწევს რეალურად არსებულ მოქმედ აღამიანებად, არამედ იგი შეჩერებულია აბსტრაქციაზე «აღამიანი» და კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ აღიარებს «ნამდვილ, ინდივიდუალურ, ხორციელ აღამიანს» გრძნობის დარგში, ე. ი. მან არ იცის «აღამიანისადმი აღამიანის» არავითარი სხვა «აღამიანური დამოკიდებულება», გარდა სიყვარულისა და მეგობრობისა, თანაც იდეალიზებულია. იგი არ იძლევა ახლანდელ საარსებო ურთიერთობათა კრიტიკას. ამრიგად, ფოიერბახი ვერასდროს ვერ აღწევს იმას, რომ გაიგოს გრძნობადი სამყარო როგორც ერთობლივი, ცოცხალი, გრძნობადი მოქმედება მისი შემადგენელი ინდივიდებისა და ამიტომ იძულებულია, როცა, მაგალითად, ჯანმრთელი აღამიანების ნაცვლად სატკბურაიან, მუშაობით ქანცგაწყვეტილ და ჭლეჩიან ღატაკთა ბრბოს ხედავს, მიმართოს «უფრო მაღალ ჰვრეტას» და იდეალურ «გათანაბრებას გვარში», ე. ი. კვლავ ჩავარდეს იდეალიზმში სწორედ იქ, სადაც კომუნისტური მატერიალისტი როგორც მრეწველობის, ისე საზოგადოებრივი წყობილების ძირეული გარდაქმნის აუცილებლობას და ამასთანავე პირობას ხედავს.

რამდენადაც ფოიერბახი მატერიალისტია, ისტორია მისი თვალთახედვის არის გარეშეა; რამდენადაც კი იგი ისტორიას განიხილავს, იგი სრულებით არ არის მატერიალისტი. მასთან

მატერიალიზმი და ისტორია მთლიანად გათიშულია ერთმანეთიდან. რისაგან, რაც, სხვათა შორის, უკვე ნათქვამიდან ნათელია.

[8. პირველადი ისტორიული ურთიერთობანი, ანუ სოციალური მოქმედების ძირითადი მხარეები: საარსებო საშუალებათა წარმოება, ახალ მოთხოვნილებათა წარმოშობა, ადამიანთა წარმოება (ოჯახი), ურთიერთობა, ცნობიერება]

[11] **რაკი საქმე ყოველგვარი წანამძღვრებისაგან თავისუფალ გერმანელებთან გვაქვს, ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა დავადასტუროთ პირველი წანამძღვარი ყოველი ადამიანური არსებობისა, მაშასადამე, ყოველი ისტორიისაც, სახელდობრ ის წანამძღვარი, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ცხოვრების შესაძლებლობა, რათა «ისტორიის კეთება» შეეძლოთ***. მაგრამ ცხოვრებისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა საჭმელი და სასმელი, ბინა, ტანსაცმელი და კიდევ ზოგიერთი რამ****. ამრიგად, პირველი ისტორიული აქტი ეს არის ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის აუცილებლად საჭირო საშუალებათა წარმოება, წარმოება თვით მატერიალური ცხოვრებისა. ამასთან ეს ისეთი ისტორიული საქმეა, ყოველი ისტორიის ისეთი ძირითადი პირობაა, რომელიც (ამჟამად ისევე, როგორც ათასეული წლების წინათაც) ყოველდღიურად და მუდმივ უნდა სრულდებოდეს — უკვე მარტო იმისათვის, რომ ადამიანებს ცხოვრება შეეძლოთ, თუნ-

* შემდეგ ხელნაწერში წაშლილია: «თუ ჩვენ, მიუხედავად ამისა, მაინც ისტორიაზე აქ უფრო დაწვრილებით ვჩერდებით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანელები მიეჩვივნენ სიტყვების «ისტორია» და «ისტორიული» ხმარებისას წარმოიდგინონ ყველაფერი, რაც გნებავთ, მხოლოდ არა სინამდვილე, რის ბრწყინვალე მაგალითსაც გვიჩვენებს ეკლესიის კათედრის მწვერმეტყველი წმიდა ბრუნო». რ ე დ.

** მარქსის შენიშვნა კიდევებზე: «ისტორია». რ ე დ.

*** შდრ. ეს გამოცემა, გვ. 70. რ ე დ.

**** მარქსის კიდურშენიშვნა: «პეგელი⁹. გეოლოგიური, ჰიდროგრაფიული და ა. შ. პირობები. ადამიანთა სხეულები. მოთხოვნილება, შრომა». რ ე დ.



დაც რომ გრძნობადობა დაყვანილი იყოს, როგორც ეს წმიდა ბრუნოსთანაა, ისეთ მინიმუმზე, როგორც კეტია¹⁰, — იგი გულსხმობს ამ კეტის წარმოებისაკენ მიმართულ მოქმედებას. ამიტომ ყოველი ისტორიული სინამდვილის გარკვევისას საჭიროა უპირველეს ყოვლისა გავითვალისწინოთ აღნიშნული ძირითადი ფაქტი მთელი მისი მნიშვნელობითა და მოცულობით და მიეუჩინოთ მას ის ადგილი, რომელსაც იგი იმსახურებს. გერმანელებს, როგორც ცნობილია, არასოდეს ეს არ გაუკეთებიათ, და ამიტომ მათ არასდროს არ ჰქონიათ მიწიერი საფუძველი ისტორიისათვის და, მაშასადამე, არც ჰყოლიათ არასდროს არც ერთი ისტორიკოსი. ფრანგებმა და ინგლისელებმა, თუმცა მათ მეტად ცალმხრივად ესმოდათ ამ ფაქტის კავშირი ეგრეთწოდებულ ისტორიასთან, — განსაკუთრებით, რამდენადაც ისინი პოლიტიკური იდეოლოგიის ტყვეობაში იმყოფებოდნენ, — მაინც პირველად სცადეს მატერიალისტური საფუძველი მიეცათ ისტორიოგრაფიისათვის, დაწერეს რა პირველად სამოქალაქო საზოგადოების, ვაჭრობისა და მრეწველობის ისტორიები.

მეორე ფაქტი ის არის, [12] რომ თვით დაკმაყოფილებული პირველი მოთხოვნილება, დაკმაყოფილების მოქმედება და უკვე შეძენილი იარაღი დაკმაყოფილებისა ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობენ, და ეს წარმოშობა ახალი მოთხოვნილებებისა პირველი ისტორიული აქტია. აქედან ნათელი ხდება მაშინვე, თუ ვისი სულიერი ქმნილებაა დიდი ისტორიული სიბრძნე გერმანელებისა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ იქ, სადაც მათ არ ჰყოფნით დადებითი მასალა და სადაც ლაპარაკი არაა თეოლოგიურ, პოლიტიკურ ან ლიტერატურულ უაზრობაზე, იქ არც არის არავითარი ისტორია, არამედ არსებობს მხოლოდ «წინაისტორიული დრო»; ამასთან, ჩვენ არავითარ ახსნა-განმარტებას არ ვღებულობთ იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ამ უაზრო «წინაისტორიიდან» საკუთრივ ისტორიაზე გადასვლა. თუმცადა, მეორე მხრივ, მათი ისტორიული სპეკულაცია განსაკუთრებით ხალისიანად ეწაფება ამ «წინაისტორიას», რადგან მათ მიაჩნიათ, რომ უზრუნველყოფილი არიან «უხეში ფაქტის» შეჭრისაგან და ამასთანავე შეუძლიათ

სრული თავისუფლება მისცენ თავიანთ სპეკულაციურ რეკილებას და ათასობით ჰიპოთეზები შექმნან და დარწმუნდნენ.

მესამე ურთიერთობა, რომელიც თავიდანვე ჩაერთვის ისტორიული განვითარების მსვლელობაში, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ახლად აწარმოებენ თავიანთ ცხოვრებას, იწყებენ სხვა ადამიანების წარმოებას, გამრავლებას: ეს არის ურთიერთობა ქმარსა და ცოლს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, ოჯახი. ეს ოჯახი, რომელიც დასაწყისში ერთადერთი სოციალური ურთიერთობა იყო, შემდეგში, როცა გამრავლებული მოთხოვნილებანი წარმოშობენ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, გამრავლებული მოსახლეობა კი ახალ მოთხოვნილებებს, დაქვემდებარებულ ურთიერთობად იქცევა (გერმანიის გამოკლებით) და მაშინ მისი განხილვა და შესწავლა უნდა ხდებოდეს არსებული ემპირიული მონაცემების თანახმად და არა «ოჯახის ცნების» თანახმად, როგორც ამას ჩვეულებრივ გერმანიაში აკეთებენ.

სხვათა შორის, სოციალური მოქმედების ეს სამი მხარე უნდა განვიხილოთ არა როგორც სამი სხვადასხვა საფეხური, არამედ სწორედ როგორც მხოლოდ სამი მხარე, ანდა — გერმანელებისათვის რომ გასაგები იყოს — როგორც სამი «მომენტი», რომლებიც ერთად არსებობდნენ ისტორიის დასაწყისიდან, პირველი ადამიანების დროიდან, და რომლებსაც ახლაც აქვთ კიდევ ძალა ისტორიაში.

წარმოება ცხოვრებისა — როგორც საკუთარისა, შრომის მეშვეობით, ისე სხვისა, შვილოსნობის საშუალებით — უკვე ერთბაშად გვევლინება ორგვარი [13] ურთიერთობის სახით: ერთი მხრივ, ბუნებრივი, მეორე — საზოგადოებრივი ურთიერთობის სახით, საზოგადოებრივის იმ აზრით, რომ იქ იგულისხმება ბევრი ინდივიდის ერთობლივი მოქმედება, სულ ერთია, რა პირობებში, რა წესით და მიზნით ხდება იგი. აქედან გამომდინარეობს, რომ გარკვეული წარმოების წესი, ანუ გარკვეული სამრეწველო საფეხური მუდამ დაკავშირებულია ერთობლივი მოქმედების გარკვეულ წესთან, გარკვეულ სა-

ზოგადოებრივ საფეხურთან, რომ ერთობლივი მოქმედების თვით ეს წესი არის «მწარმოებლური ძალა», რომ ადამიანებში სათვის ხელმისაწვდომი მწარმოებლური ძალების ერთობლიობა განაპირობებს საზოგადოებრივ მდგომარეობას და რომ, მაშასადამე, «კაცობრიობის ისტორია» ყოველთვის საჭიროა შევისწავლოთ და დავამუშაოთ მრეწველობისა და გაცვლის ისტორიასთან დაკავშირებით. მაგრამ ნათელია აგრეთვე ისიც, რომ გერმანიაში ასეთი ისტორია არ შეიძლება დაიწეროს, ვინაიდან გერმანელებს ამისათვის აკლიათ არა მარტო გაგების უნარი და მასალა, არამედ «გრძნობადი უტყუარობაც»; რაინის იქითა მხარეს კი არავითარი გამოცდილების მიღება არ შეიძლება ასეთ რამეებზე იმიტომ, რომ იქ უკვე არავითარი ისტორია აღარ ხდება. ამრიგად, უკვე თავიდანვე მქლავნდება ადამიანთა მატერიალისტური კავშირი ერთმანეთს შორის, კავშირი, რომელიც გაპირობებულია მოთხოვნილებებითა და წარმოების წესით და ისევე ძველია, როგორც თვით ადამიანები, — კავშირი, რომელიც სულ ახალ ფორმებს ღებულობს და, მაშასადამე, წარმოადგენს «ისტორიას» და სრულიად არ საჭიროებს რაიმე პოლიტიკური ან რელიგიური უაზრობის არსებობას, რაც კიდევ გარდა ამისა ადამიანებს დააკავშირებდა.

მხოლოდ ახლა, მას შემდეგ, რაც უკვე განვიხილეთ თავდაპირველ, ისტორიულ ურთიერთობათა ოთხი მომენტი, ოთხი მხარე, ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანს აქვს აგრეთვე «ცნობიერებაც»*. მაგრამ ეს ცნობიერებაც იმთავითვე როდი წარმოადგენს «წმინდა» ცნობიერებას. «სულს» თავიდანვე აწევს [14] შეჩვენება — იყოს «დამძიმებული» მატერიით, რომელიც აქ გამოდის ჰაერის მოძრავი ფენების, ბგერების სახით — მოკლედ, ენის სახით. ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება; ენა არის პრაქტიკული, არსებული სხვა ადამიანებისთვისაც და მხოლოდ ამით თვით ჩემთვისაც არსებული ნამ-

* მარქსის კიდურშენიშვნა: «ადამიანებს ისტორია აქვთ იმიტომ, რომ მათ უნდა აწარმოონ თავიანთი ცხოვრება, და თანაც განსაზღვრული წესით. ეს გაპირობებულია მათი ფიზიკური ორგანიზაციით, ისევე როგორც მათი ცნობიერება». რ ე დ.

დვილი ცნობიერება, და, მსგავსად ცნობიერებისა, ენა მოიშვება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებიდან, აუცილებელი საჭიროებიდან*. იქ, სადაც რაიმე ურთიერთობა არსებობს, იგი არსებობს ჩემთვის. ცხოველი არაფერთან არ არის «ურთიერთობაში» და საერთოდ მოკლებულია «ურთიერთობას»; ცხოველისათვის მისი ურთიერთობა სხვებთან არ არსებობს როგორც ურთიერთობა. ცნობიერება, მაშასადამე, უკვე თავიდანვე საზოგადოებრივი პროდუქტია და ასეთად რჩება, სანამ საერთოდ ადამიანები არსებობენ. ცნობიერება, რა თქმა უნდა, თავდაპირველად არის მხოლოდ შეცნობა უახლოესი გრძნობადად აღქმადი გარემოსი და შეცნობა შეზღუდული კავშირისა იმ ინდივიდის გარემყოფ პირებთან და ნივთებთან, რომელიც თავისი თავის შეცნობას იწყებს; ამავე დროს ეს არის შეცნობა ბუნებისა, რომელიც თავდაპირველად ადამიანს უპირისპირდება როგორც სრულიად უცხო, ყოვლისშემძლე და მიუდგომელი ძალა, რომელსაც ადამიანები ეპყრობიან სავსებით ცხოველურად და რომლის ბატონობასაც ისინი პირუტყვივით ემორჩილებიან; მაშასადამე, ეს არის წმინდა ცხოველური შეცნობა ბუნებისა (ბუნების გაღმერთება).

აქ მაშინვე ჩანს, რომ ეს გაღმერთება ბუნებისა, ანუ ეს გარკვეული დამოკიდებულება ბუნებისადმი, გაპირობებულია საზოგადოების ფორმით, და პირიქით. აქ, როგორც ყველგან, ბუნებისა და ადამიანის იგივეობა იმაში მქლავნდება აგრეთვე, რომ ადამიანთა შეზღუდული დამოკიდებულება ბუნებასთან განაპირობებს მათს შეზღუდულ დამოკიდებულებას ერთიმეორესთან, მათი შეზღუდული დამოკიდებულება ერთიმეორესთან კი — მათს შეზღუდულ დამოკიდებულებას ბუნებასთან, და ეს სწორედ იმიტომ, რომ ბუნება ჯერ კიდევ თითქმის არ არის სახეშეცვლილი ისტორიის მსვლელობით; მაგრამ, მეორე მხრივ, ირგვლივ მყოფ ინდივიდებთან

* შემდეგ ზელნაწერში წაშლილია: «ჩემი ურთიერთობა ჩემს გარემოსთან არის ჩემი ცნობიერება». რ ე დ.



ურთიერთობის დამყარების აუცილებლობის შეგნება დასაწყისია იმის შეგნებისა, რომ ადამიანი საერთოდ საზოგადოებაში ცხოვრობს. ეს დასაწყისი ისეთივე ცხოველური ხასიათისაა, როგორც თვით საზოგადოებრივი ცხოვრებაც ამ საფეხურზე; ეს არის წმინდა ჯოგური ცნობიერება, და ადამიანი აქ ცხვრისაგან იმით განსხვავდება, რომ ცნობიერება მას ინსტიქტის მაგივრობას უწევს, ანდა რომ მისი ინსტიქტი შეცნობილია. ეს ცხვრისებური, ანუ ტომობრივი, ცნობიერება თავის შემდგომ განვითარებას პოულობს მწარმოებლობის ზრდის, მოთხოვნილებათა ზრდისა და მოსახლეობის იმ ზრდის მეოხებით, რომელიც პირველსაც და მეორესაც [15] საფუძვლად უდევს. ამასთან ერთად ვითარდება შრომის დანაწილებაც, რომელიც თავდაპირველად იყო მარტოოდენ შრომის დანაწილება სქესობრივ აქტში, შემდეგ კი — შრომის დანაწილება, რომელიც თავისთავად ხდებოდა ანდა «ბუნებრივად წარმოიშვა» ბუნებრივი მონაცემების (მაგალითად, ფიზიკური ძალის), მოთხოვნილებათა, შემთხვევითობათა და სხვ. და სხვ. მეოხებით. შრომის დანაწილება ნამდვილ დანაწილებად იქცევა მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა მატერიალური და სულიერი შრომის დანაწილება ჩნდება*. ამ მომენტიდან ცნობიერებას შეუძლია მართლა წარმოიდგინოს, რომ იგი რაღაც სხვა რამეა, ვიდრე შეცნობა არსებული პრაქტიკისა, რომ მას შეუძლია ნამდვილად წარმოადგენდეს რაიმეს ისე, რომ არ წარმოადგენდეს რაიმე ნამდვილს, — ამ მომენტიდან ცნობიერებას ძალუძს განთავისუფლდეს სამყაროსაგან და გადავიდეს «წმინდა» თეორიის, თეოლოგიის, ფილოსოფიის, მორალისა და ა. შ. შექმნაზე. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს თეორია, თეოლოგია, ფილოსოფია, მორალი და ა. შ. წინააღმდეგობაში ვარდებიან არსებულ ურთიერთობებთან, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმის მეოხებით, რომ არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი წინააღმდეგობაში მოექცნენ არსებულ მწარმოებლურ ძალასთან. თუმცაღა,

* მარქსის კიდურშენიშვნა: «ამას ემთხვევა იდეოლოგთა პირველი ფორმა, ხუცები». რ. ე. დ.



გარკვეული ერის ურთიერთობათა ფარგლებში ეს შეიძლება მოხდეს აგრეთვე იმის გამო, რომ წინააღმდეგობა მქლავდება არა მოცემულ ეროვნულ ჩარჩოებში, არამედ მოცემულ ეროვნულ ცნობიერებასა და სხვა ერთა პრაქტიკას შორის*, ე. ი. ამა თუ იმ ერის ეროვნულ და საყოველთაო ცნობიერებას შორის (როგორც ეს ამჟამად გერმანიაში ხდება); და რადგან ეს წინააღმდეგობა მხოლოდ ეროვნული ცნობიერების ფარგლებში არსებული წინააღმდეგობის სახით წარმოგვიდგება, ამიტომ ასეთ ერს ჰგონია მაშინ, რომ ბრძოლაც ამ ეროვნული ნაყარნუყარით შემოისაზღვრება.

[16] თუმცადა, სავსებით სულ ერთია, რას წამოიწყებს თავისთავად ცნობიერება; მთელი ამ ნაყარნუყარიდან ჩვენ ვღებულობთ მხოლოდ ერთ დასკვნას, სახელდობრ, რომ სამ აღნიშნულ მომენტს — მწარმოებლურ ძალას, საზოგადოებრივ მდგომარეობას და ცნობიერებას შეუძლიათ და უნდა მოექცნენ წინააღმდეგობაში ერთმანეთთან, ვინაიდან შრომის დანაწილება ხდის შესაძლებელს — კიდევ მეტი: ნამდვილს, — რომ სულიერი და მატერიალური მოქმედება**, განცხრომა და შრომა, წარმოება და მოხმარება წილად ხვდება სხვადასხვა ინდივიდებს; მიღწევა იმისა, რომ ისინი არ მოექცნენ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში, შესაძლებელია მხოლოდ შრომის დანაწილების მოსპობით. სხვათა შორის, თავისთავად იგულისხმება, რომ «აჩრდილები», «კავშირი», «უმაღლესი არსება», «ცნება», «დაექვეება» — ყოველივე ეს არის მხოლოდ იდეალისტური, სულიერი გამოხატულება, წარმოდგენა ვითომიზოლირებული ინდივიდისა, წარმოდგენა უაღრესად ემპირიულ ბორკილებსა და საზღვრებზე, რომელთა შიგნით მოძრაობს ცხოვრების წარმოების წესი და მასთან დაკავშირებული ფორმა ურთიერთობისა.

* მარქსის კიდურშენიშვნა: «რელიგია. გერმანელები იდეოლოგიით როგორც ასეთით». რედ.
 ** მარქსის მიერ წაშლილი კიდურშენიშვნა: «მოქმედება და აზროვნება, ე. ი. აზრს მოკლებული მოქმედება და უმოქმედო აზროვნება». რედ.

**[4. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და მისი
შედეგები: კერძო საკუთრება, სახელმწიფო,
სოციალური მოქმედების «გაუცხოება»]**

შრომის დანაწილებასთან ერთად, რომელიც ყველა აღნიშნულ წინააღმდეგობას შეიცავს და, თავის მხრივ, დამყარებულია შრომის ბუნებრივად აღმოცენებულ დანაწილებაზე ოჯახში და საზოგადოების გათიშვაზე ცალკეულ; ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ ოჯახებად, — შრომის ამ დანაწილებასთან ერთად მოცემულია იმავე დროს განაწილებაც, რომელიც ამასთან — როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივადაც, შრომისა და მისი პროდუქტების უთანაბრო განაწილებაა; მაშასადამე, მოცემულია საკუთრებაც, [17] რომლის ჩანასახი და თავდაპირველი ფორმა მოიპოვება უკვე ოჯახში, სადაც ცოლი და ბავშვები მამაკაცის მონები არიან. მონობა ოჯახში — მართალია, ჯერ კიდევ პრიმიტიული და ფარული — პირველი საკუთრებაა, რომელიც, სხვათა შორის, უკვე ამ ფორმითაც სავსებით შეესაბამება თანამედროვე ეკონომისტების იმ განსაზღვრას, რომლის თანახმადაც საკუთრება სხვისი სამუშაო ძალის გამგებლობაა. ამასთან, შრომის დანაწილება და კერძო საკუთრება — ეს იდენტური გამოთქმებია: ერთ შემთხვევაში მოქმედების მიმართ ამბობენ იმავეს, რასაც მეორე შემთხვევაში მოქმედების პროდუქტის მიმართ იტყვიან.

შემდეგ, შრომის დანაწილებასთან ერთად მოცემულია წინააღმდეგობაც ცალკეული ინდივიდის ან ცალკეული ოჯახის ინტერესსა და ყველა იმ ინდივიდის საერთო ინტერესს შორის, რომლებიც ერთიმეორესთან ურთიერთობაში იმყოფებიან; ამასთან ეს საერთო ინტერესი არსებობს არა მარტო წარმოდგენაში, როგორც «საყოველთაო», არამედ უწინარეს ყოვლისა იგი არსებობს რეალურ სინამდვილეში როგორც ურთიერთდამოკიდებულება ინდივიდებისა, რომელთა შორისაც დანაწილებულია შრომა.

სწორედ კერძო ინტერესსა და საერთო ინტერესს შორის არსებული წინააღმდეგობის მეოხებით იღებს საერთო ინტერესი, სახელმწიფოს სახით, დამოუკიდებელ ფორმას,



მოწყვეტილს ნამდვილი — როგორც ცალკეული, ისე ერთობლივი — ინტერესებისაგან, და ამასთანავე ერთად ილუზორული ერთობის ფორმას. მაგრამ ეს ხდება ყოველთვის ხორცისა და სისხლის, ენის, შრომის უფრო ფართო მასშტაბით დანაწილებისა და სხვა ინტერესების მიხედვით ყოველ ოჯახურ ან ტომობრივ კონგლომერატში არსებული ურთიერთობის რეალურ საფუძველზე, განსაკუთრებით, — როგორც ამას შემდგომ ცხადვყოფთ, უკვე შრომის დანაწილებით გაპირობებულ იმ კლასთა ინტერესების საფუძველზე, რომლებიც ადამიანთა ყოველ ასეთ ერთობლიობაში ერთიმეორისაგან განცალკევდებიან და რომლებიდანაც ერთნი ბატონობენ ყველა დანარჩენზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველი ბრძოლა სახელმწიფოს შიგნით — ბრძოლა დემოკრატიასა, არისტოკრატიასა და მონარქიას შორის, ბრძოლა საარჩევნო უფლებებისათვის და ა. შ. — სხვა არაფერია, თუ არა ილუზორული ფორმები, რომლებითაც სხვადასხვა კლასები ერთმანეთთან ბრძოლას ეწევიან (რის შესახებაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ გერმანელ თეორეტიკოსებს, მიუხედავად იმისა, რომ «Deutsch-Französische Jahrbücher»-სა და «წმინდა ოჯახში»¹¹ მათ საკმაოდ გარკვევით მიეთითათ ამაზე). აქედან გამომდინარეობს შემდეგ, რომ ყოველმა კლასმა, რომელიც ბატონობას ესწრაფვის, — იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი ბატონობა განაპირობებს, როგორც ეს პროლეტარიატთან ხდება, მთელი ძველი საზოგადოებრივი ფორმისა და საერთოდ ბატონობის მოსპობას, — უპირველეს ყოვლისა უნდა დაიპყროს პოლიტიკური ძალაუფლება, იმისათვის, რომ ამ კლასმა, თავის მხრივ, შეძლოს თავისი ინტერესი საყოველთაო ინტერესად წარმოგვიდგინოს, რაც მან პირველ მომენტში იძულებით უნდა გააკეთოს.

სწორედ იმიტომ, რომ ინდივიდები მისდევენ მხოლოდ თავიანთ განსაკუთრებულ ინტერესს, რომელიც არ ემთხვევა მათთვის მათს საერთო ინტერესს, და რომ საყოველთაო საერთოდ ილუზორული ფორმაა ერთობისა, — ეს საყოველთაო გვევლინება როგორც «უცხო» მათთვის [18], «დამოუკიდებელი მათგან», ე. ი. კვლავ განსაკუთრებული და თავისებური

«საყოველთაო» ინტერესი, ანდა თვით ეს ინდივიდები იღებულნი არიან ამ განცალკევებულობის პირობებში იმორაონ, როგორც ეს დემოკრატიაში ხდება. მეორე მხრივ კი, პრაქტიკული ბრძოლა ამ განსაკუთრებული ინტერესებისა, რომელნიც ყოველთვის ნამდვილად გამოდიოდნენ საერთო და ილუზორულად საერთო ინტერესების წინააღმდეგ, აუცილებელს ხდის პრაქტიკულ ჩარევას და განსაკუთრებული ინტერესების ალაგმვას სახელმწიფოს სახით მოცემული ილუზორული «საყოველთაო» ინტერესის მეშვეობით*.

[17] და ბოლოს, შრომის დანაწილება გვაძლევს მაშინვე იმის პირველ მაგალითს, რომ სანამ ადამიანები იმყოფებიან სტიქიურად ჩამოყალიბებულ საზოგადოებაში, სანამ, მაშასადამე, არსებობს გათიშვა კერძო და საერთო ინტერესს შორის, სანამ, მაშასადამე, მოქმედების დანაწილება ხდება არა ნებაყოფლობით, არამედ სტიქიურად, — ადამიანის საკუთარი ქმედება იქცევა მისთვის უცხო, მისდამი დაპირისპირებულ ძალად, რომელიც ჩაგრავს მას, ნაცვლად იმისა, რომ იგი ამ ძალაზე ბატონობდეს. საქმე ისაა, რომ როგორც კი შრომის დანაწილება იწყება, თვითეულს უჩნდება მოქმედების რომელიმე გარკვეული, განსაკუთრებული არე, რომელსაც მას თავს ახვევენ და რომლიდანაც გამოსვლა მას არ შეუძლია: იგი მონადირეა, მეთევზე ან მწყემსი, ანდა კრიტიკული კრიტიკოსი და ასეთად უნდა დარჩეს, თუ არ სურს დაკარგოს არსებობის საშუალებანი, — მაშინ როდესაც კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც არავინ არ არის შეზღუდული მოქმედების რაიმე განსაკუთრებული არეთი, არამედ თვითეულს შეუძლია ყოველ დარგში დახელოვნდეს, საზოგადოება არეგულირებს მთელ წარმოებას და სწორედ ამიტომ შესაძლებლობას მიქმნის დღეს გავაკეთო ერთი, ხვალ კი — მეორე, დილით ვინადირო, ნაშუადღევს ვითევზაო, საღამოთი პირუტყვს მოვუარო, ვაზშემის შემდეგ კრიტიკას მივყო ხელი, — როგორც ჩემს სულსა და გულს ნებას, — და ეს გავაკეთო ისე, რომ არ გავხდე მონადირე, მეთევზე, მწყემსი ან კრიტიკოსი.

* ეს ორი აბზაცი ენგელსის ხელითაა მიწერილი კიდევებზე. რ. ე. დ.



[18] ეს განმტკიცება სოციალური მოქმედებისა, ეს კონსტრუქციული ნივთიერებაა ჩვენი საკუთარი პროდუქტისა რაღაც ნივთიერებად, რომელიც გაბატონებულია ჩვენზე, გასულია ჩვენი კონტროლის სფეროდან, მკვეთრად ეწინააღმდეგება ჩვენს იმედებს და არაარად აქცევს ჩვენს ვარაუდებს, — ერთ-ერთი მთავარი მომენტია მთელ აღრინდელ ისტორიულ განვითარებაში. სოციალური ძალა, ე. ი. გამრავლებული მწარმოებლური ძალა, რომელიც სხვადასხვა ინდივიდთა იმ ერთობლივი მოქმედების მეოხებით წარმოიქმნება, რაც შრომის დანაწილებით არის გაპირობებული, — ეს სოციალური ძალა, იმის გამო, რომ თვით ერთობლივი მოქმედება წარმოიქმნება არა ნებაყოფლობით, არამედ სტიქიურად, წარმოუდგება მოცემულ ინდივიდებს არა როგორც მათი საკუთარი გაერთიანებული ძალა, არამედ როგორც რაღაც უცხო, მათ გარეშე მდგომი ძალა, რომლის წარმოშობისა და განვითარების ტენდენციათა შესახებ მათ არაფერი არ იციან; მათ, მაშასადამე, უკვე აღარ შეუძლიათ ამ ძალაზე ბატონობა, — პირიქით, ეს ძალა გაივლის ახლა განვითარების მთელ რიგ საკუთარ ფაზებსა და საფეხურებს, რომელნიც არა მარტო დამოუკიდებელი არიან ადამიანთა ნებისყოფისა და ყოფაქცევისაგან, არამედ, პირიქით, წარმართავენ ამ ნებისყოფას და ამ ყოფაქცევას *. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ შეეძლო, მაგალითად, საკუთრებას ჰქონოდა საერთოდ რაიმე ისტორია, მიეღო სხვადასხვა ფორმები, როგორ შეეძლო, მაგალითად, მიწის საკუთრებას, სხვადასხვა არსებულ წანამძღვართა მიხედვით, განვითარებულიყო საფრანგეთში პარცელარული ფორმიდან მის ცენტრალიზაციამდე მცირეოდენთა ხელში, ინგლისში კი — მცირეოდენთა ხელში ცენტრალიზაციიდან პარცელარულ ფორმამდე, როგორც ეს ნამდვილად ხდება ამჟამად? ანდა როგორ გამოდის, რომ ვაჭრობა, რაც სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა ინდივიდთა და ქვეყანათა პროდუქტების გაცვლა,

* ამ აღვლის კიდებზე მარქსს მიწერილი აქვს ტექსტი, რომელიც ამ გამოცემაში მოცემულია უშუალოდ ამ აბზაცის შემდეგ, შემდგომი პარაგრაფის პირველ ორი აბზაცის სახით. რ ე დ.



მთელ მსოფლიოზე ბატონობს მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდების წყალობით — შეფარდებისა, რომელიც, ერთი ინგლისელი ეკონომისტის სიტყვებით, ანტიკური ბედისწერის მსგავსად თავს დასტრიალებს დედამიწას და უხილავი ხელით ანაწილებს ადამიანებს შორის ბედნიერებასა და უბედურებას, ქმნის სამეფოებს [19] და ანგრევს მათ, წარმოშობს ხალხებს და აიძულებს მათ გაქრნენ, — მაშინ როდესაც ბაზისის, კერძო საკუთრების, მოსპობასთან ერთად, წარმოების კომუნისტურ რეგულირებასთან ერთად, რაც სპობს იმ გაუცხოებულობას, რომლითაც ადამიანები თავიანთ საკუთარ პროდუქტს ეპყრობიან, — ქრება აგრეთვე მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდების ბატონობაც და ადამიანები კვლავ უმორჩილებენ თავიანთ ბატონობას გაცვლას, წარმოებას, თავიანთი ურთიერთდამოკიდებულების წესს?

[5. მწარმოებლური ძალების განვითარება როგორც კომუნისზმის მატერიალური წანამძღვარი]

[16] ეს «გ ა უ ც ხ ი ე ბ ა», ფილოსოფოსებისათვის გასაგები ენით რომ ვთქვათ, შეიძლება მოისპოს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ორი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი წანამძღვარის არსებობის შემთხვევაში. რათა «აუტანელი» ძალა გახდეს, ე. ი. ისეთი ძალა, რომლის წინააღმდეგ რევოლუციას ახდენენ, აუცილებლად საჭიროა, რომ ამ «გაუცხოებამ» კაცობრიობის ძირითადი მასა გადააქციოს მთლიანად «საკუთრებას მოკლებულ» ადამიანებად, რომელნიც უპირისპირდებიან იმავე დროს სიმდიდრისა და განათლების არსებულ სამყაროს, ორივე ეს პირობა კი გულისხმობს მწარმოებლური ძალის უდიდეს ზრდას, მისი განვითარების მაღალ ხარისხს. მეორე მხრივ, მწარმოებლური ძალების ეს განვითარება (რომელთანაც ერთად უკვე მოცემულია ადამიანთა მ ს ო ფ ლ ი ო - ი ს ტ ო რ ი უ ლ ი, და არა ვიწრო ადგილობრივი, ყოფიერების ემპირიული განხორციელება) აბსოლუტურად აუცილებელი პრაქტიკული წანამძღვარია კიდევ იმიტომაც, რომ უიმისოდ ადგილი აქვს მხოლოდ ს ი ღ ა რ ი ბ ი ს საყოველთაო გავრცელებას; უკიდურესი გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ი ს პირობებში კი ხელახლა უნდა დაწყე-

ბულიყო ბრძოლაც აუცილებლად საჭირო საგნებისათვისა და მათი მართლმადიდებლური მართლმადიდებლობის შესახებ, უნდა მკვდრეთით აღდგენილიყო მთელი ძველი სისაძაგლე. შემდეგ, მწარმოებლური ძალების ეს განვითარება აუცილებელი წინამძღვარია იმიტომ, რომ მხოლოდ მწარმოებლური ძალების უნივერსალურ განვითარებასთან ერთად მყარდება ადამიანთა უნივერსალური ურთიერთობა, რის მეოხებითაც, ერთი მხრივ, «საკუთრებას მოკლებული» მასის არსებობის ფაქტი მქდავენდება ერთდროულად ყველა ხალხში (საყოველთაო კონკურენცია), — თვითეული ამ ხალხთაგან დამოკიდებული ხდება სხვა ხალხებთან მომხდარ გადატრიალებებზე, — და, ბოლოს, ადგილობრივად-შეზღუდული ინდივიდების შემცვლელებად გამოდიან მსოფლიო-ისტორიული ინდივიდები, ემპირიულად უნივერსალურნი. უამისოდ 1) კომუნიზმს შეეძლო ეარსებნა მხოლოდ რაღაც ადგილობრივის სახით, 2) თვით ძალები ურთიერთობისა ვერ განვითარდებოდნენ უნივერსალური და ამიტომ აუტანელი ძალების სახით: ისინი დარჩებოდნენ შინაურულ და ცრურწმენით გარემოცულ «გარემოებათა» საფეხურზე, და 3) ურთიერთობის ყოველი გაფართოება გააუქმებდა ადგილობრივ კომუნიზმს. კომუნიზმი ემპირიულად შესაძლებელია მხოლოდ როგორც გაბატონებული ხალხების მოქმედება, შესრულებული «ერთბაშად», იმავდროულად¹², რაც გულისხმობს მწარმოებლური ძალის უნივერსალურ განვითარებას და მასთან დაკავშირებულ მსოფლიო ურთიერთობას*.

[19] სხვათა შორის, არსებობა უამრავი ადამიანისა, რომელნიც მხოლოდ თავისი შრომით ცხოვრობენ, — აუარება სამუშაო ძალისა, რომელიც მოწყვეტილია კაპიტალისაგან ანდა მოკლებული თავის მოთხოვნილებათა თუნდაც შეზღუდული დაკმაყოფილების შესაძლებლობას და რომლისთვისაც დამახასიათებელია ამიტომ უკვე არა მარტო დროებითი დაკარგვა თვით ამ სამუშაოსი, როგორც ცხოვრების უზრუნველყოფილი წყაროსი, არამედ საერთოდ სრულიად არამყარი

* ამ ტექსტის გაგრძელებაზე, რაც ხელნაწერის შემდგომ გვერდზე იწყება, მარქსის ჩანაწერია: «კომუნიზმი». რ. ე. დ.



მდგომარეობაც, — უკვე გულისხმობს, კონკურენციის გამო, მსოფლიო ბაზრის არსებობას. პროლეტარიატს შეუძლია იარსებოს, მაშასადამე, მხოლოდ მსოფლიო-ისტორიული აზრით, მსგავსად იმისა, როგორც კომუნიზმი — მისი მოქმედება — საერთოდ შესაძლებელია მხოლოდ როგორც «მსოფლიო-ისტორიული» არსებობა; ინდივიდთა მსოფლიო-ისტორიული არსებობა კი ნიშნავს მათს ისეთ არსებობას, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მსოფლიო ისტორიასთან.

[18] კომუნიზმი ჩვენთვის არ არის მდგომარეობა, რომელიც უნდა დამყარდეს, არ არის იდეალი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილე. კომუნიზმს ვუწოდებთ ჩვენ ნამდვილ მოძრაობას, რომელიც სპობს ახლანდელ მდგომარეობას. ამ მოძრაობის პირობები გამომდინარეობენ ამჟამად არსებული წანამძღვარიდან *.

* * *

[19] ურთიერთობის ფორმა, რომელიც დღემდე არსებულ ყველა ისტორიულ საფეხურზე გაპირობებულია მწარმოებლური ძალებით და თავის მხრივ მათ განაპირობებს, არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც, როგორც ეს შემონათქვამიდან გამომდინარეობს, თავის წანამძღვრად და საფუძვლად აქვს მარტივი ოჯახი და რთული ოჯახი, ეგრეთწოდებული ტომობრივი წყობილება; სამოქალაქო საზოგადოების უფრო დეტალურ განმარტებას შეიცავს ის, რაც შემოთითქვა. უკვე აქ ჩანს, რომ ეს სამოქალაქო საზოგადოება მთელი ისტორიის ჰემმარიტი კერა და ჰემმარიტი არენაა, ჩანს უაზრობა ისტორიის წინანდელი ვაგებისა, რომელიც ნამდვილ ურთიერთობებს უგულვებელყოფდა და მყვირალა და გაბერილ ქმედობათა განხილვით კმაყოფილდებოდა.

აქამდე ჩვენ განვიხილავდით უმთავრესად ადამიანთა საქმიანობის ერთ მხარეს — ბუნების დამუშავებას

* ხელნაწერში ეს აბზაცი მარქსის მიერ დაწერილია მოცემული პარაგრაფის პირველი აბზაცის შემოთ. რ ე დ.

ადამიანების მიერ. მეორე მხარე, ადამიანთა დამოკიდებულება ადამიანთა მიერ... *

სახელმწიფოს წარმოშობა და სახელმწიფოს დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოებასთან **.

**[6. ისტორიის მატერიალისტური გაგების დასკვნები:
ისტორიული პროცესის მემკვიდრეობითობა, ისტორიის
გადაქცევა მსოფლიო ისტორიად, კომუნისტური
რევოლუციის აუცილებლობა]**

[20] ისტორია სხვა არაფერია, თუ არა თანამიმდევრული ცვლა ცალკეული თაობებისა, რომელთაგანაც თვითეული იყენებს ყველა წინამავალი თაობის მიერ გადმოცემულ მასალას, კაპიტალსა და მწარმოებლურ ძალებს; ამის გამო მოცემული თაობა, ერთი მხრივ, აგრძელებს გადმოცემულ მოქმედებას სრულიად შეცვლილ პირობებში, მეორე მხრივ კი, მთლიანად შეცვლილი მოქმედების საშუალებით სახეს უცვლის ძველ პირობებს. მაგრამ დამახინჯებულ-სპეკულაციურ წარმოდგენაში საქმის ვითარება ისეთ სახეს ღებულობს, თითქოს მომდევნო ისტორია წინა ისტორიისათვის მიზანს წარმოადგენს, თითქოს, მაგალითად, ამერიკის აღმოჩენას თავის ძირითად მიზნად ჰქონდა საფრანგეთის რევოლუციას დაწყების საქმეში დახმარებოდა. ამის მეშვეობით ისტორია თავის განსაკუთრებულ მიზნებს იძენს და გადაიქცევა ვინმე «პირად სხვა პირთა გვერდით» (როგორც, მაგალითად: «თვითცნობიერება», «კრიტიკა», «ერთადერთი» და ა. შ.). სინამდვილეში კი ის, რასაც აღნიშნავენ სიტყვებით «დანიშნულება», «მიზანი», «ჩანასახი», «იდეა» აღრინდელი ისტორიისა, სხვა არაფერია, თუ არა აბსტრაპირება მერმინდელი ისტორიიდან, აბსტრაპირ-

* მარქსის კიდურშენიშვნა: «ურთიერთობა და მწარმოებლური ძალა».
რ ე დ.

** გვერდის დასასრული ხელნაწერში შევსებული არ არის. შემდეგ ახალი სტრიქონით იწყება ისტორიის მატერიალისტური გაგებიდან გამომდინარე დასკვნების გადმოცემა. რ ე დ.

რება იმ აქტიური გავლენიდან, რასაც წინა ისტორია მომდევნო ისტორიაზე ახდენს.

რაც უფრო ფართოვდება ამ განვითარების მსვლელობაში ცალკეული ერთიმეორეზე ზეგავლენის მომხდენი წრეები, რაც უფრო შორს მიდის ცალკეულ ეროვნებათა თავდაპირველი კარჩაკეტილობის მოსპობა გაუმჯობესებული წარმოების წესის, ურთიერთობის განვითარების მეოხებით და ამის გამო სხვადასხვა ერებს შორის სტიქიურად აღმოცენებული შრომის დანაწილების შემწეობით, მით უფრო მეტად ისტორია მსოფლიო ისტორიად იქცევა. ასე, მაგალითად, თუ ინგლისში იგონებენ მანქანას, რომელიც ლუკმაპურს აცლის ხელიდან მუშების უამრავ რაოდენობას ინდოეთსა და ჩინეთში და ამ სახელმწიფოთა არსებობის მთელ ფორმაში გადატრიალებას ახდენს, მაშინ ეს გამოგონება მსოფლიო-ისტორიული ფაქტი ხდება; ზუსტად ასევე შაქარმა და ყავამ XIX საუკუნეში თავიანთი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა იმით გამოამყლავნეს, რომ ამ პროდუქტების ნაკლებობამ, რაც გამოწვეული იყო ნაპოლეონის კონტინენტური სისტემით, ბიძგი მისცა გერმანელებს [21] ნაპოლეონის წინააღმდეგ ასაჯანყებლად და, ამრიგად, 1813 წლის სახელოვანი განმათავისუფლებელი ომების რეალური საფუძველი გახდა. აქედან გამომდინარეობს, რომ ეს გადაქცევა ისტორიისა მსოფლიო ისტორიად არ არის რალაც აბსტრაქტული ქმედობა «თვითცნობიერებისა», მსოფლიო სულისა ანდა კიდევ რომელიმე მეტაფიზიკური აჩრდილისა, არამედ იგი სავსებით მატერიალური საქმეა, რომელიც შეიძლება ემპირიულად დადგინდეს, ისეთი საქმე, რომლის დამამტკიცებელია ყოველი ინდივიდი, როგორც იგი არის ცხოვრებაში, როგორც იგი ჭამს, სვამს და იმოსება.

ადრინდელ ისტორიაში ემპირიული ფაქტია, უეჭველად, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ცალკეული ინდივიდები, მათი მოქმედების მსოფლიო-ისტორიულ მოქმედებამდე გაფართოებისდა მიხედვით, სულ უფრო და უფრო მოექცეოდნენ ხოლმე მათთვის უცხო ძალის ბატონობის ქვეშ (ამ ჩაგვრაში ისინი ხედავდნენ ეგრეთწოდებული მსოფლიო სულის და ა. შ. ოინებს) — ისეთი ძალის ბატონობის ქვეშ, რომელიც სულ უფ-



რო მასობრივი ხდება და საბოლოო ანგარიშით მ ს ო ფ ლ ი ო-ბ ა ზ რ ი ს სახით ვლინდება. მაგრამ ასევე ემპირიულად დასაბუთებულია ისიც, რომ გერმანელი თეორეტიკოსებისათვის ეს ესოდენ იდუმალი ძალა მოისპობა კომუნისტური რევოლუციის მიერ არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამხობით (რაზეც ქვემოთ იქნება ლაპარაკი) და კერძო საკუთრების მოსპობით, რაც ამ რევოლუციის იდენტურია; ამასთან ყოველი ცალკეული ინდივიდის განთავისუფლება მოხდება იმავე ზომით, როგორითაც ისტორია მთლიანად გადაიქცევა მსოფლიო ისტორიად *. ის, რომ ინდივიდის ნამდვილი სულიერი სიმდიდრე მთლიანად დამოკიდებულია მის ნამდვილ ურთიერთობათა სიმდიდრეზე, ნათელია ზემონათქვამიდან. მხოლოდ ამის გამო ცალკეული ინდივიდები თავისუფლდებიან სხვადასხვა ეროვნული და ადგილობრივი ჩარჩოებისაგან, ამყარებენ პრაქტიკულ კავშირს მთელი მსოფლიოს წარმოებასთან (აგრეთვე სულიერ წარმოებასთანაც) და შესაძლებლობა ეძლევათ შეიძინონ იმის უნარი, რომ ისარგებლონ მთელი დედამიწის ამ ყოველმხრივი წარმოებით (ყოველივე იმით, რაც ადამიანებს შეუქმნიათ). ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ი დამოკიდებულება, ინდივიდთა მ ს ო ფ ლ ი ო-ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ერთობლივი მოქმედების ეს სტიქიურად ჩამოყალიბებული ფორმა, კომუნისტური რევოლუციის მეოხებით [22] გადაიქცევა კონტროლად და შეგნებულ ბატონობად იმ ძალებზე, რომელნიც, ადამიანთა ერთიმეორეზე ზემოქმედებით წარმოშობილნი, დღემდე ადამიანებს სრულიად უცხო ძალებად ეჩვენებოდნენ და როგორც ასეთნი მათზე ბატონობდნენ. ეს შეხედულება შეიძლება კვლავ გავიგოთ სპეკულაციურ-იდეალისტურად, ე. ი. ფანტასტიკურად, როგორც «თვითწარმოშობა გვარისა» («საზოგადოება როგორც სუბიექტი»), წარმოვიდგენთ რა ერთიმეორის მომდევნო და ერთმანეთთან დაკავშირებული ინდივიდების მთელ მწკრივს როგორც ერთადერთ ინდივიდს, რომელიც თავისი თავის წარმოშობის საიდუმლოებას ახდენს. აქ

* მარქსის კიდურშენიშვნა: «ცნობიერების წარმოების შესახებ». რ ე დ.

მკლავნდება, რომ თუმცა ინდივიდები როგორც ფიზიკურად ისე სულიერადაც ერთიმეორეს ქმნიან, მაგრამ ისინი, მაინც არ ქმნიან თავიანთ თავს არც წმიდა ბრუნოს უაზრობის შესაფერისად, არც «ერთადერთის», «შექმნილი» ადამიანის აზრით.

დასასრულ, ისტორიის იმ გაგებიდან, რომელიც ჩვენ განვავითარეთ, ვღებულობთ კიდევ შემდეგ დასკვნებს: 1) თავიანთ განვითარებაში მწარმოებლური ძალები აღწევენ ისეთ საფეხურს, რომელზეც წარმოიქმნება მწარმოებლური ძალები და ურთიერთობის საშუალებანი, რომელთაც არსებულ პირობებში მხოლოდ უბედურება მოაქვთ და რომელნიც უკვე აღარ არიან მწარმოებლური ძალები, არამედ დამანგრეველ ძალებს წარმოადგენენ (მანქანები და ფული); ამასთან ერთად ჩნდება კლასი, რომელიც იძულებულია თავისი მხრებით ზიდოს საზოგადოების ყველა ტვირთი, ხოლო მისი კეთილდღეობით ვერ ისარგებლოს, კლასი, რომელიც, საზოგადოებიდან განდევნილი, [23] აუცილებლად ვარდება ყველაზე გადამწყვეტ წინააღმდეგობაში ყველა სხვა კლასთან; ეს კლასი შეადგენს საზოგადოების ყველა წევრთა უმრავლესობას, და მისგან გამოდის ძირეული რევოლუციის აუცილებლობის შეგნება, კომუნისტური შეგნება, რომელიც შეიძლება, რა თქმა უნდა, ამ კლასის მდგომარეობის გაგების მეოხებით სხვა კლასებს შორისაც წარმოიქმნას; 2) პირობები, რომელთა არსებობისას გარკვეული მწარმოებლური ძალების გამოყენება შეიძლება, საზოგადოების გარკვეული კლასის ბატონობის პირობებია, კლასისა, რომლის სოციალური ძალაუფლება, მისი ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავის პრაქტიკულ-იდეალისტურ გამოხატულებას ყოველთვის სათანადო სახელმწიფოებრივ ფორმაში პოულობს, და ამიტომ ყოველი რევოლუციური ბრძოლა მიმართულია იმ კლასის წინააღმდეგ, რომელიც მანამდე ბატონობდა*; 3) ყველა წინანდელი რევოლუციის დროს მოქმედების ხასიათი მუდამ ხელუხლებელი რჩებოდა,—მუდამ

* მარქსის კიდურშენიშვნა: «ეს ადამიანები დაინტერესებული არიან იმით, რომ შეინარჩუნონ წარმოების ახლანდელი მდგომარეობა». რ ე დ.



საქმე ეხებოდა ამ მოქმედების მხოლოდ სხვაგვარ განაწილებას, შრომის ახალ განაწილებას სხვა პირთა შორის, მაშინ როდესაც კომუნისტური რევოლუცია გამოდის მოქმედების აქამდე არსებული ხასიათის წინააღმდეგ, თავიდან იშორება შრომას* და სპობს ყოველგვარი კლასების ბატონობას თვით კლასებთან ერთად, იმიტომ რომ ამ რევოლუციას ახდენს ის კლასი, რომელიც საზოგადოებაში უკვე აღარ ითვლება კლასად, აღარ არის კლასად აღიარებული და რომელიც უკვე ახლანდელ საზოგადოებაში ყველა კლასის, ეროვნებისა და ა. შ. დაშლის გამოხატულებას წარმოადგენს, და 4) ამ კომუნისტური შეგნების როგორც მასობრივი წარმოშობისათვის, ისე თვით მიზნის მიღწევისათვისაც აუცილებელია ადამიანთა მასობრივი შეცვლაც, რაც შესაძლებელია მხოლოდ პრაქტიკულ მოძრაობაში, რევოლუციაში; მაშასადამე, რევოლუცია აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ არავითარი სხვა გზით არ შეიძლება გაბატონებული კლასის დამხობა, არამედ იმიტომაც, რომ დამამხობელ კლასს მხოლოდ რევოლუციაში შეუძლია მთელი ძველი სისაძაგლე თავიდან მოიშოროს და საზოგადოების ახალი საფუძვლის შექმნის უნარის მქონე გახდეს**.

* შემდეგ ხელნაწერში წაშლილია: «მოქმედების ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ბატონობა...». რ ე დ.

** შემდეგ ხელნაწერში წაშლილია: «მაშინ როდესაც რევოლუციის ამ აუცილებლობის შესახებ ყველა კომუნისტი როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისშიც და გერმანიაშიც უკვე დიდი ხანია შეთანხმებულნი არიან ერთმანეთს შორის, წმიდა ბრუნო დამშვიდებით განაგრძობს ოცნებას და ფიქრობს, რომ «რეალურ ჰუმანიზმს», ე. ი. კომუნიზმს, აყენებენ «სპირიტუალიზმის ადგილას» (რომელსაც არავითარი ადგილი არ უკავია) მხოლოდ იმისათვის, რომ პატივისცემის ობიექტი გახდეს. და მაშინ, — განაგრძობს იგი ოცნებას, — «მოვა, ბოლოს, ხსნა, დედამიწა გახდება ზეცად. ზეცა კი — დედამიწად». (ღვთისმეტყველს მაინც არასგზით არ შეუძლია დაივიწყოს ზეცა). მაშინ სიხარული და ნეტარება აელერდება ციური პარმონიებით უკუნიით უკუნისამდე» (გვ. 140)⁸. ეკლესიის წმიდა მამა ცოტათი როდი იქნება განცვიფრებული, როცა მისთვის მოულოდნელად დადგება განკითხვის დღე, როდესაც ყოველივე ეს აღსრულდება, — დღე, რომლის ცისკარიც მოგიზგიზე ქალაქების დაფიონი იქნება, — როცა ამ «ციურ პარმონიათა» შორის «მარსელიოზისა» და «კარმანოლის»

[24] ამრიგად, ისტორიის ეს გაგება იმაში მდგომარეობს, რომ, ამოვალთ რა სწორედ უშუალო ცხოვრების მატერიალური წარმოებიდან, განვიხილოთ ნამდვილი წარმოების პროცესი და გავიგოთ მოცემულ წარმოების წესთან დაკავშირებული და მის მიერ წარმოშობილი ფორმა ურთიერთობისა, ე. ი. სამოქალაქო საზოგადოება მის სხვადასხვა საფეხურზე როგორც საფუძველი მთელი ისტორიისა; შემდეგ საჭიროა ავსახოთ სამოქალაქო საზოგადოების მოქმედება სახელმწიფოებრივი ცხოვრების სფეროში და აგრეთვე ავსახათ მისგან ყველა განსხვავებული თეორიული წარმონაშობი და ფორმა ცნობიერებისა, რელიგია, ფილოსოფია, მორალი და ა. შ. და ა. შ., და გამოვიკვლიოთ ამ საფუძველზე მათი წარმოქმნის პროცესი, რის მეოხებითაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნება ავსახოთ მთლიანად აღებული პროცესი (და ამიტომ აგრეთვე ურთიერთმოქმედებაც მის სხვადასხვა მხარეთა შორის). ისტორიის ეს გაგება იდეალისტური გაგებისაგან განსხვავებით არ ეძებს ყოველ ეპოქაში ამა თუ იმ კატეგორიას, არამედ ყოველთვის ნამდვილი ისტორიის ნი ა და გ ზ ე რჩება, გვიხსნის არა პრაქტიკას იდეებიდან, არამედ იდეურ წარმონაქმნებს მატერიალური პრაქტიკიდან და ამის გამო აგრეთვე იმ დასკვნამდე მიდის, რომ ცნობიერების ყველა ფორმა და პროდუქტი

მელოდია დაიგუგუნებს გარდაუვალ ზარბაზნების სროლასთან ერთად, გილიოტინა კი ტაქტს გამოთვლის; როცა საზიზღარი «მასა» დაიღრიღებს და ira, და ira და გააუქმებს «თვითცნობიერებას» საფარზე სვეტის შემწეობით 13. წმიდა ბრუნოს ყველაზე ნაკლები საფუძველი აქვს დაუხატოს თავის თავს «უეყნითი უეყნისამდე სიხარულისა და ნეტარების» მანუგეშებელი სურათი. ჩვენ თავს ვიკავებთ იმ სიამოვნებისაგან, რომ აპრიორულად ჩამოვყალიბოთ წმიდა ბრუნოს ყოფაქცევა განკითხვის დღეს. ძნელია აგრეთვე იმის გადაწყვეტაც, უნდა გვესმოდეს რევოლუციის მომხდენი პროლეტარები როგორც «სუბსტანცია», როგორც «მასა», რომელსაც სურს დაამხო კრიტიკა, თუ როგორც სულის «ემანაცია», რომელსაც ჭერ კიდევ არ ჰყოფნის ბაუერისებური აზრების მონელებისათვის საჭირო კონსისტენცია». რ ე დ.

შეიძლება მოისპოს არა სულიერი კრიტიკით, არა «თვითცნობიერებაში» მათი განზავებით ანდა «მოჩვენებებად», «აჩრდილებად», «უცნაურობებად»¹⁴ და ა. შ. მათი გადაქცევით, არამედ მხოლოდ იმ რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პრაქტიკული დამხობით, რომლებიდანაც მთელი ეს იდეალისტური სისულელე წარმოიშვა, — რომ არა კრიტიკა, არამედ რევოლუცია არის მამოძრავებელი ძალა ისტორიისა, ასევე რელიგიისა, ფილოსოფიისა და სხვა თეორიისა.) ეს კონცეფცია გვიჩვენებს, რომ ისტორია არ განზავდება «თვითცნობიერებაში», როგორც «სული სულისაგან»*, არამედ ისტორიის ყოველი საფეხურისათვის უკვე მოცემულია გარკვეული მატერიალური შედეგი, მწარმოებლური ძალების გარკვეული ჯამი, ისტორიულად შექმნილი დამოკიდებულება ადამიანებისა ბუნებისადმი და ერთიმეორისადმი, მოცემულია ყოველი მომდევნო თაობის მიერ წინა თაობისაგან მზად მიღებული მასა მწარმოებლური ძალებისა, კაპიტალებისა და გარემოებებისა, რომელნიც, თუმცა, ერთი მხრივ, ახალი თაობის ხელში სახეს იცვლიან, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ თაობას უწყესებენ მის საკუთარ საარსებო პირობებს და მას გარკვეულ განვითარებას, განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებენ. ეს კონცეფცია გვიჩვენებს, მაშასადამე, რომ გარემოებანი იმდენადვე [25] ქმნიან ადამიანებს, რამდენადაც ადამიანები ქმნიან გარემოებებს.

მწარმოებლური ძალების, კაპიტალებისა და ურთიერთობის სოციალური ფორმების ის ჯამი, რასაც ყოველი ინდივიდი და ყოველი თაობა პოულობს როგორც მოცემულ რაიმეს, რეალური საფუძველია იმისა, რაც ფილოსოფოსებს წარმოედგინათ «სუბსტანციის» სახით და «ადამიანის არსების» სახით, რასაც ისინი აღმერთებდნენ და რასაც ებრძოდნენ, — რეალური საფუძველი, რომლის მოქმედებასა და გავლენას ადამიანთა განვითარებაზე სრულებით არ უშლის ხელს ის გარემოება, რომ ეს ფილოსოფოსები ჯანყდებიან მის წინააღმდეგ როგორც «თვითცნობიერება» და «ერთადერთნი». ცხოვრების პირობები, რომელთაც სხვადასხვა თაობანი მზად ნახულობენ,

* ბ. ბაუერის გამოთქმა. რ ე დ.

წყვეტენ აგრეთვე იმასაც, იქნებიან თუ არა რევოლუციური ძვრები, ისტორიის მანძილზე რომ პერიოდულად მეორდებიან, საკმაოდ ძლიერნი იმისათვის, რომ დაამხონ ყოველივე არსებული საფუძველი; და თუ არ არსებობს საყოველთაო გადატრიალების ეს მატერიალური ელემენტები, სახელდობრ: ერთი მხრივ, გარკვეული მწარმოებლური ძალები, მეორე მხრივ კი, ფორმირება რევოლუციური მასისა, რომელიც ჯანყდება არა მარტო წინანდელი საზოგადოების ცალკეული პირობების წინააღმდეგ, არამედ თვით წინანდელი «ცხოვრების წარმოების» წინააღმდეგაც, «ერთობლივი მოქმედების» წინააღმდეგაც, რაზედაც იგი დაფუძნებულია, — თუ ეს მატერიალური ელემენტები არ არის, მაშინ, როგორც ამას კომუნისმის ისტორია ამტკიცებს, პრაქტიკული განვითარებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, რომ ამ გადატრიალების იდეა უკვე ათასჯერ იყო გამოთქმული.

[8. უსაფუძვლობა ისტორიის მთელი წინანდელი, იდეალისტური გაგებისა, განსაკუთრებით — გერმანული ჰეგელის შემდგომდროინდელი ფილოსოფიისა]

ისტორიის მთელი წინანდელი გაგება ან სრულიად უგულებელყოფდა ისტორიის ამ ნამდვილ საფუძველს, ანდა განიხილავდა მას მხოლოდ როგორც მეორეხარისხოვან ფაქტორს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ კავშირს ისტორიულ პროცესთან. ასეთი მიდგომისას ისტორია მუდამ უნდა ეწერათ მის გარეშე მდებარე რაიმე მასშტაბის მიხედვით; ცხოვრების ნამდვილი წარმოება წარმოგვიდგებოდა რაღაც ისტორიამდელ რამედ, ისტორიული კი — რაღაც ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან მოწყვეტილ რამედ, რაღაც სამყაროს გარეთ და სამყაროს ზევით მდგომ რამედ. ამით ისტორიიდან გამორიცხულია ადამიანთა დამოკიდებულება ბუნებისადმი, რის შედეგადაც იქმნება დაპირისპირებულობა ბუნებასა და ისტორიას შორის. ამიტომ ამ კონცეფციას შეეძლო ისტორიაში დაენახა მხოლოდ მყვირალა პოლიტიკური ქმედობანი და რელიგიური, საერთოდ თეორიული, ბრძოლა, და ყოველთვის ამა თუ იმ

ისტორიული ეპოქის ასახვისას იგი იძულებული იყო ამ ეპოქის ილუზიები გაეზიარებინა. ასე, მაგალითად, თუ რომელიმე ეპოქას წარმოუდგენია, რომ იგი განისაზღვრება წმინდა «პოლიტიკური» ან «რელიგიური» მოტივებით— თუმცა «რელიგია» და «პოლიტიკა» მისი ნამდვილი მოტივების მხოლოდ ფორმებია, — მაშინ მისი ისტორიკოსი ითვისებს ამ შეხედულებას. ამ გარკვეული ადამიანების «წარმოსახვა», «წარმოდგენა» თავიანთი ნამდვილი პრაქტიკის შესახებ გადაიქცევა ერთადერთ განმსაზღვრელ და აქტიურ ძალად, რომელიც ბატონობს ამ ადამიანთა პრაქტიკაზე და განსაზღვრავს მას: თუ ის პრიმიტიული ფორმა, რომელშიც ინდუსებთან და ეგვიპტელებთან შრომის დანაწილება არსებობს, კასტურ წყობილებას წარმოშობს ამ ხალხთა სახელმწიფოსა და რელიგიაში, მაშინ ისტორიკოსს ჰგონია, თითქოს კასტური წყობილება [26] არის სწორედ ის ძალა, რომელმაც ეს პრიმიტიული საზოგადოებრივი ფორმა წარმოშვა.

მაშინ როდესაც ფრანგები და ინგლისელები ებლაუჭებიან ყოველ შემთხვევაში ამ პოლიტიკურ ილუზიას, რომელიც სინამდვილესთან მაინც ყველაზე ახლოსაა, გერმანელები ტრიალებენ «წმინდა სულის» სფეროში და ისტორიის მამოძრავებელ ძალად რელიგიურ ილუზიას აღიარებენ. ისტორიის ჰეგელისეული ფილოსოფია — ეს არის უკანასკნელი, თავის «უწმინდეს გამოხატულებამდე» მისული ნაყოფი მთელი ამ გერმანული ისტორიოგრაფიისა, რომლის თვალსაზრისითაც მთელი საქმე მდგომარეობს არა ნამდვილ და არა თვით პოლიტიკურ ინტერესებშიც კი, არამედ წმინდა აზრებში. ისტორიის ეს ფილოსოფია შემდეგ აგრეთვე წმიდა ბრუნოს აუცილებლად წარმოუდგება მთელი რიგი «აზრების» სახით, სადაც ერთი ნთქავს მეორეს და ბოლოს «თვითცნობიერებაში» ქრება*. კიდევ უფრო თანმიმდევრულია წმიდა მაქს შტირნერი, რომელმაც სრულებით არაფერი არ იცის ნამდვილი ისტორიის

* მაქსის კიდურშენიშვნა: «ეგრეთწოდებული ობიექტური ისტორიოგრაფია მდგომარეობდა სწორედ იმაში, რომ ისტორიული ურთიერთობანი მოქმედებისაგან მოწყვეტილ განხილულიყო. რეაქციული ხასიათი». რ ე დ.



შესახებ და რომელსაც ისტორიული პროცესი წარმოუდგენს მარტოოდენ «რაინდების», ყაჩაღებისა და აჩრდილთა ისტორიად, ისტორიად, რომლის მოჩვენებათაგან თავის დაღწევა მას, რა თქმა უნდა, მხოლოდ «უღმერთობის» საშუალებით შეუძლია. ეს კონცეფცია სინამდვილეში რელიგიურია: იგი გულისხმობს რელიგიურ ადამიანს როგორც პირველყოფილ ადამიანს, რომლიდანაც მომდინარეობს მთელი ისტორია, ცხოვრების საშუალებათა და თვით ცხოვრების ნამდვილი წარმოება კი მას თავის წარმოსახვაში შეცვლილი აქვს ფანტაზიათა რელიგიური წარმოებით.

ისტორიის მთელი ეს გაგება, მის დაშლასთან და აქედან გამომდინარე ეჭვებთან და ყოყმანთან ერთად, — მარტოოდენ გერმანელების ეროვნული საქმეა და მას მხოლოდ ადგილობრივი ინტერესი აქვს გერმანიისათვის; ასეთია, მაგალითად, მნიშვნელოვანი, უკანასკნელ დროს არაერთხელ განხილული საკითხი, როგორ შეიძლება, კაცმა რომ თქვას, «ღვთის სამეფოდან ადამიანთა სამეფოში მოხვედრა», თითქოს ამ «ღვთის სამეფოს» ეარსებნოს ოდესმე სხვაგან სადმე, გარდა ფანტაზიისა, ხოლო დიდგანსწავლულ კაცებს არ ეცხოვროთ მუდამ — თვითონაც არ იცოდნენ რა ამის შესახებ — «ადამიანთა სამეფოში», რომლისკენ მიმავალ გზას ისინი ახლა ეძებენ, და თითქოს ამოცანა მეცნიერული გართობისა — ვინაიდან ეს მეტი არაფერია, თუ არა გართობა, — რომელსაც მიზნად აქვს ახსნას თეორიულ ზეციურ სამყაროთა ამ წარმოქმნის უცნაური ხასიათი, არ მდგომარეობდეს, პირიქით, სწორედ იმისა, რომ გვიჩვენოს მათი წარმოშობა ნამდვილი ამქვეყნიური ურთიერთობებიდან. საერთოდ ეს გერმანელები მუდამ იმას ცდილობენ, რომ ყოველი უკვე არსებული უაზრობა [27] რაიმე სხვა სისულელემდე დაიყვანონ, ე. ი. ვარაუდობენ, რომ მთელ ამ უაზრობას აქვს რაღაც განსაკუთრებული აზრი, რომელიც უნდა გაიხსნას, მაშინ როდესაც მთელი საქმე იმაშია, რომ ეს თეორიული ფრაზები არსებულ ნამდვილ ურთიერთობათაგან აიხსნას. ამ ფრაზების ნამდვილი, პრაქტიკული მოსპობა, ადამიანთა ცნობიერებიდან ამ წარმოდგენათა აღმოფხვრა ხორციელდება, როგორც უკვე ითქვა, პირობების

შეცვლით და არა თეორიული დედუქციებით. ადამიანთა მიერ შექმნილი მასისათვის, ე. ი. პროლეტარიატისათვის, ეს თეორიული წარმოდგენანი არ არსებობს, და, მაშასადამე, ამ მასის მიმართ მათი მოსპობა არც არის საჭირო, ხოლო თუ ამ მასას ოდესმე ჰქონდა კიდევ რაღაც თეორიული წარმოდგენანი, მაგალითად, რელიგია, ისინი უკვე დიდი ხანია მოსპობილი არიან გარემოებებით.

აღნიშნული საკითხებისა და მათი გადაწყვეტის წმინდა ეროვნული ხასიათი მეღავენდება კიდევ იმაშიც, რომ ეს თეორეტიკოსები სრულიად სერიოზულად ფიქრობენ, თითქოს სხვადასხვა გამოგონებანი, როგორცაა «ღმერთკაცი», «კაცი» და ა. შ., ხელმძღვანელობდნენ ისტორიის ცალკეულ ეპოქებს; წმიდა ბრუნო იმის მტკიცებამდეც კი მიდის, რომ მხოლოდ «კრიტიკა და კრიტიკოსები აკეთებდნენ ისტორიას»¹⁵. ხოლო როცა ეს თეორეტიკოსები თვითონ ჰკიდებენ ხელს ისტორიულ კონსტრუქციებს, ისინი უდიდესი სისწრაფით გადაახტებიან ხოლმე მთელ წარსულს და დაუყოვნებლივ გადადიან «მონღოლობიდან»¹⁶ ნამდვილად «შინაარსიან» ისტორიაზე, სახელდობრ, «Hallische Jahrbücher»-ის და «Deutsche Jahrbücher»-ის¹⁷ ისტორიაზე და ჰეგელისეული სკოლის საყოველთაო კინკლაობად გადაგვარების ისტორიაზე. ყველა დანარჩენი ერი და ყველა ნამდვილი მოვლენა დავიწყებას ეძლევა, *theatrum mundi** შემოიფარგლება ლაიფციგის წიგნის ბაზრობის საზღვრებით და «კრიტიკის», «ადამიანის» და «ერთადერთის»** ურთიერთკინკლაობით. თუკი ჩვენი თეორეტიკოსები ოდესმე ხელს ჰკიდებენ კიდევ ნამდვილად ისტორიულ თემებს, როგორც, მაგალითად, XVIII საუკუნის ისტორიას, ისინი იძლევიან მხოლოდ წარმოდგენათა ისტორიას, მოწყვეტილს იმ ფაქტებისაგან და პრაქტიკული პროცესებისაგან, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ წარმოდგენებს, და ამ ისტორიასაც მხოლოდ იმ მიზნით გადმოგვცემენ, რომ განსახილველი ეპოქა ასახონ როგორც არასრულყოფილი, წინასწარი საფეხური, როგორც ჯერ

* — მსოფლიო არენა. რ ე დ.

** — ე. ი. ბ. ბაუერის, ლ. ფოიერბახის და მ. შტირნერის. რ ე დ.



კიდევ შეზღუდული წინამორბედი ჰემმარიტად ისტორიულ ეპოქისა, ე. ი. 1840 — 1844 წლების გერმანული ფილოსოფიური ბრძოლის ეპოქისა. მათ მიერ დასახულ მიზანს — დაწერონ წარსულის ისტორია, რათა განსაკუთრებულად ნათელი შუქი მოჰფინონ რომელიმე არაისტორიული პიროვნებისა და მის ფანტაზიათა სახელს, — შეესაბამება ისიც, რომ ისინი სრულიად არ იხსენიებენ ნამდვილად ისტორიულ მოვლენებს, არ იხსენიებენ ისტორიის მსვლელობაში პოლიტიკის ნამდვილი ისტორიული ჩარევის შემთხვევებსაც კი, არამედ ამის მაგივრად მოგვითხრობენ არა გამოკვლევებზე, არამედ თვითნებურ კონსტრუქციებსა და ლიტერატურულ ჭორებზე დამყარებულ ამბებს, როგორც ეს წმიდა ბრუნომ გააკეთა მის ამჟამად უკვე დავიწყებულ XVIII საუკუნის ისტორიაში¹⁸. აზრებით ეს მაღალფარდოვანი და მკვებარა ვაჭრები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ისინი ყოველგვარ ეროვნულ ცრურწმენებზე უსასრულოდ მაღლა დგანან, სინამდვილეში კიდევ უფრო შეზღუდულნი არიან ეროვნულად, ვიდრე ლუდხანათა ფილისტერები, გერმანიის ერთიანობაზე რომ ოცნებობენ. მათ არ მიაჩნიათ სხვა ხალხთა საქმეები ისტორიულ საქმეებად. ისინი ცხოვრობენ გერმანიაში, გერმანიით [28] და გერმანიისათვის. სიმღერას რაინზე¹⁹ ისინი აქცევენ სასულიერო კანტატად და იპყრობენ ელზასს და ლორენს, ქურდავენ რა არა ფრანგულ სახელმწიფოს, არამედ ფრანგულ ფილოსოფიას, აგერმანულევენ რა არა ფრანგულ პროვინციებს, არამედ ფრანგულ აზრებს. ბ-ნი ვენედეი კოსმოპოლიტია შედარებით წმიდა ბრუნოსთან და წმიდა მაქსთან, რომელნიც თეორიის მსოფლიო ბატონობის აღმით გერმანიის მსოფლიო ბატონობას გვამცნობენ.

[9. დამატებითი კრიტიკა ფოიერბახისა, ისტორიის მისი იდეალისტური გაგებისა]

მთელი ამ ანალიზიდან ჩანს აგრეთვე, თუ რამდენად ცდება ფოიერბახი, როცა იგი («Wigand's Vierteljahrschrift», 1845, ტ. 2) «საზოგადოებრივი ადამიანის» განსაზღვრის საშუალებ-



ბით თავის თავს კომუნისტად²⁰ აცხადებს და ამ განსაზღვრულად
 «ადამიანის» პრედიკატად აქცევს და მიაჩნია, მაშასადამე, რომ
 შესაძლებელია კვლავ გადაიქცეს შიშველ კატეგორიად სიტყვა
 «კომუნისტი», რომელიც არსებულ სამყაროში გარკვეული
 რევოლუციური პარტიის მიმდევარს აღნიშნავს. ფოიერბახის
 მთელი დედუქცია ადამიანთა ერთიმეორისადმი დამოკიდებ-
 ბულების საკითხში მხოლოდ იქითკენაა მიმართული, რათა
 დაამტკიცოს, რომ ადამიანები საჭიროებენ და ყოველთვის
 საჭიროებდნენ ერთიმეორეს. მას სურს განამტკიცოს ამ
 ფაქტის შეცნობა, სურს, მაშასადამე, როგორც სხვა თეორე-
 ტიკოსებსაც, მიაღწიოს რაღაც არსებული ფაქტის მხო-
 ლოდ სწორ შეცნობას, მაშინ როდესაც ნამდვილი კომუნის-
 ტის ამოცანა ისაა, რომ ეს არსებული დაამხოს. ჩვენ, სხვათა
 შორის, სავსებით ვაღიარებთ, რომ ფოიერბახი, სწორედ ამ
 ფაქტის შეცნობის მიღწევას რომ ესწრაფვის, იმდენად შორს
 მიდის, რამდენადაც საერთოდ თეორეტიკოსს შეუძლია წავი-
 დეს, არ შეწყვეტს რა თეორეტიკოსად და ფილოსოფოსად
 ყოფნას. მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ წმიდანები ბრუნო
 და მაქსი ნამდვილი კომუნისტის ადგილას მყისვე აყენებენ
 ფოიერბახისეულ წარმოდგენას კომუნისტზე, რაც ნაწილობ-
 რივ უკვე იმისთვის კეთდება, რათა მათ შეძლონ შეებრძოლონ
 კომუნისტებსაც როგორც «სულს სულისაგან», როგორც ფილო-
 სოფიურ კატეგორიას, როგორც თანაბარ მოწინააღმდეგეს,
 წმიდა ბრუნოსთან კი ეს კეთდება აგრეთვე პრაგმატული ინ-
 ტერესების გამოც.

მაგალითის სახით, რომელიც არსებულის აღიარებისა და
 იმავე დროს მისი გაუგებლობის ილუსტრაციას იძლევა, —
 ამ აღიარებას და ამ გაუგებლობას კი ფოიერბახი ჯერ კიდევ
 იზიარებს ჩვენს მოწინააღმდეგეებთან ერთად, — გავიხსენოთ
 ის ადგილი «მომავლის ფილოსოფიიდან», სადაც იგი ამტკი-
 ცებს, რომ რომელიმე ნივთის ან რომელიმე ადამიანის ყოფი-
 ერება ამასთანავე მისი არსებაც²¹ არის, რომ რომელიმე
 ცხოველური ან ადამიანური ინდივიდის არსებობის გარკვეუ-
 ლი პირობები, ცხოვრების წესი და მოქმედება არის ის, რაც
 ამ ინდივიდის «არსებას» კმაყოფილების გრძნობას ჰგვრის.



ყოველი გამონაკლისი გარკვევით განიხილება აქ როგორც უბედური შემთხვევა, როგორც არანორმალურობა, რომლის შეცვლაც შეუძლებელია. თუ, მაშასადამე, მილიონობით პროლეტარები სრულიადაც არ არიან დაკმაყოფილებულნი თავიანთი ცხოვრების პირობებით, თუ მათი «ყოფიერება» * [29] ოდნავადაც კი არ შეესაბამება მათს «არსებას»,—მაშინ, ხსენებული ადგილის თანახმად, ეს გარდუვალი უბედურებაა, რომელიც მშვიდად უნდა იქნეს გადატანილიო. მაგრამ პროლეტარების ან კომუნისტების ეს მილიონები სულ სხვანაირად ფიქრობენ და თავის დროზე დაამტკიცებენ ამას, როცა ისინი პრაქტიკულად, რევოლუციის გზით, თავიანთ «ყოფიერებას» შესაბამისობაში მოიყვანენ თავიანთ «არსებასთან». მსგავს შემთხვევებში ფოიერბახი ამიტომ არასოდეს არ ლაპარაკობს ადამიანის სამყაროზე, არამედ ყოველთვის თავს შველის გარებუნების სფეროში გაქცევით, თანაც ისეთი ბუნებისა, რომელიც ჯერ არ დაქვემდებარებია ადამიანთა ბატონობას. მაგრამ ყოველ ახალ გამოგონებასთან, მრეწველობის ყოველ წინგადადგმულ ნაბიჯთან ერთად ამ დარგს სცილდება ახალი ნაჭერი, და ის ნიადაგი, რომელზეც აღმოცენდება ხოლმე მაგალითები მსგავსი ფოიერბახისეული დებულებებისათვის, ამრიგად სულ უფრო მცირდება. დაკმაყოფილებით ერთი დებულებით: თევზის „არსება“ არის მისი «ყოფიერება», წყალი. მდინარის თევზის «არსება» არის მდინარის წყალი. მაგრამ ეს წყალი შეწყვეტს თევზის «არსებად» ყოფნას, იგი უკვე შეუფერებელი გარემო ხდება თევზის არსებობისათვის, როგორც კი ეს მდინარე მრეწველობას დაუქვემდებარდება, როგორც კი იგი გაჭუჭყიანდება საღებავი ნივთიერებებით და სხვა ნარჩენებით, როგორც კი მის დაკვლვას დაიწყებენ გემები, როგორც კი მისი წყალი გადაგდებული იქნება არხებში, სადაც თევზს შეიძლება წაერთვას მისი არსებობისათვის საჭირო გარემო, რაკი უბრალოდ წყლის მიწოდება შეწყდება. მსგავსი სახის ყველა წინააღმდეგობის გა-

* შემდეგ ამ პარაგრაფის ბოლომდე მოცემულია ტექსტი, რომელიც რუსულ ენაზე პირველად ქვეყნდება. რუს. გამოც. რედ. (აგრეთვე ქართულ ენაზეც ეს ტექსტი პირველად ქვეყნდება. ქართ. გამოც. რ. ჯ დ.)

მოცხადება გარდაუვალ არანორმალურობად, არსებითად, განსხვავდება იმ ნუგეშისაგან, რასაც წმიდა მაქს შტირნერი უკმაყოფილო ადამიანებს აძლევს, როცა ეუბნება, რომ ეს წინააღმდეგობა მათი საკუთარი წინააღმდეგობაა, ეს ცუდი მდგომარეობა მათი საკუთარი ცუდი მდგომარეობაა, ამასთან მათ შეუძლიათ ან ამით დამშვიდდნენ, ან საკუთარი უკმაყოფილება თავისთვის დაიტოვონ, ანდა ფანტასტიკურად აჯანყდნენ ამ მდგომარეობის წინააღმდეგ. ასევე ცოტათი განსხვავდება ფოიერბახის ეს კონცეფცია წმიდა ბრუნოს საყვედურისაგან: ეს ბედშავი გარემოებანი იქიდან მომდინარეობენო, რომ ისინი, ვისაც უბედურება თავს დაატყდა, «სუბსტანციის» ნეხვში ჩარჩნენ, ვერ მივიდნენ «აბსოლუტურ თვითცნობიერებამდე» და ვერ შეიცნეს ეს ცუდი ურთიერთობანი როგორც სული თავისი სულისაგან.

[III]

[1. გაბატონებული კლასი და გაბატონებული ცნობიერება.
როგორ ჩამოყალიბდა ჭეგელიძისეული წარმოდგენა
ისტორიაში სულის ბატონობის შესახებ]

[30] გაბატონებული კლასის აზრები ყოველ ეპოქაში გაბატონებული აზრებია. ეს ნიშნავს, რომ ის კლასი, რომელიც საზოგადოების გაბატონებულ მატერიალურ ძალას წარმოადგენს, ამასთანავე ამ საზოგადოების გაბატონებული სულიერი ძალაა. კლასი, რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს მატერიალური წარმოების საშუალებანი, ამასთანავე სულიერი წარმოების საშუალებებსაც განაგებს, და ამის გამო იმათი აზრები, ვისაც სულიერი წარმოებისათვის საშუალებანი არ გააჩნია, ჩანს, საერთოდ გაბატონებულ კლასებს ემორჩილება. გაბატონებული აზრები სხვა არაფერია, თუ არა გაბატონებულ მატერიალურ ურთიერთობათა იდეალური გამოხატულება, თუ არა აზრების სახით გაბატონებული მატერიალური ურთიერთობანი; მაშასადამე, ეს არის იმ ურთიერთობათა გამოხატულება, რომელნიც სწორედ ამ ერთ კლასს გაბატონებულ კლასად ხდიან; ეს არის, მაშასადამე, მისი ბატონობის აზრები. ინდივიდებს, რომელნიც გაბატონებულ კლასს შეადგენენ, აქვთ, სხვათა შორის, აგრეთვე ცნობიერებაც და, მაშასადამე, აზროვნებენ; რამდენადაც ისინი ბატონობენ სწორედ როგორც კლასი და განსაზღვრავენ მოცემულ ისტორიულ ეპოქას მთელი მისი მოცულობით, ისინი, თავისთავად იგულისხმება, ამას აკეთებენ მის ყველა დარგში,

მაშასადამე, ბატონობენ აგრეთვე როგორც მოაზროვნეები, როგორც აზრთა მწარმოებელნი; ისინი არეგულირებენ თავისი დროის აზრთა წარმოებას და განაწილებას; ეს კი ნიშნავს, რომ მათი აზრები ეპოქის გაბატონებული აზრებია. მაგალითად, რომელიმე ქვეყანაში, სადაც გარკვეულ დროში ბატონობისათვის იბრძვიან სამეფო ხელისუფლება, არისტოკრატია და ბურჟუაზია, სადაც, მაშასადამე, ბატონობა დანაწილებულია, იქ გაბატონებულ აზრად აღმოჩნდება ხოლმე მოძღვრება ხელისუფლებათა დანაწილების შესახებ, რომელიც «მარადიულ კანონად» ცხადდება კიდევ.

შრომის დანაწილება, რომელშიც ჩვენ უკვე ზემოთ (გვ. [15 — 18]) * წინანდელი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ძალა ვნახეთ, ვლინდება ახლა აგრეთვე გაბატონებული კლასის წრეშიც სულიერი და [31] მატერიალური შრომის დანაწილების სახით, ასე რომ ამ კლასის შიგნით ერთი ნაწილი გამოდის ამ კლასის მოაზროვნეთა სახით (ესენი არიან მისი აქტიური, განზოგადების უნარმქონე ინდივიდუალები, რომელთაც თავიანთი საზრდოობით მთავარ წყაროდ ის გაუხდიათ, რომ შეიმუშაონ ამ კლასის ილუზიები თავისი თავის შესახებ), მაშინ როდესაც სხვები ამ აზრებსა და ილუზიებს უფრო პასიურად ექცევიან და მზად არიან აღიქვან ისინი, იმიტომ რომ სინამდვილეში ამ კლასის ეს წარმომადგენელნი არიან სწორედ მისი აქტიური წევრები და ნაკლები დრო აქვთ იმისათვის, რომ თვით თავის თავზე ილუზიები და აზრები შექმნან. ამ კლასის შიგნით ასეთი გათიშვა შეიძლება განვითარდეს კიდევ ერთგვარ დაპირისპირებულობად და მტრობად ორივე ნაწილს შორის, მაგრამ ეს მტრობა თავისთავად შეწყდება ყოველი პრაქტიკული კოლიზიის დროს, როცა თვით კლასს საშიშროება მოელის, როცა ქრება მოჩვენებაც კი იმისა, თითქოს გაბატონებული აზრები არ წარმოადგენენ გაბატონებული კლასის აზრებს და თითქოს მათ ამ კლასის ძალაუფლებისაგან განსხვავებული ძალაუფლება აქვთ. რევოლუციური აზ-

* იხ. ეს გამოცემა, გვ. 51 — 57. რ. ე. დ.

რების არსებობა გარკვეულ ეპოქაში უკვე გულისხმობს რევოლუციური კლასის არსებობას, რომლის წანამძღვრებზეც უკვე ზემოთ ითქვა, რაც საჭირო იყო (გვ. [18—19, 22—23])*.

მაგრამ, როცა ისტორიის მსვლელობის განხილვისას გაბატონებული კლასის აზრებს ჩამოაშორებენ თვით გაბატონებულ კლასს, როცა მათ დამოუკიდებლობას ანიჭებენ, როცა მხედველობაში არ იღებენ არც ამ აზრების წარმოების პირობებს, არც მათ მწარმოებელთ და კმაყოფილდებიან იმის მტკიცებით, რომ მოცემულ ეპოქაში ბატონობდნენ ესა თუ ის აზრები, როცა, მაშასადამე, სრულიად მხედველობის გარეშე ტოვებენ ამ აზრების საფუძველს — ინდივიდებსა და ისტორიულ ვითარებას, — მაშინ შეიძლება, მაგალითად, ითქვას, რომ არისტოკრატის ბატონობის პერიოდში ბატონობდნენ ცნებები «პატივი», «ერთგულება» და ა. შ., ბურჟუაზიის ბატონობის პერიოდში კი — ცნებები «თავისუფლება», «თანასწორობა» და ა. შ. საერთოდ, თვით გაბატონებული კლასი ქმნის თავისთვის ამგვარ ილუზიებს. ისტორიის ეს გაგება, დამახასიათებელი — უმთავრესად XVIII საუკუნიდან დაწყებული — ყველა ისტორიკოსისათვის, აუცილებლად წააწყდება [32] იმ მოვლენას, რომ ბატონობას იწყებენ სულ უფრო და უფრო აბსტრაქტული აზრები, ე. ი. ისეთი აზრები, რომელნიც სულ უფრო საყოველთაობის ფორმას იღებენ. საქმე ისაა, რომ ყოველი ახალი კლასი, რომელიც მანამდე გაბატონებული კლასის ადგილს იკავებს, უკვე თავისი მიზნის მისაღწევად იძულებულია თავისი ინტერესი წარმოგვიდგინოს როგორც საზოგადოების ყველა წევრის ინტერესი, ე. ი., აბსტრაქტულად რომ გამოვთქვათ, მისცეს თავის აზრებს საყოველთაობის ფორმა, დასახოს ისინი ერთადერთ გონიერ, ზოგადმნიშვნელობიან აზრებად. რევოლუციის მომხდენი კლასი — უკვე მარტო იმიტომ, რომ იგი უპირისპირდება მეორე კლასს — იმთავითვე გამოდის არა როგორც კლასი, არამედ როგორც წარმომადგენელი მთელი საზოგადოებისა; იგი გამოდის საზოგადოების მთელი მასის სახით ერთადერთი გაბა-

* იხ. ეს გამოცემა, გვ. 57 — 59, 62 — 63. რ ე დ.

ტონებული კლასის საპირისპიროდ*. ეს ხდება იმის
რომ დასაწყისში მისი ინტერესი ჯერ კიდევ ნამდვილად და-
კავშირებულია მეტ-ნაკლებად ყველა დანარჩენი, არაგაბატონ-
ებული კლასების საერთო ინტერესთან, ვერ მოასწრო რა
ჯერ კიდევ ამ ინტერესმა მანამდე არსებულ ურთიერთობათა
ზეგავლენით განსაკუთრებული კლასის განსაკუთრებულ ინ-
ტერესებად განვითარება. ამიტომ იმ სხვა კლასების ბევრი,
ინდივიდისათვის, რომლებიც გაბატონებამდე ვერ მიდიან,
ამ კლასის გამარჯვება სასარგებლოა აგრეთვე, მაგრამ სასარ-
გებლო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ამ ინდივიდებს
ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომელიც მათ გაბატონებულ
კლასამდე ამაღლებისა და მის რიგებში ჩადგომის შესაძლებ-
ლობას აძლევს. როცა საფრანგეთის ბურჟუაზიამ არისტო-
კრატის ბატონობა დაამხო, ამით ბევრ პროლეტარს შესაძ-
ლებლობა მიეცა პროლეტარიატზე უფრო მაღლა ამაღლებუ-
ლიყო, მაგრამ ამის მიღწევა მხოლოდ იმდენად ხდებოდა.
რამდენადაც ეს პროლეტარები ბურჟუეზებად იქცეოდნენ. ამ-
რიგად, საფუძველი, რომელზეც ყოველი ახალი კლასი თავია
ბატონობას ამყარებს, უფრო ფართოა იმ საფუძველზე, რო-
მელსაც ემყარებოდა კლასი, მანამდე რომ გაბატონებული
იყო; სამაგიეროდ შემდეგში აგრეთვე დაპირისპირებულობაც
არაგაბატონებულ კლასსა და ბატონობას მიღწეულ კლასს
შორის მით უფრო მწვავედ და ღრმად ვითარდება. ორივე ეს
გარემოება იმას იწვევს, რომ ბრძოლა, რომელიც არაგაბა-
ტონებულმა კლასმა ახალი გაბატონებული კლასის წინააღმ-
დეგ უნდა გააჩაღოს, მიმართულია, თავის მხრივ, მანამდე
არსებული საზოგადოებრივი წყობილების უფრო გადამწყ-
ვეტი, უფრო რადიკალური უარყოფისაკენ, ვიდრე [33] ამის
გაკეთება შეეძლო ყველა წინანდელ კლასს, რომელნიც ბატო-
ნობას ესწრაფოდნენ.

* მარქსის კიდურშენიშვნა: «(საყოველთაოა შეესაბამება: 1) კლასს
contra [წინააღმდეგ] წოდება, 2) კონკურენციას, მსოფლიო ურთიერთობას
და ა. შ., 3) გაბატონებული კლასის დიდ რიცხოვნობას, 4) ილუზიას სა-
ერთო ინტერესების შესახებ, დასაწყისში ეს ილუზია მართალია, 5) ადე-
ოლოგთა თავის მოტყუებას და შრომის დანაწილებას)». რ ე დ.



მთელი ეს მოჩვენებითობა, თითქოს გარკვეული კლასი ბატონობა გარკვეული აზრების ბატონობაა, რა თქმა უნდა, თავისთავად გაქრება, როგორც კი კლასთა ბატონობა შეწყვეტს საერთოდ საზოგადოებრივი წყობილების ფორმად ყოფნას, როგორც კი, მაშასადამე, გაქრება აუცილებლობაც იმისა, რომ წარმოდგენილ იქნეს განსაკუთრებული ინტერესი როგორც საყოველთაო ანდა «საყოველთაო» როგორც გაბატონებული.

მას შემდეგ, რაც გაბატონებული აზრები ჩამოშორდა გაბატონებულ ინდივიდებს და, რაც მთავარია, წარმოების წესის მოცემული საფეხურით წარმოქმნილ ურთიერთობებს და ამრიგად ის დასკვნა გაკეთდა, რომ ისტორიაში მუდამ აზრები ბატონობენ, — ამის შემდეგ ძალიან ადვილია ამ სხვადასხვა აზრებიდან მოვახდინოთ აბსტრაქცირება «საერთოდ აზრისა», იდეისა და ა. შ. როგორც ისეთი რამისა, რაც ისტორიაში ბატონობს, და ამით წარმოვიდგინოთ ყველა ეს ცალკეული აზრი და ცნება როგორც «თვითგანსაზღვრანი» ცნებისა, რომელიც ისტორიაში ვითარდება. ასეთ შემთხვევაში საკვებით ბუნებრივია, რომ ადამიანთა ყველა ურთიერთობა შეიძლება გამოყვანილ იქნეს ადამიანის ცნებიდან, წარმოსახული ადამიანიდან, ადამიანის არსებიდან, «ადამიანიდან». სწორედ ამას აკეთებდა სპეკულაციური ფილოსოფია. ჰეგელი თვითონ აღიარებს «ისტორიის ფილოსოფიის» ბოლოში, რომ იგი «განიხილავდა მარტოდენ ცნების წინსვლითს მოძრაობას და ისტორიაში მან ასახა «ქეშმარიტი თეოდოცეია» (გვ. 446). და აი ამის შემდეგ შეიძლება კვლავ დავუბრუნდეთ «ცნების» მწარმოებლებს, თეორეტიკოსებს, იდეოლოგებს და ფილოსოფოსებს, და გავაკეთოთ დასკვნა, რომ ფილოსოფოსები, მოაზროვნენი როგორც ასეთნი, უხსოვარი დროიდან ბატონობდნენ ისტორიაში, — დასკვნა, რომელიც, როგორც დავინახეთ, უკვე ჰეგელმა გამოთქვა²².

ამრიგად, მთელი ფოკუსი, რომლის მეშვეობითაც ისტორიული მასალის საფუძველზე სულის უზენაეს ბატონობას ამტკიცებენ (შტირნერის იერარქია), დაიყვანება შემდეგ სამხერხზე.



[34] № 1. აზრები გაბატონებული ინდივიდებისა, — ლევიც ემპირიული მიზეზების ძალით, ემპირიულ პირობებში და მატერიალური ინდივიდების სახით ბატონობენ, — უნდა ჩამოვაშოროთ თვით ამ გაბატონებულ ინდივიდებს და ამით ვაღიაროთ ისტორიაში აზრების ან ილუზიების ბატონობა.

№ 2. აზრთა ამ ბატონობაში საჭიროა ერთგვარი წესრიგის შეტანა, უნდა დამტკიცდეს, რომ არსებობს რაღაც მისტიკური კავშირი ერთიმეორის მომდევნო გაბატონებულ აზრებს შორის. ეს ხორციელდება იმით, რომ ისინი განიხილებიან როგორც «თვითგანსაზღვრანი ცნებისა» (შესაძლებელია ეს იმიტომ, რომ ეს აზრები ნამდვილად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან თავიანთი ემპირიული საფუძვლის მეშვეობით, ან კიდევ იმიტომ, რომ, აღებულნი მხოლოდ როგორც აზრები, ისინი ხდებიან თვითგანსხვავებანი, სხვაობანი, რომელთაც აზროვნება აკეთებს).

№ 3. რათა თავიდან აიცილონ ამ «თავისი თავის განმსაზღვრელი ცნების» მისტიკური სახე, მას გადააქცევენ რაღაც პიროვნებად — «თვითცნობიერებად» — ანდა, რათა თავი წმინდა წყლის მატერიალისტად მოგვაჩვენონ, მას გადააქცევენ მთელ რიგ პიროვნებებად, რომლებიც ისტორიაში «ცნების» წარმომადგენელი არიან — გადააქცევენ «მოაზროვნებად», «ფილოსოფოსებად», იდეოლოგებად, რომელთაც, თავის მხრივ, განსაზღვრავენ როგორც ისტორიის შემქმნელთ, როგორც «გუშაგთა საბჭოს», როგორც გაბატონებულთ*. ამ გზით ისტორიიდან გამორიცხავენ ყველა მატერიალისტურ ელემენტს, და ახლა შეიძლება დამშვიდებით სადავე მიუშვან და თავიანთ სპეკულაციურ ცხენს თავისუფლება მისცენ.

ეს ისტორიული მეთოდი, გერმანიაში რომ ბატონობდა, და აგრეთვე მიზეზი, თუ რატომ ბატონობდა იგი უმთავრესად გერმანიაში, უნდა აიხსნას მისი კავშირით საერთოდ იდეოლოგიების ილუზიებთან, — მაგალითად, იურისტების, პოლი-

* მარქსის კიდურშენიშვნა: «ადამიანი როგორც ასეთი = «მოაზროვნე ადამიანურ სულს». რ ე დ.



ტიკოსების (აგრეთვე პრაქტიკულ სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად) ილუზიებთან — ამ სუბიექტების დოგმატური ოცნებებითა და დამახინჯებული წარმოდგენებით. ეს ილუზიები; ოცნებანი და დამახინჯებული წარმოდგენანი კი სულ მარტივად აიხსნება მათი პრაქტიკული მდგომარეობით ცხოვრებაში, მათი პროფესიით და შრომის არსებული დანაწილებით.

[35] მაშინ როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველ shopkeeper *-ს ჩინებულად შეუძლია განასხვაოს ის, რადაც თავი მოაქვს ამა თუ იმ ადამიანს, იმისაგან, რასაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს, ჩვენი ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ ვერ მისულა ამ ტრივიალურ შემეცნებამდე. იგი ზეპირად უჯერებს ყოველ ეპოქას, რასაც ეს უკანასკნელი არ უნდა ლაპარაკობდეს და რა წარმოდგენაც მას არ უნდა ჰქონდეს თავის თავზე.

* — მეღუჭნეს. რ ე დ.

[IV]

[1. წარმოების იარაღები და საკუთრების ფორმები]

... * [40] პირველიდან გამომდინარეობს შრომის განვითარებული დანაწილებისა და ფართო ვაჭრობის წანამძღვარი, მეორედან კი — ადგილობრივი შეზღუდულობა. პირველ შემთხვევაში ინდივიდები თავმოყრილნი უნდა იყვნენ ერთად, მეორეში კი ისინი თვით იმყოფებიან წარმოების იარაღების სახით წარმოების არსებული იარაღის გვერდით.

ამრიგად, აქ მქლავნდება განსხვავება ბუნებრივად აღმოცენებულ წარმოების იარაღებსა და ცივილიზაციის მიერ შექმნილ წარმოების იარაღებს შორის. ხსული (წყალი და ა. შ.) შეიძლება განვიხილოთ როგორც ბუნებრივად აღმოცენებული წარმოების იარაღი. პირველ შემთხვევაში, ე. ი. ბუნებრივად აღმოცენებული წარმოების იარაღების დროს, ინდივიდები ექვემდებარებიან ბუნებას; მეორე შემთხვევაში ისინი ექვემდებარებიან შრომის გარკვეულ პროდუქტს. ამიტომ საკუთრებაც პირველ შემთხვევაში (მიწის საკუთრება) გვევლინება როგორც უშუალო, ბუნებრივად აღმოცენებული ბატონობა, მეორეში კი — როგორც ბატონობა შრომისა, განსაკუთრებით დაგროვილი შრომისა, კაპიტალისა. პირველი შემთხვევა გულისხმობს, რომ ინდივიდები გაერთიანებულნი არიან ურთი-

* აქ აკლია ხელნაწერის ოთხი გვერდი. რ ე დ.



ერთ შორის რაიმე კავშირით — ოჯახური, ტომობრივი ანდა
 თუნდაც ტერიტორიული კავშირით და ა. შ.; მეორე შემთხვე-
 ვა კი გულისხმობს, რომ ისინი დამოუკიდებელნი არიან ერ-
 თიმეორისაგან და დაკავშირებულნი არიან მხოლოდ გაცვლის
 საშუალებით. პირველ შემთხვევაში გაცვლა წარმოადგენს
 უმთავრესად გაცვლას ადამიანსა და ბუნებას შორის, რომლის
 დროსაც ადამიანის შრომა გაიცვლება ბუნების პროდუქტებ-
 ზე, მეორე შემთხვევაში კი ეს არის უმთავრესად გაცვლა,
 რომელსაც ადამიანები ურთიერთ შორის ახორციელებენ.
 პირველ შემთხვევაში საკმარისია ჩვეულებრივი საღი აზრი,
 ფიზიკური და გონებრივი მოქმედება ჯერ კიდევ სრულიად
 არაა ერთიმეორისაგან გათიშული; მეორე შემთხვევაში უკვე
 პრაქტიკულად უნდა მოხდეს გათიშვა გონებრივსა და ფიზი-
 კურ შრომას შორის. პირველ შემთხვევაში მესაკუთრის ბა-
 ტონობა არამესაკუთრებზე შეიძლება ემყარებოდეს პირად
 ურთიერთობას, გაერთიანების [Gemeinwesen] ამა თუ იმ სა-
 ხეს; მეორე შემთხვევაში ამ ბატონობამ უკვე უნდა მიიღოს
 ნივთობრივი ფორმა, ე. ი. გამოიხატოს რაღაც მესამით, ფუ-
 ლით. პირველ შემთხვევაში არსებობს წვრილი მრეწველობა,
 მაგრამ იგი ექვემდებარება ბუნებრივად აღმოცენებული წარ-
 მოების იარაღის გამოყენებას და ამიტომ შრომა არ არის გა-
 ნაწილებული სხვადასხვა ინდივიდებს შორის; მეორე შემთხ-
 ვევაში წვრილი მრეწველობა ემყარება შრომის დანაწილებას
 და მხოლოდ მისი მეოხებით არსებობს.

[41] აქამდე ჩვენ ამოვდიოდით წარმოების იარაღებიდან და
 უკვე აქ გამომქლავნდა აუცილებლობა კერძო საკუთრებისა
 სამრეწველო განვითარების გარკვეულ საფეხურებზე. Industrie extractive-ში *
 კერძო საკუთრება ჯერ კიდევ მთლიანად
 ემთხვევა შრომას; წვრილ მრეწველობაში და დღემდე ყველ-
 გან მიწათმოქმედებაში კერძო საკუთრება არსებულ წარმოე-
 ბის იარაღთა აუცილებელი შედეგია; მსხვილ მრეწველობაში
 წინააღმდეგობა წარმოების იარაღსა და კერძო საკუთრებას
 შორის პირველად გვევლინება როგორც ამ მრეწველობის

* — მომპოვებელ სარეწავებში. რ ე დ.

საკუთარი პროდუქტი, რომლის წარმოქმნისათვის მან უკვე მალალ განვითარებას უნდა მიაღწიოს. ამრიგად, მხოლოდ მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ხდება შესაძლებელი კერძო საკუთრების მოსპობაც.

[2. მატერიალური და სულიერი შრომის დანაწილება.

ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან. ამქრული წყობილება]

მატერიალური და გონებრივი შრომის ყველაზე დიდი დანაწილება ეს არის ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან. დაპირისპირებულობა ქალაქსა და სოფელს შორის იწყება ბარბაროსობიდან ცივილიზაციაზე, ტომობრივი წყობილებიდან სახელმწიფოზე, ადგილობრივი შეზღუდულობიდან ერზე გადასვლასთან ერთად და გასდევს ცივილიზაციის მთელ ისტორიას ჩვენს დრომდე (ლიგა პურის კანონების წინააღმდეგ²³).

ქალაქთან ერთად აუცილებლად საჭირო ხდება აგრეთვე ადმინისტრაცია, პოლიცია, გადასახადები და ა. შ. — მოკლედ თემური პოლიტიკური წყობა [das Gemeindewesen], ამით კი პოლიტიკაც საერთოდ. აქ პირველად გამოძევენდა მოსახლეობის ორ დიდ კლასად დაყოფა, რაც უშუალოდ შრომის დანაწილებას და წარმოების იარაღებს ემყარება. ქალაქი უკვე წარმოადგენს მოსახლეობის, წარმოების იარაღების, კაპიტალის, განცხრომათა, მოთხოვნილებათა კონცენტრაციის ფაქტს, მაშინ როდესაც სოფელში აღინიშნება დიამეტრალურად საპირისპირო ფაქტი — იზოლირებულობა და განცალკევებულობა. დაპირისპირებულობა ქალაქსა და სოფელს შორის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ კერძო საკუთრების ფარგლებში. იგი გამოხატავს ყველაზე მკაცრი ფორმით ინდივიდის დაქვემდებარებას შრომის დანაწილებისადმი და გარკვეული, მისთვის თავსმოხვეული მოქმედებისადმი, — დაქვემდებარება, რომელიც ერთს გადააქცევს ქალაქის შეზღუდულ ცხოველად, მეორეს კი — სოფლის შეზღუდულ ცხოველად და ყოველდღიურად ახლად წარმოშობს მათი ინტერესების დაპირისპირებულობას. შრომა აქ კვლავ ყველაზე მთავარია, იგი ის ძალაა, რომელიც ინდივიდებზე ზევიით დგას; და სანამ ეს



ძალა არსებობს, უნდა არსებობდეს კერძო საკუთრებაც. ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებულობის მოსპობა ერთ-ერთი პირველი პირობაა [42] საზოგადოებრივი ერთიანობისა, — პირობა, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მრავალმატერიალურ წანამძღვარზე და რომელიც, როგორც ეს უკვე ერთი შეხედვით ჩანს, არ შეიძლება განხორციელდეს მარტოოდენ ნებასურვილით. (ეს პირობები საჭიროა კიდევ დაწვრილებით განვიხილოთ.) ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე როგორც გამოყოფა კაპიტალისა მიწის საკუთრებისაგან, როგორც დასაწყისი მიწის საკუთრებისაგან კაპიტალის, ე. ი. მხოლოდ შრომასა და გაცვლაზე დაფუძნებული საკუთრების, დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარებისა.

ქალაქებში, რომლებიც შუა საუკუნეებს მზა სახით როდი მიუღიათ წარსული ისტორიიდან და რომლებიც ახლად შეიქმნენ განთავისუფლებული ყმების მიერ, — ამ ქალაქებში ერთადერთი საკუთრება ყოველი ინდივიდისა, თუ არ ჩავთვლით მის მიერ თან მოტანილ მცირე კაპიტალს, რომელიც თითქმის მთლიანად ყველაზე აუცილებელი სახელოსნო ინსტრუმენტებისაგან შედგებოდა, — ეს იყო ამ ინდივიდის შრომის განსაკუთრებული სახეობა. მებატონეთაგან გაქცეული და განუწყვეტლივ ქალაქში ჩამავალი ყმების კონკურენცია; სოფლის განუწყვეტელი ომი ქალაქების წინააღმდეგ, და მამასადამე, აუცილებლობაც საქალაქო სამხედრო ძალის ორგანიზაციისა; გარკვეული სპეციალობის საერთო საკუთრების კავშირი; აუცილებლობა საერთო შენობებისა თავიანთი საქონლის გასაყიდად — ხელოსნები იმ ხანაში იმავე დროს ვაჭრებიც იყვნენ — და ამასთან დაკავშირებული დაუშვებლობა ამ შენობებში გარეშე პირებისა; ცალკეულ ხელობათა ინტერესების დაპირისპირებულობა ერთმანეთს შორის; ასეთი შრომით ათვისებული ხელობის დაცვის აუცილებლობა; მთელი ქვეყნის ფეოდალური ორგანიზაცია — ასეთი იყო ყოველი ცალკეული ხელობის მუშაკთა ამქრებად გაერთიანების მიზეზები. საჭირო არ არის აქ დაწვრილებით შევჩერდეთ ამქრული წყობილების იმ სახეცვლილებებზე, რაც შემდგომი

ისტორიული განვითარებით იყო გამოწვეული. მთელი საუკუნეების განმავლობაში განუწყვეტლად გრძელდებოდა ყმების გაქცევა ქალაქებში. ეს ყმები, რომელთაც სოფლებში თავიანთი ბატონები სდევნიდნენ, სათითაოდ ჩადიოდნენ ქალაქებში, სადაც ისინი პოულობდნენ ორგანიზებულ თემს, რომლის მიმართაც ისინი უმწეონი იყვნენ და რომლის ჩარჩობებშიც ისინი იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ იმ თავიანთ მდგომარეობას, რომელიც განისაზღვრებოდა მათი შრომის მოთხოვნილებითა და მათი ორგანიზებული ქალაქელი კონკურენტების ინტერესებით. სათითაოდ ქალაქში მიმავალ ამ მუშაკებს არასოდეს არ შეეძლოთ გამხდარიყვნენ ძალა, რადგან იმ შემთხვევაში, როცა მათი შრომა ამქრულ ხასიათს ატარებდა და შესწავლას მოითხოვდა, საამქროს ოსტატები იმორჩილებდნენ მათ და თავიანთი საკუთარი ინტერესების შესაბამისად ახდენდნენ მათს ორგანიზებას; ხოლო, თუ ეს შრომა შესწავლას არ მოითხოვდა და ამიტომ ატარებდა არა ამქრული, არამედ დღიური სამუშაოს ხასიათს, მაშინ მუშაკებს არ შეეძლოთ ორგანიზებულად დარაზმვა და სამუდამოდ რჩებოდნენ არაორგანიზებულ პლებეებად. იმ გარემოებას, რომ ქალაქებს დღიური მუშების შრომა სჭირდებოდათ, შექმნა პლებსი.

ეს ქალაქები იყო ნამდვილი «კავშირები»²⁴, შექმნილი უშუალო [43] მოთხოვნილებებით, საკუთრების დაცვაზე ზრუნვით და მისწრაფებით — გაემრავლებინათ ცალკეულ წევრთა კუთვნილი წარმოებისა და თავდაცვის საშუალებანი. პლებსი ამ ქალაქებში სრულიად უძლური იყო იმის გამო, რომ იგი შედგებოდა ერთიმეორისადმი უცხო, იქ სათითაოდ მისული ინდივიდებისაგან, რომლებიც არაორგანიზებულად უპირისპირდებოდნენ ორგანიზებულ, მხედრულად აღჭურვილ და ეჭვინაღ მათ თვალყურმადევარ ძალას. ქარგლები და შევირდები ორგანიზებულნი იყვნენ ყოველ ხელობაში ისე, როგორც ეს საუკეთესოდ შეესაბამებოდა ოსტატთა ინტერესებს; პატრიარქალური ურთიერთობანი მათსა და ოსტატებს შორის ორმაგ ძალას ანიჭებდა ამ უკანასკნელთ: ჯერ ერთი, ოსტატები უშუალო გავლენას ახდენდნენ ქარგალთა მთელ ცხოვრებაზე,



მეორე კი, ქარგალთა მუშაობა ერთსა და იმავე ოსტატთან იყო ნამდვილი კავშირი, რომელიც აერთიანებდა მათ სხვა ოსტატების ქარგალთა წინააღმდეგ და განაცალკევებდა მათ ამ უკანასკნელთაგან; დასასრულ, ქარგლები შეგუებულნი იყვნენ არსებულ წყობილებასთან უკვე იმის გამო, რომ მათ აინტერესებდათ თვითონ გამხდარიყვნენ ოსტატები. ამიტომ თუ პლებეები ზოგჯერ ამბოხებებს აწყობდნენ კიდევ მთელი ამ ქალაქური წყობილების წინააღმდეგ, — ამბოხებებს, რომელნიც, სხვათა შორის, ამ პლებეების უძლურების გამო ვერავეითარ შედეგს ვერ აღწევდნენ, — ქარგლები კმაყოფილდებოდნენ ცალკეულ საამქროთა ფარგლებში მცირე შეტაკებებით, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული თვით ამქრული წყობილების არსებობასთან. შუა საუკუნეების ყველა დიდი აჯანყება მომდინარეობდა სოფლიდან, მაგრამ ეს აჯანყებანიც, დაქუცმაცებულობისა და ამასთან დაკავშირებული გლეხთა უკიდურესი ჩამორჩენილობის გამო, ასევე სრულიად უშედეგონი რჩებოდნენ.

კაპიტალი ამ ქალაქებში ბუნებრივად შექმნილი კაპიტალი იყო; იგი შედგებოდა ბინისაგან, სახელოსნო ინსტრუმენტებისაგან და ბუნებრივად შექმნილი, მემკვიდრეობითი კლიენტურისაგან; განუვითარებელი აღებმიცემობისა და არასაკმარის მიმოქცევის გამო კაპიტალი მოკლებული იყო რეალიზაციის შესაძლებლობას და ამიტომ მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. ეს კაპიტალი, თანამედროვე კაპიტალისაგან განსხვავებით, არ იყო ფულით შესაფასებელი კაპიტალი — უკანასკნელ შემთხვევაში სულ ერთია, თუ რომელ ნივთშია იგი სახელდობრ მოთავსებული, — არამედ იგი უშუალოდ დაკავშირებული იყო მფლობელის სავსებით გარკვეულ შრომასთან, სრულიად განუშორებელი შრომის ამ სახეობისაგან და ამ აზრით წოდებრივ კაპიტალს წარმოადგენდა.

შრომის დანაწილება ქალაქებში [44] ცალკეულ საამქროებს შორის ჯერ კიდევ [სავსებით პრიმიტიული]* იყო, თვით საამქროების შიგნით კი ცალკეულ მუშაკებს შორის სრული-

* ხელნაწერი დაზიანებულია. რ ე დ.

ადაც არ ტარდებოდა იგი. ყოველ მუშაკს უნდა სცოდნოდეს მთელი რიგი სამუშაოები, უნდა ჰქონოდა ყველაფრის გაკეთების უნარი, რის გაკეთებაც კი მისი იარაღების საშუალებით შეიძლებოდა; შეზღუდული აღებმიცემობა და ცალკეული ქალაქების სუსტი კავშირი ერთმანეთს შორის, მოსახლეობის მცირერიცხოვნობა და მოთხოვნილებათა შეზღუდულობა ხელს უშლიდნენ შრომის შემდგომ დანაწილებას, და ამიტომ ყოველი ადამიანი, ვისაც ოსტატად გახდომა სურდა, უნდა დაუფლებოდა თავის ხელობას მთელი მისი მოცულობით. აი რატომაა, რომ შუა საუკუნეების ხელოსნებში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ინტერესი თავიანთი სპეციალური სამუშაოსადმი და ამ უკანასკნელის მარჯვე შესრულებისადმი, ინტერესი, რომელიც შეიძლებოდა ერთგვარი შეზღუდული მხატვრული გემოვნების დონემდე ამაღლებულიყო. მაგრამ ამავე მიზეზით შუა საუკუნეების ყოველი ხელოსანი მთელი თავისი არსებით გატაცებული იყო თავისი სამუშაოთი, მონური თავდადებით ეკიდებოდა მას და გაცილებით უფრო მეტად ექვემდებარებოდა მას, ვიდრე თანამედროვე მუშა, რომელიც თავის სამუშაოს გულგრილად ეკიდება.

[მ. შრომის შემდგომი დანაწილება. ვაჭრობის განცალკევება მრეწველობისაგან. შრომის დანაწილება სხვადასხვა ქალაქებს შორის. მანუფაქტურა]

შემდგომი ვაჭართობა, რაც შრომის დანაწილებამ მიიღო, ეს იყო აღებმიცემობის გამოყოფა წარმოებისაგან, ვაჭართა განსაკუთრებული კლასის წარმოქმნა, — გამოყოფა, რომელიც მემკვიდრეობით იყო გადმოსული ისტორიული წარსულიდან შემონახულ ქალაქებში (სხვათა შორის, ებრაელთა მოსახლეობით) და სულ მალე გაჩნდა ახლად წარმოქმნილ ქალაქებშიც. ამით იქმნებოდა შესაძლებლობა სავაჭრო კავშირისა, რომელიც უახლოეს გარემოს საზღვრებს სცილდებოდა, — შესაძლებლობა, რომლის განხორციელებაც დამოკიდებული იყო არსებულ სამიმოსვლო საშუალებებზე, გზებზე საზოგადოებრივი უშიშროების მდგომარეობაზე, რაც გაპირობებუ-



ლი იყო პოლიტიკური ურთიერთობით (როგორც ცნობილია მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ვაჭრები შეიარაღებული ქარავნებით მიმოდიოდნენ) და აღებმიცემობისათვის მისაწვდომი ტერიტორიის იმ მოთხოვნილებათა მეტად თუ ნაკლებად განვითარებაზე, რაც გაპირობებული იყო კულტურის სათანადო საფეხურით.

განსაკუთრებული კლასის ხელში აღებმიცემობის კონცენტრაციასთან და იმ გაფართოებასთან ერთად, რაც — ვაჭრების მეოხებით — ქალაქის უახლოესი მიდამოების საზღვრებს გაცილებულმა ვაჭრობამ მიიღო, მაშინვე ჩნდება ურთიერთქმედებაც წარმოებასა და აღებმიცემობას შორის. ქალაქები შედიან ერთმანეთთან კავშირში, ერთი ქალაქიდან მეორეში გადააქვთ შრომის ახალი იარაღები, დაყოფა კი წარმოებასა და აღებმიცემობას შორის მალე ქმნის წარმოების ახალ დაყოფას [45] ცალკეულ ქალაქებს შორის, და ამ უკანასკნელთაგან თვითეულში მალე გაბატონებული სდება მრეწველობის რომელიმე განსაკუთრებული დარგი. თანდათანობით ქრება თავდაპირველი ადგილობრივი შეზღუდულობა.

მხოლოდ აღებმიცემობის გაფართოებაზეა დამოკიდებული, იკარგება — თუ არა — შემდგომი განვითარებისათვის ამა თუ იმ ადგილას შექმნილი მწარმოებლური ძალები, განსაკუთრებით გამოგონებანი. სანამ აღებმიცემობა უშუალო მეზობლობით შემოიფარგლება, ყოველი გამოგონება ყოველ ცალკეულ ადგილას ახლად უნდა მოხდეს; საკმარისია უბრალო შემთხვევითობანი, როგორც, მაგალითად, ბარბაროსული ხალხების შესევა ანდა ჩვეულებრივი ომებიც კი, რათა განვითარებული მწარმოებლური ძალებისა და მოთხოვნილებების მქონე რომელიმე ქვეყანა იქამდე მივიდეს, რომ აუცილებლად ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ისტორიული განვითარების პირველ საფეხურებზე ყოველი გამოგონება ყოველდღიურად უნდა მომხდარიყო ხელახლა და ყოველ ადგილას სხვა ადგილებისაგან დამოუკიდებლად. თუ როგორ ნაკლებად იყვნენ გარანტირებულნი სრული დაღუპვისაგან განვითარებული მწარმოებლური ძალები, შედარებით ძლიერ ფართო ვაჭრო-

ბის დროსაც კი, ამას გვიჩვენებს ფინიკიელების მაგალითი*, რომელთა გამოგონებებიდან უმრავლესობა დიდი ხნით დაიკარგა ვაჭრობიდან ამ ერის გაძევების, ალექსანდრეს მიერ მისი დაპყრობისა და აქედან გამომდინარე მისი დაქვეითების შედეგად. მეორე მაგალითი ეს არის მინაზე შუასაუკუნეული ფერწერის ბედი. მხოლოდ მაშინ, როცა აღებმიცემობა მსოფლიო ხასიათს იძენს და მსხვილ მრეწველობას ემყარება, როცა ყველა ერი საკონკურენციო ბრძოლაში ებმება, მხოლოდ მაშინ ხდება უზრუნველყოფილი შექმნილი მწარმოებლური ძალების შენარჩუნება.

სხვადასხვა ქალაქებს შორის შრომის დანაწილების უახლოესი შედეგი იყო წარმოშობა მანუფაქტურისა, მრეწველობის ისეთი დარგებისა, რომლებიც ველარ თავსდებოდნენ ამქრული წყობილების ჩარჩოებში. მანუფაქტურათა პირველი აყვავების — იტალიაში, უფრო მოგვიანებით კი ფლანდრიაში — ისტორიული წანამძღვარი იყო აღებმიცემობა უცხოურ ქვეყნებთან. სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ინგლისსა და საფრანგეთში, მანუფაქტურა თავდაპირველად შინაბაზრით შემოიფარგლებოდა. გარდა აღნიშნული წანამძღვრებისა, მანუფაქტურათა წარმოშობა გაპირობებული იყო აგრეთვე იმით, რომ გაიზარდა კონცენტრაცია მოსახლეობისა, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობისა, და კაპიტალისა, რომელიც გროვდებოდა ცალკეულ პირთა ხელში — ნაწილობრივ საამქროებში, მიუხედავად საამქრო კანონებისა, ნაწილობრივ კი ვაჭრებთან.

[46] შრომის იმ სახეობამ, რომელიც იმთავითვე დაკავშირებული იყო მანქანასთან, თუნდაც ჯერ კიდევ ყველაზე პრიმიტიულთან, სულ მალე განვითარების უდიდესი უნარი გამოიჩინა. ქსოვა, რასაც მანამდე გლეხები სხვათა შორის მისდევდნენ, რათა თავისთვის აუცილებელი ტანსაცმელი დაემზადებინათ, შრომის პირველი სახეობა იყო, რომელმაც აღებმიცემობის გაფართოების მეოხებით შემდგომი განვითარების ზიძ-

* მარქსის კიდურშენიშვნა: «და ფერწერა მინაზე შუა საუკუნეებში».
რ ე დ.

გი მიიღო. ქსოვა მანუფაქტურათაგან პირველი იყო და გან მთავარი რჩებოდა. მოსახლეობის ზრდასთან ერთად ტანსაცმლისათვის საჭირო ქსოვილის გაზრდილმა მოთხოვნამ; ბუნებრივად შექმნილი კაპიტალის დაგროვებამ და მობილიზაციამ, რაც აჩქარებული მიმოქცევის მეშვეობით დაიწყო; ამით წარმოშობილმა ფუფუნების საგნების მოთხოვნილებამ, რასაც სტიმული მისცა თანდათანობით გაფართოებულმა აღებ-მიცემობამ, — ყოველივე ამან ბიძგი მისცა ქსოვის რაოდენობრივსა და ხარისხობრივ განვითარებას, გაათავისუფლა ეს ქსოვა წარმოების წინანდელი ფორმის ჩარჩოებისაგან. საკუთარი მოხმარებისათვის მქსოველი გლეხების გვერდით, რომლებიც განაგრძობდნენ — და ახლაც განაგრძობენ — ამ საქმეს, ქალაქებში გაჩნდა ახალი კლასი მქსოველებისა, რომელთა ქსოვილებიც განკუთვნილი იყო მთელი შინაბაზრისათვის, მეტწილად კი აგრეთვე გარეზღობებისთვისაც.

ქსოვა — შრომის ეს სახესხვაობა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არ მოითხოვს დიდ დახელოვნებას და სულ მალე აურაცხელ დარგებად იყოფა, — მთელი თავისი შინაგანი ბუნების მიხედვით ეწინააღმდეგებოდა ამქრული წყობილების ბორკილებს. ამიტომ ქსოვას მისდევდნენ მეტწილად ამქრული ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ, სოფლებსა და დაბებში, რომლებიც თანდათან გადაიქცნენ ქალაქებად, თანაც მალე ყოველი ქვეყნის ყველაზე აყვავებულ ქალაქებად.

ამქრული ხუნდებისაგან თავისუფალი მანუფაქტურის წარმოშობასთან ერთად უცბად შეიცვალა საკუთრების ურთიერთობანიც. პირველი წინგადადგმული ნაბიჯი ბუნებრივად შექმნილი წოდებრივი კაპიტალიდან გაპირობებული იყო ვაჭრების გაჩენით, რომელთა კაპიტალიც იმთავითვე მოძრავი კაპიტალი იყო, კაპიტალი სიტყვის თანამედროვე აზრით — იმდენად, რამდენადაც ამაზე ლაპარაკი შეიძლება მაშინდელ ურთიერთობებთან შეფარდებით. მეორე ნაბიჯი წინ — ეს იყო წარმოქმნა მანუფაქტურისა, რომელმაც, თავის მხრივ, ბუნებრივად შექმნილი კაპიტალის მასის მობილიზაცია მოახდინა და საერთოდ გაადიდა მოძრავი კაპიტალის რაოდენობა ბუნებრივად შექმნილი კაპიტალის რაოდენობასთან შედარებით.

ამასთანავე მანუფაქტურა გახდა თავშესაფარი გლეხებისათვის მათი არ მიმღები ანდა ცუდად ამნაზღაურებელი სამქროების წინააღმდეგ, მსგავსად იმისა, როგორც წინათ სამქრო ქალაქები გლეხებისათვის წარმოადგენდნენ თავშესაფარს [47] [მათი შემავიწროებელი თავადაზნაურობის წინააღმდეგ]*.

მანუფაქტურის წარმოშობასთან ერთად იმავდროულად დაიწყო მაწანწალობის პერიოდი, რაც გამოწვეული იყო ფეოდალური რაზმების გაუქმებით, ჯარების დაშლით, რომლებიც შედგენილი იყვნენ ყოველგვარი ვიგინდარებისაგან და მეფეებს ემსახურებოდნენ მათი ვასალების წინააღმდეგ, მიწათმოქმედების გაუმჯობესებით და სახნავი მიწის უდიდესი ფართობების საძოვრებად გადაქცევით. უკვე აქედან ნათელია, რომ ეს მაწანწალობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეოდალიზმის დაშლასთან. უკვე XIII საუკუნეში იყო მსგავსი მაწანწალობის ცალკეული პერიოდები, მაგრამ საყოველთაო და ხანგრძლივი მოვლენა ხდება იგი მხოლოდ XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში. ეს მაწანწალები, რომელნიც ისე ბევრნი იყვნენ, რომ მარტო ინგლისელი მეფის ჰენრი VIII-ის ბრძანებით 72000 კაცი იქნა ჩამოხრჩობილი, იძულებულნი ხდებოდნენ მუშაობა დაეწყოთ მხოლოდ დიდი ვაი-ვაგლახით, მას შემდეგ, რაც ისინი უკიდურეს გაჭირვებაში ვარდებოდნენ, და თანაც საჭირო ხდებოდა კიდევ მათი მეტად შეუბოვარი წინააღმდეგობის გადალახვა. მანუფაქტურის სწრაფმა აყვავებამ, განსაკუთრებით ინგლისში, თანდათანობით შთანთქა ისინი.

მანუფაქტურის გაჩენასთან ერთად სხვადასხვა ერებს შორის ჩაღდება კონკურენცია, ისინი იწყებენ სავაჭრო ბრძოლას, რასაც ომების, მფარველობითი ბაჟებისა და აკრძალვითი სისტემების საშუალებით ეწევიან, მაშინ როდესაც წინათ ხალხები, როცა ისინი ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებდნენ, მშვიდობიან გაცვლას ეწეოდნენ ურთიერთ შორის. ვაჭრობას ამიერიდან პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

* ხელნაწერი დაზიანებულია. რ ე დ.

მანუფაქტურის წარმოქმნასთან ერთად იცვლება მუშის მოკიდებულებაც სამუშაოს მიმცემთან. საამქროებში ქარგლებსა და ოსტატებს შორის არსებობდა პატრიარქალური ურთიერთობა; მანუფაქტურაში კი ეს ურთიერთობა შეცვალა ფულადმა ურთიერთობამ მუშებსა და კაპიტალისტს შორის; თუ სოფლებსა და პატარა ქალაქებში ეს ურთიერთობა პატრიარქალურ ელფერს ატარებდა, დიდ, ნამდვილ მანუფაქტურულ ქალაქებში ამ ელფერიდან უკვე ადრინდელ პერიოდში თითქმის არავითარი ნიშანკვალი არ დარჩენილა.

მანუფაქტურამ და საერთოდ წარმოების მთელმა განვითარებამ უდიდეს აღმავლობას მიაღწია აღებმცემობის იმ გაფართოების მეოხებით, რაც გამოწვეული იყო ამერიკისა და ოსტ-ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზის აღმოჩენით. იქიდან შემოზიდული ახალი პროდუქტები, განსაკუთრებით მიმოქცევაში შესული უამრავი ოქრო და ვერცხლი, რამაც რადიკალურად შეუცვალა სახე კლასების ურთიერთდამოკიდებულებას და სასტიკი ლახვარი ჩასცა ფეოდალურ მიწის საკუთრებას და მშრომელებს, ავანტიურისტული ლაშქრობანი, კოლონიზაცია და, უწინარეს ყოვლისა, ბაზრების მსოფლიო ბაზრის მასშტაბამდე გაფართოება, რაც ახლა შესაძლებელი გახდა და დღითი დღე სულ უფრო დიდი მოცულობით წარმოებს — ყოველივე ამან ისტორიული განვითარების ახალი ფაზა [48] წარმოშვა, რომლის ზოგად დახასიათებაზეც უფრო მეტ ხანს შეჩერება ჩვენ აქ არ გვჭირდება. ახალ-აღმოჩენილი მიწების კოლონიზაციის შედეგად ერების სავაჭრო ბრძოლამ ერთიმეორესთან მიიღო ახალი საზრდო, ამით კი — უფრო ფართო მასშტაბიც და უფრო სასტიკი ხასიათიც.

ვაჭრობისა და მანუფაქტურის გაფართოებამ დააჩქარა მოძრავი კაპიტალის დაგროვება, მაშინ როდესაც საამქროებში, რომელთაც არავითარი სტიმული წარმოების გაფართოებისათვის არ მიუღიათ, ბუნებრივად შექმნილი კაპიტალი უცვლელი რჩებოდა ანდა კლებულობდა კიდევ. ვაჭრობამ და მანუფაქტურამ შექმნეს მსხვილი ბურჟუაზია; საამქროებში კი თავი მოიყარა წვრილმა ბურჟუაზიამ, რომელიც ახლა უკვე



აღარ ბატონობდა უწინდებურად ქალაქებში და იძულებული გახდა ქედი მოეხარა მსხვილი ვაჭრებისა და მანუფაქტურისა* ბატონობის წინაშე. აქედან წარმოსდგება საამქროთა დაქვეითება მანუფაქტურასთან მათი პირველი შეხებისთანავე.

იმ ეპოქაში, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, ერებს შორის მათს აღებმიცემობაში დამყარებული ურთიერთობა ორ განსხვავებულ ფორმას ღებულობს. დასაწყისში ოქროსა და ვერცხლის იმ მცირე რაოდენობამ, რომელიც მიმოქცევაში იმყოფებოდა, გამოიწვია ამ ლითონების გატანის აკრძალვა; მეორე მხრივ, მრეწველობას, რომელიც აუცილებელი გახდა იმისათვის, რათა ქალაქის მზარდი მოსახლეობისათვის სამუშაო მიეცა, და რომელიც მეტწილად იმპორტირებული იყო საზღვარგარეთიდან, არ შეეძლო იოლად წასვლა უპრივილეგიებოდ, რომელნიც, რა თქმა უნდა, შეიძლება მიმართული ყოფილიყვნენ არა მარტო საშინაო, არამედ უმთავრესად საგარეო კონკურენციის წინააღმდეგ. ამ თავდაპირველ აკრძალვათა მეშვეობით ადგილობრივი ამქრული პრივილეგიები მთელ ერზე გავრცელდა. ბაჟები წარმოიშვა იმ ხარკებიდან, რომელთაც ფეოდალები ახდევინებდნენ მათს ადგილ-მამულებზე გამვლელ ვაჭრებს, ამ გზით რომ გაძარცვისაგან თავს გამოისყიდნენ ხოლმე, ხარკებიდან, რომელთაც შემდეგში ქალაქებიც ახდევინებდნენ და რომელნიც თანამედროვე სახელმწიფოების წარმოშობისას ხაზინისათვის ფულის შოვნის ყველაზე მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენდნენ. ევროპის ბაზრებზე ამერიკული ოქროსა და ვერცხლის გამოჩენამ, მრეწველობის თანდათანობითმა განვითარებამ, ვაჭრობის სწრაფმა აღმავლობამ და ამით გამოწვეულმა არაამქრული ბურჟუაზიის აყვავებამ და ფულის გავრცელებამ — ყოველივე ამან აღნიშნულ ღონისძიებებს სხვა მნიშვნელობა მიახიჭა. სახელმწიფო, რომელსაც დღითი დღე სულ უფრო ესაჭიროებოდა ფული, ძალაში ტოვებდა ახლაც ფისკალური მოსახ-

* მარქსის კიდურშენიშვნა: «წვრილი ბურჟუაზია, საშუალო წოდება, მსხვილი ბურჟუაზია». რ ე დ.



რებებით ოქროსა და ვერცხლის გატანის აკრძალვას; ბუტყულები, რომლებსთვისაც ბაზარზე ეს ახლად გადასროლნი ფულადი მასები სპეკულაციის მთავარი საგანი გახდა, ამით სავსებით კმაყოფილნი იყვნენ; წინანდელი პრივილეგიები მთავრობისათვის შემოსავლის წყაროდ იქცა და ფულზე იყიდებოდა; საბაჟო კანონმდებლობაში გაჩნდა გატანის ბაჟები, რომელნიც მხოლოდ აფერხებდნენ მრეწველობის განვითარებას [49] და რომელთაც წმინდა ფისკალური მიზნები ჰქონდათ.

მეორე პერიოდი დაიწყო XVII საუკუნის შუა ხანიდან და თითქმის XVIII საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა. ვაჭრობა და ნაოსნობა უფრო სწრაფად ფართოვდებოდა, ვიდრე მანუფაქტურა, რომელიც მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა; კოლონიებმა იწყეს მსხვილ მომხმარებელთა მნიშვნელობის მოპოვება; ცალკეული ერები ხანგრძლივ ბრძოლებში ერთმანეთს შორის იყოფდნენ გახსნილ მსოფლიო ბაზარს. ეს პერიოდი იწყება კანონებით ზღვაოსნობის შესახებ და კოლონიური მონოპოლიებით. კონკურენცია ერებს შორის თავიდან აცილებული ხდებოდა, შეძლებისამებრ, ტარიფების, აკრძალვების, ხელშეკრულებების მეოხებით; საბოლოო ანგარიშით კი კონკურენტების ბრძოლა წარმოებდა და გადაწყვეტას პოულობდა ომების (განსაკუთრებით საზღვაო ომების) საშუალებით. ყველაზე მძლავრმა საზღვაო-სახელმწიფომ, ინგლისმა, უპირატესი მდგომარეობა დაიკავა ვაჭრობასა და მანუფაქტურაში. აქ უკვე ადგილი აქვს ამ უკანასკნელთა კონცენტრაციას ერთ ქვეყანაში.

მანუფაქტურა მუდამ ყოველნაირად დაცული იყო მფარველობითი ბაჟებით შინაბაზარზე, მონოპოლიებით კოლონიურ ბაზარზე და დიფერენციული ბაჟებით გარებაზარზე. წახალისება ეძლეოდა მოცემულ ქვეყანაში წარმოებული ნედლეულის დამუშავებას (მატყლი და სელი ინგლისში, აბრეშუმი საფრანგეთში), იკრძალებოდა მოცემულ ქვეყანაში წარმოებული ნედლეულის საზღვარგარეთ გატანა (მატყლი ინგლისში) და უგულვებლყოფილი რჩებოდა, ანდა სულაც იკრძალებოდა იმპორტირებული ნედლეულის გატანა (ბამბა

ინგლისში). ერი, რომელიც საზღვაო ვაჭრობაში გაბატონებული იყო და რომელსაც ყველაზე დიდი კოლონიური სიძლიერე ჰქონდა, უზრუნველყოფდა თავისთვის, რა თქმა უნდა, მანუფაქტურის ყველაზე მაღალ—როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად—განვითარებას. მანუფაქტურას საერთოდ არ შეეძლო იოლად წასვლა დაცვის გარეშე, ვინაიდან საკმარისი იყო მცირეოდენი ცვლილება მომხდარიყო სხვა ქვეყნებში და იგი დაკარგავდა თავის ბაზარს და განადგურდებოდა; რამდენიმედ ხელსაყრელ პირობებში მისი შემოღება რომელიმე ქვეყანაში ადვილი იყო, მაგრამ სწორედ ამიტომ ადვილი იყო მისი დანგრევა. ამასთანავე იმ მეთოდების მეოხებით, რომლებითაც იგი ხორციელდებოდა, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში სოფლად, იგი ისე შეეზარდა ადამიანთა უდიდესი მასის საარსებო პირობებს, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ ბედავს საფრთხეში ჩააგდოს მანუფაქტურის არსებობა თავისუფალი კონკურენციის დაშვების გზით. ამიტომ მანუფაქტურა, რამდენადაც იგი თავისი პროდუქტების გაზიდვას ახერხებს, მთლიანად დამოკიდებულია ვაჭრობის გაფართოებასა თუ შეზღუდვაზე და, თავის მხრივ, შედარებით უმნიშვნელო უკუგავლენას ახდენს მასზე. ამით არის გაპირობებული მისი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა და ასევე ვაჭრების გავლენაც XVIII საუკუნეში. [50] სწორედ ვაჭრები, და განსაკუთრებით გემთა პატრონები, ყველაზე უფრო დაჟინებით მოითხოვდნენ სახელმწიფოებრივ დაცვას და მონოპოლიებს; მართალია, მანუფაქტურათა მფლობელებიც მოითხოვდნენ — და აღწევდნენ კიდევ — დაცვას, მაგრამ პოლიტიკური მნიშვნელობის აზრით ისინი მუდამ ჩამორჩებოდნენ ვაჭრებს. სავაჭრო ქალაქებმა, განსაკუთრებით ზღვისპირა ქალაქებმა, გარკვეულ ცივილიზებულობას მიაღწიეს და მსხვილბურჟუაზიული ხასიათი მიიღეს, მაშინ როდესაც საფაბრიკო ქალაქებში ბატონობას განაგრძობდა წვრილბურჟუაზიული სტიქია. შეად. ეიკინი და ა. შ. ²⁵. XVIII საუკუნე ვაჭრობის საუკუნე იყო. პინტო ამაზე სრულიად გარკვევით ლაპარაკობს: «ვაჭრობა — ეს ჩვენი საუკუნის აჩემებული საგანია»; და კიდევ: «გარკვეული დროი-

დანაა, რაც ვაჭრობის, ზღვაოსნობის, ფლოტის შესახებ ლა-
პარაკობენ»²⁶.



თუმცა კაპიტალის მოძრაობა მნიშვნელოვნად აჩქარდა, იგი მაინც შედარებით ნელი რჩებოდა. მსოფლიო ბაზრის დაქუც-
მაცებულობა ცალკეულ ნაწილებად, რომელთაგანაც თვითე-
ულს ექსპლოატაციას უწევდა განსაკუთრებული ერი, ერებს
შორის კონკურენციის მოსპობა, მოუქნელობა თვით წარმო-
ებისა და განუვითარებლობა ფულადი სისტემისა, რომელიც
განვითარების ჯერ მხოლოდ პირველ საფეხურებს გადიოდა,—
ყოველივე ეს ძლიერ აფერხებდა მიმოქცევას. ამის შედეგი
იყო წვრილმანი, ბინძური ვაჭრული სული, რაც ყველა მა-
შინდელ ვაჭარსა და ვაჭრობის ყველა მეთოდს ახასიათებდა.
შედარებით მანუფაქტურათა მფლობელებთან, და მით უმე-
ტეს ხელოსნებთან, ვაჭრები იყვნენ, რა თქმა უნდა, მსხვილი
ბიურგერები — ბურჟუები, მაგრამ შედარებით შემდგომი პე-
რიოდის ვაჭრებთან და მრეწველებთან ისინი რჩებოდნენ
წვრილ ბიურგერებად. შეად. ა. სმიტი²⁷.

ამ პერიოდის დამახასიათებელია აგრეთვე ოქროსა და
ვერცხლის გატანის აკრძალვა, ფულით ვაჭრობის, ბანკების,
სახელმწიფო ვალების, ქალაქის ფულის წარმოქმნა, აქციე-
ბითა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციის,
ყველა საგანზე გავრცელებული საბირჟო თამაშის გაჩენა; მისი
დამახასიათებელია საერთოდ ფულადი სისტემის განვითარება.
კაპიტალმა დაკარგა კვლავ მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი
თავდაპირველი ნატურალური ხასიათისა, რომელიც ჯერ კი-
დეც მისთვის რამდენადღე დამახასიათებელი იყო.

[4. შრომის ყველაზე ფართო დანაწილება. მსხვილი მრეწველობა]

ერთ ქვეყანაში — ინგლისში — ვაჭრობისა და მანუფაქ-
ტურის კონცენტრაციამ, რომელიც XVII საუკუნეში შეუღი-
რებლად ვითარდებოდა, თანდათანობით შექმნა ამ ქვეყნისა-
თვის შეფარდებითი მსოფლიო ბაზარი და ამით — ისეთი მო-
თხოვნა მისი მანუფაქტურული პროდუქტებისა, რომლის



დაკმაყოფილებაც უკვე აღარ შეიძლებოდა წინანდელ მსხვილ მრეწველო მწარმოებლური ძალების საშუალებით. ეს მოთხოვნა, რომელმაც მწარმოებლურ ძალებს ზრდაში გაასწრო, იყო სწორედ ის მამოძრავებელი ძალა, რამაც გამოიწვია მესამე [51] — შუა საუკუნეების დროიდან — პერიოდი კერძო საკუთრების განვითარებაში, წარმოშვა რა მსხვილი მრეწველობა — ბუნების ძალების გამოყენება სამრეწველო მიზნებისათვის, მანქანური წარმოება და შრომის ყველაზე ფართო დანაწილება. ამ ახალი ფაზის დანარჩენი პირობები — კონკურენციის თავისუფლება ერის ფარგლებში, თეორიული მექანიკის შექმნა (მექანიკა, რომელმაც თავისი დასრულება ნიუტონთან პოვა, საერთოდ XVIII საუკუნეში საფრანგეთსა და ინგლისში ყველაზე პოპულარული მეცნიერება იყო) და ა. შ. — უკვე არსებობდა ინგლისში. (ქვეყნის შიგნით კონკურენციის თავისუფლების მოპოვება ყველგან რევოლუციის დახმარებით ხდებოდა — 1640 და 1688 წლებში ინგლისში, 1789 წელს საფრანგეთში.)

კონკურენციამ მალე აიძულა ყოველი ქვეყანა, რომელსაც თავისი ისტორიული როლის დაკარგვა არ სურდა, საკუთარი მანუფაქტურის დასაცავად მიემართა ახალი საბაჟო ღონისძიებებისათვის (წინანდელი ბაჟები უკვე აღარ ვარგოდა მსხვილ მრეწველობასთან საბრძოლველად) და შემოეღო ამის შემდეგ მსხვილი მრეწველობა და დაეცვა იგი მფარველობითი ბაჟებით. მიუხედავად ამ დამცველი ღონისძიებებისა, მსხვილმა მრეწველობამ კონკურენცია გახადა უნივერსალური (იგი წარმოადგენს ვაჭრობის პრაქტიკულ თავისუფლებას; მფარველობითი ბაჟები მათში მხოლოდ პალიატივია, თავდაცვითი იარაღია ვაჭრობის თავისუფლების ფარგლებში), შექმნა მიმოსვლის საშუალებანი და თანამედროვე მსოფლიო ბაზარი, დაიმორჩილა ვაჭრობა, გადააქცია მთელი კაპიტალი სამრეწველო კაპიტალად და ამით წარმოშვა სწრაფი მიმოქცევა (განვითარებული ფულადი სისტემა) და ცენტრალიზაცია კაპიტალებისა. უნივერსალური კონკურენციის მეოხებით მან ყველა ინდივიდი დააყენა მთელი თავიანთი ენერჯის უკიდურესი დაძაბვის აუცილებლობის წინაშე. სადაც კი შეეძლო,

მან მოსპო იდეოლოგია, რელიგია, მორალი და ა. შ., ხელნაწილები
იქ, სადაც მან ამის მიღწევა ვერ მოახერხა, ისინი აშკარა სიც-
რუედ გადააქცია. მან პირველად შექმნა მსოფლიო ისტორია,
რამდენადაც ყოველი ცივილიზებული ქვეყნისა და მისი ყო-
ველი ინდივიდის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დამო-
კიდებული გახადა მთელს მსოფლიოზე და რამდენადაც ცალ-
კეული ქვეყნების წინანდელი, ბუნებრივად შექმნილი გან-
ცალკევებულობა მოსპო. მან ბუნებისმეცნიერება დაუქვემ-
დებარა კაპიტალს და შრომის დანაწილებას მისი ბუნებრივი
ხასიათის უკანასკნელი ნიშანკვალი დაუკარგა. მან საერთოდ
მოსპო ყველა ბუნებრივად შექმნილი ურთიერთობა — რამდენ-
ადაც ეს შესაძლებელია შრომის ფარგლებში — და ისინი
ფულად ურთიერთობად გადააქცია. წინანდელი ბუნებრივად
აღმოცენებული ქალაქების ნაცვლად მან შექმნა თანამედროვე
მსხვილი სამრეწველო ქალაქები, რომლებიც ელვისებური
სისწრაფით იზრდებოდნენ. ყველგან, სადაც იგი შეიჭრებოდა,
იგი ანგრევდა ხელოსნობას და საერთოდ მრეწველობის ყვე-
ლა წინანდელ საფეხურს. მან დაამთავრა სავაჭრო ქალაქის
გამარჯვება სოფელზე. მისი [განმასხვავებელი ნიშანი]* ავტო-
მატური სისტემაა. (მისმა განვითარებამ)* წარმოშვა უამრავი
რაოდენობით მწარმოებლური ძალები, რომლებისთვისაც
კერძო საკუთრება ისეთივე ბორკილები გახდა, [52] რო-
გორიც იყო ამქრული წყობილება მანუფაქტურისათვის, ხო-
ლო წვრილი სოფლური მრეწველობა — განვითარების პრო-
ცესში მყოფი ხელოსნობისათვის. კერძო საკუთრების ბატო-
ნობის დროს ეს მწარმოებლური ძალები მხოლოდ ცალმხრივ
განვითარებას იღებენ და ადამიანთა უმრავლესობისათვის
გამანადგურებელ ძალებად იქცევიან, ამ მწარმოებლური ძა-
ლების დიდი რაოდენობა კი სულაც ვერ პოულობს გამოყე-
ნებას კერძო საკუთრების პირობებში. მსხვილმა მრეწველობამ
ყველგან შექმნა საერთოდ ერთნაირი ურთიერთობანი საზო-
გადოების კლასებს შორის და ამით მოსპო ცალკეულ ეროვ-

* ხელნაწერი დაზიანებულია. რ ე დ.



ნებათა თავისებურებანი. და ბოლოს, მაშინ როდესაც ყოველი
 ერის ბურჟუაზია ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ
 ბულ ეროვნულ ინტერესებს, მსხვილმა მრეწველობამ შექმნა
 კლასი, რომელსაც ყველა ერში ერთი და იგივე ინტერესები
 აქვს და რომლისთვისაც უკვე მოსპობილია ეროვნული გან-
 ცალკეობა, — კლასი, რომელიც ნამდვილად მოსწყდა
 მთელ ძველ სამყაროს და ამასთანავე უპირისპირდება მას.
 მსხვილი მრეწველობა აუტანელს ხდის მუშისათვის არა მარ-
 ტო მის დამოკიდებულებას კაპიტალისტთან, არამედ თვით
 შრომასაც.

რა თქმა უნდა, მსხვილი მრეწველობა მოცემული ქვეყნის
 ყველა ადგილას როდი აღწევს განვითარების ერთნაირ დო-
 ნეს. მაგრამ ეს ვერ აჩერებს პროლეტარიატის კლასობრივ
 მოძრაობას: პროლეტარების ის ფენა, რომელიც მსხვილმა
 მრეწველობამ წარმოშვა, ამ მოძრაობის სათავეში დგება და
 თან მიჰყავს მთელი დანარჩენი მასა, ხოლო მსხვილ მრეწვე-
 ლობაში ჩაუბმელი მუშები ამავე მსხვილი მრეწველობის მი-
 ზეზით კიდევ უფრო უარეს საარსებო მდგომარეობაში ვარ-
 დებიან, ვიდრე თვით ამ მსხვილ მრეწველობაში დასაქმებული
 მუშები. სავსებით ასევე ქვეყნები, სადაც მსხვილი მრეწვე-
 ლობა განვითარებულია, plus ou moins * ზეგავლენას ახდენენ
 არასამრეწველო ქვეყნებზე, რამდენადაც ეს უკანასკნელნი
 მსოფლიო ვაჭრობის მეოხებით ჩაბმული არიან საყოველთაო
 საკონკურენციო ბრძოლაში.

* * *

ეს სხვადასხვა ფორმები [წარმოებისა] წარმოადგენენ
 აგრეთვე შრომის ორგანიზაციის და ამით საკუთრების ფორ-
 მებსაც. ყოველ პერიოდში ადგილი ჰქონდა არსებული მწარ-
 მოებლური ძალების ამა თუ იმ გაერთიანებას, რამდენადაც
 ამ გაერთიანებას აუცილებელს ხდიდნენ მოთხოვნილებანი.

* — მეტ-ნაკლებად. რ ე დ.

[5. წინააღმდეგობა მწარმოებლურ ძალებსა და ურთიერთობის ფორმას შორის როგორც სოციალური რევოლუციის საფუძველი]

ის წინააღმდეგობა მწარმოებლურ ძალებსა და ურთიერთობის ფორმას შორის, რომელსაც, როგორც დავინახეთ, უკვე მრავალჯერ ჰქონდა ადგილი წინანდელ ისტორიაში, მაგრამ მის საფუძველებს არ დამუქრებია, — ყოველთვის უნდა აელვარებულებოდა ხოლმე რევოლუციის სახით, ამასთან იგი ღებულობდა სხვადასხვა თანაფორმებსაც — როგორც ერთობლიობა ყველა კოლიზიისა, როგორც კოლიზიები სხვადასხვა კლასებს შორის, როგორც წინააღმდეგობანი ცნობიერებისა, იდეური ბრძოლა და ა. შ., პოლიტიკური ბრძოლა და ა. შ. თუ შეზღუდული თვალსაზრისით შევხედავთ, შეიძლება გამოვყოთ ერთ-ერთი ამ თანაფორმებიდან და განვიხილოთ იგი როგორც ბაზისი ამ რევოლუციებისა; ამის გაკეთება მით უფრო ადვილია, რომ თვით ინდივიდები, რომლებიდანაც ეს რევოლუციები მომდინარეობდნენ, მათი კულტურული დონისა და ისტორიული განვითარების საფეხურის მიხედვით, თავიანთი საკუთარი მოქმედების შესახებ ყოველგვარ ილუზიებს ქმნიდნენ.

ამრიგად, ყველა ისტორიულ კოლიზიას, ჩვენი გაგების თანახმად, წარმოშობს წინააღმდეგობა მწარმოებლურ ძალებსა და ურთიერთობის ფორმას [53] შორის. თუმცადა რომელიმე ქვეყანაში კოლიზიათა წარმოქმნისათვის სრულიადაც არაა აუცილებელი, რომ სწორედ ამ ქვეყანაში ეს წინააღმდეგობა უკიდურესობამდე იყოს მიყვანილი. საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოებით გამოწვეული კონკურენცია მრეწველობის მხრივ უფრო განვითარებულ ქვეყნებთან საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ უფრო ნაკლებად განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებშიც წარმოიშვას მსგავსი წინააღმდეგობა (ასე, მაგალითად, ინგლისის მრეწველობის კონკურენციამ გამოავლინა გერმანიაში ფარული პროლეტარიატის არსებობა).



[6. ინდივიდთა კონკურენცია და კლასების ფორმირება. ინდივიდებსა და მათი სასიცოცხლო მოქმედების პირობებს შორის დაპირისპირებულობის განვითარება. ინდივიდთა მოჩვენებითი კოლექტიურობა ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში და ინდივიდთა ნამდვილი გაერთიანება კომუნისმის დროს. საზოგადოების სასიცოცხლო მოქმედების პირობების დაქვემდებარება გაერთიანებულ ინდივიდთა ძალაუფლებისადმი]

კონკურენცია განაცალკევებს ერთიმეორისაგან ინდივიდებს — არა მარტო ბურჟუებს, არამედ კიდევ უფრო მეტად პროლეტარებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მათ ერთმანეთს ახვედრებს. ამიტომ ცოტა დრო როდი გადის, ვიდრე ეს ინდივიდები გაერთიანებას მოახერხებენ, იმაზე რომ აღარა ვთქვათ რა, რომ ამ გაერთიანებისათვის, — თუ მას ბედად არ უწერია მხოლოდ ადგილობრივ გაერთიანებად დარჩენა, — მსხვილმა მრეწველობამ ჯერ უნდა შექმნას აუცილებელი საშუალებანი, სახელდობრ, მსხვილი სამრეწველო ქალაქები და იაფი და სწრაფი სამიმოსვლო საშუალებანი. ამიტომ მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შეიძლება დამარცხებულ იქნეს ყოველი ორგანიზებული ძალა, რომელიც უპირისპირდება იზოლირებულ და ისეთ პირობებში მცხოვრებ ინდივიდებს, რომელნიც ყოველდღიურად კვლავ წარმოქმნიან ამ იზოლირებულობას. საწინააღმდეგოს მოთხოვნა იქნებოდა იმის მოთხოვნა, რომ ამ გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში არ უნდა არსებობდეს კონკურენცია ანდა რომ ინდივიდებმა უნდა დაიეწყო ის ურთიერთობანი, რომელთაც ისინი თავიანთი იზოლირებულობის გამო ვერავითარ კონტროლს ვერ უწევენ.



საბინაო მშენებლობა. თავისთავად იგულისხმება, რომ ველურებში ყოველ ოჯახს აქვს თავისი საკუთარი გამოქვაბული ან ქოხი, ისევე როგორც მომთაბარებებს აქვთ ცალკეული კარავები. ეს განცალკევებული შინამეურნეობა კიდევ უფრო

აუცილებელი ხდება კერძო საკუთრების შემდგომი განვითარების გამო. მიწათმოქმედ ხალხებთან საერთო შინამეურნეობა ისევე შეუძლებელია, როგორც საერთო მიწათმოქმედება. დიდი ნაბიჯი იყო წინ ქალაქების მშენებლობა. მაგრამ ყველა წინანდელ პერიოდში განცალკევებული მეურნეობის მოსპობა, რაც განუყოფელია კერძო საკუთრების მოსპობისაგან, უკვე იმიტომ იყო შეუძლებელი, რომ ამისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა მატერიალური პირობები. შინამეურნეობის ორგანიზაცია გულისხმობს მანქანების განვითარებას, ბუნების ძალებისა და ბევრი სხვა მწარმოებლური ძალის გამოყენებას, მაგალითად, წყალსადენის, [54] გაზით განათების, ორთქლით ვათობის და სხვ. გამოყენებას, ქალაქისა და სოფლის [დაპირისპირებულობის] მოსპობას. ამ პირობების გარეშე თვით საერთო მეურნეობა ვერ გახდება, თავის მხრივ, ახალი მწარმოებლური ძალა, მოკლებული იქნება ყოველგვარ მატერიალურ ბაზისს, დაემყარება წმინდა თეორიულ საფუძველს, ე. ი. უბრალო უცნაურობა იქნება და მხოლოდ სამონასტრო მეურნეობამდე მიგვიყვანს. რაც შესაძლებელი აღმოჩნდა კიდევ — ეს იყო კონცენტრაცია ქალაქებში და საერთოდ შენობების აგება სხვადასხვა გარკვეული მიზნებისათვის (საპატიმრობები, ყაზარმები და ა. შ.). თავისთავად ცხადია, რომ განცალკევებული მეურნეობის გაუქმება განუყოფელია ოჯახის გაუქმებისაგან [Aufhebung].

(დებულება, რომელიც წმიდა მაქსთან ხშირად გვხვდება, იმის შესახებ, რომ თვითეული ხდება ყოველივე ის, რაც იგი არის, სახელმწიფოს წყალობით, — არსებითად იმ დებულებას უდრის, რომ ბურჟუა მარტოოდენ ეგზემპლარია ბურჟუის მოდგმისა; აქ იგულისხმება, რომ ბურჟუაზიის კლასი უკვე არსებობდა იმ ინდივიდუებამდე, რომლებისგანაც იგი შედგება *.)

* მარქსის კიდურშენიშვნა: «კლასის წინაარსებობა ფილოსოფოსებთან». რ. ე. დ.

შუა საუკუნეებში ქალაქელები ყოველ ქალაქში იძულებულნი იყვნენ თავიანთი სიცოცხლის დასაცავად გაერთიანებულიყვნენ სოფლის თავადაზნაურობის წინააღმდეგ; ვაჭრობის გაფართოებამ და სამიმოსვლო გზების შექმნამ შესაძლებლობა მისცა ცალკეულ ქალაქებს გასცნობოდნენ სხვა ქალაქებს, რომლებიც იმავე ინტერესებს იცავდნენ იმავე მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. ცალკეული ქალაქების მცხოვრებთა ბევრი ადგილობრივი გაერთიანებიდან წარმოიშვა მხოლოდ ძალიან თანდათანობით ქალაქელთა კლასი. ცალკეულ ქალაქელთა ცხოვრების პირობები არსებული ურთიერთობებისადმი მათი დაპირისპირებულობისა და ამით გაპირობებული შრომის წესის მეოხებით ისეთ პირობებად იქცნენ, რომლებიც საერთო იყო ყველა მათთვის, და დამოუკიდებელი თვითეულისაგან ცალ-ცალკე. ქალაქელებმა შექმნეს ეს პირობები, რამდენადაც მათ თავი დააღწიეს ფეოდალური კავშირის სისტემას, და, თავის მხრივ, შექმნილი იყვნენ ამ პირობებით, რამდენადაც თვით ქალაქელები გაპირობებულნი იყვნენ თავიანთი დაპირისპირებულობით არსებული ფეოდალიზმისადმი. ცალკეულ ქალაქებს შორის კავშირის დამყარებასთან ერთად ეს ყველა მათთვის საერთო პირობები კლასობრივ პირობებად განვითარდნენ. ერთსა და იმავე პირობებს, ერთსა და იმავე დაპირისპირებულობას, ერთსა და იმავე ინტერესებს საერთოდ და მთლიანად ყველგან უნდა შეექმნათ აგრეთვე ერთი და იგივე ზნე-ჩვეულებანი. თვით ბურჟუაზია მხოლოდ თანდათანობით ვითარდება, თავისი არსებობის პირობებთან ერთად, დაიყოფა თავის მხრივ შრომის დანაწილებისდა მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებად და, ბოლოს, ყველა მანამდე არსებულ კლასს ნთქავს*, იმისდა მიხედვით, თუ როგორ გარდაიქმნება მთელი არსებული საკუთრება სამრეწველო ან სავაჭრო კაპიტალად (ამავე დროს ბურჟუაზია მანამდე არსებული უქონელი კლასების უმრავლესობას და წინათ მქონე-

* მარქსის კიდურშენიშვნა: «იგი პირველად ნთქავს შრომის დარგებს, რომლებიც უშუალოდ სახელმწიფოს ეკუთვნიან, შემდეგ კი — ყველა ± [მეტ-ნაკლებად] იდეოლოგიურ წოდებას». რ ე დ.

ბელი კლასების ნაწილს ახალ კლასად — პროლეტარიატად აქცევს).



ცალკეული ინდივიდები ქმნიან კლასს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც [55] მათ რომელიმე სხვა კლასის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის წარმოება უხდებათ; სხვა მხრივ ისინი თვითონ მტრულად უპირისპირდებიან ერთმანეთს კონკურენტების სახით. მეორე მხრივ, კლასიც, თავის მხრივ, რაღაც დამოუკიდებელი ხდება ინდივიდების მიმართ, ასე რომ ეს უკანასკნელნი უკვე წინასწარ დამყარებულად პოულობენ თავიანთი ცხოვრების პირობებს: კლასი განსაზღვრავს მათს სასიცოცხლო მდგომარეობას და ამასთანავე მათს პირად ბედსაც, იმორჩილებს მათ. ეს იგივე მოვლენაა, რაც ცალკეული ინდივიდების დაქვემდებარებაც შრომის დანაწილებისადმი, და მისი თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ კერძო საკუთრებისა და თვით შრომის მოსპობით*. თუ როგორ ვითარდება ინდივიდების ეს დაქვემდებარება კლასისადმი ამასთანავე ყოველგვარი წარმოდგენებისადმი და ა. შ. დაქვემდებარებად, ეს ჩვენ უკვე არა ერთხელ აღვნიშნეთ.

თუ ინდივიდთა ამ განვითარებას, რაც ისტორიულად ერთიმეორის მომდევნო წოდებათა და კლასთა არსებობის საერთო პირობების ფარგლებში და ასევე ამასთან მათთვის თავს მოხვეულ საყოველთაო წარმოდგენათა ფარგლებში ხდებოდა, — თუ ამ განვითარებას ფილოსოფიურად განვიხილავთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამ ინდივიდებში ვითარდებოდა გვარი, ანუ ადამიანი, ანდა რომ ისინი ავითარებდნენ ადამიანს, ე. ი. შეიძლება წარმოვიდგინოთ რაღაც ისეთი, რაც ისტორიის აბუჩად აგდებას წარმოადგენს. ამის შემდეგ სხვადასხვა წოდებანი და კლასები შეიძლება განვიხილოთ როგორც სპეციფიკაციები საყოველთაო გამოხატვისა, როგორც ქვესახეობანი გვარისა, როგორც ფაზები ადამიანის განვითარებისა.

ინდივიდების ეს მოთავსება გარკვეულ კლასებში არ შე-

* იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს აქ გამოთქმა «შრომის მოსპობა» (Aufhebung der Arbeit), — იხ. ეს გამოცემა, გვ. 64, 109, 117—122. რ ე დ.

და არა «წმინდა» ინდივიდის სახით, როგორც იგი იდენტიფიცირდება გეგმებს ესმით. მაგრამ ისტორიული განვითარების მსვლელობაში, — და სწორედ იმის გამო, რომ შრომის დანაწილებისას საზოგადოებრივი ურთიერთობანი გარდუვალად რალაც დამოუკიდებელ რამედ იქცეოდნენ, ჩნდება განსხვავება ყოველი ინდივიდის ცხოვრებასა, რამდენადაც ეს უკანასკნელი პირადულია, და მის ცხოვრებას შორის, რამდენადაც იგი შრომის ამა თუ იმ დარგს და მასთან დაკავშირებულ პირობებს ექვემდებარება. (ეს უნდა გავიგოთ არა იმ აზრით, თითქოს, მაგალითად, რანტიე, კაპიტალისტი და ა. შ. უკვე პიროვნებები აღარ არიან, არამედ იმ აზრით, რომ მათი პიროვნება გაპირობებული და განსაზღვრულია სრულიად კონკრეტული კლასობრივი ურთიერთობით, და აღნიშნული განსხვავება ვლინდება მხოლოდ მათს დაპირისპირებულობაში სხვა კლასისადმი, თვით მათთვის კი იგი მელაენდება მხოლოდ მაშინ, როცა ისინი კოტრდებიან.) წოდებაში (და კიდევ უფრო მეტად ტომში) ეს ჯერ კიდევ დაფარულია: ასე, მაგალითად, აზნაური ყოველთვის რჩება აზნაურად, რაზნოჩინცი [roturier] — ყოველთვის რაზნოჩინცად, მიუხედავად მათი ცხოვრების სხვა პირობებისა, ეს მათი ინდივიდუალობისაგან განუყრელი თვისებაა. განსხვავება ინდივიდისა როგორც პიროვნებისა კლასობრივი ინდივიდისაგან, შემთხვევითი ხასიათი, რაც ინდივიდისათვის მისი ცხოვრების პირობებს აქვს, მხოლოდ იმ კლასის გაჩენასთან ერთად ჩნდება, რომელიც თვით არის ბურჟუაზიის პროდუქტი. მხოლოდ კონკურენცია და ბრძოლა ინდივიდებისა ერთმანეთთან წარმოშობს და ავითარებს [57] ამ შემთხვევითს ხასიათს როგორც ასეთს. ამიტომ ბურჟუაზიის ბატონობისას ინდივიდები წარმოგვიდგებიან უფრო თავისუფალნი, ვიდრე ისინი უწინ იყვნენ, რადგან მათი ცხოვრების პირობები შემთხვევითია მათთვის; სინამდვილეში კი ისინი, რასაკვირველია, უფრო ნაკლებად თავისუფალნი არიან, რადგან უფრო მეტად ექვემდებარებიან ნივთიერ ძალას. განსხვავება წოდებისაგან განსაკუთრებით მკაფიოდ მელაენდება პროლეტარიატისადმი ბურჟუაზიის დაპირისპირებულობაში. როცა ქალაქელთა წოდება, კორპორაციები და ა. შ. ადგილმა-



მულიანი თავადაზნაურობის წინააღმდეგ გამოვიდნენ, არსებობის პირობები — მოძრავი ქონება და ხელოსნური შრომა, რაც ფარული სახით ჯერ კიდევ ფეოდალური სისტემისაგან მათს მოწყვეტამდე არსებობდა, — მოგვევლინენ როგორც ისეთი დადებითი რამ, რაც ფეოდალურ მიწის საკუთრებას უპირისპირდებოდა და რამაც ამიტომ პირველ ხანებში, თავის მხრივ, თავისებური ფეოდალური ფორმა მიიღო. რა თქმა უნდა, მებატონეთაგან გაქცეული ყმენი თავიანთ წინანდელ ბატონყმურ მდგომარეობას განიხილავდნენ როგორც მათი პიროვნებისათვის რაღაც შემთხვევითს. მაგრამ ამ მხრივ ისინი იმგვარადვე იქცეოდნენ, როგორც იქცევა ყოველი კლასი, რომელიც თავისი ბორკილებისაგან თავისუფლდება, და, გარდა ამისა, ისინი თავისუფლდებოდნენ არა როგორც კლასი, არამედ სათითაოდ. შემდეგ, ისინი ვერ გასცილდნენ წოდებრივი წყობილების ფარგლებს, არამედ მათ მხოლოდ ახალი წოდება შექმნეს და ახალ მდგომარეობაში შრომის თავიანთი წინანდელი წესი შეინარჩუნეს და იგი შემდგომ განავითარეს, გაათავისუფლეს რა იგი წინანდელი ბორკილებისაგან, რომლებიც მათ მიერ მიღწეულ განვითარების საფეხურს უკვე აღარ შეესაბამებოდნენ.

პირიქით, პროლეტარებისათვის მათი საკუთარი საარსებო პირობა, შრომა, და ამასთანავე ახლანდელი საზოგადოების მთელი საარსებო პირობებიც გახდა რაღაც შემთხვევითი რამ, რასაც ცალკეული პროლეტარები ვერავითარ კონტროლს ვერ უწევენ, და არც არავითარ საზოგადოებრივ ორგანიზაციას მათთვის ამ კონტროლის მინიჭება არ შეუძლია. წინააღმდეგობა ცალკეული პროლეტარის პიროვნებასა და შრომას, ამ მისთვის თავს მოხვეულ საარსებო პირობას, შორის ახლა ნათელი ხდება თვით მისთვის, — განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი უკვე ახალგაზრდობიდანვე მსხვერპლი ხდება და რომ თავისი კლასის ფარგლებში მას არა აქვს შანსები მიაღწიოს თავისთვის ისეთ პირობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან სხვა კლასში მის გადასვლას.

[58] NB. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკვე ყმების არსებობის შენარჩუნების აუცილებლობამ და მსხვილი მეურ-



ნების შეუძლებლობამ, რამაც ყმებს შორის allotments* განაწილება გამოიწვია, სულ მალე ყმების ვალდებულებანი ფეოდალების მიმართ ღალისა და საბატონო ბეგარის ისეთ საშუალო დონემდე დაიყვანა, რომელიც ყმისთვის შესაძლებელს ხდიდა მოძრავი ქონების დაგროვებას, რაც მას თავისი მებატონისაგან გაქცევას უადვილებდა და ქალაქელად მოწყობის შესაძლებლობას აძლევდა, თანაც აგრეთვე ყმებს შორის დიფერენციაციას წარმოშობდა; ამრიგად, გაქცეული გლეხები უკვე სანახევროდ ბურჟუები იყვნენ. ამასთან ნათელია აგრეთვე, რომ ყმა გლეხებს, რომლებმაც რაიმე ხელობა იკოდნენ, მოძრავი საკუთრების შექმნის ყველაზე მეტი შანსები ჰქონდათ.

ამრიგად, თუ გაქცეული ყმები მხოლოდ იმას ესწრაფოდნენ, რომ თავიანთი უკვე მოცემული საარსებო პირობები თავისუფლად განეკითარებინათ და განემტკიცებინათ, და ამიტომ საბოლოო ანგარიშით მათ მხოლოდ თავისუფალ შრომას მიაღწიეს, სამაგიეროდ პროლეტარებმა, რათა დაიცვან თავიანთი თავი როგორც პიროვნებანი, უნდა მოსპონ თავიანთი საკუთარი არსებობის წინანდელი პირობები, რომელნიც იმავე დროს მთელი წინანდელი საზოგადოების არსებობის პირობებაცაა, ე. ი. უნდა მოსპონ შრომა. აი რატომ იმყოფებიან ისინი პირდაპირ წინააღმდეგობაში იმ ფორმასთან, რომლითაც საზოგადოების შემადგენელი ინდივიდები აქამდე თავის თავს გამოხატავდნენ როგორც ერთგვარ მთლიანობას, სახელდობრ სახელმწიფოსთან, და მათ უნდა დაამხონ სახელმწიფო, რათა განახორციელონ თავიანთი თავი როგორც პიროვნებანი.



ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა, რასაც რომელიმე კლასის ინდივიდები ერთმანეთთან ამყარებდნენ და რაც გაპირობებული იყო მათი საერთო ინტერესებით რომელიმე სხვა კლასის

* — მიწის პატარა ნაკვეთების. რ ე დ.



წინააღმდეგ, მუდამ ისეთ კოლექტიურობას წარმოადგენდა რომელსაც ეს ინდივიდები ეკუთვნოდნენ მხოლოდ როგორც საშუალო ინდივიდები, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი თავიანთი კლასის არსებობის პირობებში ცხოვრობდნენ; ამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ისინი არა როგორც ინდივიდები, არამედ როგორც კლასის წევრები. სავსებით პირუკუმოვლენას აქვს ადგილი რევოლუციური პროლეტარების კოლექტიურობის დროს, რომელნიც თავიანთ კონტროლქვეშ აყენებენ როგორც საკუთარი არსებობის პირობებს [59], ისე საზოგადოების ყველა წევრის არსებობის პირობებსაც: ამ კოლექტიურობაში ინდივიდები მონაწილეობენ როგორც ინდივიდები. იგი წარმოადგენს ინდივიდების ისეთ გაერთიანებას (რასაკვირველია, ამ დროისათვის უკვე განვითარებული მწარმოებლური ძალების საფუძველზე), რომელიც მათს კონტროლქვეშ აყენებს ინდივიდთა თავისუფალი განვითარებისა და მოძრაობის პირობებს, პირობებს, რომლებაც დღემდე შემთხვევითობის ანაბარა იყვნენ მიტოვებულნი და ცალკეულ ინდივიდებს უპირისპირდებოდნენ რაღაც დამოუკიდებელის სახით სწორედ მათი, როგორც ინდივიდების, გათიშვის გამო და მათთვის იმ აუცილებელი გაერთიანების გამო, რომელიც გაპირობებული იყო შრომის დანაწილებით და, მათი გათიშვის შედეგად, მათთვის უცხო კავშირი გახდა. წინანდელი გაერთიანება იყო მხოლოდ (სრულიადაც არა თვითნებური, როგორც ეს ასახულია, მაგალითად, «საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში»²⁸, არამედ აუცილებელი) შეთანხმება (შდრ., მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოსა და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკის შექმნა) იმ პირობების შესახებ, რომელთა ფარგლებშიც შემდეგ ინდივიდებს თავიანთი ინტერესებისათვის შემთხვევითობით სარგებლობის შესაძლებლობა ეძლეოდათ. ხელშეუშლელად, გარკვეული პირობების ფარგლებში, შემთხვევითობით სარგებლობის ამ უფლებას დღემდე პირად თავისუფლებას უწოდებდნენ. ეს არსებობის პირობები, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოცემული მწარმოებლური ძალები და ურთიერთობის ფორმებია.



კომუნისმი ყველა წინანდელი მოძრაობისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი წარმოებისა და აღებმიცემობის ყველა წინანდელი ურთიერთობის საფუძვლის გადატრიალებას ახდენს და პირველად განიხილავს შეგნებულად ყველა სტიქიურად წარმოქმნილ წანამძღვარს როგორც წინა თაობათა ქმნილებებს, უკარგავს ამ წანამძღვრებს სტიქიურობას და უმორჩილებს მათ გაერთიანებული ინდივიდების ძალას. ამიტომ კომუნისმის დამყარებას არსებითად ეკონომიური ხასიათი აქვს: იგი ამ გაერთიანების მატერიალური პირობების შექმნაა; არსებულ პირობებს იგი გაერთიანების პირობებად აქცევს. წყობილება, რომელსაც კომუნისმი ქმნის, სწორედ ის ნამდვილი ბაზისია, რომელიც შეუძლებელს ხდის ყოველივე იმას, რაც ინდივიდისაგან დამოუკიდებლად არსებობს, რამდენადაც ყოველივე ეს მაინც სხვა არაფერია, თუ არა პროდუქტი თვით ინდივიდებს შორის დღემდე არსებული ურთიერთობისა. ამრიგად, წინანდელი წარმოებითა და აღებმიცემობით წარმოშობილ პირობებს კომუნისტები პრაქტიკულად ეპყრობიან როგორც არაორგანულ რამეს, მაგრამ ამასთან მათ სრულიადაც არ წარმოუდგენიათ, თითქოს წარსულ თაობათა განზრახვა და დანიშნულება მათთვის მასალის მიწოდება იყო, და არც მიაჩნიათ, რომ ეს პირობები მათი შემქმნელი ინდივიდებისათვის რაღაც არაორგანული რამ იყო.

[7. წინააღმდეგობა ინდივიდებსა და მათი სასიცოცხლო მოქმედების პირობებს შორის როგორც წინააღმდეგობა მწარმოებლურ ძალებსა და ურთიერთობის ფორმას შორის. მწარმოებლური ძალების განვითარება და ურთიერთობის ფორმათა ცვლა]

[60] განსხვავება ინდივიდსა როგორც პიროვნებასა და შემთხვევით ინდივიდს შორის — ეს არ არის უბრალოდ ლოგიკური განსხვავება, არამედ ისტორიული ფაქტია. სხვადასხვა დროს ამ განსხვავებას სხვადასხვა აზრი აქვს; ასე, მაგალითად, წოდება, და ასევე plus ou moins * ოჯახიც, XVIII

* — მეტ-ნაკლებად. რ ე დ.



საუკუნეში რაღაც შემთხვევითია ინდივიდისათვის. ეს ისეთი განსხვავება, რომელიც ჩვენ კი არ უნდა დაგვავთ ყოველი ეპოქის მიმართ, არამედ ისეთი, რომელსაც თვით ეპოქა უშვებს მის მიერ მზად ნახულ სხვადასხვა ელემენტებს შორის, ამასთან იგი აკეთებს ამას არა ცნების თანახმად, არამედ მატერიალური საარსებო კოლიზიების ზეგავლენით.

ის, რაც მერმინდელ ეპოქას, წინააღმდეგ აღრინდელისა, შემთხვევითად წარმოუდგება, — მაშასადამე, შემთხვევითად მის მიერ წარსული ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებულ ელემენტებს შორის, — ეს არის ურთიერთობის ფორმა, რომელიც მწარმოებლური ძალების განვითარების გარკვეულ საფეხურს შეესაბამებოდა. დამოკიდებულება მწარმოებლურ ძალებსა და ურთიერთობის ფორმას შორის — ეს არის დამოკიდებულება ურთიერთობის ფორმასა და ინდივიდების მოქმედებასა ან საქმიანობას შორის. (ამ საქმიანობის ძირითადი ფორმა, რასაკვირველია, მატერიალური საქმიანობაა, რომელზეც დამოკიდებულია ყოველი სხვა საქმიანობა: გონებრივი, პოლიტიკური, რელიგიური და ა. შ. მატერიალური ცხოვრების ესა თუ ის ორგანიზაცია დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, ყოველთვის უკვე განვითარებულ მოთხოვნილებებზე, ამ მოთხოვნილებათა წარმოშობა კი, ისევე როგორც მათი დაკმაყოფილებაც, თვით არის ისტორიული პროცესი, რომელსაც ცხვრებთან ან ძაღლებთან ვერ ვხედავთ (შტირნერის მთავარი არგუმენტი,²⁹ რომელსაც იგი აყენებს *adversus hominem**), თუმცა ცხვრებიც და ძაღლებიც თავიანთი დღევანდელი სახით უეჭველად — მართალია, *malgré eux* ** — ისტორიული პროცესის პროდუქტებია.) პირობები, რომელშიაც ინდივიდებს შორის ურთიერთობა მყარდება, სანამ ჯერ კიდევ არ წარმოქმნილა წინააღმდეგობა [ამ პირობებსა და ინდივიდებს შორის], მათი ინდივიდუალობის კუთვნილ პირობებს წარმოადგენენ და არ არიან მათთვის რაღაც გარეგნული რამ; ეს ის პირობებია, რომლებშიც ამ განსაზღვრულ, გარკვეულ დამოკიდებულებაში არსებულ ინდივიდებს შეუძლიათ მხო-

* — აღმინის წინააღმდეგ. რედ.
 ** — მათი ნების გარეშე. რედ.



ლოდ აწარმოონ თავიანთი მატერიალური ცხოვრება და რაც ამ უკანასკნელთანაა დაკავშირებული; მაშასადამე, ისინი ამ ინდივიდთა თვითმოქმედების პირობებია და მათ ეს თვითმოქმედება ქმნის*. ამრიგად, გარკვეული პირობები, რომელშიაც ადამიანები აწარმოებენ, შეესაბამებიან, — სანამ [61] ჯერ კიდევ [აღნიშნული] წინააღმდეგობა არ წარმოქმნილა, — მათს ნამდვილ გაპირობებულობას, მათს ცალმხრივ ყოფიერებას, რომლის ცალმხრივობაც მხოლოდ წინააღმდეგობის წარმოქმნისას მჟღავნდება და, მაშასადამე, მხოლოდ შემდგომი თაობებისათვის არსებობს. ეს პირობები მაშინ შემთხვევითი ხასიათის ბორკილებად გვეჩვენება და შეხედულებას მათზე როგორც ბორკილებზე აგრეთვე წარსულ დროსაც მიაწერენ.

ეს სხვადასხვა პირობები, რომლებიც თავდაპირველად თვითმოქმედების პირობებად გვევლინებოდნენ, შემდეგში კი ამ თვითმოქმედების ბორკილები აღმოჩნდნენ, მთელი ისტორიული განვითარების მანძილზე ქმნიან ურთიერთობის მთელ რიგ ერთმანეთთან დაკავშირებულ ფორმებს, რომელთა კავშირიც იმაში მდგომარეობს, რომ ურთიერთობის წინანდელი, ბორკილებად ქცეული, ფორმის ადგილს იკავებს ურთიერთობის ახალი, უფრო განვითარებული მწარმოებლური ძალების და, მაშასადამე, ინდივიდთა თვითმოქმედების უფრო პროგრესული სახის შესაბამისი ფორმა, რომელიც, *à son tour***, კვლავ ბორკილებად იქცევა და სხვა ფორმით შეიცვლება. რადგან ეს პირობები ისტორიული განვითარების ყოველ საფეხურზე მწარმოებლური ძალების თანადროულად მიმდინარე განვითარებას შეესაბამებიან, ამიტომ მათი ისტორია ამასთანავე განვითარების პროცესში მყოფი და ყოველი ახალი თაობის მიერ გადმოღებული მწარმოებლური ძალების ისტორიაა და ამით თვით ინდივიდთა ძალების განვითარების ისტორიაც.

* მარქსის კიდურშენიშვნა: «წარმოება თვით ურთიერთობის ფორმისა». რ ე დ.
 ** — თავის მხრივ. რ ე დ.

რადგან ეს განვითარება სტიქიურად ხდება, ე. ი. რაღაც თვისუფლად გაერთიანებული ინდივიდების საერთო გეგმას არ ექვემდებარება, ამიტომ იგი მომდინარეობს სხვადასხვა ადგილებიდან, ტომებიდან, ერებიდან, შრომის დარგებიდან და ა. შ., რომელთაგანაც თვითეული თავდაპირველად სხვებისაგან დამოუკიდებლად ვითარდება და მათთან მხოლოდ თანდათანობით შედის კავშირში. შემდეგ, ეს განვითარება მხოლოდ ძლიერ ნელა წარმოებს; სწავდასხვა საფეხურებისა და ინტერესების მთლიანად დაძლევა არასოდეს არ ხდება. არამედ ისინი მხოლოდ გამარჯვებულ ინტერესს ექვემდებარებიან და განაგრძობენ საუკუნეთა მანძილზე მათ გვერდზე საცოდავად არსებობას. აქედან გამომდინარეობს, რომ ერთი და იმავე ერის ფარგლებშიც კი ინდივიდები, მხედველობაშიც რომ არ მივიღოთ მათი ქონებრივი მდგომარეობა, სრულიად სხვადასხვა განვითარებას გაივლიან და რომ უფრო ადრინდელი ინტერესი, როცა მისი შესაბამისი ფორმა ურთიერთობისა უკვე განდევნილია უფრო მერმინდელი ინტერესის შესაბამისი ურთიერთობის ფორმით, კიდევ დიდხანს განაგრძობს ტრადიციით ძალაუფლების პატრონად ყოფნას ინდივიდებისაგან გამოცალკევებული ილუზორული ერთობის სახით (სახელმწიფო, სამართალი), — ძალაუფლებისა, რომლის დამხობაც საბოლოო ანგარიშით მხოლოდ რევოლუციის საშუალებით შეიძლება. ამით აიხსნება აგრეთვე, თუ რატომაა, რომ ზოგიერთ საკითხებში, [62] რომლებიც უფრო განზოგადებული გამოხატვის შესაძლებლობას იძლევიან, ცნობიერება შეიძლება უფრო წინწასული მოგვეჩვენოს, ვიდრე მისი თანადროული ემპირიული ურთიერთობანი, ასე რომ რომელიმე მერმინდელი ეპოქის ბრძოლებში შეიძლება დავეყრდნოთ წარსულის თეორეტიკოსთა ავტორიტეტს.

პირიქით, ქვეყნებში, რომლებმაც თავიანთი განვითარება ჩრდილოეთ ამერიკის მსგავსად, უკვე განვითარებულ ისტორიულ ეპოქაში დაიწყეს, ეს განვითარება უფრო სწრაფად ხდება. ამ ქვეყნებს არავითარი სხვა სტიქიურად შექმნილი წანამძღვრები არა აქვთ, გარდა ინდივიდებისა, რომლებიც იქ სახლდებიან და რომლებიც იძულებულნი იყვნენ ეს გაე-



კეთებინათ მათს მოთხოვნილებებსა და ძველ ქვეყნებში
 სებულ ურთიერთობის ფორმებს შორის არსებული შეუსაბა-
 მობის გამო. ამიტომ თავიანთ განვითარებას ისინი იწყებენ
 იმით, რომ ჩაიას განკარგულებაში არიან ძველი ქვეყნების
 ყველაზე პროგრესული ინდივიდები და, მაშასადამე, ამ ინდი-
 ვიდების შესაბამისი ყველაზე განვითარებული ფორმაც ურ-
 თიერთობისა, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ურთიერთობის ეს
 ფორმა ძველ ქვეყნებში დამკვიდრებას შეძლებდა. ეს შეეხება
 ყველა კოლონიას, რამდენადაც ისინი მხოლოდ სამხედრო ან
 სავაჭრო სადგომებს არ წარმოადგენენ. ამის მაგალითებს
 იძლევიან კართაგენი, საბერძნეთის კოლონიები და ისლანდია
 XI და XII საუკუნეებში. მსგავსივე პროცესი შეიმჩნევა და-
 პყრობის შემთხვევაშიც, თუ დაპყრობილ ქვეყანაში მზა სახით
 გადაიტანება სხვა ნიადაგზე განვითარებული ფორმა ურთიერ-
 თობისა. მაშინ როდესაც თავის სამშობლოში ურთიერთობის
 ასეთი ფორმა ჯერ კიდევ დატვირთულია წარსული ეპოქები-
 დან მემკვიდრეობით მიღებული ინტერესებითა და დამოკი-
 დებულებებით, — ახალ ადგილზე იგი შეიძლება და უნდა
 დამკვიდრდეს კიდევ მთლიანად და დაბრკოლებათა გარეშე,
 თუნდაც უკვე იმისათვის, რომ დამპყრობელთათვის უზრუნ-
 ველყოფილი გახდეს ხანგრძლივი ბატონობა. (ინგლისი და
 ნეაპოლი ნორმანელთა დაპყრობის შემდეგ, როცა მათ ფეო-
 დალური ორგანიზაციის ყველაზე დასრულებული ფორმა მი-
 იღეს.)

[8. ძალადობის (დაპყრობის) როლი ისტორიაში]

ისტორიის მთელ ამ გაგებას თითქოს ეწინააღმდეგება
 დაპყრობის ფაქტი. დღემდე ძალადობა, ომი, ძარცვა, ყაჩალო-
 ბა და ა. შ. გამოცხადებული იყო ისტორიის მამოძრავებელ
 ძალად. ჩვენ შეგვიძლია აქ შევჩერდეთ მხოლოდ მთავარ მო-
 მენტებზე და ამიტომ ავიღებთ ყველაზე გასაოცარ მაგა-
 ლიტს — ძველი ცივილიზაციის დანგრევას ბარბაროსი ხალ-
 ხის მიერ და, ამის კვალდაკვალ, საზოგადოების სხვა სტრუქ-



ტურის ხელახლა შექმნას (რომი და ბარბაროსები, ფეოდალიზმი და გალია, აღმოსავლეთ რომის იმპერია და თურქები).

[63] ბარბაროს დამპყრობელ ხალხში თვით ომი, როგორც ეს ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, ჯერ კიდევ ურთიერთობის რეგულარული ფორმაა, რომელიც სულ უფრო ფართოდ გამოიყენება, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ქმნის მოსახლეობის მატება, ტრადიციული და მისთვის ერთადერთი შესაძლებელი წარმოების წესის პირობებში, ახალ წარმოების საშუალებათა მოთხოვნილებას. იტალიაში, პირიქით, მიწის საკუთრების კონცენტრაციის შედეგად (რაც გამოწვეული იყო არა მარტო შესყიდვითა და დავალიანებით, არამედ აგრეთვე მემკვიდრეობითაც, ვინაიდან იმ დროს გამეფებული გარყვნილებისა და იშვიათი ქორწინების გამო ძველი გვარები თანდათანობით იხოცებოდნენ და მათი ქონება ცოტათა ხელში გადადიოდა) და სახნავი მიწის საძოვარ ადგილებად გადაქცევის შედეგად (რაც გამოწვეული იყო არა მარტო ჩვეულებრივი, ამქაშადაც მოქმედი ეკონომიური მიზეზებით, არამედ ნაძარცვი და ხარკის სახით მიღებული პურეულის შემოზიდვით და იტალიური ხორბლისათვის მომხმარებელთა აქედან გამომდინარე ნაკლებობით), — ყოველივე ამის შედეგად თითქმის გაქრა თავისუფალი მოსახლეობა; მონებიც კი განუწყვეტლივ იხოცებოდნენ, და საჭირო ხდებოდა მათი მუდამ ახლებით შეცვლა. მონობა რჩებოდა მთელი წარმოების საფუძვლად. პლებეები, რომელთაც თავისუფალთა და მონებს შორის შუა ადგილი ეკავათ, არასდროს არ ამალლებულან ლუმპენ-პროლეტარიატის დონეზე უფრო ზევით. რომი საერთოდ მუდამ რჩებოდა მხოლოდ ქალაქად და მისი კავშირი პროვინციებთან თითქმის მარტოდენ პოლიტიკური იყო და, რა თქმა უნდა, მისი დარღვევაც კვლავ შეიძლებოდა ასევე პოლიტიკური მოვლენებით.



არაფერია იმ წარმოდგენაზე უფრო ჩვეულებრივი, თითქოს ისტორიაში დღემდე ყველაფერი დაპყრობაზე იყო დაყვანილი. ბარბაროსებმა დაიპყრეს რომის იმპერია, და ამ დაპყრობის ფაქტით ხსნიან ჩვეულებრივ ანტიკური

სამყაროდან ფეოდალიზმში გადასვლას. მაგრამ ბარბაროსების მიერ დაპყრობის დროს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, განავითარა უკვე დაპყრობილმა ხალხმა ამ დროისათვის სამრეწველო მწარმოებლური ძალები, როგორც ამას ადგილი აქვს თანამედროვე ხალხებში, თუ მისი მწარმოებლური ძალები ემყარება უმთავრესად მარტოოდენ მის გაერთიანებას და არსებულ საზოგადოებრივ ერთობას [Gemeinwesen]. შემდეგ, დაპყრობის ხასიათი გაპირობებულია დაპყრობის ობიექტით. რომელიმე ბანკირის ქონება, ფასიან ქალაქებში მოთავსებული, სრულიად შეუძლებელია მიტაცებულ იქნეს უიმისოდ, თუ მიმტაცებელი არ დაემორჩილება მიტაცებულ ქვეყანაში არსებულ წარმოებისა და აღებმიცემობის პირობებს. იგივე ითქმის რომელიმე თანამედროვე სამრეწველო ქვეყნის მთელი სამრეწველო კაპიტალის შესახებაც. და, ბოლოს, მიტაცებას ყველგან სულ მალე ედება ბოლო, ხოლო როცა მისატაცებელი უკვე აღარაფერი რჩება, საჭირო ხდება წარმოების დაწყება. წარმოების ამ აუცილებლობიდან, რაც ძალიან მალე იჩენს თავს, გამომდინარეობს, [64] რომ საზოგადოებრივი ერთობის [Gemeinwesen] ის ფორმა, რომელიც დაბინადრებულმა დამპყრობლებმა მიიღეს, უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლური ძალების განვითარების იმ საფეხურს, რომელიც მათ მზად ხვდება, ხოლო თუ ეს შესაბამისობა იმთავითვე არაა, მაშინ საზოგადოებრივი ერთობის ეს ფორმა უნდა შეიცვალოს არსებული მწარმოებლური ძალების შესაბამისად. ამით აიხსნება აგრეთვე ხალხთა გადასახლების შემდგომ ეპოქაში ყველგან შემჩნეული ფაქტიც — სახელდობრ ის, რომ მონაგახდა ბატონი და რომ დამპყრობლებმა სულ მალე გადაიღეს დაპყრობილი ხალხების ენა, განათლება და ზნე-ჩვეულებანი. ფეოდალიზმი სრულიადაც არ ყოფილა მზამზარეულად გადმოტანილი გერმანიიდან; იგი წარმოიშვა სამხედრო საქმის იმ ორგანიზაციიდან, რომელიც დამპყრობლებმა თვით დაპყრობის დროს მოახდინეს, და ეს ორგანიზაცია ნამდვილ ფეოდალიზმად განვითარდა მხოლოდ დაპყრობის შემდეგ, დაპყრობილ ქვეყნებში არსებული მწარმოებლური ძალების ზემოქმედების მეოხებით. თუ რამდენად იყო ეს ფორმა მწარმოებ-



ლური ძალებით გაპირობებული, ამას გვიჩვენებენ ძველ
 მათულ გადმონაშთებზე დაფუძნებული სხვა ფორმების დასა-
 რების ფუჟი ცდები (კარლო დიდი და ა. შ.).

გაგრძელდეს.

**[9. მწარმოებლურ ძალებსა და ურთიერთობის ფორმას
 შორის წინააღმდეგობის განვითარება მსხვილი
 მრეწველობისა და თავისუფალი კონკურენციის
 პირობებში. დაპირისპირებულობა შრომასა და
 კაპიტალს შორის]**

მსხვილ მრეწველობასა და კონკურენციაში ინდივიდთა
 ყველა საარსებო პირობა, ყველა გაპირობებულობა, ყველა
 ცალმხრივობა შეერთებულია ორ უმარტივეს ფორმად: კერძო
 საკუთრებად და შრომად. ფული ურთიერთობის ყოველ ფორ-
 მას და თვით ურთიერთობას ინდივიდებისათვის რაღაც შემ-
 თხვევითი ხასიათის მოვლენად ხდის. ამრიგად, უკვე ფულშია
 იმ მოვლენის ფესვი, რომ ყოველი ურთიერთობა დღემდე
 იყო მხოლოდ ურთიერთობა ინდივიდებისა გარკვეულ პირო-
 ბებში და არა ურთიერთობა ინდივიდებისა როგორც ინდივი-
 დებისა. ეს პირობები დაყვანილია ორ პირობაზე: დაგროვილ
 შრომაზე, ანუ კერძო საკუთრებაზე, და ნამდვილ შრომაზე.
 თუ ერთი მათგანი არსებობას შეწყვეტს, შეჩერდება ურთი-
 ერთობაც. თანამედროვე ეკონომისტები — მაგალითად, სის-
 მონდი, შერბიულიე³⁰ და ა. შ. — თვითონ უპირისპირებენ
 association des individus — association des capitaux*. მეორე
 მხრივ, თვით ინდივიდები სავესებით ექვემდებარებიან შრომის
 დანაწილებას და ამიტომ მთლიანად დამოკიდებულნი არიან
 ერთიმეორეზე. კერძო საკუთრება, რამდენადაც იგი შრომის
 ფარგლებში შრომას უპირისპირდება, ვითარდება დაგროვი-
 ბის აუცილებლობის გამო. დასაწყისში იგი ჯერ კიდევ ინარ-
 ჩუნებს მეტწილად ერთობის [Gemeinwesen] ფორმას, მაგრამ

* — ინდივიდთა ასოციაციას — კაპიტალების ასოციაციას. რ ე დ.

შემდგომ განვითარებაში სულ უფრო უახლოვდება საკუთრების თანამედროვე ფორმას. შრომის დანაწილება უკვე იმთავითვე შეიცავს შრომის პირობების — შრომის იარაღებისა და მასალათა დანაწილებას, — ამით კი დაგროვილი კაპიტალის დაქუცმაცებასაც სხვადასხვა მესაკუთრეებს შორის, მაშასადამე, დაყოფასაც კაპიტალსა და შრომას შორის და თვით საკუთრების სხვადასხვა ფორმებსაც. რაც უფრო ვითარდება შრომის [65] დანაწილება და რაც უფრო იზრდება დაგროვება, მით უფრო მძლავრად ვითარდება აგრეთვე ეს დაქუცმაცებაც. თვით შრომასაც მხოლოდ ამ დაქუცმაცების პირობებში შეუძლია იარსებოს.

(ცალკეული ერების ინდივიდთა პირადი ენერჯია — გერმანელები და ამერიკელები — ენერჯია უკვე რასათა შეჯვარების მეოხებით, — ამიტომ გერმანელები კრეტივისებრნი არიან; საფრანგეთში, ინგლისში და ა. შ. უცხოელები დასახლდნენ უკვე განვითარებულ ნიადაგზე, ამერიკაში სრულიად ახალ ნიადაგზე, გერმანიაში კი თავდაპირველი მოსახლეობა ადგილიდან არ დაძრულა.)

ამრიგად, აქ მქლავნდება ორი ფაქტი*. ჯერ ერთი, მწარმოებლური ძალები წარმოგვიდგება ინდივიდებისაგან სრულიად დამოუკიდებელ და მოწყვეტილ რამედ, ინდივიდების გვერდით არსებულ განსაკუთრებულ სამყაროდ; ამის მიზეზი ისაა, რომ ინდივიდები, რომელთა ძალებსაც ისინი წარმოადგენენ, დაქუცმაცებულნი არიან და ერთიმეორეს უპირისპირდებიან, მაშინ როდესაც ეს ძალები, თავის მხრივ, მხოლოდ ამ ინდივიდთა ურთიერთობასა და კავშირში იქცევიან ნამდვილ ძალებად. ამრიგად, ერთ მხარეზეა — ერთობლიობა მწარმოებლური ძალებისა, რომლებმაც თითქოს ნივთობრივი ფორმა მიიღეს და თვით ინდივიდებისათვის წარმოადგენენ უკვე არა ინდივიდთა ძალებს, არამედ კერძო საკუთრების ძა-

* ენგელსის კიდურშენიშვნა: «სისმონდი». რ ე დ.



ლებს, — მაშასადამე, ისინი წარმოადგენენ ინდივიდთა ძალე-
 მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ინდივიდები კერძო მესა-
 კუთრენი არიან. არც ერთ წინანდელ პერიოდში მწარმოებ-
 ლურ ძალებს არ მიუღიათ ეს ფორმა, განურჩეველი ფორმა
 ინდივიდების, როგორც ინდივიდების, ურთიერთო-
 ბის მიმართ, რადგან თვით მათი ურთიერთობა ჯერ კიდევ
 შეზღუდული იყო. მეორე მხარეზეა ამ მწარმოებლური ძალებ-
 ბისადმი დაპირისპირებული უმრავლესობა ინდივიდებისა,
 რომლებსაც მოსწყდნენ ეს ძალები, რის გამოც ეს ინდივი-
 დები, ყოველგვარ ნამდვილ სასიცოცხლო შინაარსს მოკლებ-
 ბულნი, აბსტრაქტულ ინდივიდებად იქცნენ, მაგრამ რომელ-
 თაც მხოლოდ ამით ეძლევათ შესაძლებლობა დაამყარონ ერთ-
 მანეთთან კავშირი როგორც ინდივიდებმა.

ერთადერთმა კავშირმა, რომელშიც ისინი ჯერ კიდევ მწარ-
 მოებლურ ძალებთან და თავიანთ საკუთარ არსებობასთან
 იმყოფებიან, — შრომამ, — დაკარგა მათთან თვითმოქმედების
 ყოველგვარი მოჩვენებითობა და მათს [66] სიცოცხლეს მხო-
 ლოდ იმით ინახავს, რომ მას ასახიჩრებს. თუ წინანდელ პე-
 რიოდებში თვითმოქმედება და მატერიალური ცხოვრების
 წარმოება გაყოფილი იყო იმის გამო, რომ ისინი სხვადასხვა
 პირთა ხვედრს წარმოადგენდნენ, და მატერიალური ცხოვრე-
 ბის წარმოება, თვით ინდივიდთა შეზღუდულობის გამო, ჯერ
 კიდევ თვითმოქმედების მეორეხარისხოვან სახედ ითვლებოდა,
 ახლა ისინი იმდენად დასცილდნენ ერთიმეორეს, რომ საერ-
 თოდ მატერიალური ცხოვრება გვევლინება მიზნად, ხოლო ამ
 მატერიალური ცხოვრების წარმოება — შრომა (რომელიც ახ-
 ლა თვითმოქმედების ერთადერთი შესაძლებელი, მაგრამ,
 როგორც ვხედავთ, უარყოფითი ფორმაა) — გვევლინება სა-
 შუალებად.

[10. კერძო საკუთრების მოსპობის აუცილებლობა,
 პირობები და შედეგები]

ამრიგად, საქმე ახლა იქამდე მივიდა, რომ ინდივიდებმა
 უნდა მიითვისონ მწარმოებლური ძალების არსებული ერთობ-

ლიობა არა მარტო იმისათვის, რომ თვითმოქმედებას მივდივართ, წიონ, არამედ უკვე საერთოდ იმისთვისაც, რომ თავიანთი არსებობა უზრუნველყონ.

ეს მითვისება გაპირობებულა უწინარეს ყოვლისა მისათვისებელი ობიექტით, ერთგვარ ერთობლიობად განვითარებული და მხოლოდ უნივერსალური ურთიერთობის ფარგლებში არსებული მწარმოებლური ძალებით. უკვე ამის გამო მითვისება უნდა ატარებდეს უნივერსალურ ხასიათს, რომელიც მწარმოებლურ ძალებსა და ურთიერთობას შეესაბამება. თვით მითვისება ამ ძალებისა სხვა არაფერია, თუ არა წარმოების მატერიალური იარაღების შესაბამისი ინდივიდუალური უნარის განვითარება. უკვე მარტო ამიტომ წარმოების იარაღთა გარკვეული ერთობლიობის მითვისება თვით ინდივიდების უნართა გარკვეული ერთობლიობის განვითარებას უდრის.

შემდეგ, ეს მითვისება გაპირობებულა მიმთვისებელი ინდივიდებით. მხოლოდ თანამედროვე პროლეტარებს, რომლებიც სრულიად მოკლებულნი არიან ყოველგვარ თვითმოქმედებას, ძალუძთ განახორციელონ თავიანთი სრული, უკვე შეუზღუდველი, თვითმოქმედება, რომელიც მდგომარეობს მწარმოებლური ძალების მთელი ერთობლიობის მითვისებასა და აქედან გამომდინარე უნართა მთელი ერთობლიობის განვითარებაში. ყველა წინანდელი რევოლუციური მითვისება შეზღუდული იყო; ინდივიდები, რომელთა თვითმოქმედება შეზღუდილი იყო წარმოების შეზღუდული იარაღით და შეზღუდული ურთიერთობით, ითვისებდნენ ამ შეზღუდულ [67] წარმოების იარაღსა და ამის გამო მხოლოდ ერთგვარ ახალ შეზღუდულობამდე მიდიოდნენ. მათი წარმოების იარაღი მათი საკუთრება ხდებოდა, მაგრამ თვით ისინი შრომის დანაწილებისადმი და თავისი საკუთარი წარმოების იარაღისადმი დაქვემდებარებულნი რჩებოდნენ. ყველა წინანდელი მითვისების დროს ინდივიდთა მასა რჩებოდა ერთადერთი წარმოების იარაღისადმი დაქვემდებარებული; პროლეტარული მითვისების დროს წარმოების იარაღთა მასა უნდა დაექვემდებაროს თვითეულ ინდივიდს, საკუთრება კი — ყოველ ინდივიდს. თანამედროვე უნივერსალური ურთიერთობა არ შეიძლება

დაექვემდებაროს ინდივიდებს სხვანაირად, თუ არა იმიტომ, რომ იგი დაექვემდებარება მათ ყველას ერთად.

მითვისება გაპირობებულისა, შემდეგ, იმ წესით, რომლითაც იგი უნდა განხორციელდეს. იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ისეთი გაერთიანების საშუალებით, რომელიც იმ თვისებათა გამო, რაც თვით პროლეტარიატს ახასიათებს, შეიძლება კვლავ მხოლოდ უნივერსალური იყოს, და ისეთი რევოლუციის საშუალებით, რომელშიც, ერთი მხრივ, ემხობა წინანდელი წარმოების და ურთიერთობის წესისა და აგრეთვე საზოგადოების წინანდელი სტრუქტურის ბატონობა, მეორე მხრივ კი — ვითარდება პროლეტარიატის უნივერსალური ხასიათი და ენერგია, რომელიც მისთვის აუცილებელია ამ მითვისების განსახორციელებლად; ამასთან პროლეტარიატი თავიდან იშორებს ყველაფერს, რაც კი მას მისი წინანდელი საზოგადოებრივი მდგომარეობიდან შემორჩენია.

მხოლოდ ამ საფეხურზე ემთხვევა თვითმოქმედება მატერიალურ ცხოვრებას, რაც ინდივიდთა მთლიან ინდივიდებად განვითარებას და ყოველგვარი სტიქიურობის თავიდან აცილებას შეესაბამება. სწორედ ასევე შეესაბამებიან ერთმეორეს შრომის გადაქცევა თვითმოქმედებად და წინახდელი შეზღუდული ურთიერთობის გადაქცევა ისეთ ურთიერთობად, რომელშიც მონაწილეობენ ინდივიდები როგორც ინდივიდები. გაერთიანებული ინდივიდების მიერ მწარმოებლური ძალების მთელი ერთობლიობის მითვისება სპობს კერძო საკუთრებას. მაშინ როდესაც დღემდე ისტორიაში ესა თუ ის განსაკუთრებული პირობა მუდამ წარმოგვიდგებოდა როგორც შემთხვევითი რამ, ახლა შემთხვევითი ხდება თვით განცალკევება ინდივიდებისა, განსაკუთრებული კერძო პროფესია ამა თუ იმ ინდივიდისა.

ინდივიდებში, რომლებიც უკვე აღარ ექვემდებარებიან [68] შრომის დანაწილებას, ფილოსოფოსები ხედავდნენ იდეალს, რომელსაც მათ მისცეს სახელწოდება «ადამიანი», და ჩვენ მიერ გამოხატული მთელი პროცესი განვითარებისა მათ წარმოდგენილი ჰქონდათ «ადამიანის» განვითარების პროცესის სახით, ამასთან დღემდე ყოველ ისტორიულ ეპოქაში არსე-

ბულ ინდივიდებს ამ «ადამიანით» სცვლიდნენ და მას ისტორიის მამოძრავებელ ძალად გვისახავდნენ. ამრიგად, მთელი ისტორიული პროცესი განიხილებოდა როგორც «ადამიანის» თვითგაუცხოების პროცესი*; არსებითად ეს იმით აიხსნება, რომ აღრინდელი საფეხურის ადამიანს ისინი სცვლიდნენ მერმინდელი საფეხურის საშუალო ადამიანით და აღრინდელი დროის ინდივიდებს მერმინდელი დროის ინდივიდთა ცნობიერებას ანიჭებდნენ. ასეთი გადმოტრიალების შედეგად, რომელიც იმთავითვე ნამდვილი პირობებისაგან აბსტრაჰირებას ახდენს, შესაძლებელი გახდა სწორედ მთელი ისტორიის გადაქცევა ცნობიერების განვითარების პროცესად.

* * *

სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს ინდივიდთა მთელ მატერიალურ ურთიერთობას მწარმოებლური ძალების განვითარების გარკვეული საფეხურის ფარგლებში. იგი მოიცავს მოცემული საფეხურის მთელ სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრებას და ამდენად სცილდება სახელმწიფოსა და ერის ფარგლებს, თუმცა, მეორე მხრივ, იგი უნდა გვევლინებოდეს გარეთ ეროვნების სახით და უნდა შენდებოდეს შიგნით სახელმწიფოს სახით. გამოთქმა «სამოქალაქო საზოგადოება»** წარმოიშვა XVIII საუკუნეში, როცა საკუთრების ურთიერთობანი ანტიკური და შუასაუკუნეობრივი ერთობისაგან [Gemeinwesen] უკვე განთავისუფლდა. სამოქალაქო საზოგადოება როგორც ასეთი მხოლოდ ბურჟუაზიასთან ერთად ვითარდება; თუმცა ამავე სახელწოდებით აღინიშნებოდა წარმოებიდან და აღებმიცემობიდან განვითარებადი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ყველა დროში სახელმწიფოსა და სხვა იდეალისტური*** ზედნაშენის ბაზისს შეადგენს.

* მარქსის კიდურშენიშვნა: «თვითგაუცხოება». რ ე დ.

** ტერმინი «bürgerliche Gesellschaft» ნიშნავს «სამოქალაქო საზოგადოებას» და აგრეთვე «ბურჟუაზიულ საზოგადოებას». რ ე დ.

*** — ე. ი. იდეალური, იდეოლოგიური. რ ე დ.

საკუთრების პირველ ფორმას როგორც ანტიკურ სამყაროში, ისე შუა საუკუნეებშიც წარმოადგენს ტომობრივი საკუთრება, გაპირობებული რომაელებთან უმთავრესად ომით, გერმანელებთან კი [69] — მესაქონლეობით. ანტიკურ ხალხებთან, — იმის გამო, რომ ერთ ქალაქში რამდენიმე ტომი ერთად ცხოვრობდა, — ტომობრივ საკუთრებას სახელმწიფობრივი საკუთრების ფორმა ჰქონდა, ცალკეული ინდივიდის უფლება კი ამ საკუთრებაზე შემოიფარგლებოდა უბრალო მფლობელობით [possessio], რომელიც, თუმცა, როგორც ტომობრივი საკუთრებაც საერთოდ, მხოლოდ მიწის საკუთრებაზე ვრცელდებოდა. კერძო საკუთრება სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ძველ ხალხებში, ისევე როგორც თანამედროვე ხალხებშიც, მხოლოდ მოძრავ საკუთრებასთან ერთად ჩნდება. (მონობა და ერთობა [Gemeinwesen]) (dominium ex jure Quiritum *). — შუა საუკუნეებიდან გამოსულ ხალხებთან ტომობრივი საკუთრება გაივლის რიგ სხვადასხვა საფეხურებს — ფეოდალური მიწის საკუთრების, კორპორაციული მოძრავი საკუთრების, მანუფაქტურული კაპიტალის საფეხურებს, — ვიდრე იგი გადაიქცეოდეს მსხვილი მრეწველობისა და საყოველთაო კონკურენციის მიერ წარმოშობილ თანამედროვე კაპიტალად, წმინდა კერძო საკუთრებად, რომელმაც ერთობის [Gemeinwesen] ყოველგვარი მოჩვენებითობა ჩამოიხსნა და სახელმწიფოს ყოველივე ზემოქმედება საკუთრების განვითარებაზე გამორიცხა. ამ თანამედროვე კერძო საკუთრებას შეესაბამება თანამედროვე სახელმწიფო, რომელიც, გადასახადების მეოხებით, თანდათან შესყიდული შეიქნა კერძო მესაკუთრების მიერ და, სახელმწიფო ვალების შემწევობით, მთლიანად ჩაუვარდა მათ ხელში; ამ სახელმწიფოს არსებობაც, ბირჟაზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების კურსის აწევით და დაწვევით რეგულირებული, მთლიანად დამოკიდებული

* — მფლობელობა რომაელ მოქალაქეთა უფლების საფუძველზე. რ ე დ.



გახდა იმ კომერციულ კრედიტზე, რასაც მას კერძო მესაკუთრენი, ბურჟუები აძლევენ. რადგან ბურჟუაზია უკვე აღარაა წოდება, არამედ კლასის წარმოდგენს, ამიტომ იგი იძულებულია ჩამოყალიბდეს უკვე არა ადგილობრივი, არამედ ეროვნული მასშტაბით და თავის ჩვეულებრივ ინტერესებს საყოველთაო ფორმა მისცეს. ერთობისაგან [Gemeinwesen] კერძო საკუთრების განთავისუფლების მეოხებით სახელმწიფომ დამოუკიდებელი არსებობა მოიპოვა სამოქალაქო საზოგადოების გვერდით და მის გარეთ; მაგრამ სინამდვილეში სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა ის ფორმა ორგანიზაციისა, რაც ბურჟუებმა აუცილებლად უნდა მიიღონ, რათა—როგორც ქვეყნის გარეთ, ისე მის შიგნით—ურთიერთ უზრუნველყოფონ თავიანთი საკუთრება და თავიანთი ინტერესები. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ამჟამად მხოლოდ ისეთ ქვეყნებში არსებობს, სადაც წოდებები ჯერ კიდევ მთლიანად არ განვითარებულან კლასებად, სადაც წოდებები, უფრო მოწინავე ქვეყნებში უკვე გაუქმებულნი, ჯერ კიდევ გარკვეულ როლს ასრულებენ, ქმნიან რა ერთგვარ ნარევს, — სადაც, მაშასადამე, მოსახლეობის არც ერთ ნაწილს არ შეუძლია მიაღწიოს მის სხვა ნაწილებზე ბატონობას. ასეთი მდგომარეობაა განსაკუთრებით გერმანიაში. თანამედროვე სახელმწიფოს ყველაზე დასრულებულ ნიმუშს წარმოადგენს ჩრდილოეთ [70] ამერიკა. უახლესი ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი მწერლები ერთსულოვნად გამოთქვამენ იმ აზრს, რომ სახელმწიფო მარტოოდენ კერძო საკუთრების გულისთვის არსებობს, ასე რომ ეს აზრი უკვე ჩვეულებრივ აზროვნებაშიც შეიჭრა.

რადგან სახელმწიფო ის ფორმაა, რომელშიც გაბატონებული კლასის ინდივიდები თავიანთ საერთო ინტერესს ახორციელებენ და რომელშიც მოცემული ეპოქის მთელი სამოქალაქო საზოგადოება თავის კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს, — ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა საერთო დაწესებულება გამეშვებობითებულია სახელმწიფოს მიერ, გარკვეულ პოლიტიკურ ფორმას ღებულობს. აქედან წარმოსდგება ის ილუზიაც, თითქოს კანონი ემყარება ნებისყოფას, თანაც თავის რეალურ საფუძველს მოწყვეტილ-

თავისუფალ ნებისყოფას. ასევე სამართალიც, მხრივ, კვლავ კანონზე დაიყვანება.

კერძო სამართალი ვითარდება იმავდროულად კერძო საკუთრებასთან ერთად ერთობის [Gemeinwesen] ბუნებრივად აღმოცენებული ფორმის დაშლიდან. რომაელებთან კერძო საკუთრებისა და კერძო სამართლის განვითარებას არ მოჰყოლია შემდგომი სამრეწველო და სავაჭრო შედეგები, იმიტომ რომ მთელი მათი წარმოების წესი უცვლელი რჩებოდა*. თანამედროვე ხალხებისათვის, რომლებთანაც მრეწველობამ და ვაჭრობამ დაშალეს ერთობის [Gemeinwesen] ფეოდალური ფორმა. კერძო საკუთრებისა და კერძო სამართლის წარმოშობასთან ერთად დაიწყო ახალი ფაზა, რომელსაც შემდგომი განვითარების უნარი აღმოაჩნდა. პირველმა ქალაქმა კი, რომელმაც შუა საუკუნეებში ფართო ვაჭრობა გააჩაღა, ამალფიმ, შეიმუშავა აგრეთვე საზღვაო სამართალიც³¹. როგორც კი მრეწველობამ და ვაჭრობამ—პირველად იტალიაში, მოგვიანებით კი სხვა ქვეყნებშიც—კერძო საკუთრება შემდგომ განავითარეს, მაშინვე კვლავ მიღებულ იქნა და ავტორიტეტის ძალით აღიჭურვა გულდასმით დამუშავებული რომაული კერძო სამართალი. როცა შემდეგში ბურჟუაზია იმდენად გაძლიერდა, რომ მთავრებმა მისი ინტერესების დაცვა დაიწყეს, რათა ბურჟუაზიის დახმარებით ფეოდალური დიდკაცობა დაემხოთ, მაშინ ყველა ქვეყანაში — საფრანგეთში XVI საუკუნეში — დაიწყო სამართლის ნამდვილი განვითარება, რაც [71] ყველგან, ინგლისის გარდა, რომაული კოდექსის საფუძველზე წარმოებდა. მაგრამ ინგლისშიც კერძო სამართლის შემდგომი დამუშავებისათვის (განსაკუთრებით მის იმ ნაწილში, რომელიც მოძრავ ქონებას შეეხება) იძულებულნი გახდნენ რომაული სამართლის პრინციპები გამოეყენებინათ. (არ უნდა დავგავიწყდეს, რომ სამართალს ისევე ნაკლებად აქვს თავისი საკუთარი ისტორია, როგორც რელიგიას.)

კერძო სამართალში არსებული საკუთრების ურთიერთობანი გამოიხატება როგორც საყოველთაო ნება-სურვილის

* ენგელსის კიდურშენიშვნა: «(მევახშეობა!)». რ. ე. დ.



წედები. უკვე მარტო *jus utendi et abutendi** ადასტურებს ერთი მხრივ, იმ ფაქტს, რომ კერძო საკუთრება გახდა ლიად დამოუკიდებელი ერთობისაგან [*Gemeinwesen*], მეორე მხრივ კი, იმ ილუზიას, თითქოს თვით ეს კერძო საკუთრება ემყარებოდეს ამ კერძო ნება-სურვილს, ნივთზე თვითნებურ განკარგულებას. პრაქტიკაში ცნებას *abuti*** მეტად გარკვეული ეკონომიური საზღვრები აქვს კერძო მესაკუთრისათვის, თუ მას არ სურს, რომ მისი საკუთრება, მაშასადამე, მისი *jus abutendi*-ც***, სხვის ხელში გადავიდეს, რადგან ნივთი, თუ იგი მხოლოდ მესაკუთრის ნებისადმი მიმართებაში განიხილება, სრულიადაც არაა ნივთი; იგი იქცევა ნივთად, ნამდვილ საკუთრებად, მხოლოდ ურთიერთობის პროცესში და სამართლისაგან დამოუკიდებლად (მიმართება, ის, რასაც ფილოსოფოსები იღეას უწოდებენ****). ამ იურიდიულ ილუზიას, რომელსაც სამართალი წმინდა ნებაზე დაჰყავს, აუცილებლად მიგყავართ — საკუთრების ურთიერთობათა შემდგომი განვითარებისას — იქამდე, რომ ამა თუ იმ პიროვნებას შეუძლია იურიდიულად უფლება ჰქონდეს რაიმე ნივთზე, ფაქტიურად კი ამ ნივთს არ ფლობდეს. თუ, მაგალითად, კონკურენციის გამო მიწის რომელიმე ნაკვეთი უკვე რენტას აღარ იძლევა, მის მესაკუთრეს მაინც რჩება იურიდიული უფლება მასზე *jus utendi et abutendi*-სთან ერთად. მაგრამ მისთვის გამოუსადეგარია ეს უფლება: როგორც მიწის მესაკუთრეს მას არაფერი გააჩნია, თუ რომ გარდა ამისა კიდევ საკმაო კაპიტალი არა აქვს თავისი მიწის დასამუშავებლად. იურისტების ამავე ილუზიით აიხსნება ის, რომ მათთვის და ყოველი კოდექსისათვის საერთოდ უბრალო შემთხვევითობაა, რომ ინდივი-

* — გამოყენებისა და ბოროტად გამოყენების უფლება, ე. ი. თვითნებურად ნივთზე განკარგულების უფლება.

** — ბოროტად გამოყენება. რ ე დ.

*** — ბოროტად გამოყენების უფლება. რ ე დ.

**** მარქსის კიდურშენიშვნა: «მიმართება ფილოსოფოსებში სათვისნიშნავს იღეას. მათ იციან მხოლოდ მიმართება «აღამიანისა» თავის თავისადმი, და ამიტომ ყველა რეალური მიმართება მათთვის იღეებად იქცევა». რ ე დ.



დები ერთმანეთს შორის ურთიერთობას ამყარებენ, მაგალითად, ხელშეკრულებებს დებენ; ეს ურთიერთობა მათ ურთიერთობად მიაჩნიათ, რომელშიც სურვილისამებრ შეიძლება შესვლაც და არ შესვლაც [72] და რომლის შინაარსიც მთლიანად ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ინდივიდუალურ თვითნებობაზეა დამოკიდებული.

ყოველთვის, როცა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება ურთიერთობის ახალ ფორმებს ქმნიდა, მაგალითად, დამზღვევ და სხვა კომპანიებს, სამართალი იძულებული იყო დაედგინებინა ისინი როგორც საკუთრების შექმნის ახალი სახეობანი*.

[12. საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები]

შრომის დანაწილების გავლენა მეცნიერებაზე.

რ ე პ რ ე ს ი ი ს როლი სახელმწიფოში, სამართალში, მორალში და ა. შ.

კანონში ბურჟუეზებმა უნდა მისცენ თავის თავს საყოველთაო გამოხატულება სწორედ იმიტომ, რომ ისინი ბატონობენ როგორც კლასი.

ბუნებისმეცნიერება და ისტორია.

არ არსებობს პოლიტიკის, სამართლის, მეცნიერების და ა. შ., ხელოვნების, რელიგიისა და სხვ. ისტორია**.

რ ა ტ ო მ ა ა, რომ ი დ ე ო ლ ო გ ე ბ ი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს თ ა ვ დ ა ყ ი რ ა ა ყ ე ნ ე ბ ე ნ.

რელიგიის მქადაგებელნი, იურისტები, პოლიტიკოსები. იურისტები, პოლიტიკოსები (სახელმწიფო მოღვაწენი საერთოდ), მორალისტები, რელიგიის მქადაგებელნი.

ერთი კლასის შიგნით ამ იდეოლოგიური დაყოფის გამო:

* შემდეგ ხელნაწერის ბოლოში მოცემულია მარქსის ხელით დაწერილი შენიშვნები, შემდგომი დამუშავებისათვის განკუთვნილნი. რ ე დ.

** მარქსის კიდურშენიშვნა: «ერთობას» [dem «Gemeinwesen»] იმ სახით, რა სახითაც იგი გვევლინება ანტიკურ სახელმწიფოში, ფეოდალურ წყობილებაში, აბსოლუტურ მონარქიაში, — ამ კავშირს შეესაბამება განსაკუთრებით რელიგიური წარმოდგენები». რ ე დ.



1) პროფესიის განცალკევება შრომის დანაწილების გამო. თვითეულ მათგანს თავისი ხელობა ჭეშმარიტ ხელობად მიაჩნია. სინამდვილესთან თავიანთი ხელობის კავშირის შესახებ ისინი მით უფრო აუცილებლად ქმნიან ილუზიებს, რომ ეს გაპირობებულია უკვე თვით მოცემული ხელობის ბუნებით. ურთიერთობანი იქცევიან იურისპრუდენციაში, პოლიტიკაში და ა. შ. — ცნობიერებაში — ცნებებად; რადგან ეს უკანასკნელი ვერ მალღლებიან ამ ურთიერთობებზე უფრო ზევით, ამ ურთიერთობათა ცნებებიც გადაიქცევიან მათს თავში გაქვავებულ ცნებებად; მოსამართლე, მაგალითად, იყენებს კოდექსს, ამიტომ კანონმდებლობა მას მიაჩნია ჭეშმარიტ აქტიურ მამოძრავებლად. პატივი თავისი საქონლის წინაშე, — ვინაიდან მათს პროფესიას საქმე აქვს საყოველთაოსთან.

სამართლის იდეა. სახელმწიფოს იდეა. ჩვეულებრივ ცნობიერებაში საქმე თავდაყირაა დაყენებული.



რელიგია იმთავითვე ტრანსცენდენტობის ცნობიერებაა, რომელიც წარმოიქმნება ნამდვილ ჯერარსობიდან [Müssen].

გამოიხატოს ეს უფრო პოპულარულად.



ტრადიცია — სამართლის, რელიგიისა და სხვ. დარგში.

* * *

[73]* ინდივიდები მუდამ გამოდიოდნენ, მუდამ გამოდიან თავის თავიდან. მათი ურთიერთობანი მათი ნამდვილი ცხოვრების პროცესის ურთიერთობანია. რა არის იმის მიზეზი, რომ მათი ურთიერთობანი დამოუკიდებელ, მათდამი დაპირისპი-

* ეს უკანასკნელი გვერდი ხელნაწერში დაუნომრავია. იგი შეიცავს შენიშვნებს, რომლებიც ეკუთვნის ისტორიის მატერიალისტური გაგების გადმოცემის დასაწყისს. აქ დასახული აზრები განვითარებულია თავის I ნაწილში § 3-ში. რ ე დ.



რებულ არსებობას იძენენ? რომ მათი საკუთარი ცხოვრების
ძალები მათზე გაბატონებულ ძალებად იქცევიან?

ერთი სიტყვით რომ ვუპასუხოთ: შრომის დანაწი-
ლება, რომლის საფეხურიც დამოკიდებულია მწარმოებლუ-
რი ძალის მოცემულ მომენტში მიღწეულ განვითარებაზე.



მიწის საკუთრება. თემური საკუთრება. ფეოდალური. თა-
ნამედროვე.

წოდებრივი საკუთრება. მანუფაქტურული საკუთრება.
სამრეწველო კაპიტალი.

დაწერილია

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ
ბრიუსელში 1845 წლის ნოემბერსა და 1846
წლის აგვისტოს შუა პერიოდში.

პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე
«Архив К. Маркса и Ф. Энгельса», кн. I;
1924 г.

პირველი სრული პუბლიკაცია ხელნაწერის
შესაბამისად ჟურნალში «Вопросы философии»
1966, № 10 და 11

იბიჭღება

ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

ბ. მ ა რ ქ ს ი

თეზისები ფოიერბახის შესახებ ³²

(1845 წლის ვარნიანტი მარქსის უბის წიგნაკში)

1) «ფოიერბახისათვის»

1

მთელი წინანდელი მატერიალიზმის (ფოიერბახისეულის ჩათვლით) მთავარი ნაკლი ის არის, რომ საგანი, სინამდვილე, გრძნობადობა განიხილება მხოლოდ ო ბ ი ე ქ ტ ი ს ფორმით, ან უ ჭ ვ რ ე ტ ი ს ფორმით, და არა როგორც გ რ ძ ნ ო ბ ა დ - ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, პ რ ა ქ ტ ი კ ა; არა სუბიექტურად. ამიტომ მ ო ქ მ ე დ მ ხ ა რ ე ს, მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს საწინააღმდეგოდ, აბსტრაქტულად ავითარებდა იდეალიზმი, რომელიც, რასაკვირველია, არც იცნობს ნამდვილ, გრძნობად მოქმედებას როგორც ასეთს. ფოიერბახს სურს საქმე ჰქონდეს გრძნობად ობიექტებთან, — ნამდვილად განსხვავებულნი რომ არიან აზრის ობიექტებისაგან, მაგრამ თვით ადამიანურ მოქმედებას იგი განიხილავს არა როგორც ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ მოქმედებას. ამიტომ «ქრისტიანობის არსებაში» იგი განიხილავს, როგორც ჭეშმარიტად ადამიანურს, მხოლოდ თეორიულ მოქმედებას, მაშინ როდესაც პრაქტიკა გაგებულნი და ფიქსირებულია მხოლოდ მისი გამოვლენის ბილწიუდურ ფორმაში³³. მას არ ესმის ამიტომ «რევოლუციური», «პრაქტიკულ-კრიტიკული» მოქმედების მნიშვნელობა.

საკითხი, გააჩნია თუ არა ადამიანის აზროვნებას საგნობრივი ჭეშმარიტება, — სულაც არ არის თეორიის საკითხი, არამედ პრაქტიკული საკითხია. პრაქტიკაში უნდა დამტკიცოს ადამიანმა თავისი აზროვნების ჭეშმარიტობა, ე. ი. ნამდვილობა და სიძლიერე, ამქვეყნიურობა. დავა პრაქტიკისაგან იზოლირებული აზროვნების ნამდვილობის ან არანამდვილობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია.

3

მატერიალისტური მოძღვრება გარემოებათა ცვლილებისა და აღზრდის შესახებ ივიწყებს, რომ გარემოებანი უნდა შეიცვალოს ადამიანების მიერ და აღმზრდელი თვით უნდა იქნეს აღზრდილი. ამიტომ ეს მოძღვრება იძულებულია საზოგადოება დაყოს ორ ნაწილად, რომელთაგანაც ერთი საზოგადოებაზე მაღლა დგება.

დამთხვევა გარემოებათა შეცვლისა და ადამიანის მოქმედებისა, ანუ თვითცვლილებისა, შეიძლება განხილულ და რაციონალურად გაგებულ იქნეს მხოლოდ როგორც რევოლუციური პრაქტიკა.

4

ფოიერბახი ამოდის რელიგიური თვითგაუცხოების ფაქტიდან, სამყაროს გაორებიდან რელიგიურ და მიწიერ სამყაროდ. მისი მუშაობა იქითაა მიმართული, რომ რელიგიური სამყარო მის მიწიერ საფუძველზე დაიყვანოს. მაგრამ ის, რომ მიწიერი საფუძველი თავის თავს შორდება და თავისთვის რაღაც დამოუკიდებელ სამეფოს ღრუბლებში იშენებს, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ამ მიწიერი საფუძვლის თვითგახლეჩით და თვითწინააღმდეგობრივობით. მაშასადამე, ეს მიწიერი საფუძველი უნდა გაგებულ იქნეს არა მარტო თვით თავის თავში თავის წინააღმდეგობაში, არამედ პრაქტიკულადაც გარევოლუციურებული. მაშასადამე, მას შემდეგ, რაც, მაგალითად, მიწიერ



ოჯახში აღმოჩენილ იქნა წმიდა ოჯახის საიდუმლოება, მისი
 რი ოჯახი თვით უნდა იქნეს თეორიულად და პრაქტიკულად
 მოსპობილი.

5

ფოიერბახს, რომელიც უკმაყოფილოა აბსტრაქტული
 აზროვნებით, სწადია ჭვრეტა; მაგრამ იგი გრძნობა-
 დობას განიხილავს არა როგორც პრაქტიკულ, ადამიან-
 ნურ-გრძნობად მოქმედებას.

6

ფოიერბახს რელიგიური არსება ადამიანურ არსება-
 ზე დაჰყავს. მაგრამ ადამიანის არსება არ არის ცალკეული
 ინდივიდისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტი. თავის სინამ-
 დვილეში იგი ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერ-
 თობლიობაა.

ფოიერბახი, რომელიც ამ ნამდვილი არსების კრიტიკას არ
 იძლევა, ამიტომ იძულებულია:

1) მოახდინოს აბსტრაპირება ისტორიის მსვლელობისაგან,
 განიხილოს რელიგიური გრძნობა [Gemüt] განცალკევებულად
 და ადამიანური ინდივიდი აბსტრაქტულად — იზოლირე-
 ბულად — იგულისხმოს;

2) ამიტომ არსება შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ
 როგორც «გვარი», როგორც შინაგანი, მუნჯი საყოველთაობა,
 რომელიც მრავალ ინდივიდს ბუნებრივი კავშირით აკავ-
 შირებს.

7

ამიტომ ფოიერბახი ვერ ხედავს, რომ «რელიგიური
 გრძნობა» თვით არის საზოგადოებრივი პროდუქტი და რომ
 აბსტრაქტული ინდივიდი, რომელსაც იგი ანალიზს უკეთებს,
 გარკვეულ საზოგადოებრივ ფორმას ეკუთვნის.

ყოველი საზოგადოებრივი ცხოვრება არსებითად პრაქტიკულია. ყველა მისტერია, რომელსაც თეორია მისტიციზმისაკენ მიჰყავს, თავის რაციონალურ ახსნას ადამიანის პრაქტიკასა და ამ პრაქტიკის გაგებაში პოულობს.

ყველაზე დიდი, სადამდეც ჰვრებითი მატერიალიზმი მიღის, ე. ი. მატერიალიზმი, რომელსაც არ ესმის გრძნობადობა როგორც პრაქტიკული მოქმედება, — ეს არის ცალკეული ინდივიდებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჰვრეტა.

ძველი მატერიალიზმის თვალსაზრისი არის სამოქალაქო საზოგადოება, ახალი მატერიალიზმის თვალსაზრისია ადამიანთა საზოგადოება, ანუ საზოგადოებრივი კაცობრიობა.

ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეეცვალოს.

დაწერილია კ. მარქსის მიერ 1845 წლის გაზაფხულზე

ხელნაწერის ვარიანტი პირველად გამოაქვეყნა საკ. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა 1924 წელს გერმანულ და რუსულ ენებზე

იბეჭდება

ხელნაწერის მიხედვით

თარგმანი გერმანულიდან

კ. მარქსი და ფ. ენგელსი
 «გერმანული იდეოლოგია».
 მოსკოვი, 1956, გვ. 561 — 563

კ. მარქსი

თეზისები ფოიერბახის შესახებ

(1888 წლის ვარინატი, გამოქვეყნებული ენციკლოპედიაში)

მარქსი ფოიერბახის შესახებ

(დაწერილია ბრიუსელში 1845 წლის გაზაფხულზე)

1

მთელი წინანდელი მატერიალიზმის — ფოიერბახისეულის ჩათვლით — მთავარი ნაკლი ის არის, რომ საგანი, სინამდვილე, გრძნობადობა განიხილება მხოლოდ ობიექტის ფორმით, ანუ ჭვრეტის ფორმით, და არა როგორც ადამიანური გრძნობადი მოქმედება, პრაქტიკა, არა სუბიექტურად. აქედან წარმოსდგა, რომ მოქმედ მხარეს, მატერიალიზმის საწინააღმდეგოდ, ავითარებდა იდეალიზმი, მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგან იდეალიზმი, რასაკვირველია, არ იცნობს ნამდვილ, გრძნობად მოქმედებას როგორც ასეთს. ფოიერბახს სურს საქმე ჰქონდეს გრძნობად ობიექტებთან, ნამდვილად განსხვავებულნი რომ არიან აზრის ობიექტებისაგან, მაგრამ თვით ადამიანურ მოქმედებას იგი განიხილავს არა როგორც საგნობრივ მოქმედებას. ამიტომ «ქრისტიანობის არსებაში» იგი განიხილავს, როგორც ჭეშმარიტად ადამიანურს, მხოლოდ თეორიულ მოქმედებას, მაშინ როდესაც პრაქტიკა გაგებული და ფიქსირებულია მხოლოდ მისი გამოვლენის ბილწიულდურ ფორმაში. მას არ ესმის ამი-



2

საკითხი, გააჩნია თუ არა ადამიანურ აზროვნებას საგნობრივი ჭეშმარიტება, — სულაც არ არის თეორიის საკითხი, არამედ პრაქტიკული საკითხია. პრაქტიკაში უნდა დამტკიცოს ადამიანმა თავისი აზროვნების ჭეშმარიტობა, ე. ი. ნამდვილობა და სიძლიერე, ამქვეყნიურობა. დავა პრაქტიკისაგან იზოლირებული აზროვნების ნამდვილობის ან არანამდვილობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია.

3

მატერიალისტური მოძღვრება იმის შესახებ, რომ ადამიანები გარემოებათა და აღზრდის პროდუქტები არიან, რომ, მაშასადამე, შეცვლილი ადამიანები სხვა გარემოებათა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიან, — ეს მოძღვრება ივიწყებს, რომ გარემოებანი იცვლება სწორედ ადამიანების მიერ და რომ აღმზრდელი თვით უნდა იქნეს აღზრდილი. ამიტომ ეს მოძღვრება აუცილებლად იქამდე მიდის, რომ საზოგადოებას ყოფს ორ ნაწილად, რომელთაგანაც ერთი საზოგადოებაზე მალლა დგება (მაგალითად, რობერტ ოუენთან).

დამთხვევა გარემოებათა შეცვლისა და ადამიანის მოქმედებისა შეიძლება განხილულ და რაციონალურად გაგებულ იქნეს მხოლოდ როგორც რევოლუციური პრაქტიკა.

4

ფოიერბახი ამოდის რელიგიური თვითგაუცხოების ფაქტიდან, სამყაროს გაორებიდან რელიგიურ, წარმოსახვითს სამყაროდ და ნამდვილ სამყაროდ. მისი მუშაობა იქითაა მიმართული, რომ რელიგიური სამყარო მის მიწიერ საფუძველზე დაიყვანოს. იგი ვერ ამჩნევს, რომ ამ სამუშაოს შეს-

რულების შემდეგ მთავარი ხომ ჯერ კიდევ გასაკეთებელი რჩება. სახელდობრ, ის გარემოება, რომ მიწიერი საფუძველი თავის თავს შორდება და თავისთვის რაღაც დამოუკიდებელ სამეფოს ღრუბლებში იშენებს, შეიძლება აიხსნას მხოლოდ მიწიერი საფუძვლის თვითგახლეჩით და თვითწინააღმდეგობრიობით. მაშასადამე, ეს მიწიერი საფუძველი, ჯერ ერთი, თვით უნდა იქნეს გაგებული თავის წინააღმდეგობაში, შემდეგ კი პრაქტიკულად გარეგონლუციურებული ამ წინააღმდეგობის აცილებით. მაშასადამე, მას შემდეგ, რაც, მაგალითად, მიწიერი ოჯახში აღმოჩენილ იქნა წმიდა ოჯახის საიდუმლოება, მიწიერი ოჯახი თვით უნდა იქნეს თეორიულად გაკრიტიკებული და პრაქტიკულად რევოლუციურად გარდაქმნილი.

5

ფოიერბახსი, რომელიც უკმაყოფილოა აბსტრაქტული აზროვნებით, მიმართავს გრძნობად ჭვრეტას; მაგრამ იგი გრძნობადობას განიხილავს არა როგორც პრაქტიკულ, ადამიანურ-გრძნობად მოქმედებას.

6

ფოიერბახსს რელიგიური არსება ადამიანურ არსებაზე დაჰყავს. მაგრამ ადამიანის არსება არ არის ცალკეული ინდივიდისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტი. თავის სინამდვილეში იგი ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა.

ფოიერბახსი, რომელიც ამ ნამდვილი არსების კრიტიკას არ იძლევა, ამიტომ იძულებულია:

- 1) მოახდინოს აბსტრაპირება ისტორიის მსვლელობისაგან, განიხილოს რელიგიური გრძნობა [Cemüt] განცალკევებულად და ადამიანური ინდივიდი აბსტრაქტულად — იზოლირებულად — იგულისხმოს;

2) ამიტომ მასთან ადამიანური არსება შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ როგორც «გვარი», როგორც შინაგანი, მუნჯი საყოველთაოობა, რომელიც მრავალ ინდივიდს მხოლოდ ბუნებრივი კავშირით აკავშირებს.

7

ამიტომ ფოიერბახი ვერ ხედავს, რომ «რელიგიური გრძნობა» თვით არის საზოგადოებრივი პროდუქტი და რომ აბსტრაქტული ინდივიდი, რომელსაც იგი ანალიზს უკეთებს, სინამდვილეში გარკვეულ საზოგადოებრივ ფორმას ეკუთვნის.

8

საზოგადოებრივი ცხოვრება არსებითად პრაქტიკულია. ყველა მისტერია, რომელსაც თეორია მისტიციზმისკენ მიჰყავს, თავის რაციონალურ ახსნას ადამიანის პრაქტიკასა და ამ პრაქტიკის გაგებაში პოულობს.

9

ყველაზე დიდი, რასაც ჭკრეტითი მატერიალიზმი აღწევს, ე. ი. მატერიალიზმი, რომელსაც გრძნობადობა ესმის არა როგორც პრაქტიკული მოქმედება, — ეს არის ჭკრეტა მის მიერ ცალკეული ინდივიდებისა «სამოქალაქო საზოგადოებაში».

10

ძველი მატერიალიზმის თვალსაზრისი არის «სამოქალაქო» საზოგადოება; ახალი მატერიალიზმის თვალსაზრისია ადამიანთა საზოგადოება, ანუ განსაზოგადოებული კაცობრიობა.

ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარ-
 ტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეეც-
 ვალოთ.

დაწერილია კ. მარქსის მიერ 1845 წლის
 გაზაფხულზე. დასაბუდეად მოამზადა და
 პირველად გამოა ვენა ფ. ენგელსმა 1883
 წელს თავ-სი შრომის «ლუდვიგ ფოიერ-
 ბახი და კლასიკური გერმანული ფილო-
 სოფიის დასასრული» ცალკე გამოცემის
 დავატებაში

იბეჭდება წიგნის:

F. Engels. «Ludwig Feuerbach
 und

der Ausgang der klassischen
 deutschen

Philosophie». Stuttgart,
 1888 დანართის ტექსტის

მხედვეთ

თარგმანი გერმანულიდან

კ. მარქსი და ფ. ენგელსი

«გერმანული იდეოლოგია».

მოსკოვი, 1956, გვ. 567—569

ფ. ენგელსი

ფიციერბასი³⁴

a) ფიციერბასის მთელი ფილოსოფია დაიყვანება 1) ნატურფილოსოფიაზე — ბუნების პასიურ თაყვანისცემაზე, ამ ბუნების საუცხოობისა და ყოვლისშემძლეობის წინაშე ქედის მოხრაზე, — 2) ანთროპოლოგიაზე, სახელდობრ a) ფიზიოლოგიაზე, — ის, რაც აქ ნათქვამია, არ შეიცავს არაფერ ახალს გარდა იმისა, რასაც მატერიალისტები ლაპარაკობდნენ სულისა და სხეულის ერთიანობაზე, მხოლოდ ნათქვამია ეს არა ისე მექანიკურად, მაგრამ სამაგიეროდ რამდენადმე უფრო მაღალ-ფარდოვნად, β) ფსიქოლოგიაზე, რომელიც წარმოადგენს დიტირამბებს სიყვარულის პატივსაცემად, იგი რომ ცამდე აპყავთ, ბუნების კულტის ანალოგიურად, გარდა ამისა — არაფერია ახალი, 3) მორალზე, «ადამიანის» ცნების შესაბამისობის მოთხოვნაზე; *impuissance mise en action* *. შეად. § 54, გვ. 81: «ადამიანის ზნეობრივი და გონივრული დამოკიდებულება კუჭისადმი იმაში მდგომარეობს, რომ მოვეპყრათ მას არა როგორც პირუტყვეულ რამეს, არამედ როგორც ადამიანურ რამეს». — § 61: «ადამიანი... როგორც მორალური არსება» და ვრცელი გაბმით ლაპარაკი ზნეობრიობაზე «ქრისტიანობის არსებაში».

b) ის, რომ განვითარების ახლანდელ საფეხურზე ადამიანებს თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ

* — ამოქმედებული უძლურება. რედ.



საზოგადოების შიგნით შეუძლიათ, რომ საერთოდ ადამიანებმა თავიდანვე, იმ დროიდან, რაც ისინი არსებობენ, ერთიმეორეს საჭიროებდნენ და მხოლოდ ამის მეოხებით შეეძლოთ განე-
ვითარებინათ თავიანთი მოთხოვნილებანი და ნიჭი და ა. შ., რომ მათ ერთმანეთთან ურთიერთობა დაამყარეს, — ყოველი-
ვე ამას ფოიერბახი გამოხატავს იმნაირად, რომ

«ცალკეულ ადამიანს თავის თავად არ გააჩნია თავის-
ში ადამიანის არსება», რომ «ადამიანის არსება მდგომარეობს
მხოლოდ ერთობაში, ადამიანთან ადამიანის ერთიანობა-
ში, ერთიანობაში, რომელიც, თუმცა, მე-სა და შენ-ს შორის სხვაო-
ბის რეალობას ემყარება. ადამიანი თავისთავად ადამიანია (ჩვეუ-
ლებრივი აზრით), ადამიანი კი ადამიანთან ერთობაში, მე-სა და
შენ-ს ერთიანობა, არის ღმერთი» (ე. ი. ადამიანი ზეჩვეულებრივი
აზრით) (§ 61, 62; გვ. 83).

ფილოსოფია იქამდე მივიდა, რომ ადამიანთა შორის ურ-
თიერთობის აუცილებლობის ტრივიალური ფაქტი, ფაქტი,
რომლის ცოდნის გარეშეც საერთოდ ვერასოდეს ვერ გაჩნ-
დებოდა ამ ქვეყნად შემდგომი, ოდესმე არსებული, თაობა
ადამიანებისა და რომელიც უკვე სქესობრივ სხვაობაში მდგო-
მარეობს, — ეს ფაქტი ფილოსოფიას მთელი თავისი კარიერის
დასასრულს გამოჰყავს როგორც უდიდესი შედეგი. თანაც კი-
დეც «მე-სა და შენ-ის ერთიანობის» მისტიკური ფორმით. ეს
ფრაზა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, ფოიერბახს რომ
მხედველობაში არ ჰქონოდა $\chi\alpha\tau' \acute{\epsilon}\tilde{\nu}\iota\chi\eta\upsilon$ * სქესობრივი აქ-
ტი, მოდგმის გაგრძელების აქტი, მე-სა და შენ-ის ერთობა**.
და რამდენადაც ფოიერბახისეული ერთობა პრაქტიკული
ხდება, იგი შემოიფარგლება კიდევ სქესობრივი აქტით და
ურთიერთშეთანხმებით ფილოსოფიური აზრებისა და პრობ-
ლემების შესახებ, «ჭეშმარიტი დიალექტიკით» (§ 64), დია-

* — უმთავრესად, რედ.

** სწორედ იმიტომ, რომ ადამიანი = თავი + გული და რომ ადამიანის
შესაქმნელად საჭირონი არიან ორნი, — ერთი გამოდის მათს კავშირში
თავის სახით, მეორე კი გულის სახით — მამაკაცი და ქა-
ლი. სხვანაირად გაუგებარია, რატომ ორნი უფრო ადამიანურია
ერთზე. სენ-სიმონისტური ინდივიდი.

ლოგით, «ადამიანის, როგორც სულიერის, ისე აგრეთვე ზიკურის, ნ ა შ ო ბ ი თ» (გვ. 67). იმის შესახებ, თუ რას აკეთებს კიდევ შემდეგში ეს «ნ ა შ ო ბ ი» ადამიანი, გარდა იმისა, რომ იგი კვლავ «სულიერად» და «ფიზიკურად» «ადამიანებს წარმოშობს» — ამაზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი. ფოიერბახმა იცის მხოლოდ ო რ ს შორის კავშირი,

«ის ქეშმარიტება, რომ არც ერთი არსება არ არის თავისთავად ქეშმარიტი, სრულყოფილი, აბსოლუტური არსება, რომ ქეშმარიტება და სრულყოფილობა მხოლოდ თავიანთი არსის მიხედვით ო რ ი ერთნაირი არსების შეერთებაში. ერთიანობაშია» (გვ. 83, 84).

c) «მომავლის ფილოსოფიის» დასაწყისი მაშინვე ამკლავნებს სხვაობას ჩვენსა და მას შორის:

§ 1: «ახალი დროის ამოცანა იყო განხორციელება და გაადამიანება ღმერთისა, გადაქცევა თეოლოგიისა ანთროპოლოგიად, გათქვეფა პირველისა მეორეში». შეად.: «თეოლოგიის უარყოფა არის ახალი დროის ა რ ს ე ბ ა» («მომავლის ფილოსოფია», გვ. 23).

d) სხვაობა, რასაც ფოიერბახი ატარებს კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმს შორის § 2-ში — კათოლიციზმი: «თეოლოგია», «დაინტერესებულია მხოლოდ იმით, რა არის ღმერთი თავისთავად», აქვს «სპეკულაციური და ჭვრეტითი ტენდენცია»; პროტესტანტიზმი კი შემოისახლვრება მარტოოდენ ქრისტოლოგიით, მიანდობს რა ღმერთს თვით თავისსავე თავს, სპეკულაციასა და ჭვრეტას კი — ფილოსოფოსებს, — ეს სხვაობა სხვა არაფერია, თუ არა შრომის დანაწილება, წარმოქმნილი იმ მოთხოვნილებიდან, რომელიც მეცნიერების შედარებით სუსტ განვითარებას შეესაბამებოდა. მარტოოდენ ამ მოთხოვნილებიდან, თ ე ო ლ ო გ ი ის შ ი გ ნ ი თ რომ არსებობს, განმარტავს ფოიერბახი პროტესტანტიზმს, ამას კი

შემდეგ უკვე ძალდაუტანებლად უერთდება ფილოსოფიის
 თავისთავადი ისტორია.

e) «ყოფიერება არ არის საყოველთაო, ნივთებისაგან მოცილებადი ცნება. იგი ერთიანია იმასთან, რაც არის... ყოფიერება გულისხმობს არსებისა. როგორცაა ჩემი არსება, ისეთივეა ჩემი ყოფიერება. თვეში არსებობს წყალში, მაგრამ ამ ყოფიერებისაგან არ შეიძლება მისი არსების მოცილება. უკვე ენა აიგივებს ყოფიერებასა და არსებას. მხოლოდ ადამიანის ცხოვრებაში, და ისიც მხოლოდ არანორმალურ, უბედურ შემთხვევებში, ყოფიერება სცილდება არსებას; აქ ხდება ის, რომ ადამიანის არსება არ არის იქ, სადაც თვით ადამიანი არსებობს, მაგრამ სწორედ ამ გათიშვის გამო იგი უკვე თავისი სულის ქეშმარიტი აზრითაც არ არის იქ, სადაც ნამდვილად იმყოფება მისი სხეული. მხოლოდ იქ, სადაც შენი გულია, იმყოფები შენ. მაგრამ ყველა ნივთი — გარდა არაბუნებრივი შემთხვევებისა — სიამოვნებით მოიპოვება იქ, სადაც ისინია, და სიამოვნებით წარმოადგენს იმას, რაც ისინი არიან» (გვ. 47).

შესანიშნავი აპოლოგიაა არსებულისა. გარდა არაბუნებრივი შემთხვევებისა, ცოტაოდენი არანორმალური შემთხვევებისა. შენ სიამოვნებით ხდები შენი ცხოვრების მეშვიდე წელს მეკარე ქვანახშირის შახტში, თოთხმეტ საათს ატარებ მარტოდმარტო წყვდიადში, და რაკი ასეთია შენი ყოფიერება, ასეთივეა შენი არსებაც. სწორედ ასევეა მიმძახველი სტელფაქტორთან. ასეთია უკვე შენი «არსება», რომ შენ უნდა ექვემდებარებოდე შრომის რომელიმე დარგს. შეად. «რწმენის არსება»³⁵, გვ. 11, «დაუკმაყოფილებელი შიმშილი»...

f) § 48, გვ. 73: «ერთსა და იმავე არსებაში დაპირისპირებულ ან წინააღმდეგობრივ განსაზღვრათა არაწინააღმდეგობრივი შეერთების საშუალებას წარმოადგენს დრო. ასე ხდება, ყოველ შემთხვევაში, ცოცხალ არსებაში. მხოლოდ ამ გზით მტლავნდება აქ, — მაგალითად ადამიანში, — წინააღმდეგობა, რაც იმაში მღვთოპირებს, რომ ამჟამად მე მიპყრობს და მე მავსებს მოცემული განსაზღვრა, მოცემული განზრახვა, შემდეგ კი — სრულიად სხვა და პირდაპირ საწინააღმდეგოც კი».

ამას ფოიერბახი უწოდებს 1) წინააღმდეგობას, 2) წინააღმდეგობათა შეერთებას და 3) ამას, მისი აზრით, ახორციე-



ქართული
მეცნიერებათა
აკადემია

ლებს დრო. რა თქმა უნდა, «აესებული» დრო, მაგრამ დრო, და არა ის, რაც მასში ხდება. ეს დებულება უდრის იმას, რომ ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დროში.

დაწერილია ფ. ენგელსის მიერ, ალბათ,
1845 წლის შემოდგომაზე.

პირველად გამოაქვეყნა სკკპ
ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა
1982 წელს ორიგინალის ენაზე

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან
კ. მარქსი და ფ. ენგელსი.
«გერმანული იდეოლოგია»
მოსკოვი, 1956, გვ. 575 — 577

ენგელსის წერილიდან მარქსისადმი

1846 წლის 18 ოქტომბერი 36

ძვირფასო მარქს!

ბოლოს, ხანგრძლივი შინაგანი წინააღმდეგობის შემდეგ მე ძალა დავატანე ჩემს თავს წამეკითხა ფოიერბახის ხარახუ-რა და მიმაჩნია, რომ ჩვენს კრიტიკაში* არ შეგვიძლია შევე-ხოთ მას. მიზეზი შენთვის ნათელი გახდება, როცა მოკლედ გადმოგცემ მის შინაარსს.

«რელიგიის არსება» «Epigonen», ტ. I, გვ. 117 — 178.

«ადამიანის დამოკიდებულების გრძნობა შეადგენს რელიგიის საფუძველს» (გვ. 117). რადგან ადამიანი უწინარეს ყოვლისა ბუნებაზეა დამოკიდებული, ამიტომ «ბუნება არის რელიგიის თავდაპირ-ველი საგანი» (გვ. 118). («ბუნება მხოლოდ ზოგადი სიტყვაა იმ არსება-თა, ნივთთა და სხვ. აღსანიშნავად, რომელთაც ადამიანი თავის თავის საგან და თავისი პროდუქტების საგან განასხვავებს».) რელიგიის პირველი გარეგანი გამოვლინებანია დღესასწაულები, რომ-ლებშიც ასახულია ბუნების პროცესები, წელიწადის დროთა ცვლა და ა. შ. ბუნების სპეციფიკური პირობები და პროდუქტები, რომელთა გა-რემოცვაშიც ტომი ან ხალხი ცხოვრობს, მის რელიგიაში გადადიან.

თავის განვითარებაში ადამიანი პოულობდა დახმარებას სხვა არსებათა-გან, მაგრამ ესენი იყვნენ არა უმადლესი სახის არსებანი, ანგელო-ზები, არამედ უდაბლესი სახის არსებანი, ცხოველები. აქედან — ცხოველთა კულტი.

* კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «გერმანული იდეოლოგია», ტომი პირველი, თავი I. რედ.

ამას მოსდევს წარმართთა აპოლოგია და მათი დაცვა დევლთა და ქრისტიანთა თავდასხმებისაგან; ტრივიალური

ბუნება მუდამ რჩება, აგრეთვე ქრისტიანებთანაც, რელიგიის ფარულ საფუძვლად. თვისებანი, რომლებზეც დამყარებულია განსხვავება ღმერთისა ადამიანისაგან, — ეს ბუნების თვისებებია (თავდაპირველად, როგორც მათი პირველსაფუძველი). ასეთებია ყოვლისშემძლეობა, მარადისობა, ყველგანყოფილება და ა. შ. ღმერთის ნამდვილი შინაარსი — ეს მხოლოდ ბუნებაა, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ღმერთი გამოსახულია მხოლოდ როგორც ბუნების შემქმნელი და არა როგორც პოლიტიკური და მორალური კანონმდებელი.

პოლემიკა გონიერი არსების მიერ ბუნების შექმნის წინააღმდეგ, არაფრისაგან შექმნის წინააღმდეგ და ა. შ. — ყოველივე ეს მეტწილად არის «გაადამიანებული», ე. ი. გულარხენი. ბიურჯერთა გულამაჩუყებელ გერმანულ ენაზე გადათარგმნილი *materialismus vulgaris**.

ბუნება ბუნებითს რელიგიაში წარმოადგენს საგანს არა როგორც ბუნება, არამედ «როგორც პიროვნული, ცოცხალი, შემგრძნობი არსება... სულით დაჯილდოებული არსება, ესე იგი სუბიექტური, ადამიანური არსება» (გვ. 138). ამიტომ მასზე ლოცულობენ, ცდილობენ იგი განსაზღვრონ ადამიანური მოტივებით და ა. შ. ეს ხდება უმთავრესად იმის გამო, რომ ბუნება ცვალებადია. «ბუნებაზე დამოკიდებულების გრძნობა, როცა ეს გრძნობა დაკავშირებულია ბუნებაზე, როგორც თვითნებურად მოქმედ, პიროვნულ არსებაზე წარმოდგენასთან, საფუძვლად უდევს მსხვერპლშეწირვას, ბუნებითი რელიგიის ამ ყველაზე უფრო არსებით აქტს» (გვ. 140). მაგრამ რადგან მსხვერპლშეწირვას ან გარების მიზანი აქვს, ადამიანი მაინც რელიგიის საბოლოო მიზანია. ადამიანის ღვთაებრიობა — რელიგიის საბოლოო აზრი.

ამას მოსდევს ტრივიალური კომენტარები და მაღალფარდოვანი მსჯელობანი იმის შესახებ, რომ პირველყოფილი ხალხები, რომელთაც ბუნებითი რელიგია ჯერ კიდევ შერჩენიათ, ღმერთებად აქცევენ ისეთ ნივთებსაც, რომლებიც მათთვის არასასიამოვნოა, — შავ ჭირს, ციებ-ციხელებას და ა. შ.

* — ვულგარული მატერიალიზმი. რედ.



«ისე, როგორც ადამიანი წმინდა ფიზიკური არსებიდან პოლიტიკურ არსებად იქცევა, საერთოდ ისეთ არსებად, რომელიც თავის თავს ნებისაგან განასხვავებს და კონცენტრირებას ახდენს თავის თავზე» (!!!), «ასევე მისი ღმერთიც პოლიტიკურ, ბუნებისაგან განსხვავებულ არსებად იქცევა». «აქედან ადამიანი» მიდის «ბუნებისაგან თავისი არსების განსხვავებამდე და, მაშასადამე, ბუნებისაგან განსხვავებულ ღმერთამდე თავდაპირველად მხოლოდ იმით, რომ შეუერთდება სხვა ადამიანებს გაერთიანებაში, სადაც ბუნებისაგან განსხვავებული, მართოდენ აზრებსა და წარმოდგენებში არსებული ძალები» (!!!), «იალა კანონისა, აზრისა, პატივისა, სათნოებისა, ხლებიან... მისი დამოკიდებულების გრძნობის საგანი...».

(ეს სტილის მიხედვით საშინელი ფრაზა მოთავსებულია 149 გვერდზე.)

«ძალა ბუნებისა, ძალა სიკვდილ-სიცოცხლეზე ჩამოქვეითებულია პოლიტიკური და მორალური ძალის ატრიბუტისა და იარაღის როლამდე.

ინტერმეცო 151 გვერდზე აღმოსავლეთელი ადამიანების — კონსერვატორების და დასავლეთელი ადამიანების — პროგრესისტების შესახებ.

«აღმოსავლეთში ადამიანი ადამიანის გამო არ ივიწყებს ბუნებას... თვით მეფე მისთვის თაყვანისცემის საგანია არა როგორც მიწიერი, არამედ როგორც ზეციერი, ღვთაებრივი არსება. მაგრამ ღმერთის გვერდით ადამიანი ქრება; მხოლოდ მაშინ, როცა დედამიწა უკვე აღარ იქნება ღმერთებით დასახლებული... მხოლოდ მაშინ გაათავისუფლებენ ადამიანები ადგილსა და სარბიელს თავისთვის».

(საუცხოო ახსნაა, თუ რატომ არიან აღმოსავლეთის ხალხები სტაბილურნი — კერპების სიმრავლის გამო, რომლებიც არ იძლევიან თავისუფალ სარბიელს.)

აღმოსავლეთელ ადამიანსა და დასავლეთელს შორის ისეთივე თანაფარდობაა, როგორც სოფლის მცხოვრებსა და ქალაქელს შორის; პირველი დამოკიდებულია ბუნებაზე, მეორე — ადამიანზე და ა. შ., «ამიტომ მხოლოდ ქალაქელები ქმნიან ისტორიას».

(ერთადერთი ადგილი, სადაც იგრძნობა მატერიალიზმის სუსტი, მაგრამ საკმაოდ არასასიამოვნო იერი.)



«მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლია მსხვერპლად შესწიროს ბუნებას, აზრის ძალას, თავისი სიცოცხლე თავის სახელს, ვისი სხეულე ბრვი არსებობა თავის არსებობას შთამომავლობის სიტყვასა და აზრში, მხოლოდ მას შესწევს უნარი ჩაიდინოს ისტორიული საქმენი».

აი თურმე! ყველაფერი, რაც ბუნება არ აზრის, აზრის წარმოდგენა, აზრი, ცარიელი ყბედობა. და აი რატომაა, რომ

«მხოლოდ ადამიანის «პატივმოყვარეობა» აზრის ისტორიის პრინციპი!»

გვ. 152: «მსგავსად იმისა, როგორც ადამიანი მიდის იმის შეცნობამდე, რომ... მანკიერებას და სირეგვნეს შედეგად მოსდევს უბედურება და ა. შ., სათნოებისა და სიბრძნის შედეგი კი, პირიქით... ბედნიერებაა, რომ, მასასადამე, ადამიანის ბედობის განმსაზღვრელი ძალებია გონება და ნება... ბუნებაც ასევე მისთვის გონებასა და ნებაზე დამოკიდებულ არსებად იქცევა».

(გადასვლა მონოთეიზმზე — ფ[ოიერბახი] განაცალკევებს შემოხსენებულ ილუზორულ «ცნობიერებას» გონებისა და ნების ძალისაგან.) სამყაროზე გონებისა და ნების ბატონობასთან ერთად წარმოიქმნება სუპერნატურალიზმი, შექმნა არაფრისაგან, და მონოთეიზმი, რომელიც აიხსნება კიდევ სპეციალურად «ადამიანური ცნობიერების ერთიანობით». ფ[ოიერბახმა] ზედმეტად ჩათვალა იმის თქმა, რომ ერთი ღმერთი ერთი მეფის გარეშე ვერასდროს ვერ გაჩნდებოდა, რომ ერთადერთობა ღმერთისა, რომელიც კონტროლს უწევს ბუნების მრავალრიცხოვან მოვლენებს, აერთიანებს ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ბუნების ძალებს, მხოლოდ ანსასხია აღმოსავლეთის ერთი დესპოტისა, რომელიც მოჩვენებითად ან ნამდვილად აერთიანებს მტრული, შეხლადი ინტერესების მქონე ადამიანებს.

მოსაწყენი ყბედობა თეოლოგიის წინააღმდეგ იმეორებს ძველ მატერიალისტებს. ამასთან ფ[ოიერბახი] ნამდვილი სამყაროს მიმართ იმავე შეცდომას უშვებს, რომლის დაშვებასაც ბუნების მიმართ იგი თეოლოგებს უსაყვედურებს. იგი უშინოდ ოხუნჯობს თეოლოგების იმ მტკიცების გამო, რომ ღმერთ-

თის გარეშე ბუნება უნდა გადაქცეულიყო ანარქიად (ესე ლმერთის რწმენის გარეშე იგი დაიშლებოდა ნაწილებად), რომ ლმერთის ნება, მისი გონება, აზრი აკავშირებენ სამყაროს; მაგრამ მას ხომ თვითონ მიაჩნია, რომ აზრი, საზოგადოებრივი აზრის, კანონებისა და სხვა იდეების შიში ამჟამად აერთიანებს სამყაროს.

ერთ არგუმენტში თელეოლოგიის წინააღმდეგ ფ[ოიერბახი] გამოდის როგორც *laudator temporis praesentis**; ბავშვების დიდი სიკვდილიანობა მათი სიცოცხლის პირველ წლებში იმის გამო ხდება, მისი აზრით, რომ

«ბუნება თავისი სიმდიდრისას განუსჯელად სწირავს მსხვერპლად ათასობით ცალკეულ წევრებს» ... «ბუნებრივი მიზეზების შედეგია ის, რომ... მაგალითად, სიცოცხლის პირველ წელს კვდება ერთი ბავშვი სამიდან ან ოთხიდან, მეხუთე წელს კი — ერთი ოცდახუთიდან და ა. შ.».

გარდა აქ დასახელებული რამდენიმე დებულებისა, მეტი არაფერი არ შეიძლება აღინიშნოს. სხვადასხვა რელიგიის ისტორიული განვითარების შესახებ ვერაფერს ვერ ვტყობილობთ. უკეთეს შემთხვევაში მოცემულია ზოგიერთი მაგალითი რელიგიათა ისტორიიდან ზემოდასახელებულ ტრივიალიზატა დასამტკიცებლად. სტატიის მეტი ნაწილი წარმოადგენს პოლემიკას ლმერთისა და ქრისტიანობის წინააღმდეგ, საესეებით იმავე წესით, როგორც იგი ამას დღემდე აკეთებდა; მაგრამ ახლა, როცა მან უკვე ამოწურა თავისი თავი, მიუხედავად ძველი ყბედობის ყველა განმეორებისა, დამოკიდებულება მატერიალისტებზე გაცილებით უფრო მკაფიოდ მეღაფნდება. იმისათვის, რომ რაიმე ითქვას ბუნებითი რელიგიის, პოლითეიზმის, მონოთეიზმის შესახებ წამოყენებულ ტრივიალიზატა გამო, საჭირო იქნებოდა დაპირისპირება რელიგიის ამ ფორმების ნამდვილი განვითარებისა, ამისთვის კი ჯერ აუცილებელი იქნებოდა მათი შესწავლა. მაგრამ ჩვენი შრომისათვის ეს ისევე ნაკლებად შეიძლება გვიანტერესებდეს, როგორც ფოი-

* — თანამედროვეობის ხობის შემსხმელი (ჰორაციუსი. «პოეზიის მეცნიერება»; გადასხვაფერებულია). რ ე დ.

ერბახის ახსნა-განმარტებაც ქრისტიანობისა. ეს სტატიის ავტორი ვერ ახალს არ იძლევა ფ[ოიერბახის] პოზიტიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისის გასაგებად. რამდენიმე დებულება, მე რომ ზემოთ მოვიყვანე კრიტიკისათვის, მხოლოდ ადასტურებს იმას, რაც ჩვენ უკვე ვთქვით. თუ შენ კიდევ გაინტერესებს ფოიერბახი, შეეცადე პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მიიღო კისლინგისაგან მისი თხზულებათა კრებული პირველი ტომი; ფოიერბახმა დაწერა იქ კიდევ რაღაც წინასიტყვაობისმაგვარი, რომელშიც, შესაძლოა, რაიმე იყოს. მე ვნახე ამონაწერები, სადაც ფ[ოიერბახი] ლაპარაკობს «თავში ჩანერგილ ბოროტებაზე», და «კუჭში ჩანერგილ ბოროტებაზე», რაღაც სუსტი გამართლებისმაგვარი იმისა, თუ რატომ არ ზრუნავს იგი ნამდვილ ინტერესებზე. სულ იგივეა, რასაც იგი წელიწადნახევრის წინათ მწერდა.

ეს-ეს არის მივიღე შენი წერილი, რომელიც რამდენიმე დღე იღო ძველ ბინაში სხვა ბინაზე ჩემი გადასვლის გამო. მე ვეცდები დავუკავშირდე შევიცარიელ გამომცემლებს. მაგრამ ვეჭვობ, რომ ხელნაწერის* დაბეჭდვა შეუძლო. ამ ხალხიდან არავის არ გააჩნია ფული 50 თაბახის დასაბეჭდად. მე იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენ ვერაფრის დაბეჭდვას ვერ მოვახერხებთ, თუ არ დავყოფთ ამ ნაწერებს და არ შევეცდებით გამოვცეთ ისინი ცალკე წიგნებად — ჯერ ფილოსოფიური ნაწილი, რაც პირველ რიგში უნდა გამოვიდეს, შემდეგ კი დანარჩენი. ორმოცდაათი თაბახი ერთბაშად — ეს უშველებელი მოცულობაა, და ბევრი გამომცემელი არ დებულობს ხელნაწერს მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეუძლია ასეთი გამომცემის დაძლევა.

პირველად გამოქვეყნდა წიგნში:
«Der Briefwechsel zwischen
F. Engels und K. Marx», Bd. I,
Stuttgart, 1913

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან
კ. მარქსი და ფ. ენგელსი,
თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც.,
ტ. 27, გვ. 53 — 57

* კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «გერმანული იდეოლოგია». რე დ.

მარქსის წერილიდან კ. კ. ანენკოვისადმი

1846 წლის 28 დეკემბერი

მე მინდოდა ამ წერილთან ერთად გამოგეგზავნა თქვენთვის ჩემი წიგნი პოლიტიკური ეკონომიის შესახებ³⁷, მაგრამ დღემდე ვერ შევძელი დამებეჭდა ეს ნაშრომი და აგრეთვე გერმანიის ფილოსოფოსებისა და სოციალისტების კრიტიკა*, რაზედაც მე თქვენ ბრიუსელში³⁸ გელაპარაკეთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დიდ დაბრკოლებებს ხვდება გერმანიაში ამგვარი გამოცემა, ჯერ ერთი, პოლიციის მხრივ, მეორე, გამოცემელთა მხრივ, რომლებიც თვით არიან დაინტერესებული წარმომადგენელნი ყველა იმ მიმართულებიდან, რომელთაც მე ვებრძვი. ხოლო რაც შეეხება ჩვენს საკუთარ პარტიას, იგი არა მარტო ღარიბია, არამედ, გარდა ამისა, გერმანიის კომუნისტური პარტიის წევრთა დიდი ნაწილი გაჯავრებულია ჩემზე იმის გამო, რომ მე მათს უტოპიებსა და დეკლამაციებს ვეწინააღმდეგები.

თქვენი ერთგული კარლ მარქსი

პირველად გამოქვეყნდა
ორიგინალის ენაზე წიგნში:
«М. М. Стасюлевич
и его современники
в их переписке», Т. III,
С.-Петербург, 1912

იბეჭდება
წიგნის ტექსტის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან
კ. მარქსი და ფ. ენგელსი,
თხზულებანი, მე-2 რუს.
გამოც.,
ტ. 27- გვ. 412

* კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «გერმანული იდეოლოგია». რ ე დ.

**3. მარქსის წიგნის «პოლიტიკური
ეკონომიის კრიტიკისათვის»
პირველი გამოცემის წინასიტყვაობიდან**

პირველი შრომა, რომელსაც ხელი მოვკიდე ჩემი მომცველი ეჭვების გასაფანტავად, იყო ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკული გადასინჯვა, შრომა, რომლის შესავალი 1844 წელს პარიზში გამოცემულ «Deutsch-Französische Jahrbücher»-ში³⁹ გამოქვეყნდა. ჩემმა გამოკვლევამ იმ შედეგამდე მიმიყვანა, რომ სამართლებრივი ურთიერთობანი, ისევე როგორც სახელმწიფოს ფორმები, ვერც თვით მათგან გაიგებიან, ვერც ადამიანის გონების ეგრეთწოდებული საერთო განვითარებიდან, რომ, პირიქით, ისინი ფესვგადგმულნი არიან ცხოვრების მატერიალურ პირობებში, რომელთა ერთობლიობას ჰეგელი, ინგლისელებისა და XVIII საუკუნის ფრანგების მაგალითის მიხედვით, «სამოქალაქო საზოგადოებას» უწოდებს, და რომ სამოქალაქო საზოგადოების ანატომია პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძიოთ. ამ უკანასკნელის შესწავლას, რაც პარიზში დავიწყე, მე განვაგრძობდი ბრიუსელში, სადაც გადავსახლდი იმ ბრძანების გამო, რომელიც ბ-ნმა გიზომ გამოსცა პარიზიდან ჩემი გასახლების შესახებ⁴⁰. იმ საერთო შედეგს, რომელსაც მე მივალწიე და რომელიც, რაკი ერთხელ მოვიპოვე, სახელმძღვანელო ძაფი გახდა ყველა ჩემს შემდგომ გამოკვლევაში, შეიძლება მოკლედ ასეთი ფორმულირება მიეცეს: თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივ წარმოებაში ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ,

აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიე-
ბებს—წარმოებით ურთიერთობებს, რომლებიც მათი მატერია-
ლური მწარმოებლური ძალების განვითარების გარკვეულ
საფეხურს შეესაბამებიან. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერ-
თობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტუ-
რას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლი-
ტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრი-
ვი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. მა-
ტერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს
საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ
პროცესს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს
ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყო-
ფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას. თავიანთი განვი-
თარების გარკვეულ საფეხურზე მატერიალური მწარმოებ-
ლური ძალები ვარდებიან წინააღმდეგობაში არსებულ წარ-
მოებით ურთიერთობებთან, ანუ — რაც ამის მხოლოდ იური-
დიულ გამოსახულებას წარმოადგენს — საკუთრების ურთი-
ერთობებთან, რომელთა შიგნითაც აქამდე ისინი ვითარდებო-
დნენ. მწარმოებლური ძალების განვითარების ფორმიდან ეს
ურთიერთობანი მათს ბორკილებად იქცევა. მაშინ დგება
სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის
ცვლილებასთან ერთად მეტი თუ ნაკლები სისწრაფით ხდება
გადატრიალება მთელ უზარმაზარ ზედნაშენში. ამგვარ გადატ-
რიალებათა განხილვისას წარმოების ეკონომიურ პირობებში
მომხდარი მატერიალური გადატრიალება, რომლის დადგენაც
ბუნებისმეცნიერული სიზუსტით არის შესაძლებელი, ყოველ-
თვის უნდა განვასხვაოთ იმ იურიდიული, პოლიტიკური, რე-
ლიგიური, ხელოვნებითი ან ფილოსოფიური, მოკლედ —
იდეოლოგიური ფორმებისაგან, რომლებშიც ადამიანები შე-
იცნობენ ამ კონფლიქტს და იბრძვიან მის გადასაწყვეტად.
როგორც ამა თუ იმ ინდივიდის შესახებ არ შეიძლება ვიმს-
ჯელოთ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს თვითონ იგი თა-
ვის თავზე, ასევე არ შეიძლება ვიმსჯელოთ ამგვარი გადატრი-
ალების ეპოქის შესახებ მისი ცნობიერების მიხედვით. პირი-
ქით, ეს ცნობიერება უნდა ავსნათ მატერიალური ცხოვრე-



ბის წინააღმდეგობებით, საზოგადოებრივ მწარმოებელ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა შორის არსებულ კონფლიქტებით. არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ ისპობა მანამდე, ვიდრე არ განვითარებულა ყველა მწარმოებლური ძალა, რომელთათვის იგი საკმაო გასაქანს იძლევა, და ახალი უფრო მაღალი წარმოებითი ურთიერთობანი არასოდეს არ ჩნდებიან მანამდე, ვიდრე მათი არსებობის მატერიალური პირობები თვით ძველი საზოგადოების წიაღში არ მომწიფებულან. ამიტომ კაცობრიობა ყოველთვის მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაწყვეტაც მას შეუძლია, რადგან ზუსტი განხილვისას ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე, რომ თვით ამოცანა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მატერიალური პირობები მისი გადაწყვეტისათვის უკვე არსებობენ ან, ყოველ შემთხვევაში, წარმოშობის პროცესში იმყოფებიან. თუ ზოგადად ავიღებთ აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და თანამედროვე, ბურჟუაზიულ, წარმოების წესებს, შეიძლება ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები ეწოდოს. ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი წარმოების საზოგადოებრივი პროცესის უკანასკნელი ანტაგონისტური ფორმაა, ანტაგონისტური არა ინდივიდუალური ანტაგონიზმის აზრით, არამედ — ინდივიდთა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებიდან აღმოცენებული ანტაგონიზმის აზრით; მაგრამ ის მწარმოებლური ძალები, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში ვითარდებიან, ქმნიან ამასთანავე ერთად მატერიალურ პირობებს ამ ანტაგონიზმის გადასაწყვეტად. ამიტომ ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ფორმაციით მთავრდება ადამიანთა საზოგადოების წინაისტორია.

ფრიდრიხ ენგელსმა, რომელთანაც მე,—მას შემდეგ, რაც ეკონომიური კატეგორიების კრიტიკის მისი გენიალური ნარკვევი გამოქვეყნდა («Deutsch-Französische Jahrbücher»-ში)⁴¹, — მუდმივი წერილობითი აზრთა გაზიარება ძქონდა, ჩემსავით ამავე შედეგს მიადწია სხვა გზით (შეადარე მისი «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში»⁴²); და როცა 1845 წლის გაზაფხულზე ისიც ბრიუსელში დაბინავდა⁴³, გადავწყვი-



ტეთ ერთად შეგვემუშავებინა ჩვენი შეხედულებანი გეგმანული ფილოსოფიის იდეოლოგიური შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ნამდვილად კი ანგარიში გაგვესწორებინა ჩვენს წინანდელ ფილოსოფიურ სინდისთან. ეს განზრახვა შესრულებულ იქნა ჰეგელის შემდეგდროინდელი ფილოსოფიის კრიტიკის ფორმით. ხელნაწერი, ორი სქელი ფოლიო-ტომი *, უკვე დიდი ხანია მისული იყო გამოცემის ადგილას ვესტფალიაში, როცა ცნობა მივიღეთ, შეცვლილი გარემოებანი მისი დაბეჭდვის ნებას არ იძლევიანო. ჩვენ მით უფრო საამოვნებით დავუტოვეთ ხელნაწერი თავკების მღრღნელ კრიტიკას, რომ ჩვენი მთავარი მიზანი — ჩვენთვის საკითხის გამორკვევა — მიღწეული იყო.

დაწერილია კ. მარქსის მიერ ლონდონში
1859 წლის იანვარში

დაბეჭდილია წიგნში: K. Marx.
«Zur Kritik der Politischen
Oekonomie». Erstes Heft,
Berlin, 1859

იბეჭდება 1859 წლის
გაშოცეის ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

კ. მარქსი და ფ. ენგელსი,
თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც.,
ტ. 13, გვ. 6 — 8

* კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «გერმანული იდეოლოგია». რედ.

ფ. ენგელსის წინასიტყვაობიდან მისი წიგნისადმი
«ლუდვიგ ფოიერბახის და კლასიკური გერმანული
ფილოსოფიის დასასრული»

ვიდრე ამ სტრიქონებს დასაბუქლად გავგზავნიდი, მოვნახე და ერთხელ კიდევ გადავათვალიერე 1845—1846 წლების ძველი ხელნაწერი*. განყოფილება ფოიერბახის შესახებ მასში დამთავრებული არაა. დამთავრებულ ნაწილს შეადგენს ისტორიის მატერიალისტური გაგების გადმოცემა; ეს გადმოცემა გვიჩვენებს მხოლოდ, თუ ჯერ კიდევ რამდენად არასაკმარისი ყოფილა ჩვენი მაშინდელი ცოდნა ეკონომიური ისტორიის დარგში. ხელნაწერში მოცემული არაა თვით ფოიერბახის მოძღვრების კრიტიკა; ამიტომ ეს ხელნაწერი არ გამოდგებოდა მოცემული მიზნისათვის. მაგრამ სამაგიეროდ მარქსის ერთ ძველ რვეულში მე აღმოვაჩინე თერთმეტი თეზისი ფოიერბახის შესახებ, რომლებიც დაიბეჭდა კიდევ დამატების სახით. ეს არის სახელდახელოდ მოხაზული და შემდგომ დასამუშავებელი შენიშვნები, რომლებიც სრულიადაც არ ყოფილა დასაბუქლად განკუთვნილი. მაგრამ ისინი ფასდაუდებელია როგორც პირველი დოკუმენტი, რომელიც ახალი მსოფლმხედველობის გენიალურ ჩანასახს შეიცავს.

ლონდონი, 21 თებერვალი 1888 წ.

ფრიდრიხ ენგელსი

დაიბუქდა წიგნში:
F. Engels. «Ludwig Feuerbach und
der Ausgang der klassischen
deutschen Philosophie».
Stuttgart, 1888

იბეჭდება 1888 წლის გამოცემის
ტექსტის მიხედვით

თარგმანი გერმანულიდან

კ. მარქსი და ფ. ენგელსი,
თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც.,
ტ. 21, გვ. 371

* კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «გერმანული იდეოლოგია». რ. ე. დ.

¹ „გერმანული იდეოლოგია. კრიტიკა უახლესი გერმანული ფილოსოფიისა მისი წარმომადგენლების ფოიერბახის, ბ. ბაუერისა და შტირნერის სახით და გერმანული სოციალიზმისა მისი სხვადასხვა წინასწარმეტყველთა სახით“ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის საერთო ნაწარმოებია, რომელზეც ისინი ბრიუსელში მუშაობდნენ 1845—1846 წლებში. „გერმანულ იდეოლოგიაში“ მარქსმა და ენგელსმა პირველად დაამუშავეს ყოველმხრივ თავიანთი ახალი მსოფლმხედველობა — ისტორიის მატერიალისტური გაგება როგორც მეცნიერული კომუნისმის თეორიის ფილოსოფიური საფუძველი. თეორიის ეს დადებითი განვითარება განხორციელებულ იქნა ახალგაზრდა ჰეგელიანელთა იდეალისტური ფილოსოფიისა და „ჰემმარიტი სოციალისტების“ წვრილბურჟუაზიულ შეხედულებათა კრიტიკის ფორმით.

„გერმანული იდეოლოგიის“ ხელნაწერი, დაახლოებით 50 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, შედგებოდა ორი ტომისაგან, რომელთაგან პირველი შეიცავდა, უმთავრესად, ისტორიული მატერიალიზმის ძირითად დებულებათა დამუშავებას და ლ. ფოიერბახის, ბ. ბაუერისა და მ. შტირნერის ფილოსოფიურ შეხედულებათა კრიტიკას, მეორე კი — „ჰემმარიტი სოციალიზმის“ სხვადასხვა წარმომადგენელთა შეხედულებების კრიტიკას.

მარქსისა და ენგელსის გადაწყვეტილება დაემუშაებინათ თავიანთი ახალი მსოფლმხედველობა იდეალისტური გერმანული ფილოსოფიის საწინააღმდეგოდ, — განეკუთვნება 1845 წლის გაზაფხულს. უშუალოდ „გერმანულ იდეოლოგიაზე“ მუშაობა მათ დაიწყო 1845 წლის ნოემბერში და ძირითადად იგი დაამთავრეს 1846 წლის აპრილში; მეორე ტომზე მუშაობა გაგრძელდა არა უგვიანეს 1846 წლის აგვისტოს შუარიცხვებისა, მეორე ტომის დამატება (ენგელსის ნაშრომი „ჰემმარიტი სოციალისტები“) დაიწერა დაახლოებით 1847 წლის იანვარ-აპრილში.

1846—1847 წლებში მარქსი და ენგელსი არაერთხელ შეცდილან გამოქვეყნათ გერმანიაში გამომცემელი თავიანთი ნაწარმოებისათვის. მაგრამ პოლიციის მხრივ დაბრკოლებათა და იმ მიმართულებებით დაინტერესებულ გამომცემელთა უარის გამო, რომელთა წინააღმდეგ მარქსი და ენგელსი იბრძოდნენ, — ეს ცდები უშედეგოდ აღმოჩნდა.



მარქსისა და ენგელსის სიცოცხლეში „გერმანული იდეოლოგიის“ ტომის მხოლოდ ერთი — IV თავი გამოქვეყნდა. ენგელსის სიკვდილის შემდეგ „გერმანული იდეოლოგიის“ ხელნაწერი ხელში ჩაუვარდათ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულ ლიდერებს, რომლებსაც იგი დიდი ხნის განმავლობაში ცხრაკლიტულში ჰქონდათ ჩადებული (37 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნდა ხელნაწერის ნახევარზე ნაკლები). „გერმანული იდეოლოგიის“ უმნიშვნელოვანესი, ე. ი. პირველი თავი პირველად გამოაქვეყნა მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტმა 1924 წელს რუსულ ენაზე და 1926 წელს გერმანულ ენაზე. მთელი ნაწარმოები კი, იმ შედგენილობით, როგორითაც მან ჩვენამდე მოაღწია (მოგვიანებით ნახული სამი თაბახის გამოკლებით). პირველად გამოაქვეყნა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა გერმანულ ენაზე 1932 წელს და რუსულ ენაზე 1933 წელს.

„გერმანული იდეოლოგიის“ პირველი ტომის I თავის ხელნაწერმა ჩვენამდე მოაღწია ხუთი შემადგენელი ნაწილის სახით, რომლებიც ძირითადად ენგელსის ხელით იყო დაწერილი.

თავდაპირველად მარქსმა და ენგელსმა დაიწყეს იმ კრიტიკული ნაშრომის წერა, რომელიც მიმართული იყო ერთსა და იმავე დროს ლ. ფოიერბახის, ბ. ბაუერისა და მ. შტირნერის წინააღმდეგ. შემდეგ მათ შეცვალეს თავიანთი თავდაპირველი განზრახვა და გადაწყვიტეს ბაუერისა და შტირნერის კრიტიკისადმი სპეციალური თავები მიეძღვნათ („II. წმიდა ბრუნო“ და „III. წმიდა მაქსი“), ამ თავებს წარუმძღვარეს მათ საერთო შესავალი, რომელიც მიმართულია ფოიერბახის წინააღმდეგ („I. ფოიერბახი“) და მარქსისა და ენგელსის თვალსაზრისის დადებითს გადმოცემას იძლევა. ამ ახალი გეგმის შესაბამისად მათ ამოშალეს თავდაპირველი ხელნაწერიდან ყველა ადგილი, რომელიც ბაუერისა და შტირნერის კრიტიკას განეკუთვნებოდა, და გადაიტანეს ისინი შესაბამისად „გერმანული იდეოლოგიის“ პირველი ტომის II და III თავებში. ასე ჩამოყალიბდა ქრონოლოგიურად პირველი ნაწილი, თავდაპირველი ბირთვი ფოიერბახის შესახებ დაწერილი თავისა (მარქსის მიერ დანომრილი 29 გვერდი).

შემდეგ დაიწერა II და დაწყებულ იქნა III თავი. შტირნერის წიგნის „ერთადერთი და მისი საკუთრება“ კრიტიკის მსვლელობაში მარქსი და ენგელსი აკეთებდნენ ცოტად თუ ბევრად ვრცელ თეორიულ გადახვევებს, სადაც ისინი დადებითი ფორმით ავითარებდნენ ისტორიის თავიანთ მატერიალისტურ გაგებას. ორი ასეთი გადახვევა მათ ამოიღეს შტირნერის შესახებ დაწერილი თავიდან და გადაიტანეს ფოიერბახზე მოცემულ თავში. პირველი მათგანი (6 გვერდი) დაწერილი იყო ისტორიაში სულის ბატონობის შესახებ შტირნერის იდეალისტური კონცეფციის კრიტიკასთან დაკავშირებით. ხელნაწერის ის ადგილი, სადაც თავდაპირველად ეს ნაწილი იმყოფებოდა, იხ. გამოცემაში: კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. 3, გვ. 163. მეორე თეორიული გადახ-

ვევა (37 გვერდი) დაწერილი იყო ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე, კენ-კურენციასზე, კერძო საკუთრების, სახელმწიფოსა და სამართლის ნაფარდობაზე შტირნერის შეხედულებათა კრიტიკასთან დაკავშირებით. ეს ნაწილი, შტირნერის შესახებ მოცემული თავიდან ამოდებული, შეცვლილ იქნა იქ ახალი ტექსტით (იხ. იქვე, გვ. 350 და შემდ.). ასეთი ფოიერბახზე დაწერილი თავის მეორე და მესამე ნაწილების წარმოშობა ქრონოლოგიურად.

ამ სამ პირველ ნაწილს მარქსი თანმიმდევრულად უწევდა პრობანდას (გვ. 1 — 72), გააერთიანა რა ისინი მთელი პირველი თავის ერთ შავად დაწერილ ხელნაწერად.

ამის შემდეგ მარქსმა და ენგელსმა დაიწყეს თავის შავად დაწერილი ვარიანტის გადამუშავება და ორჯერ შეეცადნენ თავის დასაწყისის სუფთად დაწერას. ასე წარმოიშვა თეთრად დაწერილის ორი ვარიანტი. ქრონოლოგიურად მეოთხე ნაწილი ეს არის თეთრად დაწერილის პირველი ვარიანტი (5 გვერდი), ქრონოლოგიურად მეხუთე ნაწილი ეს არის თეთრად დაწერილის მეორე ვარიანტი (16 გვერდი). პირველი და მეორე ვარიანტის დასაწყისი თითქმის ემთხვევა ერთიმეორეს, ამიტომ პირველი თეთრად დაწერილის შესაბამისი ნაწილი ხელნაწერში წაშლილია.

ამ გამოცემაში თავი ფოიერბახის შესახებ დაყოფილია ოთხ ნაწილად. I ნაწილი თეთრად დაწერილის მეორე ვარიანტია პირველი ვარიანტიდან იმის დამატებით, რაც გამოყენებული არ იყო მეორე ვარიანტში. II ნაწილი მთელი თავის თავდაპირველ ბირთვს წარმოადგენს. III და IV ნაწილები ეს არის შტირნერზე დაწერილი თავიდან გადმოტანილი თეორიული გადახვევები. ფოიერბახისათვის განკუთვნილი თავის შემადგენელი ნაწილებიდან თვითეული წარმოადგენს თანმიმდევრულად დაწერილ, შინაგანი ლოგიკით დაკავშირებულ მთელს. ეს ნაწილები ერთიმეორეს ავსებენ და ერთობლივ აღებულნი ისტორიის მატერიალისტური გაგების მთლიან კონცეფციას იძლევიან. ამ ოთხიდან თვითეული ნაწილის საერთო შინაარსი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს. I ნაწილი: შესავალი, გერმანული ფილოსოფიის ჰეგელის შემფგომდროინდელი იდეალიზმის ზოგადი დახასიათება. ისტორიის მატერიალისტური გაგების წინამძღვრები, არსი და ზოგადი კონტურები. II ნაწილი: ისტორიული პროცესის მატერიალისტური კონცეფცია და ისტორიის მატერიალისტური გაგებიდან გამომდინარე დასკვნები. კრიტიკა ისტორიის იდეალისტური გაგებისა საერთოდ, კრიტიკა ახალგაზრდა ჰეგელიანელებისა და ფოიერბახისა განსაკუთრებით. III ნაწილი: როგორ წარმოიშვა ისტორიის იდეალისტური გაგება. IV ნაწილი: მწარმოებლური ძალების, შრომის დანაწილებისა და საკუთრების ფორმების განვითარება. საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. პოლიტიკური ზედნაშენი. საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები.

ხელნაწერში მთელი ტექსტი დასათაურებულია: „I. ფოიერბახი“.



1883 წელს, როცა მარქსის გარდაცვალების შემდეგ, დარჩენილი ეგვიპტელების გადათვლიერებისას, ენგელსმა კვლავ ნახა და გადაიკითხა მანუალი იდეოლოგიის“ ხელნაწერი, პირველი თავის ბოლოში მან გააკეთა ჩანაწერი: „I. ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა“.

თავის შემადგენელი ნაწილები დაყოფილია სათაურებით ცალკეულ პარაგრაფებად (III ნაწილი შედგება ერთი პარაგრაფისაგან). ტექსტის დაყოფა და პარაგრაფების თითქმის ყველა სათაური ეკუთვნის რედაქციას. ყველა რედაქციული სათაური და აუცილებელი რედაქციული ჩანართი მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში. კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენებია აგრეთვე ხელნაწერის გვერდების ნომრები. ძირითადი, მეორე თეთრად დაწერილის ფურცლები, მარქსისა და ენგელსის მიერ დანომრილი, აღნიშნულია ასოთი „ლ.“ და ციფრით: [ლ. 1] და ა. შ. პირველი თეთრად დაწერილის გვერდებს არა აქვთ ავტორის პაგინაცია, ისინი აღნიშნულია ასოთი „ს.“ და ციფრით: [ს. 1] და ა. შ. ხელნაწერის სამი შავად დაწერილი ნაწილის გვერდები, მარქსის მიერ დანომრილი, აღნიშნულია უბრალოდ ციფრით: [1] და ა. შ. — 22.

² იგულისხმება დ. ფ. შტრაუსის ძირითადი ნაწარმოები „იესოს ცხოვრება“ (D. F. Strauß. „Das Leben Jesu“. Bd. 1—2 Tübingen, 1835—1836), რომლითაც დაიწყო რელიგიის ფილოსოფიური კრიტიკა და ჰეგელის სკოლის დაშლა ძველ ჰეგელიანელებად და ახალგაზრდა ჰეგელიანელებად. — 22.

³ დ ი ა უ ო ხ ე ბ ი — ალექსანდრე მაკედონელის სარდლები, რომლებმაც მისი სიკვდილის შემდეგ გააფთრებული ბრძოლა დაიწყეს ერთმანეთში ხელისუფლებისათვის. ამ ბრძოლის მსვლელობაში (IV საუკ. დასასრ.— III საუკ. დასაწყ. ჩ. წელთაღრიცხვამდე) ალექსანდრე მაკედონელის მონარქია, რომელიც არამტკიცე სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებას წარმოადგენდა, მთელ რივ ცალკეულ სახელმწიფოებად დაიშალა. — 22.

⁴ „ქვეყნიერების შემძრავი აზრები“ — გამოთქმა ერთი ანონიმური სტატიიდან 1845 წლის ჟურნალში „Wigand's Vierteljahrsschrift“, ტ. IV (გვ. 327), იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 3, გვ. 86.

„Wigand's Vierteljahrsschrift“ („ვიგანდის სამთვითური ჟურნალი“) — ახალგაზრდა ჰეგელიანელთა ფილოსოფიური ჟურნალი; სციმდაო. ვიგანდი ლაიფციგში 1844—1845 წლებში. ჟურნალში მონაწილეობდნენ ბ. ბაუერი, მ. შტირნერი, ლ. ფოიერბახი და სხვ. — 27.

⁵ ტერმინს „Verkehr“ „გერმანულ იდეოლოგიაში“ მეტად ფართო შინაარსი აქვს. ეს ტერმინი შეიცავს ცალკეული ინდივიდების, სოციალური ჯგუფებისა და მთელი ქვეყნების მატერიალურ და სულიერ ურთიერთობას. მარქსი და ენგელსი თავიანთ ნაშრომში გვიჩვენებენ, რომ მატერიალური



ურთიერთობა, და უწინარეს ყოვლისა ადამიანთა ურთიერთობა წარმოების პროცესში, ყოველგვარი სხვა ურთიერთობის საფუძველია. ტერმინებში „Verkehrsform“, „Verkehrsweise“, „Verkehrsverhältnisse“ „Produktions-und Verkehrsverhältnisse“ („ურთიერთობის ფორმა“ „ურთიერთობის წესი“, კავშირურთიერთობანი“, „წარმოებისა და აღდგენის ურთიერთობანი“), რომლებიც „გერმანულ იდეოლოგიაში“ იხმარება, გამოხატულება პოვა წარმოებით ურთიერთობათა ცნებამ, რომელიც ამ დროს მარქსს და ენგელსს უყალიბდებოდათ. — 30.

6 ტერმინს „Stamm“, რომელიც „გერმანულ იდეოლოგიაში“ ითარგმნება როგორც „ტომი“, XIX საუკუნის 40-იან წლებში ისტორიულ მეცნიერებაში უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ამჟამად. იგი აღნიშნავდა იმ ადამიანთა ერთობლიობას, რომელთა საერთო წარმოშობა ერთი და იმავე წინაპრიდან მომდინარეობდა, და მოიცავდა თანამედროვე ცნებებს „გვარი“ (Gens) და „ტომი“ (Stamm). ამ ცნებების ზუსტი განსაზღვრა და განსხვავება პირველად მოცემული იყო ლ. გ. მორგანის წიგნში „ძველი საზოგადოება“ (1877). გამოჩენილი ამერიკელი ეთნოგრაფისა და ისტორიკოსის ამ მთავარ ნაწარმოებში პირველად იქნა გარკვეული მნიშვნელობა გვარისა როგორც პირველყოფილ-თემური წყობილების ძირითადი უჯრედისა და ამით მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა პირველყოფილი საზოგადოების მთელ ისტორიას. ენგელსმა განაზოგადა მორგანის გამოკვლევათა შედეგები და ყოველმხრივ გახსნა შინაარსი ცნებებისა „გვარი“ და „ტომი“ თავის ნაწარმოებში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ (1884). — 31.

7 რომელიც სახალხო ტრიბუნების ლიცინიუსისა და სექსტიუსის აგრარული კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 367 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე პატრიციების წინააღმდეგ პლებების ბრძოლის შედეგად, უკრძალავდა რომელ მოქალაქეებს 500 იუგერზე (დაახლ. 125 ჰექტარი) მეტი მიწის ფლობას სახელმწიფო მიწის ფონდიდან (ager publicus). — 32.

8 იგულისხმება ბ. ბაუერის სტატია „ლუდვიგ ფოიერბახის დახასიათება“ 1845 წლის ჟურნალში „Wigand's Vierteljahrsschrift“, ტ. III, გვ. 86 — 146 — 43.

9 იხ. ჰეგელი. „ისტორიის ფილოსოფია“, შესავალი, მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული საფუძველი. — 46.

10 იგულისხმება ბ. ბაუერის გამონათქვამი მის სტატიაში „ლუდვიგ ფოიერბახის დახასიათება“ (1845 წლის Wigand's Vierteljahrsschrift, ტ. III, გვ. 130). იხ. კ. ნარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც. ტ. 3, გვ. 79 და 89. — 47.

11 „Deutsch-Französische Jahrbücher“ („გერმანულ-ფრანგული წელიწ-



დუელი“) გამოდიოდა პარიზში კ. მარქსისა და ა. რუგეს რედაქციის გერმანულ ენაზე. გამოვიდა მხოლოდ პირველი, ორმაგი გამოცემა 1844 წლის თებერვალში. მასში გამოქვეყნდა კ. მარქსის ნაწარმოებები: „ებრაელთა საკითხისათვის“ და „სამართლის პეველისეული ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი“, აგრეთვე ფ. ენგელსის ნაწარმოებები: „ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ და „ინგლისის მდგომარეობა“. თომას კარლეილი. „წარსული და აწმყო“ (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 1, გვ. 382 — 413, 414—429, 544—571, 572—597). ეს შრომები მოწმობენ მარქსისა და ენგელსის საბოლოო გადასვლას მატერიალიზმსა და კომუნისმზე. ჟურნალის გამოსვლის შეწყვეტის ნამდვილი მიზეზი იყო მარქსის პრინციპული უთანხმოებანი ბურჟუაზიულ რადიკალ რუგესთან.

F. Engels und K. Marx. „Die heilige Familie, oder Kritik der kritischen Kritik, Gegen Bruno Bauer und Consorten“. Frankfurt a. M., 1845 (ფ. ენგელსი და კ. მარქსი. „წმინდა ოჯახი, ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა. ბრუნო ბაუერისა და კომპანიის წინააღმდეგ“. მაინის ფრანკფურტი, 1845). იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 2, გვ. 3 — 230. — 54.

12 ეს დასკვნა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის მხოლოდ ერთდროულად გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და, მაშასადამე, ერთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ, რომელმაც ყველაზე დასრულებული ფორმულირება ენგელსის შრომაში „კომუნისმის პრინციპები“ (1847) მიიღო, სწორი იყო მონობოლიზმამდელი კაპიტალიზმის პერიოდისათვის. ახალ ისტორიულ პირობებში, მონობოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, ვ. ი. ლენინი, გამოდიოდა რა იმპერიალიზმის ეპოქაში ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის შესახებ მის მიერ აღმოჩენილი კანონიდან, მივიდა ახალ დასკვნამდე — სოციალისტური რევოლუციის თავდაპირველად რამდენიმე ან ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაშიც კი გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და ყველა ქვეყანაში ან უმრავლეს ქვეყნებში რევოლუციის ერთდროულად გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ. ამ ახალი დასკვნის ფორმულირება პირველად მოცემულ იქნა ვ. ი. ლენინის სტატიაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ (1915). — 58.

13 „მარსელიოზა“, „კარმანოლა“, «Ça ira» — XVIII საუკუნის დასასრულს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდის რევოლუციური სიმღერები. უკანასკნელ სიმღერას ჰქონდა რეფრენი: „Ah! ça ira, ça ira, ça ira. Les aristocrates à la lanterne!“ („საქმე კარგად წავა. არისტოკრატები ჩამოვახრჩოთ!“). — 65.

14 გამოთქმები მ. შტირნერის წიგნიდან „ერთადერთი და მისი საკუთრება“



(M. Stirner. „Der Einzige und sein Eigenthum“, Leipzig, 1845)
 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 3, გვ. 143 — 149. — 66.

- 15 ეს გამოთქმა აღებულია ბ. ბაუერის სტატიიდან „ლუდვიგ ფოიერბახის, დახასიათება“ (იხ. 1845 წლის ჟურნალი „Wigand's Vierteljahrsschrift“, ტ. III, გვ. 139). — 70.
- 16 გამოთქმა მ. შტირნერის წიგნიდან „ერთადერთი და მისი საკუთრება“. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 3, გვ. 115 — 121 და 150 — 157. — 70.
- 17 „Hallische Jahrbücher“ და „Deutsche Jahrbücher“ — ახალგაზრდა პეგელიანელთა ლიტერატურულ-ფილოსოფიური ჟურნალის შემოკლებული სახელწოდება; ეს ჟურნალი გამოდიოდა ყოველდღიური ფურცლების სახით ლაიფციგში 1838 წლის იანვრიდან 1841 წლის ივნისამდე სახელწოდებით „Hallische Jahrbücher für deutsche Wissenschaft und Kunst“ („პალეს წელიწდეული გერმანული მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხებზე“) და 1841 წლის ივლისიდან 1843 წლის იანვრამდე სახელწოდებით „Deutsche Jahrbücher für Wissenschaft und Kunst“ („გერმანული წელიწდეული მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხებზე“). 1841 წლის ივნისამდე ჟურნალი გამოდიოდა ა. რუგესა და ტ. ენტერმაიერის რედაქტორობით ჰალეში, 1841 წლის ივლისიდან კი — ა. რუგეს რედაქტორობით დრეზდენში. — 70.
- 18 B. Bauer. „Geschichte der Politik, Cultur und Aufklärung des achtzehnten Jahrhunderts“. Bd. 1—2, Charlottenburg, 1843—1845 (ბ. ბაუერი. „მეტყვამეტე საუკუნის პოლიტიკის, კულტურისა და განათლების ისტორია“. ტ. 1—2, შარლოტენბურგი, 1843—1845). — 71.
- 19 სიმღერა რაინზე — ნაციონალისტების მიერ ფართოდ გამოყენებული ლექსი გერმანელი წვრილბურჟუაზიული მწერლის ნ. ბეკერისა „გერმანული რაინი“; ეს ლექსი დაიწერა 1840 წელს და მას შემდეგ არაერთხელ გადატანილა მუსიკაზე. — 71.
- 20 ივლისხმება ლ. ფოიერბახის სტატია „ქრისტიანობის არსების“ შესახებ „ერთადერთთან და მის საკუთრებასთან“ დაკავშირებით“ 1845 წლის ჟურნალში „Wigand's Vierteljahrsschrift“, ტ. II, გვ. 193 — 205. სტატია მთავრდება ასე: „მაშასადამე, ფ[ოიერბახს] არ შეიძლება ეწოდოს არც მატერიალისტი, არც იდეალისტი, არც იგივეობის ფილოსოფოსი. მაშ რაღაა იგი? იგი აზრებში იგივეა, რაც სინამდვილეში, სულში იგივეა, რაც ხორცში, თავის გრძნობადას არსებაში: იგი ადამიანია, ანუ, უფრო სწორად, — ვინაიდან ადამიანის არსებად ფოიერბახს მხოლოდ საზოგადოებრიობა მიაჩნია, — იგი საზოგადოებრივი ადამიანია, კომუნისტი“ (ლ. ფოიერბახი. რჩეული ფილოსოფიური ნაწარმოებები, რუს. გამოც., ტ. II, მ., 1955, გვ. 420). — 72.



²¹ L. Feuerbach. „Grundsätze der Philosophie der Zukunft“. Zurich und Winterthur, 1843, s. 47 (ლ. ფოიერბახი. „მომავლის ფილოსოფიის ძირითადი დებულებანი“, ციურხი და ვინტერტური, 1843, გვ. 47).

თავის შენიშვნებში, რომლებიც დასათაურებულია „ფოიერბახი“ და განკუთვნილი, ალბათ, „გერმანული იდეოლოგიის“ პირველი ტომის 1-ელი თავისათვის, ენგელსს ციტატის სახით მოჰყავს ფოიერბახის წიგნიდან აღნიშნული ადგილი და კომენტარს უკეთებს მას (იხ. ეს გამოცემა, გვ. 143). — 72.

²² მარქსი და ენგელსი იმორწმებენ „გერმანული იდეოლოგიის“ პირველი ტომის III თავის ტექსტს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 3, გვ. 161 — 163). ფოიერბახის შესახებ დაწერილი თავის ეს ნაწილი თავდაპირველად ამ III თავის შედგენილობაში შედიოდა და უშუალოდ მოსდევდა ტექსტს, რომელსაც აქ მარქსი და ენგელსი იმორწმებენ. III თავის აღნიშნულ ადგილას მარქსსა და ენგელსს ციტატები მოჰყავთ ჰეგელის ნაწარმოებებიდან „ისტორიის ფილოსოფია“ და სხვ. — 79.

²³ ლიგა პურის კანონების წინააღმდეგ დაარსეს 1838 წელს მანჩესტერელმა ფაბრიკანტებმა კობდენმა და ბრაიტმა. ეგრეთწოდებული პურის კანონები, რომელთა მიზანი საზღვარგარეთიდან პურის შემოზიდვის შეზღუდვა და აკრძალვა იყო, შემოღებულ იქნა ინგლისში მსხვილი მიწათმფლობელების — ლენდლორდების ინტერესების დასაცავად. ვაჭრობის სრული თავისუფლების მოთხოვნის წამოყენებით ლიგას უნდოდა პურის კანონების გაუქმების მიღწევა მუშების ხელფასის შემცირებისა და მიწის არისტოკრატის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების შესუსტების მიზნით. თავის ბრძოლაში მიწათმფლობელების წინააღმდეგ ლიგა ცდარობდა მუშათა მასების გამოყენებას. მაგრამ ამ დროისათვის ინგლისის მოწინავე მუშები უკვე დაადგნენ დამოუკიდებელი პოლიტიკურად ჩამოყალიბებული მუშათა მოძრაობის (ჩარტიზმი) გზას.

ბრძოლა სამრეწველო ბურჟუაზიასა და მიწის არისტოკრატის შორის პურის კანონების გამო დამთავრდა იმით, რომ 1846 წელს მიღებულ იქნა ბილი ამ კანონების გაუქმების შესახებ. — 84.

²⁴ „კავშირი“ („Verein“), შტირნერის მიხედვით, — ეს არის ეგოისტების ნებაცოფლობითი გაერთიანება (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 3, გვ. 387—418). — 86.

²⁵ J. Aikin. „A Description of the Country from thirty to forty Miles round Manchester“. London, 1795 (ჯ. ეიკინი. „მანჩესტერის მიდამოების აღწერა ოცდაათი-ორმოცი მილის რადიუსით“. ლონდონი, 1795). — 96.



- 26 ციტირებულია „Lettre sur la Jalousie du Commerce“ („წერილი ვაჭრობაში მეტოქეობის შესახებ“) ი. პინტოს წიგნიდან: „Traité de la Circulation et du Crédit“. Amsterdam, 1771 („ტრაქტატი მიმოქცევისა და კრედიტის შესახებ“. ამსტერდამი, 1771), გვ. 234 და 283.—97.
- 27 A. Smith. „An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations“. London, 1776 (ა. სმიტი. „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“. ლონდონი, 1776). — 97.
- 28 J. J. Rousseau. „Du Contract social; ou, Principes du droit politique“. Amsterdam, 1762 (ჟ. ჟ. რუსო. „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ, ანუ პოლიტიკური უფლების პრინციპები“. ამსტერდამი, 1762). — 110.
- 29 იგულისხმება მ. შტირნერის მსჯელობანი მის სტატიაში „შტირნერის რეცენზენტები“, რომელიც გამოქვეყნდა 1845 წლის ჟურნალ „Wigand's Vierteljahrsschrift-ის III ტომში (გვ. 187). იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 3, გვ. 80 — 81. — 112.
- 30 A. E. Cherbuliez. „Riche ou Pauvre“. Paris — Genève, 1840, p. 140 (ა. ე. შერბიულიე. „მდიდარი ან ღარიბი“. პარიზი — ჟენევა, 1840, გვ. 140). — 118.
- 31 იტალიის ქალაქი ამალფი X — XI საუკუნეებში აყვავებული სავაჭრო ცენტრი იყო. ქალაქ ამალფის საზღვაო სამართალი (Tabula Amalphi-tana) მთელ იტალიაში მოქმედებდა და ფართოდ იყო გავრცელებული ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. — 126.
- 32 „თეზისები ფოიერბახის შესახებ“ — ეს ენგელსის განმარტებით, „პირველი დოკუმენტი, რომელიც ახალი მსოფლმხედველობის გენიალურ ჩანასახს შეიცავს“ (იხ. ეს გამოცემა, გვ. 156). ისინი დაწერილია კ. მარქსის მიერ ბრიუსელში, ალბათ, 1845 წლის აპრილში და მოთავსებულია მის 1844 — 1847 წლების უბის წიგნაკში. სათაური „თეზისები ფოიერბახის შესახებ“ მოცემულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ იმ წინასიტყვაობის შესაბამისად, რომელიც ფ. ენგელსმა გაუკეთა თავისი შრომის „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრულის“ ცალკე გამოცემას. როცა ენგელსმა პირველად გამოაქვეყნა ეს „თეზისები“ 1888 წელს ამ თავისი შრომის დამატებაში, მან მათში ზოგიერთი რედაქციული შესწორება შეიტანა, რათა მარქსის მოკლე შენიშვნები, რომლებიც დასაბუქდად განკუთვნილი როდი იყო, უფრო გასაგები გაეხადა მკითხველისათვის. ამ გამოცემაში „თეზისები“ მოცემულია ორ ვარიანტად: მარქსის თავდაპირველი ტექსტი და იგივე ტექსტი ენგელსის რედაქციით. — 131.
- 33 L. Feuerbach. „Das Wesen des Christenthums“. Leipzig, 1841



(ლ. ფოიერბახი, „ქრისტიანობის არსება“. ლაიფციგი, 1841); ინგლისში „შექმნის მნიშვნელობა იუდეველობაში“ და „რელიგიის არსებითი თვალსაზრისი“. — 131.

³⁴ ენგელსის ეს შენიშვნები განკუთვნილი იყო, როგორც ჩანს, „გერმანული იდეოლოგიის“ პირველი ტომის პირველ თავზე მუშაობისათვის. ამ შენიშვნებში ციტირებულია წიგნი: L. Feuerbach. „Grundsätze der Philosophie der Zukunft“. Zürich und Winterthur, 1843 (ლ. ფოიერბახი, „მომავლის ფილოსოფიის ძირითადი დებულებანი“. ციურიხი და ვინტერტური, 1843). — 140.

³⁵ L. Feuerbach. „Das Wesen des Glaubens im Sinne Luthers. Ein Beitrag zum „Wesen des christenthums“. Leipzig, 1844 (ლ. ფოიერბახი, „რწმენის არსება ლუთერის აზრით. „ქრისტიანობის არსების“ დამატება“. ლაიფციგი, 1844). — 143.

³⁶ ეს წერილი ენგელსმა გაუგზავნა მარქსს პარიზიდან ბრიუსელში. წერილში ენგელსი გადმოსცემს ლ. ფოიერბახის ახალი შრომის „რელიგიის არსების“ შინაარსს; ეს შრომა გამოქვეყნდა 1846 წლის გაზაფხულზე ჟურნალში „Die Epigonen“, ტ. 1.

„Die Epigonen“ (ეპიგონები) — ახალგაზრდა ჰეგელიანელების ფილოსოფიური ჟურნალი იყო; მას სცემდა ო. ვიგანდი ლაიფციგში 1846 — 1848 წლებში; იგი ჟურნალ „Wigand's Vierteljahrsschrift“-ის გაგრძელება იყო. — 145.

³⁷ ლაპარაკია მარქსის მიერ განზრახულ ორტომიან ნაწარმოებზე „პოლიტიკისა და პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“. — 151.

³⁸ მარქსი ხვდებოდა პ. ბ. ანენკოვს ბრიუსელში 1846 წლის მარტის დასასრულსა და აპრილის დასაწყისში. — 151.

³⁹ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 1, გვ. 414 — 429. — 152.

⁴⁰ მარქსი იძულებული იყო პარიზიდან ბრიუსელში წასულიყო 1845 წლის 3 თებერვალს. — 152.

⁴¹ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 1, გვ. 544 — 571. — 154.

⁴² იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 რუს. გამოც., ტ. 2, გვ. 231 — 517. — 154.

⁴³ ენგელსი გადავიდა მარქსთან ბრიუსელში 1845 წლის 5 აპრილის შემდეგ. — 154.

